# კვირის პალიტრა

№ 48 (408) ◆ 2 – 8 დეკემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## ბორჯომის ხეობა გადარჩება

რუსეთი აშკარად ვერ გაბედავს აგრესიაზე წამოსვლას, მაგრამ თამამად შეუძლია წააქეზოს სომხეთი. საგულისხმოა, რომ აგრესიის გამოვლენას აშკარად ვერც სომხეთი ბედავს, თუმცა ფარულად შეეცდება ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში მცხოვრები სომხები წააქეზოს...

მე მიკვირს, ბოლო მომენტამდე რატომ ჰქონდა პირში წყალი ჩაგუბებული თუნდაც მამუკა ხაზარაძეს. გვ.3 გია ნოდია



## დასნებოვნებული კვების პროდუქტები საქართველოში(?!)

„უხარისხო პროდუქტის შემოტანას „ზემოდან“ მფარველობენ“...

„გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა მართლაც მთხოვეს პურის ფქვილის შემოწმება. რა შემოწმება უნდოდა, ტკიპები ფქვილში დაფუთფუთებდნენ. რა თქმა უნდა, ვურჩიე: რადგან ფქვილი საკვებად უვარგისი იყო, სჯობდა გაენადგურებინათ.“ გვ.6,13

„შემოსული ლობიოს ხარისხიც არ არის დამაკმაყოფილებელი, მასში სხვადასხვა პარაზიტი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მსოფლიო სასურსათო პროგრამის თანამშრომლები მოატყუეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლაბორატორიულად შეამოწმა პროდუქტი და დაადგინა, რომ ლობიო მართლაც დასნებოვნებულია.“

## ქვეყანაში ქაოსი მეფობს

გვ.7



„ვინც ამ ქაოსს აღვივებს, ყველაფერი უკან დაუბრუნდება“

პასუხისმგებლობის, ზრდილობისა და სახელმწიფო ინტერესების დეფიციტის გამოა ყველაფერი ეს.

პრეზიდენტს თავისი გარემოცვის უწესობაც აძლევს ხელს. გეუბნება, — მე რომ არ ვიყო, ისინი უფრო უწესოდ მოიქცეოდნენ, პარლამენტი მთლად აიშვებდა, გამგებლები აიწყვეტდნენ, პოლიცია ყველას დაგიჭერდათ, უშიშროება ყველას დაგზვერავდათ, ჯარი დაგბომბავდათ — მე ვარ, რომელიც თქვენ გშველითო.

### ვინ იქნება „შეფუთული“ მემკვიდრე?!

## უგუნური ნაბიჯი...

### დანით „კვირის პალიტრაში“?!



გვ.5,10

გასულ კვირას, რედაქციაში ვაჟა გავაშელს თავს დაესხნენ...

ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში ბოროტი ხულიგნობის მუხლით საქმე აღიძრა. გამომძიებლის თქმით, აღნიშნული დანაშაული მეორე დღესვე სიტყვიერად დაადასტურა თავდამსხმელის ძმამ.

**როგორ ვითარდებოდა მოვლენები...**

ინტერვიუ ვაჟა გავაშელთან

ვერსია

**სიკვდილი ფულის სანაცვლოდ** გვ.10,24

მასალის დასასრული, რომლის დასაწყისისთვისაც „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი დანით დაჭრეს



## რას წერენ ჩვენზე:

### სამი სამყარო — სამი „დინამო“

მოსკოვი-კიევის პოლიტიკურ თამაშში მოსკოვი იგებს, მინსკთან არა მარტო იგებს, არამედ თამაშის წესებს კარნახობს, თბილისთან იძულებულია, ყაიმით დაკმაყოფილდეს. გვ.14

## მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შაბათს, 30 ნოემბერს, გამსახურდიას გამზირზე მდებარე კაფე-ბარ „ნიკალაში“ ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის ვაჟი, 19 წლის გურამ ელიზბარაშვილი დააკავეს.

ადვოკატის თქმით: „გურამის და მიშას მეგობრებმა იჩხუბეს. გურამის მხლებლებმა გაქცევა მოასწრეს, მან კი ვერ შეძლო, რადგან სცემდნენ. ბოლოს, მოჩხუბრებს თავი დააღწია და გაიქცა, მაგრამ იმის შიშით, არ დამედევნონო, იარაღი ამოიღო და ზურგს უკან, მიწის მიმართულებით გაისროლა“. გვ.5

## უკვალოდ დაკარგული მთამსვლელის მეუღლის წერილი ქართველ ალპინისტებს

გვ.16

„გემუდარებით, ნუ გამოცდით მთებს, რადგან ისინი წყვეტენ, ვინ დააბრუნონ და ვინ არა...“

## ჩემი დათოიმ კარა, პაატას დამიწუნებენ, შევარდნაძეს, სინზე დადებულს...

**გურულების სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობა**

— ნოდარა დუმბაძის სულს რო არ შევუთვალო მოგონება, არ ვიქნები მართალი. სიმართლე თუ გინდათ, გურულებს მაი უფრო გვყავდა საპრეზიდენტო კაცი, მარა პატიოსანი იყო ნამეტნავი მაგფერი თანამდებობიზაო, თანაც გული არ უვარგოდა — ყოლიფერს ნერვიულობდა და ქე შემოასკდა ხელში... გვ.12

## „არ აკოცოთ კუჭის წყლულით დაავადებულებს“

### „დე-ნოლი“

პრობლემების გადაწყვეტა გვ.24



გვ.34

## მკითხველის „ყველაზე საყვარელი გიორგი“

კეთილ დევს — გიორგი კანდელაკს ბავშვივით სცოდნია სიხარულის გამოხატვა. ისედაც კეთილი თვალები თურმე საოცრად აუციმციმდება, კინგ-კონგივით გულზე ხელებს იბაგუნებს და „რბილად“ რომ ვთქვათ, სიამისგან ღრიალებს.

# თბილ, სინათლიან ზამთარს გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## არჩევნები ჩაიშალა

საბურთალოს, რუსთავის, სამტრედიისა და აბაშის რაიონებში ოთხი მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები დასრულდა. ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის გამო არჩევნები ჩაიშალა საბურთალოსა და რუსთავის საარჩევნო ოლქებში. სამტრედიაში საარჩევნო ოლქში წინასწარი მონაცემებით ავთანდილ თევზაძე ლიდერობს. აბაშის საარჩევენო ოლქში დეპუტატობის ერთადერთ კანდიდატს, თენგიზ კალანდაძეს ხმა ამომრჩეველთა 80%-მა მისცა. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს თენგიზ კალანდაძეს საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომა“ უწევდა მხარდაჭერას. იგი წინა მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

„სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელთა განცხადებით, რუსთავის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არჩევნების გაყალბების მიზნით დამკვირვებელთა მოსყიდვას ცდილობდნენ. რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი როლანდ მგალობლიშვილი დაუკავშირდა „სამართლიანი არჩევნების“ რუსთავის კოორდინატორებს და სთხოვა, ყალბი ბიულეტენების ჩაყრის ფაქტები რეაგირების გარეშე დაეტოვებინა. „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელთა თქმით, მგალობლიშვილმა კოორდინატორს ქრთამის სახით ფული შესთავაზა. საბურთალოს რაიონში ხმა მიცემული ჰქონდა 13 500 ამომრჩეველს. არჩევნები ჩატარებულად რომ გამოცხადებულიყო, ხმა დაახლოებით 20-25 ათას ამომრჩეველს უნდა მიეცა. რუსთავშიც მხოლოდ ამომრჩეველთა 13%-მა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. ამიტომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე საბურთალოს და რუსთავს პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლები არ ეყოლება.

## ლეიბორისტების კიდევ ერთი სარჩელი

ქართველი ლეიბორისტების შეფი შალვა ნათელაშვილი ამჯერად საკონსტიტუციო სასამართლოში თელასის პრივატიზებასა და ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით ჩივის. მომავალი სასამართლო პროცესი განსაკუთრებით გრანდიოზული მას შემდეგ გახდა, რაც ნათელაშვილმა პრივატიზების ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი ყველა უწყების მოწმედ დაკითხვა მოითხოვა. უფრო მეტიც, პროცესზე მისვლა საქართველოს პრეზიდენტსაც მოუწევდა, რომ არა საკანონმდებლო „ნახვრეტი“, რომლის მოშველიებითაც შევარდნაძეს შეუძლია სასამართლოში წარმომადგენლად თავისი თანაშემწეც მიავლინოს. საკონსტიტუციო სარჩელში დენზე ტარიფის მომატებაც საჩივრდება.

ნათელაშვილის მტკიცებით, როდესაც „ეი-ი-ეს თელასს“ ტარიფის გაზრდის უფლება ეძლეოდა, საქართველოს მთავრობამ ხარჯები საკუთარ თავზე, უფრო სწორად კი ბიუჯეტზე აიღო. მოგვიანებით, პროცესზე მოწმის სტატუსით მისულმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ დაადასტურა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით, თბილისის მასშტაბით ბიუჯეტში მართლაც არის გამოყოფილი 14 მილიონი ლარი, რომელიც გაზრდილი ტარიფის კომპენსაციას მოხმარდება.

## ჩვენი პოლიცია ჩვენ გვიცავს!

ალბათ ქართველი პოლიციელები სინდისმა შეაწუხა — უკვე მეორედ, პოლიციის მაღალჩინოსანი(!) საშიში ბოროტმოქმედების მიერ მძევლად აყვანილ უმწეო ქალებს და ბავშვებს შეენაცვლა. მძევლების აყვანა ვარკეთილში, ხუდოიანების ოჯახზე თავდასხმისას მოხდა, როდესაც მძარცველებმა პოლიციის მოსვლის შესახებ შეიტყვეს. მართალია, სამიდან ორი ბოროტმოქმედი გაიქცა, მაგრამ მთავარია, რომ მძევლების სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია. პოლიციელთა თავდადების ტენდენცია პირველად გასულ კვირაში, ქალაქ რუსთავში დაფიქსირდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ნოვაციას დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ თუ ბოროტმოქმედი თანახმაა, პოლიციელმა მძევლად შენაცვლების შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

## ჯერჯერობით, საავადმყოფოები აღარ დაიხურება

ასეთი დადგენილება მიიღო დედაქალაქის ახალარჩეულმა საკრებულომ. მისი წევრები აცხადებენ, რომ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის, ამირან გამყრელიძის მიერ შემუშავებული რეფორმა არასრულყოფილია, რადგან დედაქალაქის საკვანძო სტაციონარული დაწესებულების დახურვას და აუქციონის წესით გაყიდვას უამრავი მედიცინის მუშაკის უმუშევრობა მოჰყვება. მათ დასაქმებაზე კი რეფორმაში არაფერია ნათქვამი. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჯანდაცვის სფეროს აღნიშნულ რეფორმას სპეციალური კომისია შეისწავლის, რომელზე დაყრდნობითაც და იურისტებთან კონსულტაციით საკრებულო ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

## ტრადიციული რეპრესიები ზამთართან დაკავშირებით

ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით კანცელარიამ საქართველოს ენერგოსისტემაში ტრადიციად ქცეული რეპრესიები გააგრძელა. წელს ამ აქციას „თბილგაზის“ ყოფილი დირექტორი, გია გოზალიშვილი და მისი მოადგილე, ასევე დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი შეეწირებიან. მათ მიმართ გენერალურმა პროკურატურამ საქმეები უკვე აღძრა. პასუხისმგებლობაში მიცემა ემუქრება სემეკის თავმჯდომარეს, ელიზბარ ერისთავსაც, რადგან ტარიფის გაზრდა დედაქალაქში მოხმარებულ ელექტროენერგიაზე უკანონოდ იქნა მიჩნეული.

გამორიცხული არ არის, სასამართლოს წინაშე თავის მართლება ენერგეტიკის მინისტრს, დავით მირცხულავასაც მოუწიოს, რადგან მისი მმართველობის პერიოდში, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სომხეთის მხარემ „აშოტსკი-ნინოწმინდის“ 24-კილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზი დაამონტაჟა (ვრცლად იხ. გვ. 11). მთლიანად, წელს ენერგეტიკაში ჩადენილი დანაშაულობებისთვის სისხლის სამართლის 28 საქმეა აღძრული. რასაკვირველია, ეს სრულიად არ მოქმედებს ენერგეტიკული პრობლემების მოგვარებაზე — ისევე, როგორც შარშანდელი რეპრესიების შემდეგ, მოსახლეობა წელსაც უმეტესად, სიბნელეშია.

## ისევ დივერსია?!

შაბათს, ღამის ორ საათზე, ენგურჰესზე მომხდარმა მორიგმა ავარიამ დედაქალაქის ენერგოსისტემის სრული პარალიზება გამოიწვია. კვირას, დღის 12 საათზე კი სომხეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი „ალავერდიც“ გამოვიდა მწყობრიდან. ელექტრომომარაგებაში ვარაუდობენ, რომ ხაზის დაზიანების მიზეზი დივერსია გახდა. საგულისხმოა, რომ შარშან, ზუსტად ამ პერიოდში ეს ხაზი გასროლის გამო გაწყდა და ხელახლა აღადგინეს. დღეისათვის მოლაპარაკება მიმდინარეობს აზერბაიჯანულ მხარესთან 50 მგვტ ენერგიის მიწოდების თაობაზე.

## ტრეფიკინგი — ემიგრანტების მთავარი მტერი...

მიგრაციის საერთაშორისო სამსახურის თბილისის ოფისმა შემაშფოთებელი სტატისტიკა გამოაქვეყნა. მისი მიხედვით, შარშან თურქეთში არალეგალურად წასული 25 მოქალაქიდან 21 ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა. ეს მონაცემები საფრანგეთში ყოველი წასული 17-დან 13-ს შეადგენს, ესპანეთში კი 11-დან 9-ს.

## შიდსი კვლავ საფრთხეს გვიქმნის

1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. საქართველოს განათლების სამინისტრომ საშუალო სკოლების უფროსკლასელებში გამოაცხადა კონკურსი შიდსის თემაზე ნახატისა და ესეების შესაქმნელად. გამარჯვებულები კვირასვე სასტუმრო „მეტეხში“ დაჯილდოვდნენ. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემებით, საქართველოში შიდსით გარდაცვლილია უკვე 52 პიროვნება, ხოლო შიდსით დაავადებულთა რეგისტრირებული რიცხვი 361-ს აღწევს.

## გუდაუთის ბატალიონს დაშლიან?

ასეთი ინფორმაცია გაავრცელა აფხაზეთის სამშვიდობო ძალების ქართული ნაწილის ხელმძღვანელმა ვალერი ჯაფარიძემ. მისი თქმით, რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურობის გადაწყვეტილებით, გუდაუთაში დისლოცირებული მე-6 ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი დაიშლება და ამგვარად, აფხაზეთში მყოფი რუსი სამშვიდობო სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი 2000-დან 350-მდე შემცირდება.

## „სოლიდური“ ჯარიმა დეპუტატებს

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა სხდომაზე დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილის საკითხი უნდა განეხილათ. როგორც პარლამენტში მომხდარი ცემა-ტყეპის გამრჩევი კომისიის თავმჯდომარემ, არნოლდ ჟვანიამ განაცხადა, მან პეტრე ცისკარიშვილის პოვნა სხდომის შესახებ გასაფრთხილებლად ვერ შეძლო. სამაგიეროდ, დედამისს ესაუბრა. კომიტეტის სხდომაზე კვლავაც ალაპარაკდნენ გამცდენი დეპუტატებისთვის ფინანსური სანქციების შემოღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სოლიდური ქართველი დეპუტატებისთვის 70 ლარი დიდი ვერაფერი დანაკლისი უნდა იყოს, მათი უმრავლესობა გადაწყვეტილებას ხმაურითა და პროტესტით შეხვდა. მათი დამშვიდება ზაქარია ქუცნაშვილმა სცადა, რომელიც კოლეგებს ჯარიმებით მოგროვილი სახსრებით ბეჯითი პარლამენტარების წახალისებას, გათბობის მოწესრიგებას და საახალწლო ნაძვის ხის დადგმას დაჰპირდა.

## შენგელიას პირველი სპეცოპერაცია

გალის გამგებლის მოადგილედ ახალდანიშნულმა დათო შენგელიამ პირველი სპეცოპერაცია ჩაატარა — მან და გალის რაიონის პოლიციამ დააკავეს შვიდი სომეხი ეროვნების სამხედრო მოსამსახურე. ამ უკანასკნელთა განცხადებით, ისინი საქართველოში ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზის მოსამსახურეები იყვნენ და აფხაზეთში რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალებში აპირებდნენ სამსახურის გაგრძელებას. თურმე მათთან ახალქალაქში მომხიბვლელი წინადადებით მისულან — ყოველთვიურად 10 ათას რუსულ რუბლს გადაგიხდითო. შენგელია და მისი ხალხი მიიჩნევენ, რომ დაკავებული სომეხი ეროვნების პირები გარკვეულ კავშირში არიან იმ სომხურ ბატალიონ „ბაგრამიანთან“, რომელიც აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა.

სომხების დაკავების წინა დღეს კი, გალის აფხაზური ადმინისტრაციის შენობაში მძლავრი აფეთქება მოხდა, თუმცა მსხვერპლი არ არის. იმავე დღეს დაიწვა გალის რაიონის სოფ. ნაბაკევში მდებარე რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების 209-ე საგუშაგო, რასაც ტყვია-წამლის მარაგის აფეთქებაც მოჰყვა.

## გაქცევა ქალის სამოსით სცადა...

ქსნის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობისას დააკავეს 20 წლის მსჯავრდადებული ერეკლე ციკოლია. იგი ქურდობისთვის იყო გასამართლებული და პატიმრობის ვადა 2004 წელს უმთავრდებოდა. ციკოლია მაშინ დააკავეს, როდესაც ქალის ტანსაცმელში გადაცმული, 5 წლის ბავშვთან ერთად ციხის საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან გადიოდა. დაეჭვებული დაცვის თანამშრომელი მას გამოელაპარაკა, როდესაც პასუხი ვერ მიიღო, დააკავა კიდეც. როგორც აღმოჩნდა, მცირეწლოვანი ბავშვი მარიამ ნებიერიძე ქსნის კოლონიაში მყოფი პატიმრის, ვასილ ნებიერიძის შვილი იყო, ქალის ტანსაცმელი კი მის მეუღლეს ეკუთვნოდა. გამოძიება იკვლევს, თუ როგორ მოხვდა ქმრის სანახავად მისული ქალბატონის ტანსაცმელი და ბავშვი მეორე პატიმრის ხელში, რომელსაც გაქცევის მცდელობისთვის კიდევ სამი წლით პატიმრობა დაემატება.

## კოდორში აეროდრომი აშენდება

მომავალ წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით კოდორის ხეობაში თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი საველე აეროდრომი აშენდება, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში, გართულებულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი ვერტმფრენებისა და მცირე ზომის თვითმფრინავების მიღებას შეძლებს (ვრცლად იხ. გვ. 9).

## ჩვენ აღარ გვეკითხებიან?

ქალაქ ერევნის მერმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ საახალწლოდ სომხეთში ნაძვის ხეებს არ მოჭრიან. რობერტ ნაზარიანის თქმით, ხეებს საქართველოდან შემოიტანენ. აღსანიშნავია, რომ სომხებს ეკოლოგიაზე მნიშვნელოვან არგუმენტად სანიტარია მიაჩნიათ — ერევნის მუნიციპალიტეტში ფიქრობენ, რომ სომხეთში ნაძვის ხეების მოჭრის შემდეგ ქალაქში უზომოდ დიდი რაოდენობის ხე გროვდება, რომლებიც ველარც იყიდება და ქუჩებში ყრია ხოლმე.

## ამერიკელებს ფუქვნის და ქართველებს ახარჯებს?

ჯერჯერობით, „ეი-ი-ეს თელასს“ საქართველოში მხოლოდ უზარმაზარი ხარჯები აქვს გაწეული. მიუხედავად განმხოლოებული ხაზებისა და გარეთ გამოტანილი მრიცხველებისა, თბილისელებმა დენის მოპარვა მაინც არ დაიშალეს. ამ დროს გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში „ეი-ი-ეს“-ის წინააღმდეგ სერიოზული სკანდალი იწყება. როგორც გაირკვა, მისი მენეჯერები ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ამერიკის მეორე ენერგოგიგანტთან, „ვილიამსთან“ და კალიფორნიის მოსახლეობას დენზე ხელოვნურად გაზრდილ ტარიფებს უწესებდნენ. პირვანდელი გამოკვლევებით, გარიგების წყალობით „ეი-ი-ეს“-მა და „ვილიამსმა“ მოკლე დროში 10 მილიონ დოლარზე მეტი მოიგეს.

## გაქცეული ჯარისკაცი ნაწილში დაბრუნდა

„კომანდოს“ ბატალიონიდან გაქცეული ჯარისკაცი საკუთარი ნებით დაბრუნდა სამხედრო ნაწილში, როგორც სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ განაცხადა, 26 ნოემბერს „კომანდოს“ ბატალიონიდან გაქცეული ჯარისკაცი გიორგი შეყილაშვილი უკვე დაიკითხა. მისი განმარტებით, თვითნებობით სამხედრო ნაწილის მიტოვების მიზეზი პირადული პრობლემები გახდა. შეყილაშვილი უარყოფს ინფორმაციას, რომ სამხედრო ნაწილში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გაქცეული ჯარისკაცი ნაწილში დაბრუნებამდე ნათესავთან ცხოვრობდა და მას სამხედრო ნაწილის გარეთ არანაირი დანაშაული არ ჰქონია. ჯიქიას თქმით, გიორგი შეყილაშვილის მიმართ მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი იქნება გამოყენებული ან შეიძლება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გამოუცხადოს საყვედური.

## ექსტრადირება გაგრძელდება

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ რამდენიმეკვირიანი განხილვებისა და საქმეების გადაგზავნა-გადმოგზავნის შემდეგ ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტა ისევ რუსეთს და საქართველოს მიანდო. სტრასბურგი აცხადებს, რომ საგამოძიებო მასალებში უამრავი დარღვევა და შეუსაბამობაა, ამიტომ მხარეთა სამართალდამცავმა ორგანოებმა მჭიდრო თანამშრომლობით ჯერ დაპატიმრებული პირების ზუსტი იდენტიფიკაცია უნდა მოახდინონ და შემდეგ იფიქრონ ექსტრადიციაზე.

## შარაძე ბრალს სდებს

გურამ შარაძემ საფრანგეთის ელჩი საქართველოში მირეი მიუსო პერსონა ნონ გრატად შერაცხა და საქართველოდან მის გაძევებას ითხოვს. შარაძე საფრანგეთის საელჩოს 9 აპრილის სახელობის ბაღის (ორბელიანების ყოფილი ბაღი) ნაწილის უკანონო მითვისებას სდებს ბრალად. საელჩომ თავის გასამართლებლად სქელტანიანი დოკუმენტაცია მოიშველია, რომლის თანახმად, — ფრანგებმა მიწის ნაკვეთი სრულიად კანონიერი გზით შეიძინეს, რადგან ორბელიანების ბაღი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ამოიღეს კულტურულ ძეგლთა ნუსხიდან.

## გინესის რეკორდსმენი ქართულ ციხეში

64 წლის 6-ჯერ ნასამართლევმა შალვა იმნაძემ თავდაყირა დგომაში გინესის რეკორდი ციხეში დაამყარა. მან ამგვარ მდგომარეობაში 2 სთ და 2 წთ გაატარა, რითაც ძველი რეკორდი მოხსნა. შალვა იმნაძემ საპყრობილეში თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარი, 30 წელი გაატარა. პირველად ის ალუბლის ქურდობისთვის დააპატიმრეს.

## ტანკერის ჩაძირვით გამოწვეული ზარალი იზრდება



გასულ კვირას, ესპანეთის სანაპიროებთან ჩაძირულ ტანკერ „პრესტიჟის“ გარშემო სკანდალი არ ცხრება. საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციების განცხადებით, კატასტროფის შედეგად ზღვაში 20 ათას ტონამდე ნავთობი ჩაიღვარა. ექსპერტები აცხადებენ, რომ ნავთობის უზარმაზარი ლაქა საფრანგეთის სანაპიროებისკენ დაიძრა. ესპანეთის მახლობლად კი 500-600 კვადრატული კილომეტრის ფართობის ნავთობის ლაქა გაჩნდა.

## ჩვენი მერი უკეთესი ყოფილა

თბილისის მერს, ვანო ზოდელავას თანხების გადახარჯვას აბრალებენ და მერიის წინ ძვირად ღირებული შადრევნის მოწყობისთვისაც აკრიტიკებენ. მაგრამ პარიზის მერიის ქანდაკებასთან შედარებით, ზოდელავას შადრევანი იდეალურად პრაქტიკული ჩანს. საქმე ის არის, რომ საფრანგეთის დედაქალაქში 200 ათას ევროდ ღირებული მოდერნისტული ქანდაკება, უფრო სწორად კი სკულპტურული ანსამბლი დაიდგა. ეს არის გალია, რომელშიც ნამდვილი თუთიყუში ზის, გალიის გარშემო ჩამწკრივებულია პალმები და ვეებერთელა დინამიკები, საიდანაც განუწყვეტლივ გაისმის სკულპტურის ბელგიელი ავტორის სიურრეალისტური ლექსები. პარიზის საზოგადოება მერიის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა. ერთი ნაწილი უაზროდ დახარჯულ თანხებს აპროტესტებს, მეორე ნაწილი კი თუთიყუშის ბედზე წუხს, რომელმაც სიკვდილამდე უაზრობამდე უცნაური ლექსები უნდა ისმინოს. თავად თუთიყუშის პოზიცია პოეზიასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, უცნობია.

## ტერაქტი კენიაში

ბოლო მონაცემებით, კენიაში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 16-ს მიაღწია, დაჭრილია 100-ზე მეტი. ტერაქტი ქალაქ მომბასის სასტუმროში მოხდა. აფეთქების ხმა მაშინ გაისმა, როცა 140 ისრაელელი ტურისტი ვესტიბიულში რეგისტრაციას გადიოდა. იმავდროულად, მომბასის თავზე დაცხრილეს ისრაელის ავიაკომპანიის თვითმფრინავი. დაპატიმრებულია ტერაქტში ეჭვმიტანილი 12 პირი.

## გამარჯვება არიელ შარონს ერგო

ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა ქვეყნის ამჟამინდელ პრემიერს არიელ შარონს, რომელსაც წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა 60%-მა დაუჭირა მხარი.

# ბორჯომის ხეობა გადარჩება...

ბორჯომი თუ ნავთობი. ამ კითხვამ გასულ კვირას საქართველოში ბევრს თავმოყვარეობა გაუღვიძა, ქართველობა შეახსენა და შემორჩენილი სიმდიდრის დასაცავად გულიც აუძგერა. რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, ფაქტია — ქართველთა აზრი ბორჯომის (არა „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერს კომპანის“) გარშემო გაერთიანდა. მენავთობეები და ხელისუფლება კი „მტრის ბანაკში“ აღმოჩნდნენ. საკითხის ასე წარმოჩენა არც ქართულ მხარეს აძლევს ხელს და არც ამერიკულს. სწორედ ამიტომ მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები გრანდიოზულ, 3 მლრდ-ად შეფასებული პროექტის დეტალებს ხელახლა გადახედავენ და ოპტიმალურ ვარიანტზე დებატებიც კვლავ გაგრძელდება. ქვეყნის პრეზიდენტმა პროექტის განსახორციელებლად ქართულ კერძო კომპანიას (სნკს) განსაკუთრებული, თითქმის ერთპიროვნული მართვის ბერკეტები ჩააბარა. საქართველოს №1-მა მენავთობემ კი მილსადენების დაცვის მექანიზმის უფრო გაძლიერების აუცილებლობა მასმედიისა და საზოგადოებისაგან ზეწოლის შემდეგ გააცნობიერა. აღმოჩნდა, რომ თურმე „აქამდე გაუთვალისწინებელი“(?) უზუსტესი სენსორების სისტემის მთელი მილსადენის გასწვრივ დამონტაჟების საკითხი მხოლოდ აჟიოტაჟის შემდეგ გადაწყდა, ანუ შესაძლოა, დღემდე გათვალისწინებულ „დაცვით მექანიზმებს“ კიდევ ბევრი რამ აკლდეს.

გარემოს დაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ „ბი-პი“-ს („ბრიტიშ პეტროლიუმი“) არგუმენტირებული პირობები წაუყენა და გადაწყდა, რომ ნავთობსადენი ბორჯომის ხეობას არ გაივლის...

მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მარშრუტი ბორჯომის ხეობიდან 10 კმ-ით ჩრდილოეთით, თრიალეთის ქედის გადაღმა, ყარაყაის მიდამოებში გადაინაცვლებს.



ბორჯომის დამცველები და უცხოურ ნავთობკომპანიებთან ურთიერთობებში გამოცდილი კომპეტენტური პირები ირწმუნებიან, რომ სიტუაციის მიშვება მომავალშიც არ შეიძლება და პირობების შესრულებაზე მონიტორინგიც ბოლომდე უნდა გაგრძელდეს.

ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პოლიტოლოგ **გია ნოდიას:**

— **ბ-ნო გია, ბორჯომის ხეობის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის ჩაცხრომას ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოების დანამუსებით, უფრო სწორად, დაშინებით შეეცადნენ. იყო თუ არა შესაძლებელი ამერიკის მხარეს პროექტი საქართველოდან საერთოდ გაეტანა?**

— ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გზა და საქართველოზე გამავალი მარშრუტი პირველ რიგში პოლიტიკური პროექტია და მის შედგენაში ამერიკის მთავრობამ დიდი პოლიტიკური შრომა ჩადო. გეგმების არევით გაღიზიანებულ უცხოურ ნავთობკომპანიას მოუწევს ყურად იღოს საზოგადოების აზრი იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე საკუთარ ინტერესებს არგუმენტირებულად დაიცავს; ამერიკაც საქართველოს, როგორც ღირსეულ პარტნიორს, მეტი პატივისცემით მოეკიდება.

ამერიკის ხელისუფლება რეალურად შუამავლის როლს თამაშობდა ერთი მხრივ თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს, მეორე მხრივ — ნავთობკომპანიებს შორის გარიგებაში. ამერიკული კომპანიები, იგივე „ბი-პი“-ც, დამოუკიდებელი ორგანიზაციებია და მათ შეუძლიათ მთავრობის გარკვეული წინადადებები არ გაითვალისწინონ — თავიდან არც ერთი ნავთობკომპანია არ რისკავდა ამ პროექტში ინვესტიციების ჩადებას.

— **ალბათ ეს ფაქტორი საქმეს ჩვენც გაგვირთულებს, აშკარად იკვეთება ტენდენცია, რომ ამერიკული მხარე ცდილობს, გაუგებრობაში ქართული მხარე დაადანაშაულოს და საკითხიც ამით ამოწუროს.**

— ბუნებრივია, ზეწოლა დიდი იქნება საქართველოს ხელისუფლებაზე. „ბი-პი“ შეეცდება საქართველომ დათმოს პოზიციები. თავდაპირველად ამ კუთხით არც აშშ-ის ადმინისტრაცია შეუშლის მას ხელს, რადგან გაღიზიანება საფუძვლიანია. „ბრიტიშ პეტროლიუმი“ ამ შემთხვევაში შუამავალს, ხელისუფლებას მიმართავს პრეტენზიებით. ჩვენ ბორჯომის საკითხი ისე გვიან წამოვწიეთ, რომ ზეწოლისთვის მთავარი არგუმენტი ეს იქნება.

— **სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, არის თუ არა მოსალოდნელი, ამერიკის მთავრობამ პირიქით, ნავთობკომპანიაზე მოახდინოს ზეგავლენა. ულირს თუ არა ამ „შრომად“ საქართველო ბუშს?**

— ამერიკის მთავრობა აუცილებლად ჩაერთვება საშუამავლო საქმიანობაში. პირველი მცდელობა კატეგორიული იქნება, ნიადაგს აუცილებლად მოგვისინჯავენ. საქართველოს პრეტენზიები თუ დასაბუთებული და მტკიცე იქნება, მაშინ დიდი შანსი არსებობს, რომ ამერიკის მთავრობამ გაითვალისწინოს და გაათვალისწინებინოს „ბრიტიშ პეტროლიუმსაც“ საქართველოს ინტერესები. თუმცა ამერიკული მხარის გაღიზიანება გასაგებია. აქამდე საქართველოს ხელისუფლება არ იყო პრეტენზიული პარტნიორი.

— **ბატონი მამუკა ხაზარაძე აცხადებს, პროექტი გასაიდუმლოებული იყოო...**

— საერთოდ, ეს პროცესები საქართველოს მხარეს წარმოაჩენს, როგორც არასაიმედო პარტნიორს. საქმე გვაქვს ჩვეულებრივ ქართულ არაორგანიზებულობასთან. რაც შეეხება მამუკა ხაზარაძის განცხადებას, ვერ დავეთანხმები. უკვე ორი წელია ერთ-ერთ შესაძლო მარშრუტად ბორჯომის ხეობას ვარაუდობენ და ეს ბევრმა იცოდა ხელისუფლებაშიც და მის გარეთაც. აქედან გამომდინარე, მას გაცილებით ადრე უნდა აეტეხა განგაში.

— **საკითხი ეხება ეროვნულ სიმდიდრეს — მინერალურ წყალს. რამდენად სამართლიანია ამერიკელთა მხრიდან უსაფრთხოების გარანტიებზე ლაპარაკი, როდესაც ეს გარანტიები თურმე არ არსებობს?**

— ყოველგვარი განცხადება სრულ დაცვასა და გარანტიებზე არასერიოზული და პოპულისტური ხასიათისაა. არსებობს ფორმულირება — მეტი უსაფრთხოება და ნაკლები უსაფრთხოება. ჩვენს წინააღმდეგობებით სავსე რეგიონში კი ნებისმიერი მარშრუტი სარისკოა და გრანდიოზულ დაცვით მექანიზმებს მოითხოვს. თუ დაინტერესებულმა მხარემ მოინდომა, ტერორისტულ აქტებს ნებისმიერ მარშრუტზე განახორციელებს.

სამართლიანობა და პატიოსნება ამერიკელების გაგებით ის არის, რომ არ მოგატყუონ და არა ის, რომ ჩვენს პრობლემებზე იფიქრონ და იზრუნონ. საქართველოს მხარეს მოლაპარაკებებზე არ წარმოუდგენია ბორჯომის მნიშვნელობის რეალური სურათი. არადა ეს მისი მოვალეობა იყო!

— **როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაითვალისწინეს, ბორჯომთან დაკავშირებული მოსალოდნელი სირთულეები პროექტში ჩართულმა ქართველმა ექსპერტებმა?**

— დღეს ექსპერტი ყველა სტრუქტურას ჰყავს და მით უმეტეს მთავრობას, მაგრამ გააჩნია, ისინი რისი ექსპერტები არიან. ჩვენი ხელისუფლება ცდილობდა, როგორმე გაეტანა პროექტი და პარტნიორი დაერწმუნებინა მის უსაფრთხოებაში. სხვა ფაქტორები ეტყობა, არც გახსენებიათ. თუმცა, მახსოვს, გია ჭანტურია აცხადებდა, პროექტზე სათანამშრომლოდ ჩვენი კარები ღიააო. ამ შემთხვევაში შეიძლება შეგნებულადაც დაელოდა საზოგადოების რეაქციას. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საკმაოდ ნაცნობია. მე მიკვირს, ბოლო მომენტამდე რატომ ჰქონდა პირში წყალი ჩაგუბებული თუნდაც მამუკა ხაზარაძეს. როგორც ვიცი, ბორჯომთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისევ დასავლეთი ალაპარაკდა და აქტიურობაც მას მოჰყვა. მამუკა ხაზარაძის განცხადებით „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერს კომპანიმ“ დასავლეთევროპულ სერიოზულ კომპანიასთან ხელშეკრულებას მიაღწია. დასავლელმა პარტნიორებმა კი მილსადენის გაყვანის ფაქტი გააპროტესტეს და ამ შემთხვევაში ბორჯომში ინვესტიციების ჩადებაზე უარი თქვეს. მოტივი გასაგებიცაა: ნავთობის გატარების ადგილიდან ამოღებული წყლის იმიჯი უკვე შელახულია.



— **დავუშვათ, რომ საკითხის ბოლო მომენტში წამოწევაც შეგნებული ნაბიჯია. ამ გრანდიოზული პროექტის ფონზე ბორჯომის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მსოფლიოში ფართოდ გაშუქდება, ეს კი ძალიან დიდი, თანაც უფასო რეკლამაა, რასაც შეიძლება ახალი დაინტერესებები და ინვესტიციებიც მოჰყვეს. ორ კურდღელს ხომ არ დავიჭერთ?**

— რაც შეეხება რეკლამას, საკმაოდ სერიოზული და მომგებიანი საშუალებაა. მაგრამ არა მგონია, ბორჯომმა მსოფლიოში გაბატონებულ „პერიეს“ აჯობოს, მაგრამ შესაძლოა ერთ-ერთი მიღებული მინერალური წყალი გახდეს. რეკლამისთვის ამ სიტუაციის გამოყენება მისასალმებელიცაა...

რაც შეეხება მილსადენის მარშრუტზე დავას, წარმატების მისაღწევად საჭიროა ცოტა პროფესიონალიზმი, ცოტა პატრიოტიზმი და ცოტა მეტი გამძლეობა ზეწოლის მიმართ...

— **ბორჯომის დამცველთა აქციებზე გამოჩნდა ლოზუნგი — „ბორჯომი საქართველოს სიმდიდრეა, ნავთობი კი???“ რამდენად სწორია ამ ორი საკითხის ერთ სასწორზე დადება ანუ მატერიალური თვალსაზრისით, რომელი მათგანია უფრო შემოსავლიანი საქართველოსთვის?**

— ნავთობსადენი საქართველოსთვის პოლიტიკურად არის მომგებიანი. ბორჯომი კი, როგორც ვიცი, ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნის ბიუჯეტისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია. ამიტომ მათი ამგვარი შედარება მართებული არ იქნება.

დღეს შეიძლება პოლიტიკურად შეუძლებელია ნავთობსადენმა ირანში გაიაროს, მაგრამ ხვალ შესაძლოა მოვლენები შეიცვალოს... მაგრამ ამჟამად ამ პროექტის ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება სავსებით შესაძლებელი და რეალურია.

— **დღეს ატეხილი აჟიოტაჟი და საზოგადოების დილემის წინაშე დაყენება შესანიშნავად ესადაგება რუსეთის ინტერესებს. რაიმე საერთოს ხომ არ გამოყოფდით ამ უკანასკნელსა და მიმდინარე პროცესებს შორის?**

— ფაქტია, რომ რუსეთს მსოფლიო ბაზარზე არსებული კონკურენციიდან გამომდინარე, საკუთარი, წმინდა ეკონომიკური ინტერესები გააჩნია. მას თავისი ნავთობი და ნავთობსადენები აქვს, მაგრამ გაცილებით სერიოზულია პოლიტიკური მომენტი. ამერიკული ნავთობსადენი კავკასიაში მოსკოვის პოლიტიკურ გავლენას შეასუსტებს. მიუხედავად ამერიკასა და ნატოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებისა, რუსეთს ეს პროექტი არანაირად არ უხარია და არ აძლევს ხელს. რუსეთს დღეს უფრო სჭირდება გამოიყურებოდეს ცივილიზებულ, დემოკრატიულ, ამერიკის მეგობარ ქვეყნად. იგი აშკარად ვერ გაბედავს აგრესიაზე წამოსვლას, მაგრამ თამამად შეუძლია წააქეზოს სომხეთი. საგულისხმოა, რომ აგრესიის გამოვლენას აშკარად ვერც სომხეთი ბედავს, თუმცა ფარულად შეეცდება ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში მცხოვრები სომხები წააქეზოს...

**რუსეთი აშკარად ვერ გაბედავს აგრესიაზე წამოსვლას, მაგრამ თამამად შეუძლია წააქეზოს სომხეთი. საგულისხმოა, რომ აგრესიის გამოვლენას აშკარად ვერც სომხეთი ბედავს, თუმცა ფარულად შეეცდება ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში მცხოვრები სომხები წააქეზოს...**

— **ცნობილია, რომ თქვენი ორგანიზაცია სწორედ ჯავახეთში და კერძოდ, ახალქალაქში მცხოვრები სომხების სოციალურ-პოლიტიკურ ფონს სწავლობს და იქაურ სომხურ ორგანიზაციებთანაც თანამშრომლობს. როგორც საქმეში ჩახედულმა პირმა, ალბათ ადგილობრივების ნავთობსადენის ახალქალაქში გაყვანასთან დამოკიდებულებაც უკეთ იცით.**

— რა თქმა უნდა, ვიცი და გეტყვით, რომ იგი საკმაოდ ნეგატიურია. ადგილობრივ სომხებს რუსი სამხედროები არწმუნებენ, რომ ახალქალაქიდან რუსული ბაზების გაყვანის შემდეგ ნატო აქ თურქებით დაკომპლექტებულ ბაზას შექმნის. საყოველთაოდაა ცნობილი სომხების ისტორიული შიში და სიძულვილი თურქების მიმართ. ამ აბსურდულმა მოსაზრებამ მოსახლეობაში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი.

— **კეთდება რამე ამ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ?**

— მართალი გითხრათ, ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია. პირიქით, ამ კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გადადგმული ნაბიჯებიც აღიზიანებთ. ისე, ახალქალაქის სომხურ მოსახლეობას თუ კარგად ავუხსნით, რა სარგებელს მოუტანს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას ნავთობსადენის გატარება, ეს შედეგს აუცილებლად გამოიღებს. დღეს კი ახალქალაქის მოსახლეობაში რუსული ბაზის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომაა. მე ჯერ ამ ბაზის მოწინააღმდეგე სომეხი არ შემხვედრია. ბაზაზე 1000-ზე მეტი კაცი მუშაობს. სერვისული მომსახურება, ვაჭრობა რუსულ ბაზასთან და რუს სამხედროებთანაა დაკავშირებული. ამასთან, ხშირად ბაზა ხდება „კრიშა“ არალეგალური ბიზნესის საწარმოებლად. ამ ფაქტორს ახალქალაქელი სომხების გარდა, თბილისელი ჩინოვნიკებიც კარგად იყენებენ. არ მინდა ფონი ძალიან გავამუქო, რადგან დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლებას ახალქალაქში კარგად რომ „ემუშავა“, იქ გაცილებით ნაკლები პრობლემები იქნებოდა და მოკლევადიანი შიშების გამო გრძელვადიან, გაცილებით საჭირო საქმეს არ გადადებდა.

— **რას გულისხმობთ გრძელვადიან და გაცილებით საჭირო საქმეში?**

— სომხური დიასპორის ქართულ სივრცესთან ინტეგრაცია დღევანდელი ეკონომიკური პირობების ფონზე ვერ ხერხდება. ამ მხრივ ახალქალაქზე ნავთობსადენის გატარება დროული და ეფექტიანი საშუალება იქნებოდა. მაგრამ არც საქართველომ და მით უმეტეს ამერიკამ აუტკივარი თავი არ აიტკივეს და ამ მარშრუტზე თავის დროზე უარი თქვეს. ამერიკისთვის ეს მარშრუტი წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით იქნებოდა მომგებიანი, საქართველოსთვის კი პოლიტიკური თვალსაზრისით.

— **ამ მიმართულებით რა პრობლემები შეიძლება შეგვექმნას ახალქალაქის ბაზასთან დაკავშირებით?**

— ამერიკელებს უყვართ პრობლემების ერთმანეთისგან განცალკევება. ბაზის პრობლემა ერთია. ნავთობსადენის კი მეორე. ამერიკა შეიძლება დაგვეხმაროს ორივე პრობლემის გადაწყვეტაში, რადგან ის მის ინტერესებში შედის, მაგრამ ამას ცალ-ცალკე გააკეთებს — ნავთობსადენს გაიყვანს ახლა, ბაზა კი სავაჭრო თემაა და შეიძლება 5 წლის შემდეგაც გაიყვანონ. თუ ახალქალაქზე გავა ნავთობსადენი და ამას ბაზის გაყვანასაც დავუკავშირებთ, საკითხი რთულდება. ნავთობსადენზე გადაწყვეტილებების მიღებაში რუსეთის როლი იზრდება. ამერიკას კი ეს არ აძლევს ხელს. თუმცა, ამერიკას არც ის უნდა, რომ საქართველოს მის მიმართ დამოკიდებულება ნეგატიური გახდეს. ამის შანსი არსებობს. თუ მოსახლეობა ჩათვლის, რომ ამერიკა მის ინტერესებს არ ითვალისწინებს, პირიქით, რაღაცას აძალებს, ამან შეიძლება ანტიამერიკული განწყობილება გაამძაფროს, ავტომატურად — რუსეთის, როგორც მოკავშირის მიმართ, ნოსტალგია გააძლიეროს. ამას ამერიკა არ დაუშვებს. აქედან გამომდინარე, ამერიკის მთავრობამ შეიძლება საქართველოსთან დღემდე ფრთხილ პარტნიორულ ურთიერთობას მეტი ძალისხმევა შემატოს და ბევრ საკითხთან მიმართებაში პოზიციაც შეიცვალოს. ეს უკვე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების და საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

**თუ მოსახლეობა ჩათვლის, რომ ამერიკა მის ინტერესებს არ ითვალისწინებს, პირიქით, რაღაცას აძალებს, ამან შეიძლება ანტიამერიკული განწყობილება გაამძაფროს, ავტომატურად – რუსეთის, როგორც მოკავშირის მიმართ, ნოსტალგია გააძლიეროს. ამას ამერიკა არ დაუშვებს. აქედან გამომდინარე, ამერიკის მთავრობამ შეიძლება საქართველოსთან დღემდე ფრთხილ პარტნიორულ ურთიერთობას მეტი ძალისხმევა შემატოს და ბევრ საკითხთან მიმართებაში პოზიციაც შეიცვალოს.**

*დაჩი გრძელიშვილი*
*რუსუდან ხუბულავა*

# ელისაბედ II-ის ოქროს იუბილე თბილისში კონცერტით აღინიშნა

ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიამ უაღრესად თბილ ატმოსფეროში აღნიშნა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის ინთრონიზაციის 50-ე წლისთავი.



კონცერტის ორგანიზატორი გახლდათ მარჯორი და ოლივერ უორდროპების საქართველო-ბრიტანეთის მეგობრობის საზოგადოება, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაფუძნდა; მისი თაოსნობით საქართველოში არაერთი მეგობრული ღონისძიება გაიმართა. საზოგადოების მიზანი დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის მეგობრული, კულტურული, საქმიანი ურთიერთობების განმტკიცება გახლავთ.

**თემურ რუხაძე,** საზოგადოების ხელმძღვანელი: — მოგეხსენებათ, მარჯორი და ოლივერ უორდროპებს უსაზღვროდ უყვარდათ საქართველო. მარჯორი იყო პირველი ინგლისელი, რომელმაც თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

წელს ინგლისში უდიდესი ზეიმია. აღინიშნება ქვეყნის უსაყვარლესი დედოფლის ტახტზე ასვლის 50 წლისთავი. ჩვენი დიდი სურვილი იყო, თბილისიც შეხმიანებოდა ამ თარიღს. ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მანანა დოიჯაშვილს, რომელმაც ამ იდეას ფრთები შეასხა და სრულიად უანგაროდ დაგვეხმარა როგორც კონსერვატორიის მცირე დარბაზით, ისე ბრწყინვალედ ორგანიზებული საღამოთი.

26 ნოემბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჟღერდა მხოლოდ ინგლისური და ქართული მუსიკა. კონცერტს ესწრებოდა ინგლისის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოშიც დებორა ბარნს-ჯოუნსი და მისი მეუღლე. აჟღერდა პერსელის, აივზის, ბრიტენის, ბიორდის, ულგარის, ბრიჯის, ანდერსენის ნაწარმოებები. მასპინძელი მხარე მხოლოდ ორი მუსიკალური ნომრით შემოიფარგლა — შესრულდა სულხან ცინცაძის „საკვარტეტო მინიატურები“ და ნოდარ გაბუნიას „იმპროვიზაცია და ტოკატა“. კონსერვატორიის სტუდენტთა მაღალმა საშემსრულებლო დონემ, გულთბილმა მასპინძლობამ აღაფრთოვანა ქალბატონი დებორა, რომელიც არ დასჯერდა სიტყვიერ ქათინაურს და სახელმწიფო კონსერვატორიას ოფიციალური მადლობის წერილი გაუგზავნა.

**თემურ რუხაძე:** — ეს იყო ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნების დღესასწაული. ინგლისელები განცვიფრებულნი იყვნენ ქართველი შემსრულებლების უბადლო ხელოვნებით, ინგლისური მუსიკის საინტერესო ინტერპრეტაციითა და ღრმა წვდომით. ჩვენი ორგანიზაცია შეეცდება ასეთ ღონისძიებებს ტრადიციული სახე მისცეს. დიდი მადლობა ყველას!

***ალექსანდრე ბერიძე***

***რედაქციისაგან:*** *ამ უთუოდ ლამაზ და საინტერესო ღონისძიებაში მასალის ავტორის შესრულებით აჟღერდა ზემოთ აღნიშნული ნაწარმოები, — ნოდარ გაბუნიას „იმპროვიზაცია და ტოკატა“, რომელიც კონცერტის საუკეთესო ნომრად აღიარეს...*

**ჩვენ გვწერენ**

## ვისთვის „ლაპარაკობს თბილისი“?

ასეთი კითხვით მივმართავ საქართველოს ტელერადიოკომიტეტს და კავშირგაბმულობის სამინისტროს. უფრო მეტად იმათ, ვისი მიზეზითაც ხდება საქართველოს რადიოგადაცემათა შეწყვეტა გრძელ ტალღაზე.

ამას წინათ ერთ სომხურ ოჯახში მომიხდა სტუმრობა. გამიკვირდა, როცა რადიოს გრძელ ტალღაზე პრეზიდენტის რადიოინტერვიუ გადაიცემოდა. მასპინძელს შევეკითხე, რაში გაინტერესებს ქართულის მოსმენა-მეთქი. ქართული ენის შესწავლა მინდა და თუ ამ ტალღაზე თბილისი მუშაობს, უთუოდ ჩავრთავ ხოლმეო. გარდა ამისა, ერევნიდან ყოველდღე ვუსმენ ათწუთიან გადაცემას ქართულ ენაზეო.

წარმოიდგინეთ, ქართული ენით უცხო ერის წარმომადგენელია დაინტერესებული, ჩვენ კი არა გვაქვს რეგულარული გადაცემები მშობლიურ ენაზე. ეთერში გადის უთვალავი რადიოგადაცემა, რომელთა შორის ამაოდ ვეძებ ქართულ სიტყვას ნებისმიერ არხზე. არადა, ჩემ გარდა რამდენი მსმენელია მონატრებული ქვეყნის ამბების გაგებას ჩვენივე ენაზე.

ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს ყოველ კუთხეში ელოდებიან პირველი არხის გადაცემათა აღდგენას გრძელ ტალღაზე.

***ანტონ ბალახაშვილი, სოფელი უდე, ადიგენის რაიონი***

მალე გამოვა!
კედლის მოსახევი კალენდარი



2003

# თბილისი მოდის დედაქალაქად იქცევა

## საფრანგეთის პრინცესა ქართველი მოდელიერის სადედოფლო კაბაში

მოდის საღამოების მოყვარული თბილისელები 29 ნოემბერს ახალგაზრდა მოდელიერ-დიზაინერთა კონკურსის ნაცვლად სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საფრანგეთში აღიარებული ქართველი მოდელიერის ირაკლი ნასიძის დეფილეს ელოდებოდნენ. უნდა გენახათ მათი გაკვირვება, როცა გაიგეს, რომ ირაკლი „მეტეხში“ მხოლოდ კონკურსის ჟიურიში საპატიო სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა. ვიდრე მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, ორი სიტყვით გეტყვით, რომ ახალგაზრდა ქართველი მოდელიერ-დიზაინერთა ნამუშევრებით გულგრილი არ დარჩენილია არც მაყურებელი და არც ჟიური. კონკურსის გრან-პრის და თითქმის ყველა პრიზის მფლობელი კი ხატია ჩომახაშვილი გახდა ***(„კვირის პალიტრა“ ულოცავს ხატიას თავის პირველ ჩვენებას და პირველ აღიარებას, წარმატებულ გზას უსურვებს ქართული მოდის ახალ სახელს.)***. მანამდე კი ინტერვიუ **ირაკლი ნასიძეს** ვთხოვეთ:

— თბილისი თავისუფლად შეიძლება გახდეს მოდის დედაქალაქი. ეს არ მოხდება ხვალ ან ერთი წლის შემდეგ, მაგრამ აქ ჩატარებული მოდის პატარა აქციები, მანიფესტაციები და საღამოები იძლევა ამის თქმის საბაბს.

**— ქართველები თქვენს დეფილეს ელიან მოუთმენლად.**

— მეც დიდი სურვილი მაქვს მისი მოწყობის და ეს ალბათ მოხდება კიდეც მომავალი წლის სექტემბერში. ახლა ჩემს დასთან ერთად ვაპირებ ახალ კოლექციაზე მუშაობას. ყველა ჩემი მოდელი ნინოს დიზაინით შექმნილ ფეხსაცმელთან ერთად იქნება წარმოდგენილი. აქ, თბილისში სახელოსნოების გახსნაზეც ვფიქრობ.

...თბილისელი, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, 8 წლის წინ გაემგზავრა საფრანგეთში საკუთარი ნიჭისა და ღვთის იმედის ამარა. ბედმა გაუღიმა და 25 წლის განმავლობაში შანელის გვერდით მომუშავე ქალბატონ ჯინას შეახვედრა, რომელმაც ფრანგული მაღალი მოდის საიდუმლოს აზიარა ირაკლი და ტანსაცმლის რთულ, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ მულაჟის მეთოდით შექმნის ხელოვნებაში დააოსტატა, რის შემდეგაც ცნობილ ფირმებში მომუშავე ირაკლი მოდის მეტრების ჟან კლოდ ჟიტრუას. კრისტიან ლაკრუას, ჟან-ლუი შერერის გვერდით აღმოჩნდა და მაღალი მოდის სამყაროშიც სწორედ შერერი გასძღოლია. ირაკლი უამრავ გამოფენასა თუ დეფილეში იღებდა მონაწილეობას. დამაგვირგვინებელი კი გალერეის მუზეუმში გამოფენილი მისი კოლექციის წარდგენა იყო, სადაც პირველად მაღალი მოდის სამყაროში მანეკენები მოდელებს ქართული ხალხური სიმღერების ფონზე წარმოადგენდნენ. ირაკლის თითოეულ სილუეტს თავისი სახელი ჰქვია: „კოლხეთი“, „ელეგია“, „საპოვნელა“, „სვანეთი“, „ნინო“, „თამარ მეფე“. ცხადია, ეს რაღაც საინტერესოზე მეტყველებს ხელოვანის ხასიათში.

— საქართველოა ჩემი გონების, ჩემი ფანტაზიის წყარო, — ამბობს ირაკლი. — მთელი ბავშვობა კოლხეთში, დედულეთში გავატარე. გაჟღენთილი ვარ იდუმალებით, რომელიც კოლხეთმა ჩადო ჩემში, რაც ჩემი გონებიდან თითებში გადმოდის, ალბათ ამიტომაც შეაფასეს ფრანგებმა ჩემი ხელოვნება როგორც ევროპულისა და ქართულის ჰარმონიული სინთეზი. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენის შენარჩუნებასაც. არ მინდა ქართული დამავიწყდეს. ამიტომაც გადავწყვიტე ლექსები ვიკითხო. ჩვენი ანბანი, დამწერლობა აღაფრთოვანებს უცხოელებს, როცა ჩემ მიერ ქართულად დაწერილი ტექსტი ნახეს, ფრანგებმა მითხრეს, ახლა არ გვიკვირს, რომ შენ ასეთი ხელი გაქვსო. ჩემი მოდელების „იავნანის“ ფონზე პოდიუმზე გამოტანისას, ფრანგები ტიროდნენ *(ეს თავადაც ვიხილე ეკრანზე. — ე.ლ.)*.



გრან-პრის მფლობელი ხატია ჩომახაშვილის მოდელი

**— ირაკლი, თქვენი შემოქმედებითი ფანტაზიების განვითარებაში დიდი როლი უთამაშია დედათქვენს. მეუღლე მოდელი გყავთ, თურმე თქვენთან ერთად ქმნის კიდეც მოდელებს, ვინ არის ქალი თქვენთვის, მუზა?**

— მახსოვს, ბავშვობიდან დედა სტუმრად წასასვლელად როგორ ემზადებოდა, როგორ იწევდა მისი შინაგანი სიღრმიდან ქალური, მედიდური ხიბლი, სწორედ ამის ჩადებას ვცდილობ ჩემს მოდელებში, თითოეულმა ნამუშევარმა მინდა ქალის მიმართ თაყვანისცემა გამოიწვიოს. მოდელებზე ხანგრძლივად ვმუშაობ და მთელი ეს პროცესი მანეკენის სხეულზე „პრიმერკებში“ ხდება. მანეკენი იგივეა, ჩემთვის, რაც მხატვრისთვის ტილო. ჩემი მეუღლე



ირაკლი ნასიძე

ანა-ნიკიტა მოდელია. უმრავლესობა კოსტიუმებისა სწორედ მის ტანზე იკერება. ის ჩემი მუზაა.

**— ალბათ ყველაზე მეტად წარმატებას მაშინ გრძნობს მოდელიერი, როცა მას ნდობას უცხადებენ და უკვე კერძო შეკვეთას აძლევენ. მგონი, თქვენ სამეფო გვარის პატარძლისთვის ქმნით კოსტიუმს.**

— დიახ, გრამონების ოჯახის პატარძალს ვუკერავ კაბას. გალერეაში უნახავს ჩემი კოლექცია, მოხიბლულა, შეკვეთა მომცა და როცა მადლობას მიხდიდა, ვუთხარი, რას ამბობთ, ეს მე უნდა გითხრათ მადლობა ნდობისათვის-მეთქი. ჩემი შექმნილი კაბით პატარძალს ჯვარს დასწერს კარდინალი. წვეულება კი ოტელ „რიცში“ შედგება და მას უპოპულარესი ჟურნალებისთვის გადაიღებენ. მონაკოშიც პრინცის მეჯლისზე ქართველი გოგონა წარდგება ჩემი კოსტიუმით.

ირაკლი პარიზში გაემგზავრა დიდებასთან წარმატებული თამაშის გასაგრძელებლად.

***ეკა ლომიძე***



გამომცემლობა «ფავორიტი»

გთავაზობთ ეკოლოგიურად სუფთა, სასკოლო მელნით დაბეჭდილ რვეულებს, შეღავათიან ფასად

რვეულები შეგიძლიათ შეიძინოთ საგაჭრო ქსელში. ბითუმად შეძენის მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქიზიყის ქ. №20.

ტ: 26-10-13; 899 58-96-91

# „ელიზის“ პრეზიდენტის შვილი დააკავეს



გურამ ელიზბარაშვილს მკვლელობაში ადანაშაულებენ

**შაბათს, 30 ნოემბერს, დაახლოებით დილის 11 საათზე, თბილისში, გამსახურდიას გამზირზე მდებარე კაფე-ბარ „ნიკალაში“ ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის ვაჟი, 19 წლის გურამ ელიზბარაშვილი. იგი ეჭვმიტანილია 18 წლის მიშა ცილიკაშვილის მკვლელობაში და ორწელიწად-ნახევარი იძებნებოდა.**

პოლიციელებმა ხელბორკილი იმ დროს დაადეს, როდესაც ის შეკვეთილ კერძებს ლანგარზე აწყობდა. „მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა, მაგრამ არ გაგვძალიანებია“, — გვითხრეს პოლიციელებმა.

გურამ ელიზბარაშვილი თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა. დაკითხვაზე აღნიშნა, რომ ქალაქ ცხინვალში, მეგობარი გოგონას ოჯახში იმალებოდა. გოგონას ვინაობა ელიზბარაშვილმა არ დაასახელა.

დაზარალებულთა თქმით, მკვლელობის მიზეზი იყო გოგონა, რომელიც ორივეს — მიშა ცილიკიშვილს და გურამ ელიზბარაშვილს უყვარდათ. ამ ფაქტს დაკავებული უარყოფს — გოგონა მე კი არა, ჩემს ერთ-ერთ მეგობარს მოსწონდა, რომელიც შემთხვევის ადგილზე მახლდაო.

გურამ ელიზბარაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

...მკვლელობა მოხდა 2001 წლის 19 მაისს, მიშა ცილიკიშვილის დაბადების დღეს. ცილიკაშვილებმა შვილს წვეულება გაუმართეს ფიზიკის ინსტიტუტის ეზოში მდებარე საბანკეტო დარბაზში. იქ იყო მიშას შეყვარებული ნანა ბაქრაძეც.

დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის საბანკეტო დარბაზთან თეთრი „ნივა“ გაჩერდა და იქიდან ოთხი ახალგაზრდა გადმოვიდა. პროკურატურის ინფორმაციით, ერთ-ერთმა მათგანმა — გურამ ელიზბარაშვილმა — ე.წ. „რიკოშეტის“ პისტოლეტი რამდენჯერმე გაისროლა. ერთი ტყვია მიშა ცილიკაშვილს მოხვდა და მაშინვე უსულოდ დაეცა მიწაზე. მეორე ტყვიამ მიშას ბიძა — ნუგზარ ცილიკაშვილი დაჭრა. დაღუპულის ნათესავების თქმით, მიშას და მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ გოგონამ სროლის მომენტში ფეხი რაღაცას წამოჰკრა და წაიქცა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, გურამ ელიზბარაშვილმა დაახლოებით ექვსჯერ ისროლა.

მკვლელობის ფაქტს მიშას დედაც შეესწრო. მისი თქმით, გურამ ელიზბარაშვილი მის შვილს აგდებულად ელაპარაკებოდა, მერე რევოლვერი დაუმიზნა და ესროლა. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გაისროლა.

თვითმხილველების მტკიცებით, ელიზბარაშვილის თანმხლებთაგან არავის უსვრია. ისინი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ, მერე კი ელიზბარაშვილმაც დატოვა იქაურობა.

დაზარალებულთა ვერსიით, მკვლელობა ნანა ბაქრაძის გამო მოხდა. მათი თქმით, ნანა და მიშა ერთმანეთს რამდენიმე თვე ხვდებოდნენ, მიშა გურამს პირადად არ იცნობდა.

ნანა ბაქრაძემ არ უარყო ელიზბარაშვილთან ნაცნობობა, თუმცა აღნიშნა, გურამი თუ მიშასთან საქმის გარჩევას აპირებდა, არ ვიცოდიო.

გურამ ელიზბარაშვილის ადვოკატი გოგმარ გაბუნია მიშა ცილიკაშვილის განზრახ მკვლელობას უარყოფს — გურამი მიშას იცნობდა და მისი მოკვლა რატომ უნდა მოენდომებინაო.

**გოგმარ გაბუნია,** ადვოკატი:

„გურამ ელიზბარაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. ბუნებით აგრესიული და მოჩხუბარი სულაც არ არის. ადრე სხვა დანაშაულში შემჩნეული არ ყოფილა. 19 მაისს მკვლელობა უნებლიეთ ჩაიდინა. გურამის და მიშას მეგობრებმა იჩხუბეს. გურამის მხლებლებმა გაქცევა მოასწრეს, მან კი ვერ შეძლო, რადგან სცემდნენ. ბოლოს, მოჩხუბრებს თავი დააღწია და გაიქცა, მაგრამ იმის შიშით, არ დამედევნონო, იარაღი ამოიღო და ზურგს უკან, მიწის მიმართულებით გაისროლა“.

ადვოკატის თქმით, მიწამ ტყვია აისხლიტა და მიშას მოხვდა. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, გურამ ელიზბარაშვილი იმ დღეს კოჭლობდა (მომხდარ ფაქტამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩხუბისას დაშავდა. — მ.ც.). დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის გარდა, პროკურატურა მას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაშიც ადანაშაულებს.

***მეგი ცანავა***

# უგუნური ნაბიჯი... დანით „კვირის პალიტრაში“?!

## თავდამსხმელი დამსახურებულად უნდა გასამართლდეს



კისერში 2 სმ-ის სიღრმის ჭრილობა

გასულ კვირას „კვირის პალიტრის“ რედაქციაში ჟურნალისტი ვაჟა გავაშელი გამოქვეყნებული მასალის გამო დანით დაჭრეს.

სტატიით აღშფოთებულმა თენგო მანელიძემ 62 წლის ჟურნალისტს ჯერ კისრის არეში დაარტყა დანა, შემდეგ კი მუცელში. საბედნიეროდ, ჭრილობები სიცოცხლისათვის საშიში არ აღმოჩნდა. თენგო მანელიძემ, რომელიც რედაქციაში ძმასა და დედასთან ერთად მოვიდა, სასწრაფოდ დატოვა „კვირის პალიტრის“ რედაქცია და მიიმალა.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში ბოროტი ხულიგნობის მუხლით არის საქმე აღძრული. როგორც გამომძიებელმა თემურ ნათელაშვილმა განაცხადა, დანაშაულის მეორე დღესვე პროკურატურაში გამოცხადდა თენგო მანელიძის ძმა, შოთა მანელიძე, რომელმაც აღნიშნული დანაშაული სიტყვიერად დაადასტურა და პირობა დადო, რომ რამდენიმე დღეში ძმასთან ერთად გამოცხადდება პროკურატურაში. ვიმედოვნებთ, სამართალდამცველები აღნიშნულ დანაშაულს არ წაუყრუებენ და ძიება ობიექტურად წარიმართება.

ვაჟა გავაშელი უკვე რამდენიმე წელია, რაც გაზეთ „კვირის პალიტრაში“ რუბრიკა „ვერსიას“ უძღვება. იგი 70-იან წლებში შსს-ს პრესცენტრში მუშაობდა. შეიძლება ითქვას, იგი არის ცოცხალი მოწმე იმისა, თუ როგორ იხსნებოდა მკვლელობები და როგორ ვითარდებოდა მოვლენები იმ დროს. შესაბამისად, მას უამრავი მასალა და დოკუმენტი გააჩნია კრიმინალური სამყაროს შესახებ. ალბათ, ამითაც არის განპირობებული, რომ „ვერსიაში“ გამოქვეყნებული სტატიები ხშირად მკითხველის პრემიას იმსახურებს.

ამჯერად, მასალა ეხებოდა 23 წლის წინ მომხდარ ვანო ტერ-მანელოვის მკვლელობას. თუმცა, როგორც გაირკვა, დღეს მისი შვილები მამის გვარს აღარ ატარებენ და ოფიციალურად მანელიძეები არიან.

რედაქციაში მომხდარი დანაშაული მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომი უკვე იმ დონეზეა, რომ მომხდურისთვის აღარ აქვს მნიშვნელობა — ფარულად ჩაიდენს დანაშაულს თუ აშკარად. „კვირის პალიტრამ“ მომხდართან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა ადამიანის უფლებების დამცველ ელენე თევდორაძეს: „ჩვენ ისეთ სიტუაციაში ვცხოვრობთ, რომ საშიში გახდა ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობაც კი... ხალხს სასჯელის შიში აღარ აქვს, თავს უკვე იმის უფლებასაც აძლევს, რომ თუ რაღაც არ მოეწონა, ლინჩის წესით გაასამართლოს მეორე პირი.

ეს უკვე ქმნის პრეცედენტს, რომ ჟურნალისტი თუ აქამდე ხელისუფლებისგან იყო დაუცველი, ახლა დაუცველია ნებისმიერი ადამიანისგან. ასეთი დაუცველობა კი იქამდე მიგვიყვანს, რომ ჟურნალისტი დადუმდება და სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. ყოველივეს მიზეზი ის არის, რომ არც ერთი რეზონანსული საქმე არ გახსნილა, არავინ დასჯილა.

(გაგრძელება იხ. გვ. 10)



# დასნებოვნებული კვების პროდუქტები საქართველოში(?!)

## „უხარისხო პროდუქტის საქართველოში შემოტანას „ზემოდან“ მფარველობენ“...



საქართველოში უამრავი საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთა მოვალეობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სურსათისა და აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების უფასოდ დარიგება გახლავთ. ხშირად კი ე.წ. საქველმოქმედო ორგანიზაციები კარგად შენიღბული ჩვეულებრივი კომერციული დაწესებულებებია. ჰუმანიტარული ნიღაბი მათი დიდი ნაწილისთვის გადასახადების თავის არიდების საუკეთესო საშუალებაა. მაგ., ერთ-ერთმა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციამ რამდენიმე წლის წინ საქართველოში ლტოლვილებისა და პენსიონერებისათვის ნიანგის ტყავის ქალის ხელჩანთები და ფეხსაცმელები შემოიტანა, მეორემ — ქართველი სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის ქალის საცვლები და კოლგოტები, მესამემ კი ლოთებისთვის (რომლებსაც ნაბახუსევზე არყის ფული არ აქვთ) შოტლანდიური ვისკი, ფრანგული შამპანური და კონიაკი გაიმეტა. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამონათვალიდან არც ერთი ადრესატებამდე არ მისულა.

ზოგიერთი „ჰუმანიტარი“ ბიზნესმენი ამასაც აჭარბებს და ჩვენს მოსახლეობას უხარისხო, სხვადასხვა პარაზიტითა და მიკრობით დაბინძურებული პროდუქტით წამლავს, თვითონ კი ჯიბეს ისქელებს.

საქართველოს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ტროპიკოლოგს“ მიმდინარე წლის 12 თებერვალს წერილით მიმართა გაერთიანებული ერების მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის ე. წ. ლოჯისტიკმა, ჩვენებურად სამეურნეო განყოფილების უფროსმა ლაშა მაჩაიძემ. ამ წერილის ასლი მსოფლიო სასურსათო პროგრამის ერთმა თანამშრომელმა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მოგვაწოდა მას შემდეგ, როცა დავპირდით, მის ვინაობას საიდუმლოდ შევინახავდით. გთავაზობთ წერილს მცირეოდენი შემოკლებით (სტილი დაცულია): „როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თქვენი საზოგადოება „ტროპიკოლოგი“ აწარმოებს საკვები პროდუქტების, ასევე სასაწყობო მეურნეობების პარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავებას ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენებით. გაერთიანებული ერების მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ ცეკავშირის უნივერსალურ სავაჭრო ბაზაში არენდით აღებულ ცარიელ სასაწყობო ფართს ესაჭიროება პროფილაქტიკური სახის დამუშავება. გთხოვთ, წერილობით გვაცნობოთ შემდეგი სახის დეტალები დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული საწყობის ბიოლოგიურ დამუშავებასთან“. უფრო მეტად გაგვიჭირდა ამ წერილის პასუხის ხელში ჩაგდება, რომელიც შპს „ტროპიკოლოგის“ კომერციულმა დირექტორმა, პროფესორმა გუგული გუგუშვილმა გაუგზავნა მსოფლიო სასურსათო პროგრამის ლოჯისტიკს. პასუხი მსოფლიო სასურსათო პროგრამის ოფისში ჩვენმა რესპონდენტმა ვერ იპოვა, ამიტომაც პარაზიტოლოგიის ინსტიტუტს ვესტუმრეთ. ხანდაზმულ პროფესორთან ხვეწნა-მუდარით ვერაფერს გავხდით. ბოლოს არცთუ ისე ეთიკური საქციელი ჩავიდინე (პასუხი მაგიდიდან დაუკითხავად ავიღე) და პასუხიც ხელთ ჩავიგდე (არაეთიკურ საქციელს, იმედია, მკითხველი და რედაქცია მომიტევებს, ეს საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დასაცავად ჩავიდინე). აი ისიც: „თანახმად თქვენი მოწერილობისა გაცნობებთ: თქვენი საწყობიდან მოტანილ პურის ფქვილში აღმოჩნდა ბეღლის მავნებლები, კერძოდ, ცხვირგრძელა ხოჭოები და ტკიპები. ამ ტკიპებით დაბინძურებული პროდუქტების საკვებად გამოყენება დაუშვებელია, რადგანაც იწვევენ კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებებს, სასუნთქი გზების კატარს და ასთმას. აუცილებელია ამ პროდუქტების სათავსების აღნიშნული მავნებლებისაგან გაწმენდა... მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია სადეზინფექციო ღონისძიების განმეორება ერთი თვის შემდეგ“. პროფესორ გუგული გუგუშვილს რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შევხვდით და გავაცანით როგორც ლაშა მაჩაიძის წერილი, ასევე მისი პასუხის შინაარსიც. ისიც ავუხსენით, რომ წერილები გაეროს სასურსათო პროგრამის ერთ-ერთი თანამშრომლისგან მივიღეთ. რაღას გახდებოდა ფაქტის წინაშე და ქალბატონი გუგული კომენტარზე დაგვთანხმდა.

**გუგული გუგუშვილი:** „შარში არ მინდა გავეხვიო. საქართველოში სიმართლის თქმა რომ არ შეიძლება, ყველამ კარგად იცის. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა მართლაც მთხოვეს პურის ფქვილის შემოწმება. რა შემოწმება უნდოდა, ტკიპები ფქვილში დაფუთფუთებდნენ. რა თქმა უნდა, ვურჩიე: რადგან ფქვილი საკვებად უვარგისი იყო, სჯობდა გაენადგურებინათ. ფქვილი გაწმენდას არ ექვემდებარებოდა. რაც შეეხება საწყობის დეზინფექციას, მინიმალური თანხა დავასახელე სადეზინფექციო სამუშაოების საფასურად, ეს იყო და ეს, მას შემდეგ ჩემთან აღარავინ მოსულა“, — გვითხრა პროფესორმა.

ამის მეტს ქალბატონი გუგულისგან არც ველოდით, — სასურსათო პროგრამის თანამშრომლისგან ვიცოდით, რომ პროფესორ გუგუშვილს ჩვენს მისვლამდე მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობიდან სწვევიან და ზედმეტი ლაპარაკისგან თავის შეკავება ურჩევიათ.

— მე ხომ პროგრამის წარმომადგენლობაში ვმუშაობ და საკმაოდ მაღალ ხელფასსაც ვიღებ, მაგრამ ჩემი სიჩუმე უამრავ ჩემს თანამემამულეს, მათ შორის, ბავშვებსაც ღუპავს და მოურჩენელი მძიმე სენით აავადებს. რამდენიმე წელია გაერთიანებული ერების მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენლობას საქართველოში საკვებად უვარგისი, სხვადასხვა მიკრობით, პარაზიტით და მავნებლებით დასნებოვნებული სურსათი შემოაქვს და სოციალურად დაუცველ ფენებს, ლტოლვილებს, პენსიონერებს და სხვებს უფასოდ, ჰუმანიტარული აქციით ურიგებს. უფრო დიდ ნაწილს კი პურის ქარხნებსა და ბაზრის გადამყიდველებთან ასაღებენ. პურის ქარხნები უვარგის ფქვილს კარგი ხარისხის ფქვილში ურევენ, ხოლო ბაზრის გადამყიდველები ტომრებს უცვლიან და სხვადასხვა ფირმის ტომრებით ყიდიან. მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში სინამდვილეში თავის ჯიბეს ისქელებს. შარშან ტკიპებით და სხვადასხვა ხოჭოთი გავსებული პურის ფქვილი შემოიტანეს. წელს მავნებლებით დაღრღნილი ლობიოს მარცვალი შეატყუეს ხალხს. ერთ-ერთმა მეცნიერმა, რომელსაც გასასინჯად მიუტანეს პურის ფქვილი, მასში საქართველოში არარსებული დერმატოლოგიური ტკიპი აღმოაჩინა (მკითხველს ვთხოვ ეს ე. წ. დერმატოლოგიური ტკიპი დაიმახსოვროს), რომელიც თურმე ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ასთმას იწვევს, — გვითხრა ჩვენმა ანონიმმა სასურსათო პროგრამის წარმომადგენლობის თანამშრომელმა.

— **ეს ხომ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციაა? რატომ აკეთებენ ამას, უჭირთ?**

— ნამდვილად არ უჭირთ. მისი მოვალეობაა კარგი ხარისხის კვების პროდუქტების შესყიდვა და შემდეგ ნაკლებგანვითარებული, ღატაკი ქვეყნებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. სინამდვილეში ხარისხიანი პროდუქტების ნაცვლად, მსოფლიო სასურსათო პროგრამის ემისრები აშშ-ში, კანადასა ან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უვარგის პროდუქტს ყიდულობენ. უფრო სწორად, საბუთებში დაფიქსირებულია, რომ ხარისხიანი პროდუქტი იყიდეს და სოლიდური თანხაც გადაიხადეს, მაგრამ ვითომ ნაყიდ პროდუქტში (რომელიც რეალურად განადგურებას ექვემდებარება) მფლობელი პროგრამის ემისრებს იქით უხდის ფულს, განადგურების ხარჯებს რომ გადაარჩინეს და იქაურ მწვანეთა მოძრაობა „გრინფისის“ აქტივისტებს თავი დააღწია. ოღონდ უვარგისი პროდუქტი მოაშორონ მწარმოებელს და იგი სიამოვნებით იხდის ტრანსპორტირების ხარჯებს. ვის ჯიბეში მიდის დამშეული ქვეყნებისათვის განკუთვნილი თანხები, იოლი წარმოსადგენია. თქვენ კი მეუბნებით, თავზე ხელი აიღე და ვინაობა გაამხილეო...

> „გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა მართლაც მთხოვეს პურის ფქვილის შემოწმება. რა შემოწმება უნდოდა, ტკიპები ფქვილში დაფუთფუთებდნენ. რა თქმა უნდა, ვურჩიე: რადგან ფქვილი საკვებად უვარგისი იყო, სჯობდა გაენადგურებინათ.“

ჩვენ გაერთიანებული ერების მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, ჟოზეფ-ალან შარიესთან ვცადეთ შეხვედრა. თავდაპირველად, პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის ქართველმა თანამშრომლებმა შარიემდე მისასვლელი გზა მოგვიჭრეს. ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე — ვუთხარი, თქვენი საქმიანობის გაშუქებას დადებითი კუთხით ვაპირებ-მეთქი და ამან გაჭრა, — **ჟოზეფ-ალან შარიესთან** შეხვედრა შედგა:

— **ბატონო ჟოზეფ, იქნებ ჩვენს მკითხველებს გააცნოთ გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიზნები და ამოცანები?**

— ჩვენი პროგრამის მიზანი და ამოცანაც ის არის, დავეხმაროთ მსოფლიოს ნაკლებგანვითარებულ, ღატაკ ქვეყნებს. საქართველოს მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტი პური გახლავთ. თქვენს სახელმწიფოში ხორბლის მოსავალი მხოლოდ მოთხოვნილების მესამედს აკმაყოფილებს. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მოსახლეობის 51%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ამიტომაც ვართ ჩვენ საქართველოში.

— **ვინ გაფინანსებთ?**

— არსებობს გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის 40-წევრიანი საბჭო. ისინი დონორი ქვეყნების წარმომადგენლები არიან. როდესაც ესა თუ ის პროგრამა დამტკიცდება, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნის მთავრობას (ძირითადად, იმათ, რომელთა წარმომადგენლებიც თვითონვე არიან) სთხოვენ დახმარებას. აშშ-ის და კანადის მთავრობა პროდუქტს გვაძლევს, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები — ფულს.

— **თუ ყოფილა უხარისხო სურსათის შემოტანის ან განადგურების შემთხვევები?**

— რა თქმა უნდა. ჰუმანიტარული მიზნებით შემოსული სურსათი კარგი ხარისხის უნდა იყოს. მაგრამ ზოგჯერ პირველი ხარისხისაა. არის შემთხვევები, როცა მეორე ხარისხის შემოდის.

— **თქვენ ვერ გამიგეთ, ვგულისხმობ გაფუჭებულ, სხვადასხვა მიკრობითა და ბაქტერიით დასნებოვნებულ პროდუქტს...**

ჟოზეფ-ალან შარიე უხერხულად იშმუშნება. რამდენიმე წამით პასუხს აყოვნებს და შემდეგ ამბობს:

— რა თქმა უნდა, ასეც ხდება. მაგ., ამერიკიდან ან იაპონიიდან გამოგზავნილი პროდუქტი დაახლოებით სამი თვე გზაშია. თუ ტრანსპორტირების პროცესი ზაფხულს დაემთხვა, მაშინ მით უმეტეს... ხშირად კი პროდუქტი გემის დაბინძურებულ ტრიუმებში დებისგან ფუჭდება.

შარშან დიდი რაოდენობით პურის ფქვილი შემოვიტანეთ საქართველოში. დაახლოებით ერთი წელი საწყობში გვქონდა. სანამ მოსახლეობას დავურიგებდით, მისი ხარისხიანობა შევამოწმეთ. ფქვილი საკვებად ვარგისი აღმოჩნდა — მხოლოდ ხარისხი შეიცვალა.

— **ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ მასში მავნებლები არ იყო?**

— ხარისხი რომ შეიცვალა, მერე რაღაც მწერებიც გაუჩნდა. ფქვილს ფუმიგაცია („ფუმიგაცია“ ნიშნავს სხვადასხვა სასურსათო პროდუქტის, მათ შორის, ფქვილის შეწამვლას პარაზიტების განადგურების მიზნით) გავუკეთეთ. შემდეგ შევამოწმეთ ლაბარატორიულად და ფქვილი ვარგისი აღმოჩნდა საკვებად. როდესაც სხვა ქვეყნიდან შემოდის ფქვილი, მას იქვე უკეთდება ფუმიგაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს თანამშრომლებიც ატარებენ პროდუქტების ტესტირებას. გარდა ამისა, პორტში, სადაც პროდუქტი შემოდის, მუშაობს სუპერინტენდანტი, რომელიც დამოუკიდებელი ექსპერტი გახლავთ და იგი ამოწმებს ხარისხს. ამას წინათ შემოსული ლობიოს ხარისხიც არ არის დამაკმაყოფილებელი, მასში სხვადასხვა პარაზიტი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მსოფლიო სასურსათო პროგრამის თანამშრომლები მოატყუეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლაბორატორიულად შეამოწმა პროდუქტი და დაადგინა, რომ ლობიო მართლაც დასნებოვნებულია, თუმცა პარაზიტები განადგურებული იყო. ახლა ცალკე ჩვენ, ცალკე — დამოუკიდებელი ექსპერტი და ცალკე სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს ხარისხის ინსპექცია ადგენს, რამდენად ვარგისია საკვებად ლობიოს მარცვალი. თუ სამი ექსპერტიდან ორი მაინც იტყვის, რომ ლობიო უვარგისია, მას გავანადგურებთ.

— **კეთდება თუ არა თქვენი საწყობების დეზინფექცია?**

— რა თქმა უნდა. თუ საწყობში სისუფთავეს არ დაიცავ, შეიძლება პარაზიტი საწყობსაც მოედოს და სხვა პროდუქტებიც დააბინძუროს, მაგრამ საქართველოში მკაცრი ზამთარი იცის *(ჟოზეფ-ალან შარიე ალბათ აფრიკას ადარებს საქართველოს. — ზ. ჩ.)* და ზამთრის სუსხი კლავს პარაზიტებს. საქართველოში არის კერძო კომპანიები, რომლებიც სადეზინფექციო მომსახურებას ეწევიან. როცა მათი დახმარება გვჭირდება, მივმართავთ — შესაბამისი ხელშეკრულებაც გვაქვს დადებული.

— **თუ შესაძლებელია, მაჩვენეთ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეთ.**

— დოკუმენტს ვერ გაჩვენებთ, ეს კომერციული საიდუმლოებაა. ვერც სადეზინფექციო ფირმის სახელს გეტყვით, ეს მხოლოდ ჩემმა თანაშემწემ იცის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული მცენარეთა დაცვის სამსახურის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი ფიტოსანიტარიული განყოფილება გახლავთ. სწორედ მის თანამშრომლებს ევალებათ, რომ საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოსულ მცენარეული წარმოშობის სურსათს არ შემოჰყვეს სხვადასხვა სახის მავნებელი.

მცენარეთა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან ყანჩაველი:** — ის პურის ფქვილი გაეროს მსოფლიო სასურათო პროგრამის წარმომადგენლობამ საქართველოში ჩვენი სამსახური ნებართვის გარეშე შემოიტანა. როდესაც ბიზნესმენი ან თუნდაც საქველმოქმედო ორგანიზაცია საზღვარგარეთიდან საქართველოში სურსათის შემოტანას აპირებს, ჩვენგან უნდა აიღოს ე.წ. წინასწარი ფიტოსანიტარიული ნებართვა, რომლის მიხედვითაც შემოსატანი სურსათი არ უნდა იყოს დასნებოვნებული, მაგალითად: სოკოვანი დაავადებებით, მავნებლებით, პარაზიტებით და ა. შ. სურსათის გამომგზავნი ვალდებულია, დააკმაყოფილოს ჩვენი პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია დავაპატიმროთ საქონელი, დავაჯარიმოთ გამომგზავნი ორგანიზაცია, მოვითხოვოთ ტვირთის უკან გაბრუნება ან განადგურება, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენი სამსახურის გვერდის ავლით საქველმოქმედო და კომერციულ ორგანიზაციებსაც შემოაქვთ საქონელი. კანონით, არც საბაჟომ უნდა განაბაჟოს ფიტოსანიტარიული განყოფილების ინსპექტორის ნებართვის გარეშე ტვირთი.

— **გაეროს სასურსათო პროგრამის ხელმძღვანელი შარიე აცხადებს, რომ თქვენს სამსახურთან თანამშრომლობს.**

— ბატონ შარიეს ჩვენთვის არასოდეს მოუმართავს. პურის ფქვილის დასნებოვნების შესახებაც პირველად თქვენგან მესმის. რაც შეეხება ლობიოს, როგორც გაირკვა, მას ფუმიგაცია საზღვარგარეთ გაუკეთდა. ფუმიგაცია საკმაოდ ძვირი პროცესია და მეეჭვება, საქართველოში ვინმემ ჩაატაროს. ერთი სიტყვით, ლობიოც და ფქვილიც ფიტოსანიტარიული სამსახურის გვერდის ავლით შემოვიდა...

მცენარეთა დაცვის სამსახურის აპარატის უფროსი **ნანა გაგილაძე:** „როდესაც საერთაშორისო სტატუსის მქონე ორგანიზაციებს საქართველოში რაიმე ტვირთი შემოაქვთ, ზემოდან მოდის დირექტივა, რომ ხელი არ შევუშალოთ(?!)...“

რამდენიმე დღის შემდეგ მცენარეთა დაცვის სამასახურს კვლავ ვესტუმრეთ. ამ სამსახურის თითქმის მთელმა ხელმძღვანელობამ მოიყარა თავი ჟურნალისტთან შესახვედრად. სადაც გვითხრეს: ჩვენ შევამოწმეთ არქივი — მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენლობას ჩვენთვის არ მოუმართავს. ამიტომ ვერ გეტყვით — რა ფქვილი იყო, როგორი ხარისხის და რამდენად გახლდათ იგი დაბინძურებული მავნებლებითო.

გავიდა ხანი და მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისს კვლავ ვეწვიეთ და ჟოზეფ-ალან შარიეს თანაშემწეს და პროგრამის ლოჯისტიკს, **ლაშა მაჩაიძეს** გავესაუბრეთ:

— **თქვენს ორგანიზაციას საქართველოში დასნებოვნებული ფქვილი და ლობიო შემოუტანია — პირადად თქვენ მოგითხოვიათ სურსათის ფუმიგაცია.**

— სიცრუეა. რეკომენდაცია კი მივეცით, მაგრამ მერე საჭიროდ არ ჩავთვალეთ ლობიოს ფუმიგაცია, რადგან მავნებლები მასში უკვე დახოცილი იყო. ამასთან, ფუმიგაცია ძალზე ძვირი სიამოვნებაა — საამისო თანხები არ გვაქვს. ჩვენს შემოტანილ სურსათზე არასოდეს შეგვქმნია პრობლემები — ხარისხთან დაკავშირებით, მით უმეტს. რაც შეეხება ლობიოს, ხარისხის ინსპექციის დასკვნას ველოდებით. თუ დადებითი პასუხი მივიღეთ, მომხმარებელს მივაწვდით. ფუმიგაცია კი პროდუქტს გამოგზავნამდე იქვე, საზღვარგარეთ უკეთდება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# „ვინც ამ ქაოსს აღვივებს, ყველაფერი უკან დაუბრუნდება“

ბოლოდროინდელი პოლიტიკური ალიანსები და დამოყვრება-დაყონაღებები გულუბრყვილო ადამიანებში ლამის გაოცების შეძახილს იწვევს. უფრო გათვითცნობიერებულნი კი, რაკი იციან, — პოლიტიკა მუდმივ მეგობრებს და მუდმივ მტრებს არ ცნობს, კარგად ხვდებიან, სინამდვილეში რაც ხდება. ამ არეულ ვითარებაში ბევრმა გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე, რაკი მღვრიე წყალში თევზის დაჭერის ჟინს ვერ მოერია. პოლიტიკოსებს, სახელისუფლებო შტოებსა და ბიზნესკონკურენტებს შორის დაწყებული დაპირისპირება ქუჩაში გაგრძელდა. გარეთ გასვლა უკვე საშიშია. საქართველოს განგსტერულმა ქრონიკამ ლამის სიცილიის მაფიაც დაჯაბნოს.

რა გვჭირს და საით მივდივართ? — ამ საკითხზე სასაუბროდ ტრადიციონალისტთა ლიდერს **აკაკი ასათიანს** მივმართეთ.



ჭერდათ, უშიშროება ყველას დაგზვერავდათ, ჯარი დაგბომბავდათ — მე ვარ, რომელიც თქვენ გშველითო. მეგონა, შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის მიწურულს მეტ პასუხისმგებლობას გამოიჩენდა ყველა, მით უმეტეს კი ისინი, რომლებიც აცხადებენ, რომ ხვალ თავად უნდა იყვნენ პრეზიდენტის შემცვლელნი.

**— რაკი შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გასვლას შეეხეთ, იქნებ სააკაშვილის ვერსიაზეც ვისაუბროთ, რომელიც გვარწმუნებს, — პრეზიდენტი წასვლის წინ, ლამაზად შეფუთულ მემკვიდრეს შემოგვატყუებსო.**

— მეეჭვება, შევარდნაძემ ასეთ პრიმიტიულ ხერხს მიმართოს და თავისი მემკვიდრე გამოაცხადოს. ეს მისი შეცდომა იქნება. რა თქმა უნდა, ეცდება, თავისი სასურველი კანდიდატურის დატოვებას, ასეთი რამ აშშ-შიც ხდება და საფრანგეთშიც. ოღონდ, ეს არ იქნება მემკვიდრე. მემკვიდრედ დატოვებულ პრეზიდენტს ვაძლევ სრულ გარანტიას, რომ მისი მმართველობა თვე-ნახევარზე მეტს ვერ გასტანს. თუმც შეიძლება დღე-ნახევარშიც გადმოაგდონ. ამას, ვფიქრობ, თავად პრეზიდენტიც ხვდება. შესაძლოა, „შეფუთული მემკვიდრის“ დატოვებასაც ეცადოს შევარდნაძე. მაგრამ რაც უნდა შეფუთონ, ბავშვი რომ ჩაისვრის, უნდა გამოუცვალონ და მაშინ გამოჩნდება მემკვიდრის უბედურებაც.

მექანიკური თოჯინების ბედი ყოველთვის საწყალობელია, მას მავნე ბავშვები აფუჭებენ, ასეთი „მავნე ბავშვებით“ კი სავსეა საქართველო. თვითონ სააკაშვილი რომ უთუოდ მივა და გასინჯავს, რა იქნება შეფუთული თოჯინის შიგნით, ეს ხომ თავისთავად ცხადია.

**— „მოქალაქეებისა“ და „სოციალისტების“ დამოყვრებაზე რას იტყვით?**

— ახლა არ მითხრათ, რომ გაგიკვირდათ... ვახტანგმა სწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ „მოქალაქეებს“ რომ დააქცევს, ეს დანამდვილებით ვიცი.

**— რატომ, ცუდი ფეხი აქვს?**

— ძალიან... ფიქრობს, ეგებ თავისთვის რამე მოახერხოს და წარმატებას ვუსურვებ ამ გზაზე. რაც უნდოდა, ის გააკეთა. უჭერს მხარს შევარდნაძეს და ოპოზიცია რატომ უნდა რქმეოდა?! სხვებიც თუ მიჰბაძავენ, კარგი იქნება. ბიუჯეტის დამტკიცების დროს გამოჩნდება ყველაფერი. ზოგი ახლა რომ ბაქიბუქობს, ხომ ვიცი, რას იზამენ კენჭისყრაზე. შევიდნენ ის დალოცვილები „მოქალაქეთა კავშირში“. რატომ აცდენენ ადგილს, მაინც არ დაიმალება მათი ორიენტაცია. ბევრი ოპოზიციონერობას რომ იბრალებდა და ჩვენ გვსაყვედურობდა, — ტრადიციონალისტები პოზიციას იცვლიანო, ხომ გამოჩნდა ვინ სად არის? ხშირად ვახტანგსაც ჰქონდა ასეთი გამოხდომები და „აღორძინებასაც“, რომელმაც კომიტეტები გადაინაწილა პარლამენტში ხელისუფლებასთან ერთად.

**— „აღორძინებისა“ და „მოქალაქეთა კავშირის“ გაერთიანების პერსპექტივა რეალურად მიგაჩნიათ?**

— ამის თაობაზე, ჯერჯერობით, არაფერი მსმენია. არის ვარაუდი, რომ მათ შორის ბიუჯეტის საკითხზე დაიდება გარიგება. ასეთი რამ უწინაც ყოფილა.

**— ოპოზიციის ერთიანობა მოჩვენებითი აღმოჩნდა, ეს საკრებულოს მაგალითმაც დაადასტურა, როცა ვიცე-პრემიერს „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ ძვრაც ვერ უყო.**

— საფუძვლიანია თქვენი შენიშვნა, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ გამოსავალი შერაძის მოხსნაა. მთავარია, ადამიანმა საქმე გააკეთოს. შერაძე უნარიანი მმართველია, ნორმალური ხელისუფლების პირობებში ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. ვიცე-პრემიერი იცით რატომ ვერ მოხსნეს? ოპოზიცია მანამდე იყო ერთიანი, სანამ იმაზე დაიწყებოდა ლაპარაკი, ვინ უნდა მისულიყო მის ადგილზე.

**— ქვეყანაში, სადაც ბიზნესმენებს ხოცავენ, არც პოლიტიკოსები და რიგითი ადამიანები არიან დაცულნი. პროგნოზებიც არასასიამოვნოა. ამბობენ, — მოსკოვის მოვლენები თბილისშიც განმეორდებაო.**

— მოსკოვის კრიმინალურ გარჩევებს პუტინის დიქტატურა მოჰყვა — აღარც პარტიებია, აღარც ტელევიზია, ერთი-ორი გაზეთი იბრძვის მხოლოდ. ყველაზე დიდი ოპოზიციონერებიც კი დარაზმულები დგანან პრეზიდენტთან. ვფიქრობ, იქ სერიოზულმა ძალებმა იმუშავეს, რათა ქაოსის შიშით ხალხს ძლიერი ხელის სურვილი გასჩენოდა.

გამორიცხულია ხელისუფლების ზურგის გარეშე ასე პარპაშობდნენ ზოგიერთები. ასეა ჩვენთანაც. გამორიცხულია, ავტომატიანმა პირებმა კაცს სდიონ ქალაქში, თუ ვინმეს იმედი არ აქვთ. ვფიქრობ, ხელისუფლება რომელიღაც სტრუქტურის მეშვეობით ხელს უწყობს ასეთი ვითარების შექმნას. მწარედ მეცინება, — ვინც ამ ქაოსსა და კრიმინალიზაციას აღვივებს, ისევ იმ ხალხს დაუბრუნდება ეს ყველაფერი. მათ კი მართლაც აქვთ დასაკარგი.

ერთხელ მე და შევარდნაძე აფხაზეთის საკითხის გამო შევხვდით ერთმანეთს. ხუთიოდ წუთი შეაგვიანდა. მერე მითხრა, — ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარს ვესაუბრებოდი და ძალიან კარგი რამ მითხრაო. დავინტერესდი. კომისარს უთქვამს, — თქვენთან სამოქალაქო საზოგადოება კარგად ვითარდებაო. რა სფეროებშიო, — უკითხავს პრეზიდენტს და კალამი მოუმარჯვებია. თქვენთან სანამ ამოვიდოდი, დავინახე, ხალხი თქვენს გადადგომას ითხოვდაო, — უთქვამს ადამიანის უფლებათა დამცველს. სხვა რამეს ნუ მოგვთხოვთ და ასეთ აქციებს ყოველდღე მოვახერხებთო, — უპასუხია პრეზიდენტს. ადამიანი, რომელსაც ასეთი იუმორი აქვს, არ მგონია, აშკარა რეპრესიების გზას დაადგეს.

**— ქართულ პოლიტიკაში და, გნებავთ, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არსებული ქაოსი უმეტესად ხელოვნურად არის ინსპირირებული. ხშირად გაიგონებთ, — საპარლამენტო აურზაური სამთავრობო აპარტამენტებში იგეგმებაო.**

— სამწუხაროდ, ქვეყანაში ქაოსი მეფობს, მაგრამ ვერავითარი პროვოკაცია ვერ გაჭრის, თუ თვითონ არ აჰყვები. ვინც ჩივის, — კანცელარია რაღაცას გვიწყობსო, ნუ გამოიყენებს ისეთ ხერხს, რასაც მოწინააღმდეგე. პარლამენტში ზრდილობის დეფიციტია. პარლამენტის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძის წამოყენების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ვიფიქრეთ, ქალი სპიკერის გამო ეგებ ხალხი წესიერად მოიქცეს პარლამენტში-თქო. მეგონა, საქართველოში ეს მაინც გაჭრიდა. ვწუხვარ, რომ იმედი მწარედ გამიცრუეს ჩემმა თანამემამულეებმა. ქართველების უმთავრესი ღირსება ზრდილობა იყო, ეს რომ აღარ აქვთ პარლამენტარებს, ისიც კანცელარიის ბრალია? ამ ხალხმა ნაკლი საკუთარ თავში უნდა ეძებოს — როგორც ჩანს, მათ ან ოჯახში დააკლეს რაღაც, ან მერე გაველურდნენ. კანცელარიას თავისი ცოდვებიც ეყოფა და სხვებისას ნუ დავუმატებთ. მართალია, პარლამენტში არეულობა მათ ხელს აძლევს, მაგრამ დეპუტატებს რომ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეთ, ასეთი აურზაური არ იქნებოდა. არ იქნებოდა უაზრო წაკინკლავებები და დავა-კამათი — შენ ალმაცერად შემომხედე, გატყობ, რაღაც არ მოგწონვარ; შენ მელოტი ხარ; შენ კიდევ მსუქანიო. პასუხისმგებლობის, ზრდილობისა და სახელმწიფო ინტერესების დეფიციტის გამოა ყველაფერი ეს.

**— ჩვენი პარლამენტარები უკვე დეპუტატობის მეოთხე წელს ითვლიან და რაღა ახლა (ბოლო წელს) გაუწყრათ ღმერთი... ამბობენ, საპარლამენტო ბაქანალიაში პრეზიდენტის ხელიც ურევიაო.**

— საპარლამენტო არეულობით პრეზიდენტი უკმაყოფილო ნამდვილად არ არის. ძალიან მოსწონს, რაც აქ ხდება და ეს სახეზეც აწერია, რადგან ამ ცემა-ტყეპაში თვითონ ძალიან სოლიდურად და საქმიანად გამოიყურება. კარგად ვიცით, რასაც აკეთებს ჩვენი მთავრობა, ფაქტობრივად, არაფერს, მაგრამ მთავრობის სხდომაზე გაწევ-გამოწევა და კამათი ხომ მაინც არ არის (და არ იქნება, რადგან მთავრობის წევრები პრეზიდენტის ხელქვეითები არიან). მაგრამ ამის მიუხედავად, საპარლამენტო არეულობას პრეზიდენტს მაინც ნუ მივაწერთ. ნუ დავაბრალებთ პრეზიდენტს, თითქოს ობობა ან რვაფეხა იყოს და ყველგან მისი ქსელები და საცეცები სწვდებოდეს. ქუჩაში რომ ნაცნობები შეხვდებიან ერთმანეთს, მანქანებს გარდიგარდმო დააყენებენ, საუბრობენ და მოძრაობას აფერხებენ, ესეც პრეზიდენტის ბრალია? მან დაავალა, ასე მოიქეცითო? ასეთი რაღაცები რომ ხდება, ამიტომ გვეუბნება შევარდნაძე — მე რომ არ ვიყო, ქუჩაში მოძრაობა საერთოდ არ იქნებაო. ჩვენ რომ ყველანი წესიერად ვიქცეოდეთ, მერე მასაც ვეტყოდით, — შენც წესიერად მოიქეციო. იმდენი ალღო კი აქვს ჩვენს პრეზიდენტს, რომ გაითვალისწინებდა ამას და ეტყოდა თავისიანებს, ამდენს ნუ იპარავთო (თორემ თვითონ, კაცმა რომ თქვას, ცუდად არ იქცევა). პრეზიდენტს თავისი გარემოცვის უწესობაც აძლევს ხელს. გეუბნება, — მე რომ არ ვიყო, ისინი უფრო უწესოდ მოიქცეოდნენ, პარლამენტი მთლად აიშვებდა, გამგებლები აიწყვეტდნენ, პოლიცია ყველას დაგი-

# „ცისკარიშვილი თანაგუნდელებმა გამოიყენეს და ამას ძალიან განიცდის“



პეტრე ცისკარიშვილს პარლამენტში მოწყობილი ვენდეტა არ აპატიეს. სააკაშვილმა შურისმაძიებელი თანამებრძოლი მოიკვეთა — პარტიიდან გარიცხა. მალე ცისკარიშვილს სადეპუტატო იმუნიტეტსაც მოუხსნიან და კანონის წინაშე პასუხისგებას დააკისრებენ.

თუმც კულუარებში ამბობენ, რომ პარლამენტის სიმკაცრე პოლიტიკური რევანშით უფროა განპირობებული, ვიდრე წესრიგისა და კანონიერების დაცვის სურვილით.

ისიც ითქვა, ცისკარიშვილს გამართლების სანაცვლოდ „გამოქალაქევებაც“ შესთავაზესო. „სისხლის აღების“ მოყვარული დეპუტატის ბედი ამ კვირას გადაწყდება. ვესაუბრებით პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს **როსტომ დოლიძეს**, რომელსაც გასულ კვირას 28 წლის პარლამენტართან აღმზრდელობითი საუბარი ჰქონდა.

— ისედაც ბინძური პოლიტიკა ჩვენთან ზომაზე მეტად დაბინძურდა. ბოლო დროს პირადი და ჯგუფური ინტერესები გახდა მთავარი. კორუფციას კორუმპირებული ხელებით ვებრძვით. კანონის აღსრულებას ვითხოვთ, როცა თვითონ არ ვიცავთ ამ კანონს. ამიტომაც არის პარლამენტში ასეთი ქაოსი.

ცისკარიშვილის შემთხვევაში, პოლიტიკური გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგი ვარ, არ დავუშვებ ამას.

**— ეი. არის „ვაჭრობის“ სიმპტომები?**

— იმ ფონზე, რაც ხდება, არ გამოვრიცხავ ამასაც. ყველაფრის თქმა სიკეთეს არ მოიტანს... ვეცდები, ჩვენმა კომიტეტმა მაქსიმალურად დაიცვას ობიექტურობა.

**— ობიექტურობის დაცვას ეყოფა თქვენი კომიტეტის ძალისხმევა?**

— ვფიქრობ, უნდა ეყოს. პარლამენტის ნორმალურ საქმიანობას ხელს ის უშლის, რომ აქ თავის დროზე არ კანონობდა კანონი. 60-70 პარლამენტარს თანამდებობრივი შეუთავსებლობა აქვს პარლამენტში, ზოგი მხოლოდ საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის არის აქ მოსული და ბუნებრივია, ასეთ ხალხზე ზეწოლა იოლია, ძალაუნებურად ვერ იქნება ობიექტური ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას.

ამას წინათ გიორგი ბარამიძის, ელდარ შენგელაიასა და ელენე თევდორაძის საკითხი ვერ გადაწყვიტა პარლამენტმა. ვფიქრობ, მათთვის უნდა მოეხსნათ უფლებამოსილება და სხვებიც მიეყოლებინათ, მაგრამ რაკი „შეუთავსებელი“ დეპუტატი ყველა ფრაქციას ჰყავს, თავი აარიდეს ამ თემაზე მსჯელობასა და საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღეს. უბედურება ის არის, რომ სხვადასხვა ძალას ყოველთვის ექნება ერთმანეთზე ზეწოლის საშუალება. მიდის ამ „შეუთავსებელი“ დეპუტატების დაშანტაჟება, მართვა, მათ იძულებულს ხდიან მუდმივად ლავირებდნენ და რაღაცაზე რიგდებოდნენ პარლამენტარის სტატუსის შესანარჩუნებლად.

**— თქვენ ამას წინათ განაცხადეთ, პეტრე ცისკარიშვილი „ისპოლნიტელი“ იყოო.**

— ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი თავის რიგით წევრებს პიროვნებებად კი არ მიიჩნევს, არამედ მხოლოდ რაღაც ფუნქციას აკისრებს. სთხოვს ყველაფერზე ხელის აწევას (ისე, რომ მის აზრს არ ითვალისწინებს და რაღაც დავალებების შესრულებას აიძულებს).

არ მინდა პეტრე ცისკარიშვილს გული ვატკინო, მაგრამ იგი თანაგუნდელებმა მართლაც „ისპოლნიტელად“ აქციეს, — თავიანთი პოზიციის წარმოჩენა დაავალეს. გასულ პარასკევს ვესაუბრე მას და გული დამწყდა. შევატყვე, თვითონაც ფიქრობს, რომ გამოიყენეს და ამას ძალიან განიცდის. მითხრა, — ზოგჯერ ისეთი განცხადების გაკეთება მიწევდა, მერე ვნანობდიო.

**— ანუ ცისკარიშვილს „შავ საქმეს“ აკეთებინებდნენ?**

— სწორედ ეს მქონდა მხედველობაში. ვერ შევკადრე, მეკითხა, — ვინმე ხომ არ გაქეზებდა საგანელიძის წინააღმდეგ-მეთქი, მაგრამ როცა ინციდენტის შემდეგ განაცხადა, — კიდევ ორი მყავს გასალახიო, მივხვდი — ეს ბიჭი დაბოლმილი იყო.

**— კიდევ აპირებს იმ „ორზე“ შურისძიებას?**

— არა, ნანობდა, ეს როგორ ვთქვიო. ვიღაცამ ისე შეუნთო, რომ ეს ათქმევინა. ისიც ვიცი, ზოგიერთები ჩემთან შეხვედრასაც არ ურჩევდნენ. საუბრისას გამომიტყდა, ნეტავ აქამდეც მოვსულიყავი თქვენთანო. სხვათა შორის, მომხდარის შემდეგ პეტრე თითქოს დაღვინდა — ბევრ რამეს სხვა თვალით შეხედა. განიცდის, პარტიიდან რომ გარიცხეს.

**— ხომ არ ფიქრობს, მეგობრებმა გასაჭირში მიმატოვესო?**

— რა თქმა უნდა... ხომ გახსოვთ, პეტრე გატაცებული რომ იყო. ბუნებრივია, დიდ სტრესსაც მიიღებდა. მეტი ყურადღებით უნდა მოპყრობოდნენ თანაპარტიელები. ეტყობა, საკუთარმა მდგომარეობამ — „ისპალნიტელობამაც“ გააბოროტა და მიიყვანა დანაშაულამდე.

პეტრე ცისკარიშვილმა დააშავა და პასუხი უნდა აგოს. ასევე უნდა მოეკითხოს იმათაც, ვინც ბოლოდროინდელ ცემა-ტყეპაში მონაწილეობდა. პროკურატურას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ცისკარიშვილის მიცემაზე თანხმობა განვუცხადეთ, მაგრამ მის დაპატიმრებას ჯერჯერობით არ ვეთანხმებით.

**— საგანელიძემ რომ აპატიოს ცისკარიშვილს, მის საკითხს აღარ განიხილავენ?**

— ცისკარიშვილმა საზოგადოების წინაშე დააშავა. შესაძლოა, საგანელიძის პატიებამ შეარბილოს მისი მდგომარეობა, მაგრამ ეს გადამწყვეტი არ იქნება.

**— საბოლოოდ, ვინ გადაწყვეტს ცისკარიშვილის ბედს?**

— ჩვენი კომიტეტი, პარლამენტი და თვითონ საგანელიძეც...

**— ერთი სიტყვით, ადასტურებთ, რომ პარლამენტში სრული ქაოსი და უწესრიგობაა.**

— დიახ. აღმაშფოთებელია, როცა მოსახლეობა შესცქერის, როგორ არღვევენ პარლამენტარები კონსტიტუციას, კანონდარღვევით იღებენ კანონებს, არ ითვალისწინებენ რეგლამენტს. კანონით, პარლამენტარს განსახილველ საკითხზე გამოსვლა მხოლოდ ერთხელ შეუძლია. ჩვენთან კი რა ხდება? ზოგიერთს მიკროფონს ვერ აცილებენ. რა თქმა უნდა, ყველა არ არის ასეთი თავხედი, არ მიმართავს პოპულისტურ დემაგოგიას. ასეთები ტელეეკრანიდან პასიურ დეპუტატებად მოჩანან. თუნდაც ამიტომ უნდა აიკრძალოს პარლამენტის სხდომების ტრანსლაცია, რათა ზოგიერთს ტელეკამერის წინ კეკლუცობის საშუალება მოესპოს. დამერწმუნეთ, ამ შემთხვევაში 10-11-ჯერ შემცირდებოდა გამომსვლელთა რიცხვი. პარლამენტარები ერთმანეთს იმდენად არ უწევენ ანგარიშს, რომ დღის 11 საათის ნაცვლად, საღამოს მოდიან პარლამენტში — 100 კაცი მათ მოსვლას ელოდება, რომ მუშაობა დაიწყოს.

**— თქვენი აზრით, პეტრე ცისკარიშვილი განტევების ვაცია თუ ინტრიგების მსხვერპლი?**

— პეტრე უფრო გარემოების მსხვერპლია. ნუ გვიკიჟინებენ, — სახელისუფლებო პარტიამ ოპოზიციის წევრი გაწირაო. სინამდვილეში, პეტრე ცისკარიშვილი თვითონ ოპოზიციამ გაწირა. პეტრე სააკაშვილის ფრაქციაში ისე მიავლინეს, მისთვის არც უკითხავთ, უნდოდა თუ არა იქ გადასვლა.

დღეს ცისკარიშვილი შეგუებულია იმას, რომ პარლამენტიდან წავა. წუხს, მომავლისთვის გზა გადავიღობეო. დავამშვიდე, ღირსეულად მოიქეცი, შესაძლოა უკეთესიც არის, ასე რომ მოხდა, სწორ გზას დაადგები. ვეცადოთ ამ მდგომარეობიდან კონსტრუქციულად გამოვიდეთ-მეთქი.

**— რამდენიმე დღის წინ თქვენმა მოადგილემ, ხათუნა ხოფერიამ დატოვა თანამდებობა, მის თანაგუნდელებზე (შენგელაია, ბარამიძე, თევდორაძე) ანგარიშსწორების მცდელობის გამო. ამით მან ბრალი საპროცედურო საკითხთა კომიტეტს დასდო.**

— მისი განცხადება არაობიექტური იყო. ვესაუბრე, ვცდილობდი გადამეფიქრებინა მისთვის წასვლა. იუარა, — ვერ დავრჩებიო. მისთვის არაერთხელ მითქვამს და თქვენც გაგიმხელთ — მასაც „ისპალნიტელის“ როლი აკისრია პარლამენტში. ხათუნა ბუნებით მორიდებულია, კეთილი და მეგობრული. ვფიქრობ, ეს ფაქტორებიც განაპირობებს მის „ისპალნიტელობას“.

**— როდის იყო პოლიტიკოსს პარტიული ინტერესის დაცვა ნაკლად ეთვლებოდა?**

— პარტიული ინტერესი უნდა დაიცვა, მაგრამ „ისპალნიტელი“ კი არ უნდა იყო.

**— თქვენთვის არ უთქვამთ თანაპარტიელ „მოქალაქეებს“, პარტიული ინტერესის შესაბამისად, მოღალატე ცისკარიშვილი სამაგალითოდ დასაჯეთო.**

— ვინც მიცნობს, ამას როგორ მაკადრებს? ეს რომ გავაკეთო, ინტრიგანი ვიქნები. პეტრეს მიმართ არაობიექტურობის გამოჩენა, პირიქით, ავნებს „მოქკავშირს.“

P.S. ბოლოდროინდელი საპარლამენტო ცემა-ტყეპის შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სხდომათა დარბაზის კურთხევას აპირებს. იქნებ ამან მაინც „მოაქციოს“ დეპუტატები და ერთმანეთის „გალამაზების“ ნაცვლად, ეროვნულად დაიწყონ აზროვნება.

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

# ჩაკეტილი შლაგბაუმი ნატოსკენ მიმავალ გზაზე

პრაღაში NATO-ს სამიტზე საზეიმოდ გამოთქმული სურვილი, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისა, შეიძლება საპნის ბუშტივით გაქრეს, თუკი საბოლოოდ არ მოგვარდება ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსების საკითხი, რომელიც ნატოსკენ მიმავალ გზას შლაგბაუმივით ჩაკეტავს.

გენერლების „ნიანგის ცრემლები" — ფულს რომ არ გვაძლევთ, ჯარისკაცს რა ვაჭამოთო, — შეიძლება საზოგადოების დიდმა ნაწილმა მორიგ ფარსად მიიჩნიოს, მაგრამ ამ სტრუქტურების დაფინანსების საქმე მართლაც რომ სავალალოა.



28 ნოემბერს პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თაოსნობით განხილულ იქნა „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის" პროექტი. განხილვას თითქმის ყველა ძალოვანი სტრუქტურის თავკაცი ესწრებოდა. მათი პრეტენზიები დაგვიანებით მოსული ფინანსთა მინისტრისკენ იყო მიმართული. ბოლოს, ამ უკანასკნელმაც ველარ გაუძლო ძალოვანთა შეტევას და დარბაზის სასწრაფოდ დატოვებამდე ერთი კონტრიერიში მაინც მოასწრო: — სანამ არ გაარკვევთ თქვენს სტრუქტურებში ოფიცრებისა და ჯარისკაცების თანაფარდობას, მანამდე კაპიკსაც ვერ მიიღებთო!

ისე, მართლაც გასაკვირია, რას ერჩიან ვარსკვლავებით დახუნძლული ძალოვანი მინისტრები ერთ ახალგაზრდა ფინანსთა მინისტრს? კიო ხომ არ არის, ფული არსაიდან გააჩინოს? ნუთუ ასე ძნელი გასაგებია, რომ ამ ქვეყანაში ბიუჯეტის განაწილებას ფინანსთა მინისტრი ერთპიროვნულად არ წყვეტს და გზა ყველაზე მაღალი პოსტისკენ მიდის?!

თუმცა, დავანებოთ თავი ძალოვანთა და ფინანსთა მინისტრების შერკინების მორიგ რაუნდს (არადა, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ასეთი მორიგი რაუნდი ნამდვილი ნოკდაუნით დამთავრდება) და გადავიდეთ რეალურ ციფრებზე:

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტები ყველა უწყებამ წარმოადგინა, მაგრამ შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ მკვეთრად შემცირებული რაოდენობა ასახა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში.

თავდაცვის სამინისტრომ თავის განაცხადში 129.314.012 ლარი დააფიქსირა. აქედან სამხედრო ფინანსისტების აზრით, 57.946.453 ლარი პირადი შემადგენლობის ხარჯებს (შრომის ანაზღაურება, კვება ნატურით, დანამატი ხელფასის 40 ლარით გასაზრდელად, უნიფორმა და სხვ.) დასჭირდება. 35.737.589 ლარი — საბრძოლო შენაერთების ქმედითუნარიანობას (მივლინებები, საოფისე ხარჯები, მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები, საწვავის შეძენა, სათადარიგო ნაწილები, ტყვია-წამლის შეძენა), ხოლო 35.630.000 ლარი კი მოდერნიზაციასა და ინვესტიციებს.

სამხედროების მოთხოვნა ორჯერ შეკვეცეს და თავდაცვის სამინისტროსთვის გამოსაყოფი ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები 57,3 მლნ ლარით განსაზღვრეს, საიდანაც 50,8 მლნ ლარს ცენტრალური ბიუჯეტი გამოყოფს, ხოლო 6,5 მლნ ლარი სპეციალური შემოსავლებიდან უნდა იქნეს ამოღებული.

2002 წლის ბიუჯეტთან — 38,5 მლნ ლართან შედარებით (მართალია, პარლამენტმა 13 სექტემბერს იგი 13 მლნ-ით გაზარდა, რაც დღემდე არ მიუღიათ სამხედროებს) გაისისთვის განსაზღვრული ასიგნებები ერთი შეხედვით, მართლაც მომატებულია, თუმცა რეალურად ეს ასე არ არის. რადგან მარტო 18-20 მლნ ლარი 2003 წელს ხელფასის, კვებისა და უნიფორმის სახით დაიხარჯება „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილეებისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეარყევს სამხედროთა ბიუჯეტს.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო 18,3 მლნ ლარს მოითხოვდა, მაგრამ იგი ბიუჯეტის კანონის პროექტში 10,2 მლნ-მდე შეუმცირეს. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოთხოვნილი 5.292.000 ლარი 1,8 მლნ-მდე ჩამოიყვანეს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მოთხოვნილი ბიუჯეტი 27.210.600 ლარიდან 12,2 მლნ ლარამდე შეუმცირეს.

შედარებით ნაკლებად დაიჩაგრა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური — მათ მიერ 2003 წლისთვის მოთხოვნილი 12,1 მლნ ლარი მხოლოდ 94 ათასით შეამცირეს.

**საქართველოს პრეზიდენტს სურს თავისი ქვეყანა NATO-ში შეიყვანოს, მაგრამ იცის კი საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, როგორ უჭირს მის არმიას?!**



დარჩენილი 12.006.000 ლარიდან 7,8 მლნ ლარს ცენტრალური ბიუჯეტი გაიღებს, ხოლო 4,2 მლნ ლარი ამ უწყების სპეციალური შემოსავლებიდან მისაღები სახსრებია.

საპარლამენტო მოსმენაზე ყველა გააკვირვა შინაგანი ჯარების მოთხოვნამ — ისინი გაისად 41.519.800 ლარის მიღებას გეგმავდნენ! გასაგებია, რომ შინაგანი ჯარი ერთგვარი „სახანძრო მანქანის" როლს თამაშობს და მას ხშირად გადაისვრიან ხოლმე ყველაზე საშიში მიმართულებით, მაგრამ ამხელა თანხის მოთხოვნა დღევანდელი ბიუჯეტიდან ცოტა არასერიოზულად მოჩანს. ამიტომაც შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა ალბათ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, როდესაც მათი მომავალი წლის ბიუჯეტი სულ 4.307.800 ლარით ანუ ათჯერ ნაკლებით განისაზღვრა. თუმცა ეს მეორე უკიდურესობაა და ნამდვილად არ არის სამყოფი შინაგანი ჯარებისთვის.

საგაისო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში დაფიქსირებული ასიგნებებით ყველა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი ფრიად უკმაყოფილო დარჩა, თუმცა რამდენიც არ უნდა იცენ გულში მჯიღი, ვერაფერს შეცვლიან. საჭიროა ახალი მიდგომა ძალოვანი სტრუქტურების დასაფინანსებლად, რათა არ იყოს მუდმივი ხვეწნა-მუდარა-მუქარა — მომეცი-არ მოგცემ!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ **ირაკლი ბათიაშვილს** თავისი პოზიცია გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით, მთავარი სამხედრო უწყების — თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაწერა უნდა მოხდეს არა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის უწყებებზე საერთო წესით გადანაწილების პრინციპით, არამედ განისაზღვროს მყარი პროცენტით საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლებთან მიმართებაში, ანუ დამოკიდებული უნდა იყოს არა საერთაშორისო დახმარებებზე, სპეციალური ფონდებიდან მიღებულ შემოსავლებზე თუ თავად უწყებების სპეციალური სახსრებიდან მიღებულ შემოსავლებზე, არამედ ქვეყანაში რეალური დასაბეგრი ბაზიდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლებზე და მხოლოდ მცირედით — ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებზე.

ეს ძალიან რთული წინადადება პრაქტიკაში შემდეგნაირად ჟღერს — ვინაიდან „2003 წლის ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტში ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლები განისაზღვრა 729,7 მლნ ლარით, თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვროს ბიუჯეტის ამ ნაწილის 11,1%-ით, რაც 80 მლნ ლარს შეადგენს.

ეს განსხვავებული მიდგომა თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებასთან დაკავშირებით დღეისათვის ერთ-ერთ მისაღებ ვარიანტად ჩანს და იგი ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენს სამხედროებისა და ფინანსისტების რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებს შორის.

# ან ჯარიმა, ან კონფისკაცია

ყველას გვახსოვს, როგორი ხმაური მოჰყვა თურქული თევზსაჭერი სეინერის „შექერ ბაბას" დაკავებას. მაშინ ქართველ მესაზღვრეებს გამაფრთხილებელი სროლაც დასჭირდათ, რათა საზღვრის დამრღვევი უცხოური გემი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ იჭერდა თევზს, როგორმე ფოთის სამხედრო პორტში შემოეყვანათ.

შეიძლება მაშინ ცეცხლის გახსნა ზღვაში ზოგიერთმა ზედმეტადაც მიიჩნია, მაგრამ ეს მიღებული წესია. უფრო მეტიც, რუსმა მესაზღვრეებმა თვითმფრინავიდან გახსნილი ცეცხლით ჩაძირეს კამჩატკასთან მოცურავე მათივე გემი, რომელიც არ დაემორჩილა მესაზღვრეთა მოთხოვნას, ხოლო შავ ზღვაში უკრაინელი მესაზღვრეების ცეცხლს თურქი-კონტრაბანდისტების გემის ეპიკაჟის რამდენიმე წევრიც შეეწირა.

ქართველ მესაზღვრეთა გამაფრთხილებელი სროლა იძულებითი გახლდათ, რადგან საქართველოს საზღვაო საზღვრის მრავალრიცხოვანი დამრღვევი რუსეთის, უკრაინის, ხოლო უფრო ხშირად — თურქეთის დროშით დაცურავენ და აინუნშიაც არ აგდებენ ქართველი მესაზღვრეების სამართლიან მოთხოვნებს.

ამჟამად დაკავებული თურქული სეინერი კვლავ ფოთის სამხედრო პორტში იმყოფება. სიტუაციის გასარკვევად დავუკავშირდით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალ-მაიორ **დავით გულუას**.

**— ბატონო დავით, რა ბედი ელის დაკავებულ გემს?**

— სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც თურქულ სეინერ „შექერ ბაბას" ბრალი ედება საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერაში, რის გამოც მოხდება მისი მფლობელის დაჯარიმება 65 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ჩვენ, მესაზღვრეები, საქართველოს ტერიტორიული წყლების უკანონო გადმოკვეთისთვის მათ 200 ათასი ლარით ვაჯარიმებთ. საერთო ჯამში მათ 265 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ. უკანონოდ ნარეწი, დაახლოებით 7 ტონა თევზი



**ქართული ტერიტორიული წყლების დამრღვევის დაკავება ქართველმა მესაზღვრეებმა მხოლოდ გამაფრთხილებელი სროლის შემდეგ შეძლეს**

უკვე ჩამორთმეულია, ინახება მაცივრებში და გამოვიყენებთ პირადი შემადგენლობისთვის.

**— თუკი ისინი არ გადაიხდიან ნახსენებ ჯარიმას?**

— მაშინ, წესით, უნდა ჩამოერთვათ სეინერი. მათ 2 დეკემბრამდე აქვთ ვადა სასამართლოში წარმოადგინონ საჩივარი ჩვენს მოთხოვნებზე, ჯერჯერობით, ასეთი საჩივარი ოფიციალურად არ შემოუტანიათ.

ჩვენ ადრეც ვწერდით ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებულ ქართული წყლების დამრღვევ გემებზე, მაგრამ მათი უმეტესობა სასაცილო გადასახადით — ასიოდე ლარით — შველოდა თავს. თუკი შეიქმნება პრეცედენტი და „შექერ ბაბას" მფლობელს მართლაც სრულად გადაახდევინებენ ჯარიმას, მაშინ სხვა თურქული სეინერების კაპიტნები კარგად დაფიქრდებიან, ვიდრე ქართულ საზღვაო საზღვარს უკანონოდ გადმოკვეთენ.

თუმცა მაინც რჩება საშიშროება, რომ ამ საქმეში დიდი პოლიტიკა ჩაერევა და „შექერ ბაბა" დაუსჯელად დაბრუნდება სამშობლოში. ასეთი დამრღვევი გემები კი იმავე თურქეთიდან ათობით შემოდის.

მაინც რა იზიდავთ საქართველოს საზღვაო ზოლში უცხოელებს? რა თქმა უნდა, პირველ რიგში „თეთრ ლაქად" ქცეული აფხაზეთი, მისი მდიდარი ბუნება და წიაღისეული. თუკი „შექერ ბაბა" თევზჭერით იყო „გართული", სხვა, უფრო დიდგაბარიტიანი გემები ოჩამჩირის პორტიდან ტყვარჩელის ქვანახშირს ეზიდებიან.

საგულისხმოა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების გამო, აფხაზეთში ერთმანეთს შეეჯახა გავლენიანი რუსი და თურქი ბიზნესმენების ინტერესები. სამწუხაროდ, შიდა-გარჩევებით დაკავებული ქართველებისთვის იქ შესვლის ნებაც არავის უთხოვია.

**(გაგრძელება იხ. გვ. 9)**



# ან ჯარიმა, ან კონფისკაცია

*(დასაწყისი იხ. გვ. 8)*

შავი ზღვა არის ის მთავარი მიმართულება, რომელიც აფხაზ სეპარატისტებს საშუალებას აძლევს, თავი მშვენივრად იგრძნონ; აფხაზეთის პორტებში უცხოეთიდან შემოტანილი კონტრაბანდული ტვირთი შემდგომში ზუგდიდის გავლით ხვდება დანარჩენ საქართველოში, რაშიც აფხაზ სეპარატისტებს ძმურად უდგანან მხარში დიდჩინოსანი ვაიქართველები.

საზღვაო კონტროლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მნიშვნელოვნად შეასუსტებდა როგორც აფხაზი სეპარატისტების კონტაქტებს საზღვარგარეთ, ისე აფხაზეთიდან კონტრაბანდული ტვირთის მოხვედრას ქართულ ბაზრებში, მაგრამ საამისოდ არც თანხები გამოიყოფა (საზღვაო აკვატორიის კონტროლს ყოველწლიურად მესაზღვრეთა ბიუჯეტისთვის გამეტებული მთლიანი თანხის ნახევარი უნდა) და არც საქმის მოგვარების დიდი სურვილი ჩანს, რადგან კონტრაბანდული ტვირთის შემოსვლის ერთ-ერთი მთავარი გზის გაუქმება თბილისში თანამდებობებისა და პოლიტიკური ბალანსის მტკივნეული გადანაწილების დაწყებას გამოიწვევს.

*P.S. სეპარატისტულმა სოხუმმა გასულ კვირას ქართველი მესაზღვრეები კოდორის ხეობის მილიტარიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა. საქმე ის არის, რომ ამერიკული მხარის ფინანსური დახმარებით მესაზღვრეებს განსაზღვრული აქვთ კოდორის ხეობაში, მესტიასა და ლაგოდეხში საველე აეროდრომების გახსნა, რომელსაც Ан-28 კლასის მცირე სამგზავრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის მიღება შეეძლება (თავად ერთი ასეთი თვითმფრინავი ისევ ამერიკელებმა ვალერი ჩხეიძის უწყებას წელს უკრაინაში უყიდეს). სოხუმში კი ჩათვალეს, რადგანაც ქართველები თვითმფრინავების დასაჯდომ აეროდრომს აკეთებენ საკენთან, ე.ი. საჭიროებისამებრ დამატებითი სამხედრო ძალის დიდი რაოდენობით გადმოსხმაც შეეძლებათო. სინამდვილეში, აფხაზები ერთ პატარა ტექნიკურ ნიუანსში იჭრებიან — Ан-28-ს მხოლოდ 17 კაცის წაყვანა თუ შეუძლია მაშინ, როდესაც მესაზღვრეთა Ми-8МТ შვეულმფრენს, რომელსაც არავითარი აეროდრომი არ სჭირდება, 25-30 კაციც კი გადაჰყავს. ასე რომ, თუ თბილისმა მოინდომა ცოცხალი ძალის გაზრდა კოდორის ხეობის ქართულ სოფლებში, ამას შვეულმფრენებითაც მოახერხებს. თანაც საკენსა და მესტიაში ახალი აეროდრომები კი არ შენდება, არამედ უნდა კეთილმოეწყოს ძველები.*

## გამოცხადებული ნადირობა პრეზიდენტებზე

25 ნოემბერს, დილით, თურქმენეთის პრეზიდენტმა თავისი ქართველი კოლეგის ბედი გაიზიარა — მასაც მშობლიური დედაქალაქის ცენტრში გაუბედეს თავდასხმა.

თურქმენბაშის არც გაუგია ავტომატების კაკანი. იგი თავად იჯდა ავტომობილის საჭესთან და მხოლოდ რეზიდენციაში შეიტყო, რომ მისი კორტეჟის დაცვის მანქანები თავდამსხმელების ავტომატების სამიზნეები გახდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს თავდასხმა პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა მაშინვე თავის ოპოზიციას დააბრალა, მაგრამ რატომღაც 100-მდე სასწრაფოდ დაპატიმრებულ ეჭვმიტანილში ოთხი ქართველიც მოხვდა — ისინი თავდაპირველად დაქირავებულ ტერორისტებად ჩათვალეს, თუმცა ქართული სპეცსამსახურის წარმომადგენლები ამას უარყოფენ — დაკავებულ ქართველებს ბრალი შეიძლება მხოლოდ სავიზო რეჟიმის დარღვევაში დასდონო.

თურქმენბაში, მართალია, ისე გადაურჩა ტერაქტს, რომ ეს ვერც გაიგო (აბა, რა უნდა თქვას მისმა ქართველმა კოლეგამ, ვის ავტომობილს ხან მიმართული ნაღმით აფეთქებდნენ, ხანაც ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს ესროდნენ), მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ იმავე დღეს იგეგმება გრანდიოზული ტერაქტი დსთ-ის წევრი ქვეყნის კიდევ ერთ პრეზიდენტზე, ამჯერად რუსეთის თავკაცზე. ამ შემთხვევაშიც ტერორისტული აქტი დედაქალაქის ცენტრში უნდა მომხდარიყო — მოსკოვის ერთ-ერთი ხიდის ქვეშ ტროტილით სავსე სამი ყუთი მილში იყო ჩამონტაჟებული და ელოდა თავის მსხვერპლს — პრეზიდენტ პუტინის ლიმუზინს. ეს ინფორმაცია საბოლოოდ არ არის გარკვეული, თუმცა რუსეთის პრესაში ხმებმა მოსალოდნელ ტერაქტზე უკვე გაჟონა. თუ ამ ინფორმაციას დავუჯერებთ, ტროტილი 40 კგ იყო, რაც სრულიად საკმარისია არათუ შეჯავშნული ლიმუზინის, 40-ტონიანი ტანკის ასაფეთქებლად.

პრეზიდენტებზე ნადირობა და ისიც დედაქალაქების ცენტრებში, ერთგვარ მოდად იქცა, თუმცა ისინი, საბედნიეროდ, წარუმატებლად მთავრდება, რაშიც გადამწყვეტ როლს პირველი პირების შეჯავშნული მანქანები და მრავალრიცხოვანი დაცვის სამსახური თამაშობს.

ადრე კი ტერორისტების სამიზნენი უშუალოდ პრეზიდენტები იყვნენ. ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ აშშ-ის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტს გულის ქვეშ ტყვია ჰქონდა გაჩერებული. მას 1912 წელს დაესხნენ თავს. როდესაც იმჯერად პრეზიდენტობის კანდიდატი რუზველტი სიტყვით გამოსვლას აპირებდა, მიუახლოვდა ერთ-ერთი მსმენელი და მოულოდნელად 38-ე კალიბრის პისტოლეტი ესროლა. ტყვია რუზველტს გულის ქვეშ მოხვდა და დაჭრა, თუმცა იგი გადარჩა, რადგან გულის ჯიბეში 50-ფურცლიანი გამოსვლის ტექსტი ედო და დაკეცილი ქაღალდის ფურცლებმა ერთგვარი ჯავშანჟილეტის როლი ითამაშა. თავდამსხმელი ფსიქიკურ კლინიკაში გაამწესეს. იგი მხოლოდ ერთს ითხოვდა — რუზველტს მისი ტყვია გულით კი არ ეტარებინა, არამედ მუზეუმში მოეთავსებინათ.

## ქუჩებში ტყვიამფრქვევებიანი „ნივები“ გამოჩნდებიან...



საინტერესოა, როგორი იქნება მძღოლის რეაქცია, როდესაც შუქნიშანთან, მწვანე შუქის მოლოდინში, გვერდით დაუდგება ერთი შეხედვით ჩვეულებრივი „ნივა“, რომელსაც სახურავზე ПКМ-ის ტყვიამფრქვევი ექნება დამაგრებული?!

მალე, ეტყობა, ეს რეალობად იქცევა, რადგან რუსეთში, ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში დაფუძნებული ფირმა „ტეხნოსერვისი“ აქვეყნებს რეკლამას და საჯაროდ სთავაზობს ყველა მსურველს, საკუთარი ავტოს შეიარაღებას.

ასეთ მსურველთა შორის პირველნი ის მაფიოზური დაჯგუფებები აღმოჩნდებიან, რომლებიც ქალაქის ქუჩებში ნამდვილ ომს მართავენ — მათთვის ტყვიამფრქვევიანი და ყუმბარსატყორცნიანი მსუბუქი ავტომობილები პირდაპირ მისწრება იქნება.

ოთხკარიანი „ნივის“ შეიარაღებულ ვარიანტს Улан-ი უწოდეს. მის სალონში ჩამონტაჟებულია უსაფრთხოების კარკასი, რომელიც მგზავრებს ტყვიებისგან დაიცავს. მანქანის სახურავზე კი დამონტაჟებულია სპეციალური ტურელი, რომელზეც ПКМ-ის ტიპის ტყვიამფრქვევია მოთავსებული. შეიარაღებულ „ნივას“ ახალი, 150 ცხძ-ის სიმძლავრის ძრავა დაუყენეს, რის შემდეგადაც მას მაქსიმალური 180 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია.

რუსი კონსტრუქტორები უფრო შორს წავიდნენ — მათ მაღალი გამავლობის УАЗ-ის ვარიანტს, Гусар-ად წოდებულ „შედევრს“ შიგნიდან ასევე დაუყენეს უსაფრთხოების კარკასი. თუმცა „ნივისგან“ განსხვავებით, გარდა ПКМ ტყვიამფრქვევისა, АГС-17 ტიპის ავტომატური ყუმბარსატყორცნითაც აღჭურვეს. 2,25-ტონიანი Гусар-ი 200-ცხძ-იანი ძრავით მაქსიმალურ 170 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

მალე ალბათ მსუბუქ მანქანებს რაკეტებითაც აღჭურავენ, მთავარია, როგორი იქნება შეკვეთა.

## სამხედრო კალეიდოსკოპი



### ამერიკულ პროგრამას ქართველი ჯარისკაცი გაექცა

„წვრთნისა და აღჭურვის“ ქართულ-ამერიკული პროგრამით მიმდინარე ტაქტიკური წვრთნებიდან, რომელსაც ამჟამად „კომანდოს“ ბატალიონის პირადი შემადგენლობა გადის, გიორგი შეყილაშვილის გაქცევამ საზოგადოებაში გარკვეული რეზონანსი გამოიწვია. იგი, ისევე, როგორც ბატალიონის დანარჩენი წევრები, თავისი სურვილით ჩაება ამ პროგრამაში, ამიტომაც ძალზე უცნაურად ჩანდა კურსანტის ბანაკიდან თვითნებურად წასვლა, თანაც იარაღით ხელში! ავტომატი მალევე იქნა დაბრუნებული ნაწილში. რაც შეეხება გიორგი შეყილაშვილს, მას, ეტყობა, ჰქონდა რაღაც საბაბი ასე მოქცევისა, რითაც, რასაკვირველია, ანტირეკლამა გაუწია ახალდაწყებულ საკონტრაქტო სამსახურს. თუმცა ასეთი რამ ნებისმიერ არმიაში, მათ შორის ჩვენ მიერ იდეალურად წარმოდგენილ ამერიკულ არმიაშიც ხშირად ხდება. უბრალოდ, საჭიროა მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ზედმიწევნით გამოიკვლიოს ყველა ის მიზეზი, რამაც შეყილაშვილს ეს ნაბიჯი გადაადგმევინა.

### საქართველოს საზღვართან რუსი მესაზღვრე თავისიანებს ხოცავდა

რუსეთ-საქართველოს საზღვრის „პტიშის“ საგუშაგოზე რუსმა მესაზღვრემ დენის სოლოვიოვმა 8 თანამებრძოლი მოულოდნელად მოკლა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მან ინციდენტამდე ჰალუცინაციების გამომწვევი სოკო მიირთვა. ისე, საინტერესოა, ასეთი რა გაუჭირდა რუსეთის არმიას, რომ მისი ჯარისკაცები სოკოს ჭამაზე გადავიდნენ? „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში იმ რუს ჯარისკაცებზე ვწერდით, რომლებმაც ლენცოფაც ჭამეს და კომაში ჩავარდნენ.

## არსენალი

# პენტაგონი ერაყის დასაბომბად ულტრათანამედროვე იარაღს ამზადებს

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს სამხედრო დამკვირვებლები აგრძელებენ ერაყში საეჭვო ობიექტების კვლევას და მათ ამაში ხელს არ უშლიან, ამერიკულ და განსაკუთრებით ინგლისურ პრესაში გამოჩნდა მასალები, რომლებიც, სავარაუდოდ, სპეცსამსახურებმა მიაწოდეს მასმედიას. მათი მონაცემებით, მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებს სადამ ჰუსეინის ბრძანებით კერძო სახლებში მალავენ.

როგორც ჩანს, დასავლეთის მხრიდან ეს პირველი და უკანასკნელი ბრალდება არ იქნება. უფრო რეალურია, რომ თეთრი სახლი მაინც იპოვის საბაბს, რომელსაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აუცილებლად დაუჭერს მხარს და დაიწყება საბრძოლო ოპერაცია სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად.

ჩვენ „კვირის პალიტრის“ წინა ნომრებში მკითხველს გავაცანით ის სამი სცენარი, რომლის მიხედვითაც სავარაუდოა, რომ დაიწყოს საბრძოლო შეტევა ბაღდადზე.

ამჯერად კი გაგაცნობთ იმ ულტრათანამედროვე და ჯერჯერობით ზესაიდუმლო იარაღის სახეობებს, რომელთა პირველად გამოყენებას გეგმავს პენტაგონი.

ბევრს გაუგონია ამერიკული დამრტყმელი შვეულმფრენ „აპაჩის“ სახელი და თითქოს რაიმე საიდუმლო მასში აღარ უნდა იყოს. თუმცა პენტაგონი ერაყის წინააღმდეგ ამ შვეულმფრენის უახლესი მოდიფიკაციის AH-64D Longbow-ის გამოყენებას აპირებს. იგი აღჭურვილია რადიოლოკაციური სადგურით, რომელიც ხრახნების თავზეა განთავსებული და ერთგვარი „პერისკოპის“ როლს თამაშობს — ხევებს ან მთას მოფარებული „აპაჩი“ ზემოთ მხოლოდ რადიოლოკატორს „ამოსწევს“, თავად შვეულმფრენის კორპუსი კი უხილავი რჩება მოწინააღმდეგისთვის. ეს რადარი შეერთებულია მძლავრ კომპიუტერთან, რომელსაც 128 სამიზნის დაფიქსირება შეუძლია და ერთდროულად სხვადასხვა სამიზნის მიმართულებით Hellfire-ის ტიპის 16 მართვად რაკეტას ისვრის 10 კმ-ის მანძილზე. ამ კუმულატიური რაკეტის მოხვედრის შედეგად ყველა ერაყული ტანკი (ისინი ძირითადად საბჭოთა წარმოებისაა) განწირულია დასაღუპავად.

მაგრამ ახალი „აპაჩი“ ახალი იარაღის ერთადერთი სახეობა როდია, რითაც ბუში ჰუსეინის „გახარებას“ აპირებს — ამჯერად ამერიკელებს „დამხმარების ხელს“ ინგლისელები უწვდიან და ერაყის დასაბომბად მიკროტალღოვანი ბომბების გამოყენებას სთავაზობენ. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საავიაციო ბომბი მიწაზე დაცემამდე ჰაერში ფეთქდება, მაგრამ ნამსხვრევების ნაცვლად წარმოქმნის მძლავრ ელექტრომაგნიტურ ველს, რასაც მწყობრიდან გამოჰყავს მოწინააღმდეგის საბრძოლო ტექნიკის ყველა ელექტროხელსაწყო თუ მართვის ცენტრი.

ალბათ პენტაგონს ასე არ გაუჭირდებოდა, დახმარება ბრიტანელებისთვის რომ ეთხოვა, რადგან ამერიკელი კონსტრუქტორები ვერ ასწრებენ მორიგი „სათამაშოს“ დახვეწას — იგი არამომაკვდინებელი იარაღის კლასს განეკუთვნება. ამოქმედებისას მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას შაკიკის მაგვარი — აუტანელი თავის ტკივილი დაეწყება, რაც მათ ბრძოლის უნარს დაუკარგავს.

არ არის გამორიცხული, პენტაგონმა „მყრალი“ ბომბებიც გამოიყენოს — ისინი აფეთქებისას ისეთ სუნს დააყენებენ (თანაც ამაზრზენი სუნის რამდენიმე რეცეპტურა არსებობს), რომ ერაყელი ჯარისკაცები ავტომატების მაგივრად ხელში ალბათ ტაშტებს მოიმარჯვებენ.

თეთრ სახლს ყველაზე მეტად ის აშინებს, რომ სადამ ჰუსეინმა არ მოასწროს ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტების ისრაელის ან ქუვეითისთვის სროლა. ისრაელმა ერთხელ უკვე იწვნია ეს და ახლა გამალებით იარაღდება რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსებით (ამ დღეებში „პეტრიოტების“ პარტიას ებრაელები გერმანიაში შეიძინენ),




ქუვეითში კი განთავსებულია მსხვილი ამერიკული ბაზა და იქ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებით სავსე რაკეტის ქობინის ჩამოგდება დიდ არეულობას გამოიწვევს. განა იმიტომ, რომ ბევრი ამერიკელი სამხედრო მოიწამლება, არამედ შეიქმნება მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც ძალიან დასცემს ამერიკელთა საბრძოლო სულისკვეთებას.

ამ საშიშროების თავიდან ასაშორებლად უკვე რამდენიმე თვეა ერაყის თავზე „ჩამოკიდებულია“ ექვსი სადაზვერვო თანამგზავრი, მათ შორის სამი KH-11 და Lacrosse-ი. მხოლოდ ერთი პარამეტრის გახსნაა საკმარისი იმის გასაგებად, თუ რა შეუძლიათ ამ სადაზვერვო თანამგზავრებს — KH-11 დედამიწის ზედაპირზე 15 სმ-ის სიგრძის საგანს აფიქსირებს! სწორედ ამ თანამგზავრებს ევალებათ აღმოაჩინონ ის ოცამდე ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების მობილური „სკადის“ სარაკეტო დანადგარი, რომელიც სადამ ჰუსეინს ჯერ კიდევ შემორჩა.

მათ გარდა ერაყის საჰაერო სივრცეში მაღალ სიმაღლეზე ბარაჟირებას დაიწყებენ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავები Predator-ები, რომელთა ტელეკამერებსაც 25 კმ-ის სიმაღლიდან მიწაზე ხელნაწერის წაკითხვაც კი შეუძლიათ.

სადაზვერვო თანამგზავრებიდან და უპილოტო თვითმფრინავებიდან გადმოცემული ტელეკადრები რამდენიმე წამში აისახება ჰაერში მოდარაჯე ამერიკული დამრტყმელი თვითმფრინავების, მათ შორის უახლესი F/A-18E Super Hornet-ის პილოტის კაბინის მონიტორზე, რის შემდეგაც ერაყული „სკადების“ განადგურება მხოლოდ დროის საქმე იქნება.

მიწაში ღრმად ჩამალული ბუნკერების მოსასპობად (ერთ-ერთ მათგანში აუცილებლად იქნება შეყუჟული თავად სადამ ჰუსეინი) პენტაგონი ახალი ორტონიანი ბომბის GBU-28-ის „ამოქმედებას“ აპირებს. მიწაზე დაცემისას ეს ბომბი არ ფეთქდება. ის ვერტიკალურად ჩადის სიღრმეში და მხოლოდ ბუნკერის საფრის განგრევის შემდეგ ფეთქდება. „ჭკვიანი“ ბომბი სპეციალური სენსორებითაა აღჭურვილი, რომლებიც აფიქსირებენ ბომბის მიერ ჯერ მიწის ფენის, შემდეგ რკინის და ბოლოს, არმირებული ბეტონის ფენის გავლას და ბრძანებას, „აფეთქება“, მხოლოდ ამის შემდეგ იძლევიან.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# სიკვდილი ქალის სანაცვლოდ

*დასასრული*
*(დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №47)*

## გონიერი მურია

როგორ არ ეცადნენ ზესტაფონელი სამართალდამცველები, მაგრამ შემთხვევის ადგილის დათვალიერებამ ძიებას თავდაპირველად საგულისხმო ვერაფერი შემატა. მილიციის უფროსის მოადგილე კუკური ძაბირაძე და მისი ხელქვეითები საავტომობილო ტრასას მოედვნენ. იქვე, ვაჭევში, ავტოინსპექციის საგუშაგოზე, იმ ღამეს მორიგე ინსპექტორებმა იოლად გაიხსენეს, რომ გამთენიისას მართლაც ჩამოუვლიათ ერთ ლამაზ ქალსა და ახმახ მამაკაცს, რომელსაც ხელთ დიდი ჩანთა ჰქონია, მაგრამ არ ჩაუთვლიათ საჭიროდ მათთან გასაუბრება. მერე სოფლელებიც გამოჩნდნენ, რომლებიც დაჟინებით ამტკიცებდნენ, გვიან ღამით მაგ მანქანასთან ერთი ქალი და ორი მამაკაცი ვნახეთო. ცხაკაიაში, ნოსირის სასადილოს მიმტანი სულ ენად გაიკრიფა: — როგორ არა, კი... გუშინ იყვნენ მაგნაირი ქალი და კაცი ჩვენთან. ქალი და ის შავგვრემანი ახმახი რუსულად ლაპარაკობდნენ. მესამე კი ქართველი მამაკაცი იყოო. ოჩამჩირის კემპინგშიც დაადასტურეს: თქვენ მიერ აღწერილმა სამეულმა ღამე მანქანაში გაათიაო. ეს იყო და ეს. თითქოს ბევრია ერთი დღისთვის, მაგრამ ძიება აქ გაიყინა და მომდევნო ორი დღის მანძილზე ნაბიჯიც ვერ წადგეს წინ. დადგენილი წესია, ასეთ დროს შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის სამძებროს გამოცდილ თანამშრომელს აგზავნის ადგილზე და ამჯერადაც ასე მოხდა. ალეკო ფაილოძე გაგზავნეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ზესტაფონელ კოლეგებს არ ენდობოდნენ, უბრალოდ ტრადიციას არ უღალატეს. ახლა ფაილოძე კუკური ძაბირაძის პირისპირ ზის და მათ შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი მიმდინარეობს:

— ცუდია, რომ შემთხვევის ადგილიდან არანაირი მტკიცებულება არ გვაქვს, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი კარგად მოიძიეთ?

— არა ვარ დარწმუნებული და ამიტომ მეორედ ვაპირებ იქაურობის გაჩხრეკას. გული მიგრძნობს, რაღაცას მაინც ვიპოვით.

— მაშინ ავდგეთ და წავიდეთ — სულერთია, მაინც ჩიხში ვართ და ვერაფერს ვაკეთებთ.

— კინოლოგს ველოდები, ძაღლიც უნდა წავიყვანოთ. იქნებ რამეში გამოგვადგეს.

ნახევარი საათის შემდეგ შესაბამისად დაკომპლექტებულმა მილიციელების ჯგუფმა შემთხვევის ადგილის განმეორებითი დათვალიერება დაიწყო.

— ბიჭებო, მოდი, აქედან თანდათან გავაფართოოთ წრე, იქნებ შემთხვევით გადაგდებულ საგანს წავაწყდეთ, — თავისიანებს მიმართა ძაბირაძემ და საქმეს შეუდგნენ.

— უფროსო, აქეთ, ხევის მხარეს როგორღა ვიმოქმედოთ, ისეთი ფლატეა, ფეხი რომ აგვიცდეს, სული აღარ დაგვყვება ძირამდე.

— ძაღლი უნდა ჩავუშვათ როგორმე. ახლა გამოჩნდება, როგორ გყავს გაზრდილი შენი ოთხფეხა ძმაკაცი, — გააგრძელა ფაილოძემ და კინოლოგს შეხედა.

— ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ ჩვენს თანამშრომელს რომ ჯობია ჭკუით, ეჭვიც არ მეპარება, — ჩაიქირქილა კინოლოგმა და ძაღლს ხევის ფსკერისკენ მიუთითა. გერმანული ნაგაზი მორჩილად დაეშვა ფლატეზე. ერთიანად გადააქოთეს იქაურობა, — რა დაგკარგვია, რას ეძებ, ასანთის ერთი ღერიც ველარ შემატეს საქმეს. ბოლოს და ბოლოს, ვილაცას უკან დაბრუნების გადაწყვეტილება უნდა მიეღო, მაგრამ ყველა ფეხს ითრევდა.

— რა ძაღლი დავკარგეთ? სამი საათია, რაც ხევში ჩავიდა და ეტყობა, ისე მოეწონა იქაურობა, უკან ამოსვლას აღარც ფიქრობს. ე, ბიჭო, დაუწრუწუნე მაინც... თორემ ძაღლი თუ დაკარგე, ხომ იცი, ავტომატურად მოჰყვები შტატების შემცირებაში, — გაეხუმრა ვილაც კინოლოგს.

— ძაღლი, ვენაცვალე მაგას, ნახე რამსიგრძე შარვალს მოათრევს! — შესძახა გახარებულმა კინოლოგმა და აქოშინებული ნაგაზის შესახვედრად გაიქცა. შარვალი ერთიანად სისხლით იყო გაჟღენთილი.

— როგორც იქნა! — შვებით ამოისუნთქა კუკური ძაბირაძემ და იმედის თვალით შეხედა ალეკო ფაილოძეს, — ახლა ვნახოთ, რას გვიამბობს შარვალი.

ყველაფრიდან ჩანდა, ხევში ნაპოვნი სამოსი მკვლელს ეკუთვნოდა. მის სათავეში ჩაკერებული იარლიყიც იუწყებოდა, რომ იგი რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე კრაპოტკინის ინდივიდუალური კერვის ატელიეს ნახელავი იყო.

— დღესვე გაემგზავრებიან კრაპოტკინში პერანიძე და ვარდოსანიძე. ადგილზე ნახეთ ინდივიდუალური კერვის რამდენი ატელიეა. თუ საჭირო იქნება, დამატებით გამოგიგზავნით ხალხს. ძირისძირობამდე უნდა გადავჩხრიკოთ ყველაფერი და შარვლის პატრონი ვიპოვოთ, — ასეთი იყო მილიციის უფროსის გადაწყვეტილება.

ათი დღე ეძებდნენ შარვლის პატრონს კრაპოტკინის ატელიეში, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს და ზესტაფონში დარეკა პერანიძემ — შარვლის პატრონის პოვნის იმედი აღარ გვაქვს. ნება მოგვეცით ხვალ ან ზეგ უკან დავბრუნდეთო.

— ასე არ გამოვა. ეს ერთადერთი იმედიც რომ ხელში შემოგვადნეს, შემდგომში ამ საქმეზე მუშაობას აზრი აღარ ექნება. რამდენი შავტუხა ახმახი ან ლამაზმანი დადის ამ ქვეყანაზე. ამათ ჩვენ კი არა, შერლოკ ჰოლმსიც ვერ იპოვის. მე წავალ კრაპოტკინში და კიდევ ერთხელ გადავამოწმებ ჩვენი ბიჭების ნამუშევარს. აკი შემთხვევის ადგილის დათვალიერებამაც მეორე ცდაზე მოგვცა შედეგი, — გადაწყვიტა ალეკო ფაილოძემ და წასვლის თადარიგს შეუდგა...

ლიდია პავლოვნა, ატელიეს ხელმძღვანელი, თვითონაც ისე დაინტერესდა, რომ ალეკოსთან ერთად იქექებოდა საბუთებში. გონიერი ქალი იყო. ისე აკურატულად ჰქონდა გაფორმებული თითოეული შეკვეთა შემკვეთების ვინაობისა და ზომების მიხედვით (რომელსაც გამოყენებული მასალის ნიმუშიც ერთვოდა), რომ თითქოს სასურველი შეკვეთის აღმოჩენა არ უნდა გაძნელებულიყო, მაგრამ არ იქნა და მის პოვნას საშველი არ დაადგა.

— ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, — უთხრა ფაილოძემ და საქმეს შეუდგნენ. ერთხელ კიდევ გადაათვალიერეს დოკუმენტაცია და ის იყო, ხელი უნდა ჩაექნიათ, რომ ლიდია პავლოვნამ სიხარულით შეჰკივლა — ესტ, ესტ. ზაკაზჩიკ, ანატოლი ბედარევ, პრაჟივაეტ ვ ობშეჟიტიი ნა ულიცე კომსომოლსკაია 3.

საერთო საცხოვრებელი სასჯელმისჯილი პატიმრების სპეცკომენდატურა აღმოჩნდა. ბედარევი ორი კვირაა სამუშაოზე არ გამოდის, რადგან ამას წინათ ვილაცამ შარვალი წაართვაო, უთხრეს საქართველოდან მივლინებულებს და ერთ-ერთ ოთახზე მიუთითეს. მაღალი, გაუპარსავი მამაკაცი უცხოების დანახვისას ფეხზე წამოდგა, დახეული, ჭუჭყიანი კომბინეზონი ძლივს უფარავდა მუხლისთავებს.

## ანატოლი ბედარევის ნაამბობი

— კვირადღე იყო და ჩვეულებრივად მდინარე ყუბანში ვბანაობდი. შუადღისას, ისეთი პაპანაქება ჩამოდგა, მობანავეები ერთიანად გაიკრიფნენ. ასეთ დროს იმ ადგილზე მდინარეში ჩემს მეტი არავინ ბანაობს და სწორედ ამის გამო მივაქციე ყურადღება ერთ შავტუხა მაღალ მამაკაცსა და ქერა ქალბატონს. იმ დროს მოვიდნენ საბანაოდ, როცა მზე ყველაზე მეტად აცხუნებდა. კაცი უმალვე გამომელაპარაკა. როცა გაიგო, რომ პატიმარი ვარ და აქ სასჯელს ვიხდი, დონეცკელებით დაინტერესდა. თვითონ დონეცკელი ბოშა ყოფილა და აქ თავისიანებს ეძებდა. ვუთხარი, აქ თქვენებურები არ არიან-მეთქი. მერე ორივემ შორს გაცურა და ლელიანს შეაფარეს თავი. მათი დიდი ჩანთა გავჩხრიკე. ორივეს პასპორტები ვნახე — კაცი ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ლაპიკუსი აღმოჩნდა, ქალი — ელეონორა ანტონოვნა კალუგინა. მე კი ლიუბად გამეცნო, კახპა. ეგონათ, მოვტყუვდებოდი.

— მერე, მერე... — ალეკო ფაილოძეს ერთი სული ჰქონდა, როდის დაასრულებდა თხრობას ბედარევი.

— ვიდრე წყალში ვჭყუმპალაობდი, იმ ლაპიკუსს ჩემი შარვალი ჩაეცვა და არხეინად მიაბიჯებდა დასახლებისკენ. გამოვედევნე, შარვალი დამიბრუნე, თორემ შენ დედას ასე ვუზამ-მეთქი. იმან კი ჩანთიდან ვეებერთელა დანა დამიძრო — თუ არ მოკეტავ, ამით ყელს გამოგლადრავო და უკან დავიხიე. ვირიშვილი! ტრუსებიც ხელს გააყოლა, — მე უტრუსებოდ ვბანაობ ხოლმე, კიდევ გავაგრძელებდი მის დევნას, ბიჭებს შევყრიდი, მაგრამ დედიშობილას მომერიდა ქალაქში გამოჩენა და ვიდრე მდინარის გასწვრივ მდებარე წყალსაქაჩ სადგურს მივაკითხე, სადაც ეს დაგლეჯილი კომბინეზონი ჩამაცვეს, მათი კვალიც დავკარგე. ვზივარ ახლა უშარვლოდ და ადმინისტრაციას ვეუბნები: ან დაიჭირეთ ქურდები, ანდა შარვალი მიყიდეთ-მეთქი, ისე სამუშაოზე არ გავალ.

სპეცკომენდატურის უფროსმაც დაადასტურა, რომ ბედარევი სიმართლეს ამბობდა, — იმ დღესვე გადავამოწმეთ მისი ნაამბობი და დავრწმუნდით, რომ მართალს ამბობს. ეგაა მხოლოდ, ის ქალი და კაცი, რომლებიც წყალსაქაჩის მუშებმაც შეამჩნიეს, იმ დღის შემდეგ აღარ გამოჩენილანო.

ფაილოძე და ზესტაფონელები ერთმანეთს ულოცავდნენ წარმატებას. მართალია, საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ მათ უკვე იცოდნენ დამნაშავეთა ვინაობა. იცოდნენ ის ბილიკები, რომლითაც უნდა ევლოთ და ამიტომაც თვლიდნენ, რომ საქმის ნახევარზე მეტი გაკეთებული იყო. ახლა გამომძიებელსაც სამუშაო გამოუჩნდებოდა და დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

## დამნაშავეთა ნაფეხურები

ჯერ კიდევ დილის ბინდბუნდი იდგა, ზესტაფონის სადგურს რომ მიაღწიეს ელა კალუგინამ და ნიკოლაი ლაპიკუსმა. ეს უკანასკნელი ჯერ ფიქრობდა, პირდაპირ სოფელ მარანში ჩავალ, იქ გადამალულ განძს ამოვთხრი და მერე რუსეთში გადავიხვეწებითო, მაგრამ ვინ ვინ და პროფესიით მოხეტიალე ბოროტმოქმედმა ნიკოლაიმ სხვაზე უკეთ უწყოდა, რომ ორდღიანი მოგზაურობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და რაკი არც ელას, არც მისი ჩრდილოური წარმომავლობა არავისში ეჭვს არ იწვევდა, უპირველესად ამ მიმართულებით მოძრავ შემადგენლობებში დაუწყებდნენ ძებნას. ამიტომაც სოჭი-თბილისის მატარებელში მოკალათდნენ და იმავე დღეს დეზერტირის ბაზარში ამოჰყვეს თავი. ფული უთავდებოდათ და რაღაც უნდა ეღონათ. ელამ სულ ტლინკები ყარა, როცა გაიგო, სოხუმიდან წამოღებული განძის არც ერთი ნივთი რომ არ აღმოაჩნდა თან ნიკოლაის. რა თქმა უნდა, შეეძლოთ მოეპარათ ან გაეძარცვათ ვინმე. ეს მათი ხელობა იყო, მაგრამ აქ რომ წვრილმანზე ჩავარდნილიყვნენ, უეჭველად მკვლელობასაც დაუმტკიცებდნენ... მართალია, დეზერტირის ბაზარი „სამუშაოდ“ მეტად მიმზიდველი იყო, მაგრამ...

— ჯანდაბას, ერთი ყელსაბამი დამრჩა, გაყიდე და აქაურობას გავეცალოთ, თორემ გული მიგრძნობს, თუ დაგვიჭირეს, სახრჩობელა არ აგვცდება, — ქალის ხმაში სიძულვილი იგრძნობოდა. თუმცა ნიკოლაის ეს მაინცდამაინც არ ანაღვლებდა. სიამოვნებით აიღო გამოწვდილი ნივთი და იქვე მაღაზიის გამყიდველს შეაჩეჩა ხელში. — ფული გაგვითავდა, ძმობილო, სხვა გზა არ გვაქვს, მეუღლის ყელსაბამია. იაფად მოგცემ...

ორასი მანეთი გადაუხადა გამყიდველმა. ყელსაბამი კი რამდენჯერმე მეტი ღირდა. ნიკოლაი ორიოდე დღით თბილისში დარჩენას აპირებდა, მაგრამ ელამ დაიჟინა და იმავე საღამოს მოსკოვში მიმავალ მატარებელს გაჰყვნენ. სოფელ მარანს რომ ჩაუარეს, ნიკოლაიმ სევდიანი თვალებით გახედა იმ ადგილს, სადაც განძი ეგულებოდა. თავს პირობა მისცა, ერთიორი თვის შემდეგ დავბრუნდები და ამოვთხრიო, მაგრამ განგება მასაც და იმ განძსაც სულ სხვა ბედს უმზადებდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 24)*



**თავიდან, ვერც მივხვდი, დანა რომ დამარტყა**

# უგუნური ნაბიჯი... დანით „კვირის პალიტრაში“?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

ეს არის მიზეზი იმისა, რომ სასჯელის არავის ეშინია. იციან პასუხს არავინ მოსთხოვს. დღეს ჩვენში აშკარად გამოიკვეთა ფეოდალური წყობის კონტურები“.

მკითხველს ვთავაზობთ ჟურნალისტ **ვაჟა გავაშელთან** ინტერვიუს, რომელიც მომხდარით გაოგნებულია — არათუ დანის დარტყმა, მას რესპონდენტისგან უხამსი სიტყვაც კი არ ახსოვს.

— ხუთშაბათს რედაქციიდან დამირეკა „კვირის პალიტრის“ მდივანმა და მითხრა, თქვენთან არიან მოსულები რედაქციაში და შეხვედრას ითხოვენო. მე ტელეფონით გავესაუბრე მათ და მოსვლის მიზეზი ვკითხე. თავიდან არ უნდოდათ არც ვინაობის გამხელა და არც საქმის დაკონკრეტება. ბოლოს მითხრეს, თქვენ გამოაქვეყნეთ ბინძური წერილი ვანო ტერ-მანელოვზე. ჩვენ მისი შვილები ვართ და სწორედ ამიტომ გვინდა თქვენთან შეხვედრაო. ვუთხარი, რა პრეტენზია გაქვთ, პირიქით, მასალაში მამათქვენზე კარგის მეტი არაფერი დამიწერია-მეთქი. „არა, თქვენ ის მათხოვრად გყავთ გამოყვანილი, მერე რა, რომ ვულკანიზატორი იყო, თქვენ კი ზეინკალი გიწერიათ. რადგან მუშაკაცი იყო, ამიტომ გლახაკი იყო?!“ დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა. ვეკითხები — სად ნახეთ ან სად მიწერია-მეთქი. მთელი მასალით იგრძნობაო და უნამუსო, ურცხვი მიძახეს. მივხვდი, რედაქციიდან წასვლას არ აპირებდნენ და მდივანს ვთხოვე, ჟურნალისტების ოთახში შეეყვანა სტუმრები ჩემს მოსვლამდე. რედაქციაში მისულს ქალი და ორი ახალგაზრდა დამხვდნენ. როგორც გაირკვა, ძმები ყოფილან. შევთავაზე, აიღეთ სტატია და მაჩვენეთ, სად ვამბობ მამათქვენზე ცუდს, ან სად იგულისხმება მისი დამცირება-მეთქი. ვინც დამჭრა, ის ახალგაზრდა საერთოდ არ იღებდა ხმას. მეორემ ძებნა დაიწყო, მაგრამ რას ნახავდა, რაც არ იყო?! უცებ იყვირა: ახლა მე ამის ნერვები არ მაქვსო და სტატია მოისროლა. ამ დროს, ვინც დამჭრა, იმის მობილურზე დაირეკა და გავიდა. ლაპარაკი რომ დაასრულა, უცებ აჩქარებული ჩემკენ წამოვიდა. ვიფიქრე, გაზეთში უნდა ჩაიხედოს-მეთქი, მაგრამ უეცრად მარჯვენა ხელი ჩემკენ წამოიღო. ინსტინქტურად შევაგებე ხელი. თუმცა მაინც მომწვდა და კისრის არეში დამარტყა დანა. მერე — მუცლის არეში. ოთახში იმ დროს ჩვენი იურისტი შოთა ღვედაძე იყო და იმან იმარჯვა. უკნიდან ორივე ხელი დაუჭირა.

**— ჩვეულებრივი დანა იყო?**

— ვფიქრობ, დასაკეცი დანა იყო, თვითონ დანა არ დამინახავს... გაიყვანეს გარეთ... ჭრილობა ვერავინ შენიშნა (ალბათ ვერც წარმოიდგინეს, რომ ჩემთან ვინმე დანის დასარტყმელად მოვიდოდა), რადგან სისხლი არ მეტყობოდა და თანაც მოძალადეც დანას გულდაგულ მალავდა. ჩქარი ნაბიჯებით მიიწევდა გასასვლელისაკენ, ქალიც თან ახლდა. სასწრაფოდ გააგდეს რედაქციიდან. გულახდილად რომ გითხრათ, თავიდან ვერც მე მივხვდი, დანა რომ დამარტყა. ტკივილი არ მიგრძვნია, მერე ხელი რომ მოვისვი და სისხლი დავინახე, ყველაფერს მივხვდი. არ გაუშვათ, დამჭრა-მეთქი დავიძახე, მაგრამ უკვე გაქცეულები იყვნენ და ისე მიიმალნენ, სამი მანქანით გამოეკიდნენ, მაგრამ ველარსად ნახეს (თუმცა სად დაიმალებოდნენ სახელები და გვარები ვიცოდი).

**— რა სიღრმის ჭრილობები გაქვთ?**

— მუცლის არეში 2სმ სიღრმის ჭრილობა მაქვს და კისერში უფრო ღრმა, ზუსტად ვერ გეტყვით. გაითვალისწინეთ, რომ მე ხელს ვუჭერდი და საშუალება არ მიმიცია, მთელი ძალით დაერტყა... დამნაშავეებში, ძირითადად უვიცები ჭარბობენ, მაგრამ მსგავსი არავინ შემხვედრია. დავუშვათ ციხეში შევიდეს, გნებავთ — არ შევიდეს და ვინმეს წააკითხოს ეს სტატია, არ ეტყვიან, უტვინო ყოფილხარ, ამაზე ჩხუბი შეიძლებოდაო?!

**— მოკლედ ვუამბოთ მკითხველს — ვინ იყო ვანო ტერ-მანელოვი?**

— გორელი ხელოსანი იყო. მეტად კოლორიტული კაცი. მასთან სალაპარაკოდ უფრო მიდიოდა-მეთქი ხალხი სახელოსნოში, ვწერ კიდეც სტატიაში. ერთი სიტყვით, სუპერმენად მყავს წარმოსახული. უკეთესი რა უნდა დამეწერა ხელოსანზე, რომელიც საბურავებს აკეთებდა. აპოლონს მყავს შედარებული, ერთი ნახვით რომ მოეწონება ქალს და მიუხედავად იმისა, საყვარელი გვერდით ჰყავდა, იქვე მისი ღალატი გადაწყვიტა-მეთქი. დასასრულ, საყვარელი ეჭვიანობს ზედმეტად და მოკლავს ამ კაცს.

**— ეს მკვლელობა გამოძიებულია?**

— კი. ყველაფერი დაზუსტებულია, მკვლელი დახვრიტეს (როგორც ჩემს სტატიაში მოგითხრობთ).

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს მასალაში რაიმე გაზვიადებული იყო?**

— გასაზვიადებელი იქ არაფერი ყოფილა. ყველაფერი მარტივი ლოგიკის ფარგლებში თავსდებოდა. შესაძლოა, იქ დიალოგები ზუსტად ისე არ იყო (რაც არც არავის მოუსმენია), მაგრამ ამ გვერდის რუბრიკა გახლავთ „ვერსია“. შესაბამისად, ვერსიის დონეზე და ძირითადი ფაბულის დაუმახინჯებლად, ასევე ძიების შედეგების მიხედვით დაიწერა ეს სტატია, რაზეც ნებისმიერ დონეზე პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე, ან რაში მჭირდებოდა, როცა ყველაფერი ისედაც ნათელია.

**— რას ითხოვთ გამოძიებისგან?**

— ზედმეტად მკაცრი ნუ იქნებიან ეჭვმიტანილის მიმართ (ისე ძალიან მაინტერესებს ერთი შევეკითხო მაინც, რას მერჩოდა), მაგრამ ნურც ნურაფერს წაუყრუებენ, რადგან ამდენი ხულიგნობის, მკვლელობისა და დაუსჯელობის ფონზე ცხოვრება, ვფიქრობ, გაუსაძლისი ხდება.

P.S. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ გასულ კვირას ვაჟა გავაშელი სიკვდილს გადაურჩა. კისრის არეში მიყენებული ჭრილობა საძილე არტერიას ძალიან მცირე მანძილით არის აცდენილი.

*მარინა მამისაშვილი*



# რა ბედი ელის ენერგომამებს?

## „ელექტროენერგია ქვეყანას ექნება(?!)“



გასულ კვირას ენერგეტიკის დარგში კრიზისის შემსწავლელმა პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ სხდომაზე სკანდალური ფაქტები გამოამზეურა. კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი ენერგეტიკის სექტორის მაღალჩინოსნებს კორუფციასა და თანხების დატაცებაში ამხელს. უახლოეს დღეებში გენერალურ პროკურატურას „ენერგომამების“ მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გადაეცემა. ფაქტების შესწავლის შემდეგ, გამორიცხული არ არის, მაღალჩინოსნებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია იმ დამნაშავე პირთა დასჯას ითხოვს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს „აშოტსკი-ნინოწმინდის“ 110-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობაში. დღეს ნინოწმინდის რაიონის განათება მთლიანად სომხეთის ნებაზეა დამოკიდებული. მოძიებული მასალების მიხედვით, მშენებლობაზე შეთანხმება საქართველოსა და სომხეთის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრებს შორის საიდუმლოდ მოხდა (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია). მოგვიანებით, დავით მირცხულავამ პრეზიდენტს მოახსენა, რომ ხაზის მშენებლობა ნაადრევი იყო (ეს მაშინ, როდესაც ხაზის მშენებლობა უკვე დასრულებული გახლდათ). კომისიას ეჭვი აქვს, გადამცემი ხაზი იმიტომ აშენდა, რომ მისი საშუალებით თურქეთში კონტრაბანდული ელექტროენერგიის ექსპორტი მოეხდინათ. თუმცა, დავით მირცხულავა ამ ფაქტს ჩვენთან საუბარში კატეგორიულად უარყოფს და „აშოტსკი-ნინოწმინდის“ ხაზის აშენებას სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს. ჩუბინიშვილი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, სომხეთის ვალის მითვისებაშიც ადანაშაულებს. როგორც ამბობენ, მირცხულავამ სომხეთში 4,3 მილიონის („საქენერგოს“ ვალი) ნაცვლად, რატომღაც 6,8 მილიონი დოლარი გადარიცხა. ასევე, ჩუბინიშვილის განცხადებით, აგვისტოში თბილსრესის ანგარიშზე გადარიცხული ასი ათასი ლარი საბუღალტრო ანგარიშებში არ ასახულა.

ზემოაღნიშნული ბრალდებები, სხვა უამრავი დარღვევის ფონზე მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია. საბოლოო სიტყვა, უახლოეს ხანებში გენერალურმა პროკურატურამ უნდა თქვას და ეს დასკვნა დამოკიდებული იქნება იმაზე — სურს თუ არა ხელისუფლებას ვინმეს გაწირვა. „კვირის პალიტრამ“ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, **დავით მირცხულავას**.

**2000 წლის ივნისში, სომხეთმა ნებართვის გარეშე ჯერ თავის ტერიტორიაზე, სექტემბერში კი, ჩვენს ტერიტორიაზეც (?!) 30 კმ ხაზის მშენებლობა დაიწყო. სომხეთის ენერგეტიკის მინისტრს მივწერე, რომ შესაბამისი საბუთების გარეშე ამ ხაზის მშენებლობა უკანონოა. ხაზის მშენებლობა მაინც დასრულდა...**

— **ბატონო დავით, პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ ენერგეტიკის სექტორი კორუფციასა და თანხების დატაცებაში ამხილა. საქმე ეხება „აშოტსკი-ნინოწმინდის“ 110-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის უკანონო მშენებლობას... საუბარი მიდის იმაზეც, რომ ეს ხაზი იმიტომ აშენდა, რათა თურქეთში კონტრაბანდული ელექტროენერგიის ექსპორტი მოეხდინათ...**

— ეს არის აბსურდი. ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. ამ ხაზით თურქეთში კონტრაბანდას ვერავინ განახორციელებს და საერთოდ, თურქეთში ელექტროენერგიის კონტრაბანდა არ ხორციელდება. რაც შეეხება „აშოტსკი-ნინოწმინდის“ გადამცემ ხაზს, 1999 წელს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრსა და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრს შორის შეთანხმება დაიდო, რომ უნდა აშენებულიყო 220 ან 110-კილოვოლტიანი ხაზები, რაც იქნებოდა საქართველოსა და სომხეთს შორის დამაკავშირებელი. ამის შემდეგ, 2000 წლის ივნისში, სომხეთმა ნებართვის გარეშე ჯერ თავის ტერიტორიაზე, სექტემბერში კი, ჩვენს ტერიტორიაზეც (?!) 30 კმ ხაზის მშენებლობა დაიწყო. სომხეთის ენერგეტიკის მინისტრს მივწერე, რომ შესაბამისი საბუთების გარეშე ამ ხაზის მშენებლობა უკანონოა. ხაზის მშენებლობა მაინც დასრულდა, ამდენად თუ ელექტროენერგია შემოედინება, უნდა მოხდეს მისი ანაზღაურებაც და თუ ვინმე შემოსულ ელექტროენერგიაზე გადასახადს არ იხდის, ეს სხვა საქმეა და ბუნებრივია, უნდა დაისაჯოს.

— **რატომ მოხდა, რომ ნებართვა არ არსებობდა და ხაზის მშენებლობა მაინც გაგრძელდა?**

— შეხვედრებზე რამდენჯერმე დავსვით საკითხი, რომ სომხურ მხარეს წარმოედგინა საპროექტო მასალები. სომხურმა მხარემ საპროექტო მასალების მხოლოდ ნაწილი წარმოადგინა, რომელიც უნდა ჩაებარებინა მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს.



ჩემთვის გაუგებარია, რატომ ხდება ამ ხაზის მშენებლობის ბრალდება ჩემი მისამართით. როდესაც ჩვენს ტერიტორიაზე 24-კმ-იანი ხაზის აშენება ყველასთვის ცნობილი იყო. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ამის დანგრევას ვერ დაიწყებდა. კიდევ ერთხელ ვამბობ — ხაზი აშენდა და დღეს ფუნქციონირებს.

— **ამ ბრალდების გარდა სომხეთის ვალის მითვისებაშიც გადანაშაულებენ, რომ ნაცვლად 4,3 მილიონი დოლარისა, 6,8 მილიონი დოლარი გადაირიცხა.**

— ეს მასალები შესწავლილი აქვს კონტროლის პალატას. ჩვენ სამეურნეო საქმეებში არ ვერევით. ერთადერთი — სომხეთის ენერგეტიკის მინისტრთან სამთავრობო მოლაპარაკებების დროს მუდმივ საკითხად იდგა 1998 წელს შემოტანილი ენერგიის ღირებულება, რომელსაც შემდეგ საურავები დაერიცხა. სწორედ ამ ვალის მომსახურებაზე იყო საუბარი. შემდეგ სომხეთის ენერგეტიკის მინისტრთან შევთანხმდით ფორმაზე, თუ ეს მომსახურება როგორ განხორციელდებოდა. ამის შემდეგ შესაბამისი ბრძანებულებებიც იყო, ნორმატიული აქტიც გამოვიდა ვალის მომსახურებაზე და ყველა ეს მასალა შეისწავლა კონტროლის პალატამ. ეს ბრალდება არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა. მე ვერაფერს მივითვისებდი, რადგან ჩვენ დავალებული გვაქვს, განვახორციელოთ ვალების კოორდინაცია და მონიტორინგი.



— **როგორც ამბობენ, „აგვისტოში თბილსრესის ანგარიშზე ასი ათასი ლარი გადაირიცხა, რომელიც საბუღალტრო ანგარიშებში არ ასახულა. თანხა თბილსრესიდან სხვა ანგარიშზე გადაირიცხა, გაცოცხლდა და შეიჭამა. თანამშრომლებს კი ერთი თეთრიც არ მიუღიათ“, — ეს სიტყვები ჩუბინიშვილს ეკუთვნის. ამასაც უარყოფთ?**

— მე ვერ გეტყვით ასი ათასი ვინ გადარიცხა და სად. რა თანხაზეა საუბარი, არ ვიცი. თუ რაიმე უკანონო ქმედება განხორციელდა, ეს სამართალდამცველებმა უნდა შეისწავლონ. ვერ ვხვდები, როდესაც ბრძანებთ, შეიჭამაო. ჩემთვის წარმოუდგენელია ორგანიზაციიდან თანხა გადაირიცხოს და ის საბუღალტრო ანგარიშებში არ აისახოს. ასეთ გადარიცხვებს აკონტროლებს — საგადასახადოც, ბანკიც და კიდევ უამრავი ორგანიზაცია.

— **ამჯერად გენერალურ პროკურატურას უნდა გადაეცეს მასალები და შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას. როგორ ფიქრობთ, დაგიმტკიცებენ დანაშაულს?**

— რაც არ ყოფილა, რა უნდა დამიმტკიცონ?! გადასცენ და შეისწავლონ, უფრო გამიხარდება.

— **დაბოლოს, ჩაბნელებული ქალაქი როდის განათდება?**

— ელექტროენერგია ქვეყანას ექნება.

— **გმადლობთ, იმედისმომცემი ინფორმაციისთვის...**

— ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო და ჩვენც მეტი არაფერი დაგვრჩენია იმედიანად ყოფნა გისურვოთ. იმედით ცოცხლობს ადამიანი.

*ჩვენ დავუკავშირდით ასევე გენერალური პროკურორის მოადგილეს,* ***ბადრი ბიწაძეს****, რომელმაც ჩვენდა გასაკვირად, გვიპასუხა, რომ ჩუბინიშვილს ოფიციალურად გენერალურ პროკურატურაში არაფერი წარმოუდგენია და შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე საუბარიც ნაადრევია. მაშ ასე, გასული კვირის „ხმაურს“ გამორიცხული არ არის მხოლოდ წვრილი „ლიფსიტების“ სამსახურიდან გაშვება მოჰყვეს.*

— **ბატონო ბადრი, პარლამენტმა საკმაოდ სკანდალური მასალები წარმოგიდგინათ, სადაც დავით მირცხულავას მისამართით და არა მარტო მის მიმართ სერიოზული ბრალდებებია წაყენებული. რა მოჰყვება ამას — ვინმეს დაპატიმრება თუ, უბრალოდ სამსახურიდან გაშვება?**

— ჯერჯერობით, ოფიციალურად ჩუბინიშვილს არაფერი წარმოუდგენია. ეს იყო ზეპირი ინფორმაცია, რომელიც მან პარლამენტში საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გააკეთა. მართალია, საყურადღებო ინფორმაციები იყო, მაგრამ ზეპირად რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. როცა წერილობით მოგვწერენ, განვიხილავთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას.

***მარინა მამისაშვილი***







# პრემიერის წინ...

## — ჩემს მარჩენალ თხას ვაკის პარკში ვასეირნებდი...

**„ერთხელ ზაფხულში კინოსტუდიაში გადაღებები მიმდინარეობდა, სადაც ვასილ ჭიაბრიშვილი, ყველაზე გამორჩეული იყო. „რაღაც გავს“, ვფიქრობდი, სეირნობდა, მაგრამ ...**



**„ერთხელ ზაფხულ ვასო გოძიაშვილს წავაწყდი: — თავის არტისტულ სააღკაზმულოში მარტო იჯდა, გრიმს იკეთებდა. ვაგულისხმული იტყაპუნებდა ლოყებზე ხელებს და გამწარებული ბუზღუნებდა: „ყოველ საღამოს უნდა ვამტკიცო, რო ნიჭიერი ვარ?!“ — მომიტევოს მისმა სულმა, მაგრამ ეტყობა, ის სიტყვები მარტო მას არ ეხებოდა.**

**ისევ პრემიერის წინაშე ვდგავარ...“**

**ეს არის ნაწყვეტი წინასიტყვაობიდან, რომელიც ავტორმა თავის წიგნს წარუმძღვარა. ამჯერად მსახიობი ჯემალ მონიავა მკითხველის წინაშე თავისი პირველი წიგნით — „ნათლობით“ წარდგა. წინასაპრემიერო განცდა, როგორც ჩანს, არ ტოვებს მას... მის მონათხრობს მეც ისე ვუსმენდი, როგორც პრემიერას: ინტერესით, სასიამოვნო გაოცებით, იმიტომ, რომ ერთდროულად მესაუბრებოდა მსახიობი, მწერალი და მიწას შეჭიდებული ბეჯითი მეურნე...**

— მსახიობობა რომ დავაპირე, ჩემი მშობლებიც გაოგნებულნი დარჩნენ და მეც... ალბათ განგება არეგულირებს ყველაფერს, თორემ... მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ თეატრალური ინსტიტუტი არსებობდა. მეგონა, ყველა ნიჭიერ კაცს შეეძლო მისვლა და თეატრში თამაში. თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ნაძლევის გამო გავედი. ერთი ჩემი მეგობარი აბარებდა და ვერ ხვდებოდა. მას დავენაძლევე. მერე ვახტანგ მალლაფერიძესთან მივედი (ის დღეს თოჯინების თეატრის მთავარი რეჟისორია). დახმარება ვთხოვე. მამეცადინა ორი კვირა და ჩავირიცხე. მამამ მოგვიანებით გაიგო, თეატრალურში რომ ვსწავლობდი. მაშინ მე მოსკოვში ვიყავი. შინ დავრეკე. ჩემმა ძმამ მითხრა, — გირჩევნია, არ ჩამოხვიდეო. 6 თვე არ მელაპარაკებოდა მამა, მერე შეურიგდა ბედს. 12 წელი არ მოსულა ის ჩემს სპექტაკლზე, ერთხელ დედა შემოვიდა საგრიმიოროში და მითხრა: მამაა სპექტაკლზე მოსულიო. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს პრემიერას ვთამაშობდი. სპექტაკლის მერე ველოდი მის შეფასებას. მამამ მითხრა: ტაქსი გააჩერე, შინ წაგიყვანო... ეს იყო ნიშანი, რომ მოვეწონე... დიდი შესაძლებლობა მქონდა არქიტექტორი გავმხდარიყავი. კარგად ვხატავდი, მაგრამ არტისტობა ვარჩიე. თავიდან კარგად აეწყო ყველაფერი. ახლა თითქმის აღარაფერს ვაკეთებ. უკანასკნელი როლი შარშან ვითამაშე... ვცდილობ, თეატრს არ მოვწყდე. მაქვს 2-საათიანი რეპერტუარი მხატვრული კითხვისა. ამით ვინაზღაურებ...

**— ვისაც თეატრის სცენაზე ერთხელ მაინც შეუდგამს ფეხი, ყველა აღიარებს, რომ ეს საოცრებაა. თქვენ ნოველაც კი გაქვთ — „თეატრი საოცრებაა“...**

— ჩემმა მეგობარმა თქვა ერთხელ, თეატრი ცოცხლობს მაშინ, როცა იქ სპექტაკლი მიდისო. მაშინ დამებადა ერთი აზრი: თეატრი ყოველთვის ცოცხლობს. ეს ჩემი მეორე სახლია... თუ პირველი... ეს კიდევ გასარჩევია. რომ შევალ და დავდგები მდუმარე სცენაზე, საოცარი ხმები მესმის, მათი, ვინც აქ თამაშობდა და თამაშობს... ამოტივტივდება ისიც, რაც მე გამიკეთებია ოდესმე. სასწაული არ არის, როცა 5 წელი სპექტაკლი აღარ იდგმება, ტექსტი, ბუნებრივია, აღარ გახსოვს. მიხვალ იმ მიზანსცენამდე, დადგები და გახსენდება სიტყვასიტყვით შენი ტექსტიც, სხვისიც. ვდგავარ ხოლმე 15-20 წუთი ჩაბნელებულ სცენაზე, მერე გავდივარ. თითქოს ერთი დიდი სპექტაკლი მეთამაშოს. ეს განსაცვიფრებელია.

**— რაც შეეხება წერას, ისიც შემთხვევის გამო ხომ არ დაიწყეთ?**

— სულ ვწერდი. ბავშვობისას დღიურებს ვწერდი, მერე ლექსებს — ცოლის მოყვანამდე... მერე ნოველებს. ერთ საქმეს კარგად ვერ ვაკეთებ, თუ მეორეც არ მაქვს. ეს იმისი ბრალია, რომ გურული ხასიათი გაქვს დედის მხრიდან გამოყოლილიო, — მეხუმრება ხოლმე ჩემი მეუღლე. სხვათა შორის, საოცარი ბებია მყავდა — გურული ქალი. ერთხელ მითხრა, ბატივით ხარ, ნენაო. მეწყინა. რა შემატყვე სამაგისო-მეთქი. მიპასუხა: ბატმა თქვა — ქეც დავფრინავ, ქეც დავდივარ, ქეც დავცურავ, ქეც ვმღერივარ, მაგრამ ბოლოს აფერიო... ასე ხარ შენცო... როცა თეატრში ძალიან დაკავებული ვიყავი, მაშინ ავაშენე კავთისხევში სახლი...

**— ამბობენ, მძიმე შრომა გასწიეთ, ჭაობიც კი ამოგიშრიათ.**

— მართალია, ორი დრენაჟი გავჭერი ჭაობში, ქვები ჩავყარე, მერე მიწა მივაყარე, რომ ჭაობი დამშრალიყო. სოფელში მეუბნებოდნენ, ჩვენს თავმჯდომარეს რომ ჭკუა ჰქონდეს, დილით უნდა წაგიყვანოს, მუშაობა დაგაწყებინოს, რომ ხალხს მაგალითი აჩვენოს, მერე წამოგიყვანოს და გაქეიფოსო. ძალიან მიყვარს მიწაზე მუშაობა. მეგობრები რომ ჩავდივართ კავთისხევში, ისინი ქეიფობენ, მე ვმუშაობ. რაც იქ მაქვს, ყველაფერი ჩემი ხელით და ნიჭით არის შექმნილი.

**— საიდან გაგიჩნდათ მიწის ასეთი სიყვარული თბილისში გაზრდილ კაცს?**

— ბავშვობაში სოფელში დავდიოდი ბაბუასთან. იქ ვისწავლე თოხნა. მერე მამას აღარ შეეძლო სოფელში ევლო და კუმისში გაიჩინა ნაკვეთი. იქ დავყავდით. 40 წელი რომ შემისრულდა, მომეძალა სურვილი საკუთარი სოფელი მქონოდა. ჩვენ ხომ მაინც გეორგიანელები ვართ — მიწის მუშები. სულით ხორცამდე თბილისელი ვარ, მაგრამ ამან ამოხეთქა ჩემში და შემაძენინა კავთისხევში ნაკვეთი. ბოლოს, მამა დამიბრმავდა. კავთისხევში რომ მივდიოდი, დამყვებოდა ხოლმე. უშრომლად ვერ ჩერდებოდა, წაიხრებოდა, მიწაზე წაწვებოდა და ისე გლეჯდა სარეველა ბალახს. ვეხვეწებოდი: ამას ნუ აკეთებ, მამა, დაგინახავენ, ჩემზე იტყვიან, ეს კაცი მამას რას უშვრებაო. ბრაზობდა: აბა ვიჯდე და ისე მოვკვდეო? ასე ვბუჩუნობ მეც ნაკვეთში. ნოდარ დუმბაძეს რომ აქვს „ხაზარულა“, — სრული სიმართლეა. მეც შევაშინე ხე, ცულის ყუაც მოვარტყი და მოისხა იმ წელს. სასწაულია, ხეების გახარებას რომ ელოდები. ესეც წინასაპრემიერო განცდაა. ახლომახლო ახლაააშენეს ორი სახლი, თორემ ადრე მარტო ვიყავი. ვხუმრობ ხოლმე: რომ მომწყინდებოდა, ერთი მგელივით ამოვიყმუვლებდი, შორეული მეზობელი გამომძახებდა, — რა იყოო? ე, ბიჭო, გადმოდით, დამელაპარაკეთ-მეთქი. ადამიანიც გჭირდება. ქალაქში ყველა რომ მცნობს, სოფელში გავრბივარ. იქ სიმარტოვის ბურუსი მეფინება, ვისვენებ... ბევრი ჩემი მოთხრობა ამის გამოა შექმნილი და კიდევ იმის გამო, რომ ადამიანები მიყვარს ძალიან. სოხუმში ერთი კაცი დადიოდა, რომ გესალმებოდა, ქუდზე ხელს მოიკიდებდა, გამოძვრებოდა ქუდის ქვემოდან, თავს დაგიკრავდა და ისევ შეძვრებოდა ქუდში. შეუძლებელია, ამის დამნახავს წერა არ მოგინდეს.

**— როგორც ვიცი, თქვენ ცხოველებიც ძალიან გიყვართ. იმდენად, რომ იყო დრო, ვაკის პარკში თხებს ასეირნებდით.**

— ეს ამბავი საიდან გაგახსენდათ? გაჭირვების ჟამს თხები გავიჩინე კავთისხევში. მე ვუვლიდი, ვწველიდი. ბავშვები პირდაპირ ჯიქნებში უძვრებოდნენ. ზამთარში წამოვედით თბილისში და მეზობელს დავუტოვეთ. თხა საშინელი მოსავლელია. თუ გყავს, ამ საქმეს უნდა მიუძღვნა თავი. 3 თვის მერე შემომითვალა მეზობელმა: არ შემიძლია ამათი მოვლა, წაიყვანე, თუ ძმა ხარო. სად წამეყვანა? ჩამოვიყვანე თბილისში, გარაჟში შევრეკე და დღეში სამჯერ ვასეირნებდი ვაკის პარკში. უნდა გენახათ, როგორ დამდევდნენ უკან. ერთს ძაღლი ჰყავდა სასეირნოდ და მითხრა: რა არი, ბიჭო, რად გინდა ეგ თხებიო? მე ვუთხარი: შენ მაგას ასეირნებ, მაგის რძე არ ვარგა და ხორცი, მე კიდევ ეს მარჩენალი ვასეირნო, გასაკვირია-მეთქი? მიმქონდა წიგნი, გასაშლელი სკამი, ვჯდებოდი, ვკითხულობდი. ერთხელ ვიღაც წამომადგა თავზე: ჯემალი ხარ შენაო? შევხედე, ლილი ფოფხაძეა, რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე. ამბობ, თვალს მაკლია, ხალხს ვერ ვხედავო და ამხელა ვაკის პარკში რაღა მე დამინახე-მეთქი, ვკითხე. თხას გამოვყევი და შენთან მომიყვანაო. ბოლომდე მაინც ვერ მოვუარე თხებს, ბავშვებმა არ დაგვაკვლევინეს, ავდექი და სხვას მივეცი...

**— გულისწყვეტა ადამიანების განუყოფელი თანამგზავრია, მით უმეტეს, რომ ბევრი რამ ისე არ არის, როგორც თქვენი ყმაწვილკაცობის დროს იყო...**

— ჩვენს დროს დაუწერელი კანონები არსებობდა. ორნი რომ ვჩხუბობდით, ჩემი მეგობრები იმას გასინჯავდნენ, იმისი — მე, რომ ჯიბეში რამე არ გვქონოდა. ჩხუბი შერიგებით მთავრდებოდა. ასეთი შემთხვევაც მახსოვს: მადრიდში ვართ გასტროლებზე. ვხედავთ, ქუჩის მეორე მხარეს ერთ კაცს სამი ურტყამს. ორი რუსთაველისხელა ქუჩაა, მანქანები დადიან. მივეშველოთ, ბიჭებო, — ვიყვირეთ და მოჩხუბრებამდე ვიდრე მივაღწევდით, უცებ იმ ერთმა ხელები ასწია. სამივე მოეშვა და გაეცალნენ. გაოცებულები დავრჩით. ვფიქრობ: ეს რა მოხდა?! ჩვენ, ქართველები, ვგავართ ესპანელებს. ორივეს მზით გამთბარი ხასიათი გვაქვს, მაგრამ საქართველოში ჩხუბში ხელს არ ასწევს არავინ და მერე, რომც ასწიოს, დაანებებენ თავს? გული მწყდება... ჩემს ბავშვობაში სულ სხვანაირად იყო ყველაფერი. ჩემს სატრფოს, შემდეგ მეუღლეს, ვაცილებდი. დამხვდა 3-4 ბიჭი, შენ აქ, ამ გოგოს რომ დაჰყვები, გაგხევთ ნაკერავზეო. მათში ერთი ჩემი კლასელი ერია. ვუთხარი: მოხვალ ხვალ სკოლაში, ნახე, რა გიქნა-მეთქი. ასე იყო, ისინი უბნის პრესტიჟს უფრთხილდებოდნენ. გოგო რომ მოვიდოდა და უცხო მოაცილებდა, დაირაზმებოდა უბანი. რატომ? გოგოს სახელი არ გასტეხოდა, უბანს სახელი არ წახდომოდა... დღეს ხომ ასე აღარ არის... ამაზე არ შეიძლება გული არ დაგწყდეს...

# გია ბურჯანაძე: — რა უგუნურები არიან ადამიანები, საბურავი რომ დაეშვებათ და იგინებიან — რა ბედი მაქვსო!



*უკვე ოცი წელია, რაც ის, როგორც მსახიობი, შეიყვარა მაყურებელმა. თუმცა ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ბევრი დიდი ხელოვანი მის ასაკში მხოლოდ იწყებდა კარიერის შექმნას... თუმცა ცუდი დრო დაემთხვა: კინო საერთოდ მოკვდა საქართველოში, თეატრიც გვარიანად დამუხრუჭდა უსახსრობის გამო, ალბათ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ* ***გია ბურჯანაძე*** *იღბლიანი მსახიობია. სტუდენტობის დროსვე შეამჩნიეს და დღემდე მაყურებელთა აღიარებით სარგებლობს. იღბლიანობასთან დაკავშირებით თავად ცოტა განსხვავებული აზრი ჰქონია:*

— ამას ვერ ვიტყვი, ზოგთან შედარებით, შეიძლება ბედი მწყალობდა, ზოგთან შედარებით — არც მწყალობდა... მე ნიჭით იქნებ სხვაზე მეტი არ ვიყო, მაგრამ პროფესიონალიზმი და საქმის ცოდნა გაცილებით მეტი მაქვს, ვიდრე სხვას... ეს ჩემმა პედაგოგმა მასწავლა. რეჟისორებს მოსწონთ მსახიობი, რომელიც მათსავით თავდადებული იქნება საქმის მიმართ. ამიტომ რაღაც პერიოდში მომიწია თეატრში კარგი როლების შესრულება. სამაგიეროდ, კინოში მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩემი გარეგნობის გამო ეგონათ, რომ კინოში მარტო ცხენზე უნდა ვმჯდარიყავი და ხმალი მექნია. თუკი თეატრში შემეძლო ურთულესი როლების თამაში თემურ ჩხეიძესთან, მედეა კუჭუხიძესთან, დათო ანდღულაძესთან, დათო დოიაშვილთან, განა კინოში ვერ შევძლებდი? მაგრამ არა! მაშინ იყო ანტიგმირის ტენდენცია ქართულ კინოში და გარეგნობის გამო მე ასეთ როლებს არ მთავაზობდნენ. მე ვთვლი, რომ ჩემი კინოკარიერა არ შედგა.

**— სამაგიეროდ, თეატრში კარგი როლები გქონდათ.**

— კომპენსაცია თეატრში შევძელი, მაგრამ წარმოიდგინეთ ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც ეს არ ჰქონდა. ისინი ხომ იღუპებიან. რამდენ ხანს ეყოფათ ნებისყოფა, რომ მაინც იმუშაონ თავის თავზე? ეს თითო-ოროლა კაცს შეეძლო მხოლოდ.

**— რას იზამთ, სამწუხაროდ, რთული პერიოდი დაემთხვა თქვენს მოღვაწეობას.**

— უკვე შევეჩვიე იმ აზრს, რომ ამ სიტუაციამ, რაც საქართველოში ხდება ბოლო 15 წლის მანძილზე, მთელი ჩემი შემოქმედებითი კარიერა თავდაყირა დააყენა. ვინ დავადანაშაულო ამაში? რომელი მთავრობა? ხელისუფლება ყოველთვის მარტო თავის თავზე ფიქრობს.

**— თქვენ პოპულარული მსახიობი ბრძანდებით, ყველა გიცნობთ, ადვილია ასე ცხოვრება?**

— ამას ეჩვევი. რომ გცნობენ, თითქოს კარგია, არა? ზოგჯერ კი ძალიან უარყოფითად აისახება ჩვენს ცხოვრებაზე. ვიღაც გნახავს რესტორანში და იტყვის, სულ სვამს, ლოთიაო. ვიღაც შეესწრება, მოჩხუბრებს რომ აშველებ, იმას კი არ იტყვის, ხალხი თავ-პირს ამტვრევდა ერთმანეთს, შენზე იტყვის — იჩხუბაო, იმიტომ, რომ შენ გიცნეს. ასე ვრცელდება ჭორები. ახლა, „საბედნიეროდ“, პოლიტიკოსებზე ჭორაობენ, ისინი უფრო პოპულარულნი არიან, ვიდრე ჩვენ.

**— სამაგიეროდ, თქვენი პროფესია გაცილებით მომხიბვლელია.**

— თითქმის ბავშვივით ხარ მსახიობი. როგორც ბავშვს, ხელში ტაფა უჭირავს და სჯერა, საჭეაო, ისეა მსახიობიც. იჯერებს მოცემულ სიტუაციას, თამაშობს, ბავშვივით მთლიანად წასულია თავის სამყაროში.

**— სხვა სამყაროში ყოფნას ჩვეულს ალბათ, გიძნელდებათ ჩვეულებრივი ურთიერთობა ხალხთან...**

— ჩემს სამეგობროში 95-97% არამსახიობია. მე მაშინ თეთრი ყვავი უნდა ვიყო მათთან... ასე არ არის. ჩვენ ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. ერთადერთი ის იციან, რომ როცა სპექტაკლი მაქვს, წინა დღეს არ უნდა შემაწუხონ. დამთავრდება სპექტაკლი და ისევ ვაგრძელებთ ჩვეულებრივ ურთიერთობას. ჩემი პროფესია განაპირობებს, რომ მე რაღაც პერიოდში არა ვარ მათი, ჩემს სამყაროში ვარ, ბავშვობაში მივდივარ.

**— ყოფიერებასთან ადაპტაცია არ გიჭირთ?**

— ძნელია... არიან მსახიობები, რომლებიც ახერხებენ ამას. ეს კიდევ ცალკე ნიჭია... ხომ ხედავთ, უცხოელი ვარსკვლავების მილიონერობა ხელოვნებასთან კი არა, მათ კომერციულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. დეპარდიეს მევენახეობისა და მეღვინეობის მთელი სისტემა აქვს საფრანგეთში, ახლა — კალიფორნიაშიც. მეც დიდი სიამოვნებით გავხდებოდი მეღვინე.

ბუნება მიყვარს საერთოდ, ტყე, მთა... ვერკვევი მეტყევეობაში... გეოლოგებთან ერთადაც დავდიოდი ხოლმე. იმდენად კარგი რაღაცები არსებობს ამქვეყნად, ხან ვიტყვი, რა მინდა ამ გაყინულ თეატრში-მეთქი... სვანეთში ბანგურიანის მწვერვალზე შევხვდი მზის ამოსვლას. ნისლი ჩვენ ქვემოთ ფარავდა მთელ სამყაროს. ჩვენ თითქოს სამყაროზე მაღლა ვიყავით. ყოველდღიური წვრილმანები ისე პატარა ჩანს ზემოდან... ეს ფიზიკური შეგრძნებაა, მაგრამ არიან ადამიანები, ვინც ამას აქ, ჩვენ გვერდით, ჩაბნელებულ ქუჩებშიც ახერხებენ: თავისი რწმენით, თავისი სათნოებით.

**— ბერების ცხოვრებას თუ იცნობთ?**

— სამი დღე ვცხოვრობდი მათთან. მშვენიერი იყო.

**— თქვენი სულიერი სიმშვიდისათვის რა არის საჭირო: კეთილდღეობა, წარმატებები პროფესიაში თუ კიდევ სხვა რამ?**

— რაც თქვენ ჩამოთვალეთ, სულიერ სიმშვიდეს არ განსაზღვრავს. ჩემი პროფესია, პირიქით, ხელს უშლის კიდეც ამას. ვყოფილვარ მშვიდი, როცა მიცხოვრია ისე, როგორც გვასწავლის ჩვენი სარწმუნოება; მერე ამირევ-დამირევია ყველაფერი, სამაგიეროდ, განსაცდელიც მქონია, განსაცდელი კი კათარზისია. აღმომიჩენია, რომ არსებობს დიდი საფიქრალი, რომელსაც ყოველდღიურ ფუსფუსში ვერ ვამჩნევთ. ერთხელ მოსკოვში ვიწექი საავადმყოფოში. პალატის ფანჯრიდან თვეების განმავლობაში ხის კენწეროებს ვხედავდი. ყველას ვეკითხებოდი, რა ხდებოდა გარეთ, როგორი იყო ყველაფერი. ყველა ერთსა და იმავეს მიამბობდა. ვბრაზობდი: რა უფანტაზიო, უნიჭო ხალხი ხართ, ყველა ერთსა და იმავეს როგორ ამბობთ-მეთქი. პირველად გავიარე თუ არა ყავარჯნებით, იმ ფანჯრისაკენ წავედი. წავიქეცი კიდეც. ერთი სული მქონდა, გადამეხედა... როცა შეზღუდული ხარ, მაშინ უკეთ გრძნობ, რა ძლიერია შეცნობის სურვილი. თუ იფიქრე, მაგალითად, მე უკვე პრეზიდენტი ვარ, აწი რაღა უნდა იყოს სანატრელიო, იქ მთავრდება ადამიანი. უსასრულოდ შეცნობის სურვილი აცოცხლებს კაცს. საავადმყოფოში იმასაც ვფიქრობდი: რა უგუნურები არიან ადამიანები, საბურავი რომ დაეშვებათ და იგინებიან — რა ბედი მაქვსო! ამ დროს იმას ვერ აფასებენ, რომ შეუძლიათ მზის ამოსვლას უყურონ. ჩვენ არ ვაფასებთ, რომ შეგვიძლია, ყოველ დილით ჩავიცვათ, გავიდეთ ქალაქში, ადამიანებს შევხვდეთ, მოვეფეროთ... თითქოს ეს არაფერია... არადა რა ბედნიერებაა თითოეული ახალი დღე. ნიჭი უნდა გქონდეს, რომ ამის სიხარული იგრძნო.

**— ჩვენ ბევრი ღირებულება გვაქვს, ვერასოდეს რომ ვერ გავწირავთ: მოყვასის სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი, მათ შორის უმთავრესი რომელია თქვენთვის?**

— საქართველოს სიყვარული. სიბრძნე აკლია ამ ქვეყანას და სიყვარული, თორემ ბევრგან ვყოფილვარ, ამაზე ლამაზი ქვეყანა არ მინახავს.

***გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა***

# – ჩემი დათოიე კარა, პაატას დამიწუნებენ შევარდნაძეს, სინზე დადებულს...

## გურულების სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობა

ჩოხატაურში კოლეგასთან ერთად ჩავედი, რედაქციაში შემოსული წერილის კვალს გავყევი. სიმართლე გითხრათ, მეგობარი ჟურნალისტი იმიტომ უფრო გავიყოლე, ნათესავები ჰყავდა იქ და ღამის გასათევის პრობლემა მოვიხსენი წინასწარ. რა ვიცოდი, რომ ამ მზით და სიყვარულით სავსე მხარეში, თუ კეთილი გულით ჩახვედი, მაშინვე ყველანაირი პრობლემა თავისთავად გეხსნება თურმე და ყველას სტუმარი ხარ, ვისაც სალამს ეტყვი და მოიკითხავ. უფრო მეტიც, ოღონდ გასიამოვნონ და ყველა საქმეს გადადებენ გვერდზე, მილეთის ამბებს გამოგკითხავენ, აუცილებლად გენეალოგიას მოიძიებენ შენსას და თუ ნათესაობაში არავინ აღმოჩნდა გურული, დანანებით და გაკვირვებით იტყვიან: „ამფერი კაი რაფრა გამოხვედი, აბა, ლაპარაკზე ისე შეგატყვე, გურულის ტვინი გაქვს აშკარად, სხარტი და მოქნილი, იქნება არც ქი იცი, თვარაო“...

ჩვენი კურიოზები გურიაში ჩასვლის პირველი წუთებიდანვე დაიწყო... როცა წერილი-საჩივრის დამწერს მივადექით კარზე კონვერტზე აღნიშნული მისამართის მიხედვით: „რეიზა მოხვედით?!. რა დროსი მერე, ჩემი ბიძიები?!. ჯერ იყო და ორი თვე ვიჭოჭმანე მეკადრა თუ არა ჩივილი, ორი თვეც გზაში ყოფილა მაი უსტარი, რავა გითხრათ და ერთი მაგდონი თქვენ გიფიქრიათ წამოსვლაზე და გამიარა წყენამ... აგერ, ჭის ცივი წყალი ვსვი და გამიგრილა გული. ჩამოით ეზოში, ჩამოით, მოგიკვდეთ, მახარე ბიძიე, აჩურჩუტებული კაციზა გაესარჯეთ ამ სიცხეშიო?!.“

რატომღაც ორივე ჭიშკარი ფართედ გამოაღო მახარე ბიძიამ, თითქოს ორი მოქანცული ქალი კი არა, ცხენზე ამხედრებული მაყრები მისდგომოდნენ სტუმრად.

— ნათელა, სად ხარ, ქალო, გამეიხედე... რომ ჩაძრობი დილიდან ბოსტნის კვალში მახრასავით და იჩიჩქნი დასაფსებ თვალებს, არ გეყურება, სტუმრები გვყავს, სტუმ-რე-ბი! — გასძახა გაურკვეველი მიმართულებით და თან ოდაში ავარდა „სასტუმრო სკამების“ ჩამოსატანად, ტალავრის ქვეშ პატარა მრგვალ მაგიდას შიშველი ხელისგული გადაუსვა და როცა ცერა თითი ქათმის სკორეში ჩაკრა, გაბრაზებულმა ჩაისისინა — „გაგწყვიტათ ქათმის ჭირმა, თქვენ ადგილი და დრო არ იცოდეთო“...

ამასობაში ნათელა დეიდაც ამოვიდა ბოსტნიდან. წინსაფარზე ხელების წმენდით და თოვლივით ქათქათა მანდილის სწორებით მოგვიახლოვდა. რომ ვერ შეგვიცნო, სალამზე ადრე, შიშმა შეკითხვა დაასმევინა: „ხომ მშვიდობა მეიტანეთო... ბაღნებს ხო არაფერი გოუჭირდათო?!“ — ისე შემოიდო ლოყაზე მარჯვენა, მახარე ბიძიას რომ არ ეჩქარა, ალბათ ჩამოიხოკავდა სახეს: „შენი ბაღნების ამბავი რა იციენ, ქალო, ამგენმა, რამ გამოგაშტერაო?!“

მოკლედ ვუთხარით მისვლის მიზეზზე და მაინც ვერ გადაურჩა ნათელა დეიდას მარჯვენა ლოყა ჩამოხოკვას. „ჩემ სიქვტილი, დაბერდი და გამოშტერდი, ხო, სულძაღლიანო, რაის საჩივრებია აგიტყდა, ან მეზობელს რას ეუბნები, ან მოკეთეს?! — რატო ის დღე არ დეიქცა, შენ რო წერა-კითხვა გასტავლეს. რაა, არ გეტყობოდა კოჭებში რაცხა პროფესორი გამოხვიდოდი?!“

პატარა ბავშვივით თავჩაქინდრულმა ისმინა მახარე ბიძიამ ცოლის ვიშვიში და ზედმეტი რომ მოუვიდა გაკაპასებულ ქალს, შეუტია: „ჰო, ეიშვი ახლა, ეიშვი შენებურად ეზიკიას ძაღლივით... სუს, ქალო, რას იფიქრებენ აი ბაღნები?“ — ჩვენზე ანიშნა თავალებმოწკურულმა.

ასადგომად წამოვიწიეთ: „წავალთ, აბა, მახარე ბიძია, თუ არ აპირებთ ამ საჩივრის ბოლომდე მიყოლას, შორს ვართ წასასვლელები, დაგვიღამდება აწი!“

— სად გაგიშობთ ამ ღამეში, თლა მასე კარაა ჩემი საქმე, არც ჩემი დედაკაცია ისთე გლახა, ერთი შეხედვით რო ჩანს. ამაღამ მეისვენეთ ჩვენსას, დილით ვანიჩქა კალანდაძის ბიჭი გამეივლის თავისი რაფით და გაგაყოლებთ ქალაქში.

ცოტა თავპატიჟი გამოვიდეთ.

— დეეტიეთ მაი სკამებზე... შენ კიდო აქანა ხარ, ქალო?! დაუტატანა ცოლს — წაი, დაკალი ინდოური, სანამ არ ჩასძინებია, ხო იცი, ბებერია და ადრე ეკიდება ძილი...

ნათელა დეიდა დაფაცურდა. მახარე ბიძიამ სამფეხა სკამი დაიდგა და ის იყო ჩამოჯდომას აპირებდა, ჭიშკარს მისი ტოლი კაცი მოადგა: „მახარე, არ მოდიხარ კანტორასთან საბირჟაოდ, რუსებს რაცხა შემოუთვლიათ ფარცაგი და გევიგოთ ერთი რა სიქვტილი არ ასვენებთ?!..

— რა დროს ბირჟა და რუსებია, ჩამოი, რეზოია, ეზოში, ხენწიფის ტოლი ქალები მყავს სტუმრად, უკეთესს გეტყვიან! — გასძახა სტუმარს და იმანაც ჭიშკარი შემოაღო: „ბაღნებისგან ხო კაი ანბავიაო!“ — იკითხა სალამზე ადრე.

— ბაღნებს რა უჭირთ, არიენ ქალაქში მხართეძოზე წამოწოლილი, ვითამ რამიშვილები კარა, შევარდნაძეები იყვნენ. აგენი ჟურნალისტები არიან და ჩვენს რაიონზე რაცხა კაის დაწერა ქონიათ დავალებული! — თქვა და ისეთი მუდარით შემოგვხედა, აშკარად ეწერა თვალებში: — თავი არ მომჭრათ მეზობელთან, საჩივარი არ ახსენოთო!“



— ყოლაფერი კაი თქვენ, მარა კაის რა უნდა ჩოხატაურში. ვახსოვართ კიდო ვინმეს ქალაქში?! — მართლა გაუკვირდა რეზო ბიძიას.

— გურული პრეზიდენტი გვყავს და თქვენ თუ არ ახსოვხართ, აბა სხვა რაში ენაღვლება?! — გავიკვირვე მეც.

— სუ, ჩემი ბიძიე, არ გეიმეორო მაგი და არც შენს გაზეთში დაწერო, გურული რომაა შევარდნაძე, ხვთის მადლით თელმა მსოფლიომ კი არა, თავადაც დეივიწყა თავისი სამშობლო, მარა არ ვჩივით, ვყრივართ ჩვენთვის სიბნელეში მშივრები და ჩუუცმელ-დუუხურავები, სამაგიეროდ მშვიდობა გვაქ და არავინ გვბომბავს; რომ გავამხილოთ ჩვენი გამოზრდილია, თუ სიკვდილს გადავრჩით, ბოიკოტს ვერ ავცდებით და მევინდურებთ თელ დუნიას!

რეზო ბიძიამ დაწვრილებით გამოგვკითხა ვინც ვიყავით და მაშინვე ვიგრძენით მოწიწებით რომ განიმსჭვალა ჩვენ მიმართ: „მიყვარს ნასტავლი ხალხი, კაი სიტყვის თქმა იციენ... ახლა გაზეთებს თლად ყველაფერი კარ დაეჯერებათ, მარა თვალში ხო გვახედებენ?! — აგერ ათი წელი იქნება, ჩოხატაურს არ გავცდენილვარ, არც ფარა მაქ ჯიბეში და ჯიბეც ჩამომეხა ძველ შარვალზე, არ დეიკავა ძაფი დამდნარმა ნაჭერმა, მარა გაზეთს მიგზავნიენ ხანდახან შვილები ქალაქიდან, დევიკავებ, წევიკითხავ და ასე მგონია, დუნია მევიარე ერთ დღეში...“

მერე უცებ თემა შეცვალა.

— ოჯახი, ქმარ-შვილი რავა გყავთ?!

— გასათხოვრები ვართ! — ერთმანეთს გადავხედეთ მე და ჩემმა მეგობარმა.

— ტიტუ-უ, ჩემი სიქვტილი! — შეიცხადა რეზო ბიძიამ, — მიტო არ უნდა გოუშვა გოგო სასტავლებელში. ამისთანა ანგელოზები რომ გუუთხოვრები დოუდიხართ, რავა ძინავთ თქვენს პატრონს, ან იმ ქალაქში დეეფსოთ თვალები ბიჭებს?! მარა წუნია იქნები შენ! — შემომხედა ეჭვით.

სიტყვა მეგობარმა ჩამომართვა: „არ გვცალია ოჯახისთვის, რეზო ბიძია, საქმე ბევრ დროს გვთხოვს. სახლი ჩვენით ავაშენეთ დამოუკიდებლად, თავსაც ვირჩენთ და კაცები ახლა ისევე გვჭირდება, როგორც მანქანას მეხუთე ბორბალი, რა იცი რა დროს გასკდება“...

— ბორბალი რო გასკდება, შოფრები გზაში „პაპუტნებსაც“ კი თხოვენ დახმარებას, ჩემი კაი ბიძიე, მარა ქალიზა რავა შეიძლება, მაი ბოზობაა! — გვითხრა რეზო ბიძიამ ისეთმა წარბშეკრულმა, ვერ გავბედეთ გაცინება.

ამასობაში მახარე ბიძია დაბრუნდა და მაგიდაზე დოქით ღვინო შემოდგა პრასთან და მწვანილთან ერთად, თან მეზობელს მიუბრუნდა: „რა იყო, რას კაპასობ, მყრალო რეზოია?!“

— გუუთხოვრები ყოფილან და არც გვინდა კაციო! — გვიჩივლა გაგულისებულმა.

— გოურიგე მერე შენი დათოიე!

— ჩემი დათოიე კარა, შევარდნაძის პაატას დამიწუნებენ ოქროს სინზე დადებულს, იმისთანა გლახა ჭკუაზე არიენ! — ხელი ჩაიქინა რეზო ბიძიამ.

— კაი ახლა, აცალე ბაღნებს სულის მოთქმა! — შეუტია მეზობელს მახარე ბიძიამ და რაც შეიძლება დაშაქრული ხმით გვკითხა:

— „შორი გზიდან ხართ მოსულები, გეიარეთ, ჩეჩმა ეგერ დგას ეზოს ბოლოში, თქვენ რომ გეკადრებათ, თლად ისეთი არაა, მარა, უქონლობას ჯობია...

...ჭასთან მხარზე პირსახოცგადაკიდებული გველოდა რეზო ბიძია, ხელები დაგვაბანინა. მაინც არ გასვლოდა ბოღმა, გუუთხოვრობას ვერ გვპატიობდა: „მეიძიეთ ბიძიებო, სანამ დროა, კაი კაძახი და თუ საჭირო გახდა, მიატიეთ მისი გულიზა ყოლფერი, თვარა ინანებთ სიბერეში. თუ არავინ მოგეფერათ და არც დედა დაგიძახათ, ოხრად დაგრჩებათ ეგ თქვენი გაზეთი...“

გაიშალა სუფრა, რომლის შუაგულშიც შამფურზე შემწვარ „ბებერ ინდოურს“ ასდიოდა სურნელოვანი ოხშივარი. თამადად რეზო ბიძია აირჩია ჩვენმა მასპინძელმა და მანაც შეიფერა: ზეცას ახედა, ღვინით სავსე თასი ზე ასწია და: „მშვიდობას გუუმარჯოს თელ დუნიაზე და ჩვენ-ჩვენ ოჯახებშიო!..“ ინდაურს ბარკალი აახლიჩა და სანამ ახალ ტყემალში ამოავლებდა, მახარეს მიუბრუნდა: „რავა დამთავრდა თუ გეიგე დიმიტრის გოგოს სასამართლო?!“

— მე და შენ რომ გაგვიხარდება, ისთე... იმფერი სიმართლიზა გონია ხსნიენ სამსახურიდან იმ მოსამართლეს, მარა არ დეეძებს თურმე — „გული ხომ მევიფხანეო?!“ — უთქვამს...

— რას ჩაიოდა დიმიტრის გოგო?! — დაინტერესდა ნათელა დეიდა და ხილი შემოდგა მაგიდაზე.

— 44 წის ქალი რაცხა ჭირად მოსწონებია ვინცხა გაჭირვებულს ქალაქში, გოგოს გონებია ცოლად ვუნდებივარო, ბიჭს კიდე რა აფიქრებიებდა, მის ასაკში კაცუნახავი თუ იქნებოდა, ცოლიც ყოლია და ბავშვების თელი ბატალიონიც... გაგულავება ნდომია მარტო და რა გეემტყუნება... ჰოდა, დოუჯდა ფასი — უჩივლა დიმიტრის გოგომ — „გამაუპატიურაო!“ — თფუ! — გადანერწყვა გვერდზე რეზო ბიძიამ.

— მოსამართლემ რაიო?! — ისევ ვერ გადაურჩა ნათელა დეიდას მარჯვენა ლოყა ჩამოხოკვას.

— რაიო და — „ამ საქმეში კაცის დანაშაულს ვერ ვხედავ, ქალია დამნაშავე, 44 წელი რომ უკაცოდ იარა და იქით შეაცდინა კაცი, ფიზიკურად სიქა გააცალა და მორალური ზარალიც მიაყენა, უნდა აუნაზღაურდესო!..“

— რაფრაო?!

— მაი აღარ ვიცი, მარა დიმიტრის გოგოზა 10 წელი მიუსჯია უკაცობა იმ მოსამართლეს და ჩამოიქცა თურმე სასამართლოს ჭერი ტაშის კვრის და ვაშას ძახილით... ახია დიმიტრის გოგოზე! — ველარ შევძელით სიცილისგან თავის შეკავება.

ჩინებული თამადა გამოდგა რეზო ბიძია, მაგრამ გურულისგან სიტყვამოსწრებულობა რა გასაკვირია. მხოლოდ რამდენიმე სადღეგრძელოზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას და ალბათ მიხვდებით რატომაც?

— არ შემიძლია ჩვენი პრეზიდენტი არ ვადღეგრძელო. მართალია დეივიწყა თავად საიდანაა და თლა ფეხებზე დაგვიკიდა გურულები, მარა თელი ქვეყანა ფეხებზე კიდია და ხომ არ ათქმევინებ ხალხს — „გადაყვა თავისიანებსო!“ — სწორი ტაქტიკაა ახლობლის მოძულება, ამას ყველა კვერ შეძლებს, ზედმეტად ჭკვიანი კაცი თუ მეიფიქრებს მარტო. ღმერთმა გააძლებიოს. მეცოდება, მე ქალიზა და ორი ბაღანიზა ვერ მომივლია, მშიერი მიყრიან ნახევრად და თელ დუნიას ერთი შევარდნაძე რავა დააპურებდი, ნამეტანს კი ნუ მოვთხოვთ!..

ჩვენს საქართველოს გუუმარჯოს! ამ ბოლო ხანებში ისე წევიდა მისი საქმე, რომ ვიხსენებ, ბაყბაყდევი მახსენდება, — თავს რომ აცლიან და ახალ-ახალი ეზრდება, უკვტავია მართლა, თვარა რაფრა ძლებს ასე მშიერი, წყურვალი, ხელ-ფეხჩამოჭრილი, დაჩეხილი?!. საქართველოსთან ერთად ღმერთს განვადიდებ, მართლა არსებობს ის მადლიანი, თვარა მეტი სასწაული რაღა გინდათ?! — არც ცეცხლში ვიწვით და არც წყალში ვიძირებით კაცისგან გამეტებულები!..

— ნოდარა დუმბაძის სულს რო არ შევუთვალო მოგონება, არ ვიქნები მართალი. სიმართლე თუ გინდათ, გურულებს მაი უფრო გვყავდა საპრეზიდენტო კაცი, მარა პატიოსანი იყო ნამეტნავი მაგფერი თანამდებობიზა, თანაც გული არ უვარგოდა — ყოლფერს ნერვიულობდა და ქე შემოასკდა ხელში... მაგის წიგნები რომ წევიკითხე, მაშინ მივხვთი, რა ბედნიერება მარგუნა განგებამ ამ მიწაზე რო დევიბადე. ტრაბახი გამომივა, ვიცი, მარა მართლა კაი ხალხი ვართ გურულები, ჩვენ გაგვიმარჯოს... ნოდარა დუმბაძის სისხლსა და ხორცს, მის მშობელ ხალხს დავლოცავ!.. თქვენ კი, თუ წერა ყველაფერს გირჩევნიათ, ჩემო ბიძიებო, იმფერი თუ არა, იმის ნახევარი მაინც დაგეწეროთ, ნოდარის კალამს რო შეეძლო! არც ჩვენ დაგვივიწყა რეზო ბიძიამ და ბუნებრივია, ცალკე სადღეგრძელოც მოგვიძღვნა: „მოკითხვა გადაეცით თქვენს უფროსობას და სიყვარული გურულებისგან. რაცხა იმფერი დაწერეთ, გულებს ნუ დაგვიხეთქავთ, მოგვატყუეთ, ოღონდ გაგვახარეთ, იმედი მოგვეცით! საქმეს დაგილოცავთ, დიდ საქმეს ხართ შეჭიდებული, ერის და ქვეყნის ისტორიას წერთ, წარსულს უნახავთ შთამომავლობას, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მართლები ყოფილიყავით ხალხისა და ღმერთის წინაშეო!..

...ღამის თავზე დაგვათენდა, მაგრამ ძილი არც გაგვხსენებია. ღამის სუსხმა რომ შეგვაწუხა, თბილი ჩასაცმელი მოგვახურა ბეჭებზე ნათელა დეიდამ ისეთი მზრუნველობით და უბრალოდ, დედას რომ შეუძლია მხოლოდ.

ის-ის იყო აშლას ვაპირებდით, ჭიშკარს ახალგაზრდა ვაჟი მოადგა: „მამა დამეკარგა, მახარე ბიძია, თქვენს ეზოში ხომ არ გადმოუხვევიაო?!“

— ეს ჩემი დათოიეაო! — გაგვაცნო შვილი რეზო ბიძიამ და სამწუხაროდ ვერ შეამჩნია, რომ ნამდვილად არ დავიწუნებდით მის ვაჟკაცს, არც შევარდნაძის პაატაში გავცვლიდით, ჰოდა ახლა ვუმხელთ გაზეთით მაშინდელ ნაფიქრალს...

დიდის ამბით დაგვემშვიდობნენ და ბოდიშიც მოგვიხადა: — „თუ რამე შემეშალა, მაპატიეთ, საქვეყნოდ ნუ მომჭრით თავს!..“

...გამთენიისას ჩაგვეძინა

დილით გამოიარა ვანიჩკა კალანდაძის ბიჭმა თავისი რაფით და ზედ ჭიშკარზე მოაყენა ავტობუსი, თან აყაყანებულ მგზავრებს გასძახა: „ზრდილობიანად მოიქეცით, ქალებო, ჟურნალისტები მომყობიენ, გლახა არ აფიქრებიოთო!..“

მახარე ბიძიამ: „აქეთ რომ მოხვდებით, ისე შემოგვიარეთ, როგორც თქვენს ბიძიას, გამახარებთო!“.

ნათელა დეიდამ უზარმაზარი ჩანთა დაგვიდგა ფეხებთან: „პაწა საგზალი გაგიხაზირეთო!..“

...წამოვედით და ქართველებსაც რომ გაგვიკვირდა, ისეთი სითბო გამოგვყვა საქართველოს იმ „ცენტრიდან“ — გურია რომ ჰქვია სახელად!..

**ინგა ჯაყელი**



# რას გვეტყვი, მამაო?

**— მაინტერესებს, იყიდება თუ არა ბიბლიის სრული ვერსია, რომელიც დაწერილია მხედრულად და შენარჩუნებულია ძველი ქართული საეკლესიო სტილი. შეიძლება თუ არა მალხაზ სონღულაშვილის რედაქციით გამოცემული „ძველი აღთქმის საღვთო ისტორია“, „ახალი აღთქმა“ და საბავშვო ილუსტრირებული წიგნი „ცხოვრება იესო ქრისტესი“ ხატებთან მოვათავსო?**

— ძველ ქართულ ენაზე მხედრული დამწერლობით გამოცემულია „ძველი აღთქმა“ „მცხეთური ხელნაწერების“ სერიალით და „ახალი აღთქმა“ ცალკე წიგნად. ბიბლიის სრული ვერსია გამოცემულია თანამედროვე სალიტერატურო ენაზე და მზადდება ასეთივე სრული ვერსიის გამოცემა ძველ ქართულ ენაზეც. ხატებთან შეგიძლიათ მოათავსოთ მხოლოდ საპატრიარქოს მიერ ლიცენზირებული საეკლესიო გამოცემები.

**— საჭიროა თუ არა აღსარების თქმის წინ რამდენიმე დღით მარხვის შენახვა (არამარხულ დღეებში) და შეიძლება თუ არა ზიარება, თუ ზიარების წინა ღამეს დამესიზმრა ხორცი, სისხლი, თამბაქოს წევა?**

— აღსარების წინ მარხვის შენახვა აუცილებელი არ არის. შეგიძლიათ ნებისმიერ დღეს მიბრძანდეთ ეკლესიაში და თქვათ აღსარება. ზიარების უფლებას კი მოძღვარი გაძლევთ მხოლოდ შესაბამისი ლოცვებისა და მარხვის შემდეგ. ზიარების წინა ღამეს მაცდური, ცოდვისეული სიზმრების ხილვის მიუხედავად, ზიარება შესაძლებელია. რჯულის კანონი გვამცნობს, რომ ზოგჯერ სწორედ ზიარების წინ ხდება ადამიანის ძილში დაცემა. ოღონდ, აღსარებაში უნდა მოვინანიოთ ასეთი სიზმრების შესახებ.

**— შეიძლება თუ არა ცოლქმრული ურთიერთობა დიდი მარხვის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მარხვა შენახულად ითვლება თუ არა. მოძღვართან ამ თემაზე საუბარი მეუხერხულება.**

— საეკლესიო კანონიკით ცოლქმრული ურთიერთობა არ შეიძლება დიდი მარხვის პირველ და ბოლო კვირას, ზიარების წინა დღეებში და ასევე შაბათის ღამეს. დანარჩენ დღეებში ცოლ-ქმარს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ სურვილისამებრ მოიქცნენ. ოჯახის შესახებ პავლე მოციქული პირდაპირ ამბობს: შეთანხმების გარეშე ერთმანეთს არ განეშოროთ, რათა არ განიცადოთო.

**— წლების წინ მლოცველმა ქალმა შემილოცა. მისივე რჩევით ვიყიდე მიტკალი და სანთლები, რომელიც სალოცავში უნდა წამეღო. ყველაფერი ეს არც იმ ქალთან მიმიტანია და არც ეკლესიაში, დღემდე სახლში მაქვს. რას მირჩევთ, როგორ გამოვიყენო?**

— ასეთ შემლოცველებთან, ნათელმხილველებთან, მჩხიბავებთან მისვლა ცოდვად ითვლება და აღსარებით უნდა მოინანიოთ. ნივთები კი შეგიძლიათ მათი დანიშნულებისამებრ მოიხმაროთ.

**— ათი წლის წინ გარდაცვლილი მშობლების საფლავის ქვამ დროთა განმავლობაში მიწაში ჩაიწია. გვინდა ქვის ამოწევა და ახალი სადგარის დადგმა, მაგრამ გვაშინებს გავრცელებული აზრი, რომ დიდი ხნის წინ გარდაცვალებულთა საფლავის განახლებას ოჯახში სიკვდილი და უბედურება მოსდევს.**

— ჩვენ ვალდებულნი ვართ, მივხედოთ ჩვენს მიცვალებულებს. წმინდა მამები სასაფლაოს უფლის ყანას უწოდებენ, რადგან მეორედ მოსვლის ჟამს აქედან აღდგებიან მკვდარნი. სასაფლაო წმინდა ადგილია, ამიტომ ჩვენი წინაპრები იქ ტაძარს აგებდნენ. საფლავი მდუმარე აღიარებაა მიცვალებულის რწმენის, ამიტომაც საფლავზე უნდა იყოს ჯვარი. გულმშვიდად აღადგინეთ მშობლების საფლავის ქვა, ამით თქვენს წმინდა მოვალეობას აღასრულებთ. ცოდვად ითვლება დაზიანებული და მოუვლელი საფლავი.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# დასნებოვნებული კვების პროდუქტები საქართველოში(?!)

## „უხარისხო პროდუქტის საქართველოში შემოტანას „ზემოდან“ მფარველობენ“...

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— რისთვის სჭირდება ხარისხიან სურსათს ფუმიგაცია?**

— რამდენადაც ვიცი, იმისთვის, რომ ტრანსპორტირების დროს სურსათს მავნებელი არ გაუჩნდეს. რაც შეეხება პურის ფქვილს, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

**— ნუთუ არასოდეს მიგიმართავთ შპს „ტროპიკოლოგის“ ხელმძღვანელის, პროფესორ გუგული გუგუშვილისთვის სწორედ ფქვილთან დაკავშირებით?**

— ჩვენ საუბარი გვქონდა საწყობის სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაზე, ისიც პროფილაქტიკის მიზნით.

**— მაშ, ეს წერილი რას ნიშნავს?..**

— და ლაშა მაჩაიძეს ჯერ გუგუშვილის სახელზე მიწერილ წერილს ვუკითხავ, მერე კი მისსავე პასუხს, — ამ პასუხიდან ჩანს, რომ ფქვილში უამრავი ტკიპაა აღმოჩენილი.

— საიდან გაქვთ ეს წერილები? „ტროპიკოლოგს“ არ აქვს დასკვნების გამოტანის უფლება... — მაჩაიძე საუბრის გაგრძელებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს და კარისკენ მიგვითითებს(!).

კონსულტაციისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასთმის, ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ **დავით თელიას** მივმართეთ: „პარაზიტები და მავნებლები ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას სისხლში ალერგიული ანტისხეულების მომატებას იწვევენ. ეს კი ზრდის ბრონქიალური ასთმით დაავადების რისკ-ფაქტორს. ასთმით დაავადების გარკვეული ხელისშემწყობები არიან მავნებლები. ისეთი ტკიპებიც არსებობს, რომელთაც „დერმატოფაბუილიისს“ უწოდებენ (გახსოვთ, ზემოთ გთხოვდით ეს სახელი დაგემახსოვრებინათ). ისინი საყოფაცხოვრებო პირობებში, მათ შორის — კვების პროდუქტებში მრავლდებიან. ამ სახის ტკიპები ბრონქიალურ ასთმას იწვევენ“.

საქართველოს ზოოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოსი **ირაკლი ელიავა:** „საქართველოს ფიტოსანიტარიულ სამსახურს და ჩვენ არაფრად გვაგდებენ. ასეთი პროდუქტის შემოტანის შემთხვევაში რესპუბლიკაში განგაში და საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს. დასნებოვნებული კვების პროდუქტი სასწრაფოდ უნდა განადგურდეს. ერთხელ გავანადგურებთ, მეორედ და გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა შეწყვეტს დასნებოვნებული კვების პროდუქტების შემოტანას, მაგრამ ვინაა პატრონი?! რაც შეეხება ფუმიგაციას, მისი ჩატარების შემდეგ ლობიოს მარცვლის გამოყენება მხოლოდ სათესლედ თუ შეიძლება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჩანასახი მავნებლისგან არ არის შეჭმული, თორემ საკვებად გამოყენება როგორ შეიძლება?! მილიარდობით დახოცილ მწერს ფქვილისგან ან ლობიოსგან ვინ გამოარჩევს?!“

> „შემოსული ლობიოს ხარისხიც არ არის დამაკმაყოფილებელი, მასში სხვადასხვა პარაზიტი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მსოფლიო სასურსათო პროგრამის თანამშრომლები მოატყუეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლაბორატორიულად შეამოწმა პროდუქტი და დაადგინა, რომ ლობიო მართლაც დასნებოვნებულია.“

ზოოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **ავთანდილ ჟოლოკავა:** „ტკიპი მეშვიდე-მეცამეტე დღეს ჩეკს კვერცხიდან მატლს. მატლი იცვლის კანს და გადაიქცევა სხვა სახის მატლად. ყველაფერი ეს მილიარდობით კვერცხთან ერთად პროდუქტში რჩება. ფუმიგაცია მხოლოდ ტკიპებს და სხვა სახის მავნებლებს ანადგურებს, ფუმიგაციით სურსათის გაწმენდა არ ხდება. ერთი სიტყვით, დიდძალი ფული კეთდება, ან ფუმიგაციას ვინ ან როგორ გააკეთებს საქართველოში?!“

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე **დავით შერვაშიძე:** — რამდენიმე წელიწადია, რაც გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა საქართველოში მოღვაწეობს და მას არც ჩვენთან და არც სხვა სამინისტროსთან პარტნიორული ურთიერთობა არა აქვს. სამწუხაროდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები არ ათანხმებენ ქვეყნის ხელისუფლებასთან თავიანთ სამუშაო გეგმებს. ამის გამო მათთან არაერთხელ მიკამათია. ისინი ამბობენ: „ჩვენ ვმუშაობთ ტიპური, შაბლონური ხელშეკრულებით და ჩვენი წესებით. თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, მაშინ დავრჩებით საქართველოში და გავაგრძელებთ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოსთვის გამონაკლისს ვერ დავუშვებთ.“ ერთი სიტყვით, ულტიმატუმს გვიყენებენ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ უსიტყვოდ დავეთანხმოთ. სწორედ ახლა მზადდება მათთან ჩვენი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რომლის შემდეგაც, ვფიქრობ, პრობლემა გადაიჭრება.

**— მანამდე ხომ შეიძლება, რომ ქვეყანაში დასნებოვნებული პროდუქტები შემოვიდეს ფიტოსანიტარიული სამსახურის გვერდის ავლით... თუმცა როგორც შევიტყვეთ, სწორედ ფიტოსანიტარის ინსპექტორები ხუჭავენ თვალს დარღვევებზე.**

— მცენარეთა დაცვის სამსახურში, ისე როგორც ფიტოსანიტარიაში რომ უწესრიგობა იყო, გეთანხმებით. ამ სამსახურის ხელმძღვანელის განთავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან დიდი უსიამოვნებები მოჰყვა, — გვემუქრებოდნენ, გვესროდნენ, მინისტრის სახლს მინები ჩაუმსხვრიეს და ა.შ. მიუხედავად ამისა, დავიწყეთ ამ სამსახურის ძირეული რეორგანიზაცია, — ფიტოსანიტარიული სამსახური შევუერთეთ მცენარეთა დაცვის სამსახურს, გადავახალისეთ კადრები. ამიერიდან საქართველოში შემოტანილ ყველა ტვირთზე აბსოლუტური კონტროლი დაწესდება.

**— რა ინფორმაცია აქვს სამინისტროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ შარშან საქართველოში იმპორტირებულ პურის ფქვილსა და წელს შემოტანილ ლობიოს მარცვალზე?**

— როგორც გაირკვა, 21 ათას 428 ტონა ფქვილი 2001 წელს შემოუტანიათ. დაუშვებელია, ფქვილს ჰქონოდა საკარანტინო დაავადება და რესპუბლიკის ფიტოსანიტარიის ინსპექტორებს ის გაეტარებინათ(?!), მაგრამ ძალზე დიდი ალბათობაა იმისა, რომ ფქვილის განბაჟების შემდეგ საწყობში დაირღვა მისი შენახვის პირობები, ან შეიძლება ფქვილს ტრანსპორტირებისას დაეხვია სხვადასხვა მავნებელი, თორემ საზღვარგარეთიდან ასეთი ფქვილის გამოშვებას ფუმიგაციის გარეშე არ იკადრებდნენ. მე მაქვს დოკუმენტი ფიტოსანიტარიის ინსპექტორებისა, რომლებმაც ფოთის პორტში შეამოწმეს პურის ფქვილი და მასში ვერ ნახეს საკარანტინო ობიექტი.

**— რამდენად სანდოა დოკუმენტი?**

— არა მგონია, პროფესიულ თავმოყვარეობას ინსპექტორებისთვის თვალის დახუჭვის საშუალება მიეცა. რაც შეეხება ლობიოს მარცვალს, საქართველოში გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენლობამ კი არა, ჩვენ აღმოვაჩინეთ და დავაპატიმრეთ. ველოდებით სამინისტროს ხარისხის ინსპექციის დასკვნას, თუ რამდენად ვარგისია ლობიოს მარცვალი საკვებად, მანამდე ტვირთი საწყობშია დალუქული...

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გუგული გუგუშვილი და ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, არის თუ არა პურის ფქვილსა და ლობიოს მარცვალში ცოცხალი თუ განადგურებული მავნებლები, მისი საკვებად მიღება დაუშვებელია.

*P.S. „...ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი გადმოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მათხოვარს, რომ საწყალმა თვალებზედ ხელი მიიფარა...“ — გლეხის ქალს ასე ესმოდა ქველმოქმედება, — ის მათხოვარს უვარგისს და უხარისხოს არასოდეს მისცემდა. ჩვენი რწმენით, ქველმოქმედება ის არის, გაჭირვებულისთვის ის ლუკმა გაიმეტო, რომლის მირთმევასაც თვითონ აპირებდი, თორემ უვარგისს და წამხდარს ყველა გაიღებს.*

***ზვიად ჩაკვეტაძე***




# მუსიკა სულის სამშვენისია

როცა სულს მუსიკა სწვდება და მთელი ცხოვრება თავისი განუმეორებლობით, უცნაურობებითა თუ ტკივილებით მუსიკოსის წარმოსახვაში ერთ აკორდში იყრის თავს, ქაოსურ ყოველდღიურობასაც ხიბლი ედება, ხელოვანი იბადება, ხელოვანის განცდა უსასრულობამდე სიღრმისეულია, ფანტაზია უკიდეგანო, ყოველი დღე ყოველი ნოტია, რომელიც ისე უნდა აიღო, რომ გამის ჰარმონიულობა არ დაარღვიო...

მუსიკა სულის სამშვენისია, ადამიანური ყოფიერების შეუფასებელი სამშვენისი...

ხელოვანი მარტოსულია, მისი ხელოვნება კი ამ მარტოობის საზღაური.

ზაურ მურვანიძის პირველი კავშირი მუსიკასთან იმ დაუოკებელი სურვილით შედგა, რომელიც გიტარის შეძენით შემოიფარგლებოდა. ყველასთან ამ ჯადოსნურ ხელსაწყოს ეძებდა, განსაკუთრებით ხშირად იმ ახლობლებს სტუმრობდა, რომელთაც სახლშიც გიტარა ჰქონდათ. არ ახსოვს, როდის აიღო პირველი აკორდი, როგორ შექმნა პირველი ჰარმონია აკორდების ერთიანობამ და არც ის ახსოვს, ჰაერმა როგორ შთანთქა ამ აკორდების ჟღერადობა. სამაგიეროდ, გიტარის სიყვარული ალებეჭდა გულში. ეს გრძნობა მთელ სხეულში გაუჯდა და სულში დაბინავდა. მუსიკალური განათლებაც მიიღო, კონსერვატორია კი ვერ დაამთავრა, რადგან ამ ცხოვრებაში თავი შრომით უნდა დაემკვიდრებინა, უნდა ემუშავა და ლუკმაპური შრომით მოეპოვებინა. ელექტროშემდუღებლად დაიწყო მუშაობა. მთელი დღე მუხლჩაუხრელად შრომობდა, საღამოობით კი ნოტებს ჩაჰკირკიტებდა, ბევრჯერ დაკვრაში დასთენებია. მაშინ „ანსამბლი-75“ პოპულარობის ზენიტში იყო. ხალხს უყვარდა მელოდიური სიმღერები, მაგრამ ეს ჯგუფი მაინც დაიშალა. რობერტ ბარძიმაშვილი კინაღამ დეპრესიაში ჩავარდა. ეხვეწებოდნენ, ახალი ჯგუფი გააკეთე, სხვა მუსიკოსები შეკრიბეო, მაგრამ მას არაფრის გაგონება აღარ უნდოდა. „ორერას“ და „75“-ის შემდეგ ველარ წარმოედგინა, როგორი ჯგუფი უნდა შეექმნა. დრომ გადაწყვეტილება მაინც შეაცვლევინა. ხელოვანის დაუდგრომელმა სულმა ჩარჩოებში დიდხანს ვერ გაძლო და შემოქმედმა კვლავ სცადა მსმენელის დაპყრობა. ბარძიმაშვილმა შექმნა „ჯორჯია“. იყო გასტროლები, კონცერტები, სიახლეების დაუოკებელი ძიების სურვილიც. რუსთავში ვირტუოზი მარტო მუშაობსო, — ჩააწვეთა ვიღაცამ და მანაც მაშინვე მოძებნა ზაურ მურვანიძე, თბილისში ჩამოიყვანა და ბას-გიტარაზე დაკვრა შესთავაზა. ზაურის ცხოვრებაში იმედებისა და ოცნებების ხორცშესხმის ხანა დაიწყო. პირველმა ტაშმა ცრემლიც კი მოჰგვარა. პირველად ავტოგრაფს რომ აძლევდა, მუხლები უკანკალებდა, მერე კი მთელი ღამე საკუთარ თავს ეკითხებოდა: გქონდაო ამისი უფლება? ერთ კონცერტს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, ანსამბლის წევრებს პოპულარობის იმედიც ჰქონდათ, მაგრამ თბილისი საერთო არეულობამ მოიცვა. ქალაქის ქუჩებში სისხლი დაიღვარა. მუსიკოსები დაიბნენ, ვერ გააცნობიერეს, ბარიკადების რომელ მხარეს იყო სიმართლე, ვინ ვისთვის და რისთვის იბრძოდა. ხალხმა საკონცერტო დარბაზებიდან თანდათან მიტინგებზე გადაინაცვლა, უშუქობა, უიმედობა, პურის რიგში დგომა და დაუცველობის შეგრძნება ჯგუფის წევრებს ყელში ბოლმასავით გაეჩარათ. მიხვდნენ, მათ მუსიკას მსმენელი აღარ ჰყავდა, ზაური ისევ რუსთავში დაბრუნდა, აღარც სამსახური და აღარც სცენა. რა უნდა ეკეთებინა? მის ცხოვრებაში გაურკვევლობით აღსავსე დღეები დადგა. ზოგჯერ სანთელი არ ჰქონდა და სიბნელეში ხელის ცეცებით ეძებდა ინსტრუმენტს, ზოგჯერ შიოდა და ამაოდ ცდილობდა დაცარიელებულ სამზარეულოში ცხელი კერძი აღმოეჩინა, არაყი და ხმელი პური, სიგარა და უიმედობა მის ცხოვრებას აეწება და შეესისხლხორცა. გიტარისთვის მაინც არ უღალატია. მთვრალიც უკრავდა და მშიერიც, მისი მუზა ჩაბნელებულ რუსთავის თავზე პირდაფჩენილ მთვარესავით უნათებდა გონებას, მშიერი მგლის ხახაში ჩავარდნილ მთვარესავით...

უკრავდა საკუთარი თავისთვის, სცენის ნოსტალგია გულს უწყალებდა, დეპრესიიდან თავის დაღწევა შეუძლებელი ჩანდა...

რა უნდა ვქნა? როგორ გამოვკვებო ცოლშვილი? ეს კითხვები კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა ყოველდღიურობას. ზოგიერთმა ჯგუფმა და შემსრულებელმა მიწისქვეშა გადასასვლელებს შეაფარეს თავი. იქ თავიანთი სამყარო შექმნეს, მაგრამ ზაურისთვის ეს გზა თავიდანვე გადაკეტილი აღმოჩნდა. გონებაშიც ვერ წარმოედგინა, როგორ შეძლებდა გიტარაზე დაეკრა, ფეხებთან კი ყუთი დაედო და აკორდების მაგიერ ხურდა ფული ემათხოვრებინა...

მოულოდნელად მეგობარმა შესთავაზა: პოლონეთში ქართული რესტორანი გაიხსნა, სხვა ბიჭებიც მიჰყავთ, ცხოვრებას გაიუმჯობესებო... დიდხანს იფიქრა ზაურმა, რა უნდა ექნა? წასვლა არ უნდოდა, მაგრამ საკუთარი თავი აიძულა გაეხსენებინა, როგორ იჯდა თავდახრილი და ქორწილში უკრავდა, რადგან რომ გაუჭირდა სამ თუ ოთხ ქორწილში დამკვრელად წავიდა... ამის გახსენება იოლი არ აღმოჩნდა, გადაწყდა: პოლონეთში წავიდოდა.

ქალაქ ლოძში ქართულ რესტორანში ოთხი ქართველი მუსიკოსი თავდაუზოგავად მუშაობდა. იცოდნენ, მოგროვილი ფულით მათი ოჯახები შიმშილს თავს დააღწევდნენ.

ზაური:

— ყველაფერი ქართული იყო, შოთის პურები ცხვებოდა, ჩვენი ღვინოები საოცარი პოპულარობით სარგებლობდა... ყოველდღიურად ვმუშაობდით. ყველა ენაზე ვმღეროდით, ძირითადად კი ქართულად. დღეში ოთხი საათი ვმუშაობდით. ეს ძალიან ბევრია, მაგრამ როცა ცოლი და შვილი გყავს, ყველაფერს უნდა გაუძლო. თუ გინდა, რომ კაცი იყო და მამა, მძიმე შრომა უნდა აიტანო. ყველაზე ძნელი ოჯახის მონატრება გახლდათ. მუსიკოსები ოთხნი ვიყავით. ოთხივეს გვტანჯავდა ნოსტალგია, როცა გაჩუმებულები ვისხედით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ფიქრებით ჩვენს ოჯახებს დავტრიალებდით... კონტრაქტს ხომ ვერ დავარღვევდით, ვუძლებდით მონატრებას. როგორც კი წელიწადი გავიდა, მაშინვე თბილისში დავბრუნდით. არსად აღარ ვაპირებ წასვლას. თუ რამეს ფასეულს ვაკეთებ, ეს ყველაფერი ჩემი ქვეყნისთვის მინდა. აქაური სუნი, წვიმის მერე რომ დგება ხოლმე, ყველა სურნელს მირჩევნია.

თბილისში დაბრუნებული ხელოვანი ისევ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, სად ემუშავა? სიმღერებში თავის სულს ანაწევრებდა და დებდა. ამ სიმღერებს კი მსმენელი არ ჰყავდა. ხელოვანის სულში სცენის ნოსტალგია აზვირთდა და ჯებირებს მოასკდა. ერთ დღესაც „ჩოხას ბარში“ „ძველი თბილისის“ დასალევად შევიდა. ღვინომ სითამამე შემატა. ახლა ვერ იხსენებს, როგორ მივიდა გიტარასთან და როგორ სთხოვა მუსიკოსებს: დამაკვრევინეთო. მისმა ჰანგებმა იქაურობა გააყრუა. ირლანდიურმა მუსიკამ, რომელიც პოლონეთში „გაიცნო“ და „დაიძმაკაცა“ იქ მყოფ ადამიანებში აღტაცება გამოიწვია. იმ დღიდან მოყოლებული ზაური ყოველ საღამოს „ჩოხას ბარში“ უკრავს და მღერის.

ზაური:

— ლათინურამერიკული მუსიკა უფრო ვაჟკაცურია, ტკბილი და ახლობელი. ეს მუსიკა პოლონეთში შევიყვარე. ჯაზს თუ არ უკრავ, მაშინ ლათინურამერიკული მუსიკა უნდა დაუკრა, რადგან ქართულ სუფრასთან უფრო ახლოა. ამერიკული მუსიკა ჩემთვის უცხოა, ვერ გავითავისე. უმეტესობას ჯაზი უფრო მოსწონს. ლათინურამერიკული მუსიკა ჩვენში პოპულარული არ არის, მაგრამ მე მსმენელი მაინც არ მაკლია, ძალიან რთული იყო ის გზა, რომელიც გავიარე... მიმაჩნია, რომ ამ ბარში ჩემი მსმენელი შევიძინე, აქ ზოგი ყოველდღე მოდის ჩემს მოსასმენად. ამიტომ სულ ჩემს თავზე ვმუშაობ. რეპერტუარს ხან განვაახლებ, ხანაც გავართულებ ხოლმე...

წინააღმდეგობრივი და რთული აღმოჩნდა ის გზა, რომელმაც ზაურ მურვანიძე „ჩოხას ბარში“ მოიყვანა. ბევრ იმედგაცრუებას თან ბევრი ტკივილიც ახლდა. ის პერიოდიც ახსოვს, როცა შეზარხოშებულ მოქეიფეს მისთვის ჩხუბი დაუწყია: შენზე უკეთესად ვმღერი, გაჩუმდი, მე უნდა ვიმღეროო. ზოგს მისთვის ისიც დაუბრალებია — დაკვრა არ იციო... მწარე მოგონებები პოლონეთში დარჩა. წინ იმედია უკეთესი მომავლის და ფართო სცენის. დარწმუნებულია გადაჭედილ ფილარმონიაში ისევ გამართავს კონცერტს და ისევ დაუძახებენ „ბრავოს“.

ზაური:

— ჩემს მსმენელს არასდროს დავალალატებ. არა აქვს მნიშვნელობა წყალდიდობაა, თოვა თუ ჭექა-ქუხილი. მე ყოველდღე მოვდივარ რუსთავიდან, პრობლემებს ოჯახში ვტოვებ, სცენაზე რომ დავდგები და ხელს გიტარის სიმებზე ჩამოვკრავ, ყველა პრობლემა მავიწყდება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მინდა ჩემს ოჯახს დღესასწაული მოვუწყო. „ძველ თბილისს“ ვუყიდი ხოლმე და სახლში ხელდამშვენებული ვბრუნდები. დღესასწაული ხომ კარგი ღვინის გარეშე არ არსებობს. ცოლ-შვილს დავხედავ და ვეტყვი: ახლა მხოლოდ თქვენთვის უნდა დავუკრა-მეთქი... ასეთი რამ უკვე სამჯერ ვცადე და არც ერთხელ არ გამომივიდა. ისინი დაკვრას არ მანებებენ: დაღლილი ხარ, ნაძალადევად რატომ უნდა დაუკრა, სჯობს დაიძინო, დაისვენოო. არ იციან, რომ ხელოვანისთვის ნაძალადევი დაკვრა არ არსებობს. მე ყოველთვის გრძნობით ვუკრავ, მთელი სულითა და გულით ვცდილობ ჩემი ჰანგებით მსმენელის გულში შევაღწიო...

მუსიკის ნიჭი, მუსიკის სიყვარული, მუსიკის გათავისების უნარი ქართველებისთვის უცხო არ არის. ამიტომაც ჰყავს უამრავი მსმენელი ირლანდიურ მუსიკას და ზაურ მურვანიძეს... მან სხვებიც აიყოლია. მასთან ერთად თემურ მაღრაძე, ზაზა ზირაქაძე და კახა ფარცხანაშვილი უკრავენ. ყოველ საღამოს რუსთავიდან „ჩოხას ბარში“ გიტარებით მოვდივართ, ხშირად ისეთი ჟინი შეგვიპყრობს ნაბიჯს ავუჩქარებთ, რათა სწრაფად წარვდგეთ მსმენელის წინაშე. რა ვქნათ, ჩვენთვის მსმენელის ტაში ნარკოტიკივითაა. შევეჩვიეთ და სხვაგვარად ცხოვრება ველარ წარმოგვიდგენიაო, — გამიმხილეს...

მეც აღმოვჩნდი მსმენელთა შორის... მოვისმინე ირლანდიური სიმღერები და მეც მივაწოდე ექსტაზში მყოფ მუსიკოსებს ჩემი წილი ნარკოტიკი... მართლაც, ფასდაუდებელია მუსიკოსისათვის მხურვალე ტაში.

R

# ცოდვა, რომელმაც სიცოცხლე სანანებლად გამიხადა

ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელმა, 43 წლის კაცმა თავი მოიკლა...

არეული დრო იყო და ყველამ, ახლობელმა თუ უცხომ, ეს ნაბიჯი შემდეგნაირად შეაფასა: ისეთი ფინანსური მაქინაციები ჰქონდა გაკეთებული, როცა „მავანთ" ყველაფრის გარკვევა მოსთხოვეს, რთული სიტუაციიდან „გამოსასვლელად" მოიკლა თავიო.

ერთი კვირის წინ რედაქციაში უცნობი ქალბატონი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. შევხვდით ერთმანეთს.

— ცოდვა ღვთის რისხვაა და უნებურად ჩადენილიც კი მთელი სიცოცხლე არ მოგასვენებს. არადა, ერთხელ ხომ უნდა ამოთქვა ის, რაც გაწუხებს. თბილისში ჩემი მოძღვარი მყავს, მაგრამ ის ჩვენი ოჯახის ახლობელია და ვერ შევბედე სიმართლის თქმა... წავედი დასავლეთ საქართველოში, სრულიად უცნობ მღვდელს აღსარება ჩავაბარე და მოვინანიე ცოდვა, მაგრამ გაგიკვირდებათ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დღემდე მომყვება. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვადანაშაულებ ჩემს თავს... როცა თქვენს გაზეთში გზაკვალარეული ადამიანების ამბებს გავეცანი, მივხვდი, მეც იგივე უნდა გამეკეთებინა — მომეთხრო ჩემი ამბავი. დაე, ხალხმა გამკილოს, ან რამე მირჩიოს, ან უბრალოდ, ალალად მითხრას სიმართლე: ვარ თუ არა დამნაშავე? — მითხრა უცნობმა ქალბატონმა და იმთავითვე შემითანხმდა: არ მიწყინოთ, ვერც თქვენ გაგიმხელთ ვინაობას, ისე კი ლიზი დამიძახეთო და განაგრძო: — 22 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა ძალით გამათხოვეს. ჩემი მეუღლე შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ჩემზე 6 წლით უფროსი. არადა შეყვარებული მყავდა. დღე-დღეზე ვაპირებდით გაპარვას. ვერ მოვახერხეთ, რადგან შალვას (ჩემი მეუღლის სახელსაც ვცვლი!) გამოჩენიდან, მშობლები გარეთ ცხვირსაც კი არ მაყოფინებინებდნენ. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, გადავწყვიტე არასასურველი ქორწინებიდან თავდასაღწევად, ძალიან ცუდი ტყუილი მეთქვა: ერთხელ, როცა მე და შალვა მარტონი დავრჩით, ამოვღერღე: იცი, შეყვარებული მყავს და მისგან ბავშვს ველოდები-მეთქი. თავი ჩაღუნა და დიდი ხნის დუმილის მერე მითხრა: შენი დათმობა არ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, როცა გამიცნობ, შეგიყვარდები. სხვისთვის ვერ გაგიმეტებ, ბავშვი გააჩინე, ვითომც ჩემგან გყავს. ღვიძლი შვილივით გავზრდიო. ვიტირე, ისტერიკა დამემართა, რამდენიმე დღე ოთახიდან არ გამოვსულვარ, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ერთი თვის მერე შალვას ცოლი გავხდი. სხვა გზა არ იყო, კახა (ჩემი შეყვარებულის პირობითი სახელი) უნდა დამევიწყებინა. სიმართლე გითხრათ, შალვაზე სამდურავი არ მეთქმოდა. მოსიყვარულე და ყურადღებიანი ქმარი იყო. არაფერს გვაკლებდა, მაგრამ ხანდახან ქილიკით მახსენებდა „გოგოშკურ" გატაცებას, რომელმაც „წაკლაშკური" (მისი სიტყვებია!) ტყუილიც კი მათქმევინა. ვერაფერს ვპასუხობდი... რა იცოდა, ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ და მხოლოდ ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ორი ადამიანის ურთიერთობა რომ ერქვა... ასე ერთფეროვნად და მდორედ გაგრძელდებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არა ერთი მოულოდნელი შემთხვევა...

როცა სკოლებში ზამთრის არდადეგები დაიწყო, შალვამ მე და ბავშვები ზამთრის ერთ-ერთ პრესტიჟულ კურორტზე დასასვენებლად გაგვიშვა. თვითონ ვერ ახერხებდა წამოსვლას. დამპირდა, ბოლო დღეებში ჩამოვალო.

როგორ არ არსებობს ბედისწერა?! ახლა ხშირად ვფიქრობ, დასასვენებლად რომ არ წავსულიყავი, ხომ არაფერი მოხდებოდა-მეთქი. ვიცხოვრებდი უსიყვარულოდ, მშვიდად, ერთფეროვნად, მაგრამ უცოდველად...

12 წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით შევხვდი კახას. კვლავ უცოლო იყო. თავის ორ მეგობართან ერთად სპორტული ჯგუფი ჰყავდა სავარჯიშოდ მოყვანილი. ერთიც და მეორეც გაოგნებულები ვიყავით. ბედმა გვიან, მაგრამ მაინც შეგვახვედრა. ორი კვირის განმავლობაში წუთითაც არ დავშორებივართ ერთმანეთს. მან ჩემი შვილებიც ჩართო ვარჯიშში. ერთი სიტყვით, უზომოდ ბედნიერები ვიყავით. გამომგზავრებამდე ჩემი ქმარი მართლაც ცოტა ხნით ჩამოვიდა. ამჯერად, არც ტყუილი და არც მართალი — არაფერი დამცდენია კახას შესახებ.

ჩემი და კახას შემთხვევით აღდგენილი ურთიერთობა აღარ გაწყვეტილა, გაგრძელდა... ერთი წლის მერე მივხვდი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. მეც და ჩემი ოჯახის



ყველა წევრი (ისევ ჩემ გამო) ტყუილების მორევში ვიხრჩობოდით. რაღაც უნდა მეღონა. მტკიცედ გადავწყვიტე, ძალა მომეკრიბა და სიმართლე მეთქვა... სიმართლეს საშინელი რეაქცია მოჰყვა. შალვა ხელით შემეხო. ყველაზე დიდი სიმწარე კი წინ გველოდა. ის ტყუილი, რომელიც წლების წინ შევთხზე, ამჯერად უკვე რეალობა იყო — მე კახასგან მართლაც ველოდი ბავშვს. თუკი ადრე შალვა თანახმა იყო არარსებული ბავშვისთვის მამობა გაეწია, ახლა კატეგორიულად მოითხოვდა, აბორტი გამეკეთებინა. უარი ვუთხარი და ისიც დავამატე, აჯობებს ცალ-ცალკე ვიცხოვროთ-მეთქი. უარესი დაემართა, ვერაფერი რომ ვერ გააწყო, დამემუქრა: იცოდე, თავს მოვიკლავ, მანამდე კი ყველას გავაგებინებ შენს კარგ ქალობასო. ისეთი სახე ჰქონდა, მივხვდი, გამკეთებელი იყო ამ საშინელებისა...

მეორე დღეს ექიმთან წავედი. შევასრულე მისი სურვილი, მაგრამ იმ დღიდან შალვას დანახვა აღარ შემეძლო... რას არ აკეთებდა, რომ ჩემი გული მოეგო, მაგრამ მის მიმართ ჩემი გრძნობა საბოლოოდ გაცივებულიყო. მერე სამსახურში საქმეები აერია. გაღიზიანებული იყო. ერთ საღამოს, როცა შინ გვიან მობრუნდა, კარგა ხანს საეჭვოდ დუმდა. შვილებმა ჰკითხეს, რამე ხომ არ გტკივაო. უცებ აფეთქდა: დედათქვენია ჩემი უგუნებობის მიზეზიო. მივხვდი, ისე იყო განრისხებული, ვერ მოზომავდა და ბავშვების თანდასწრებითაც ბევრ რამეს წამომძახებდა. გაჩუმება ვარჩიე. მეორე დღეს კი, როცა ბავშვები სკოლაში გავისტუმრე, კვლავ დავუბრუნდი ძველ თემას: როდემდე უნდა ვიცხოვროთ მტრებივით, არ სჯობს მშვიდობიანად დავცილდეთ-მეთქი? კვლავ აყვირდა: შენთვის იმ მიქარვის მერეც არაფერი დამიკლია... ისეთ რაღაცებზე მაქვს ხელი მოწერილი, რომ შეიძლება თაღლითის სახელით ციხეში გამისტუმრონ. ასე რომ, განქორწინება აღარ დაგჭირდება, მალე უჩემოდ ისედაც „გაჯეჯილდებიო". მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარდა, მაინც შემეცოდა. სამი დღე-ღამე შინ ჩაკეტილი კედლებს აწყდებოდა. დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ერთი თბილი სიტყვა ვერ (და არა „არ") ვუთხარი. მეოთხე დილით სამსახურიდან დაურეკეს... იმ ღამით შინ არ მოსულა. გათენებისას კი შემზარავი ამბავი გამაგებინეს: — შალვამ თავი მოიკლაო. თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა. შეიძლება მას მართლაც ცუდად ჰქონდა სამსახურში საქმე, მაგრამ მე ხომ დამემუქრა, იცოდე, თავს მოვიკლავო... თვითონ იმ ქვეყნად წავიდა, მე კი სიცოცხლე სანანებლად გამიხადა... ახლა შვილები საზღვარგარეთ სწავლობენ, მე მარტო ვარ... შალვას სიკვდილის შემდეგ ველარც კახასთან ყოფნა შევძელი.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მეც ხომ არ გადავდგა შალვასავით საბედისწერო ნაბიჯი? თანდათან უფრო მეუფლება სასოწარკვეთა. ძილსაც ველარ ვახერხებ. მუჭობით ვსვამ დასაძინებელ-დასამშვიდებელ აბებს, მაგრამ არ მშველის. იქნებ შემაშველოთ ერთი ადამიანური სიტყვა, მითხრათ, ძალიან მძიმეა ჩემი ცოდვა?

***მარინა ბაბუნაშვილი***

# როგორ ავიცილოთ თავიდან ჩხუბი

**ქალს დიდი დიპლომატობა მართებს ოჯახის შესანარჩუნებლად. ამიტომ ცოტა ეშმაკობა იხმარეთ, მეტი სულგრძელობა გამოიჩინეთ, გაიხსენეთ, როგორ გიყვარდათ ერთმანეთი, როგორ ეფერებოდით და ჰპატიობდით ერთმანეთს პატარ-პატარა შეცდომებს. ამიტომ:**



— თუ რაიმე გაუგებრობა მოხდა თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის, მით უმეტეს, თუ ზედმეტად გაწიწმატდით, გონს მოდით, დროულად მოინანიეთ, პირველმა გაუღიმეთ მეუღლეს, მაგრამ ისე, რომ არც თავი დაიმციროთ; ყველაფერზე უკან არ დაიხიოთ, თორემ ქმარი გაყოყოჩდება;

— საწოლში ალერსიანი იყავით, არ შეუღრინოთ ქმარს;

— ეცით საკუთარ თავს პატივი — მუქარა აუცილებლად შეასრულეთ — შინიდან წადით, გაშორდით;

— ქარს ნუ გაატანთ სიტყვას, რასაც ვერ შეძლებთ, ნუ დაიქადებთ;

— ისე, გახსოვდეთ, მამაკაცები ყველაზე მეტად ქალის ჭკუას აფასებენ, ამიტომ ფრთხილად, ენატკბილად შეგიძლიათ გააკეთებინოთ ქმარს ყველაფერი, რაც გსურთ;

— არ მიაწებოთ ქმარს სხვადასხვა იარლიყი.

**ქმარი როგორც კი ჩხუბს დააპირებს, მაშინვე:**

— გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების სასიამოვნო ეპიზოდი;

— იხუმრეთ;

— გაიხსენეთ ძველებური რეცეპტი: პირში წყალი დაიგუბეთ და ათამდე დაითვალეთ;

— ჩხუბის დროს მოახერხეთ ყურადღების სხვა რამეზე გადატანა, ყურები დაიხშეთ, ყველაფერზე თავი დასტურის ნიშნად აქნიეთ — მართლი ხარ, ძვირფასოო (ეს ჯადოსნური სიტყვებია), ხშირ-ხშირად უმეორეთ, ოღონდ ისეთი ტონით, რომ მასში სინანული იგრძნობოდეს. ერთი ყალბი ბგერა ყველაფერს წყალში გადაგიყრით.



# როდის სჯობს თმის შეჭრა

**2-დან 8 დეკემბრამდე**

**2 დეკემბერი:** — თუ არ გსურთ ოჯახში, სამსახურში ან საყვარელ ადამიანთან ჩხუბი, ვარცხნილობას ხელს ნუ ახლებთ.

**3 დეკემბერი:** — კონფლიქტს თავს აარიდებთ, თუკი არ შეიჭრით თმას.

**4 დეკემბერი:** — ვინც ამ დღეს თმას დაიმოკლებს, პრობლემები შეექმნება.

**5 დეკემბერი:** — ამ დღეს თუ თმას შეიჭრით, მტერს შეხვდებით.

**6 დეკემბერი:** — თუ გსურთ გამდიდრება, უთუოდ შეიცვალეთ ვარცხნილობა.

**7 დეკემბერი:** — გსურთ იყოთ ძლიერი, ჯანმრთელი და იღბალმა ზურგი არ გაქციოთ? — ოდნავ შეიმოკლეთ თმა.

**8 დეკემბერი:** — თმა შეიჭერით და ქარს გაატანეთ. სამაგიეროდ, ფული შემოგივათ.

## ანეკდოტი

**მამა და შვილი ზოოპარკშია**

— მამი, ნახე შეღებილი ცხენი

— ეგ ცხენი კი არა, ზებრაა. შეღებილი ცხენი დედაშენია.

# მრგვალად მოხარშული დედალი და გაფთიანი ტოლმა

**კვერცხის და ქათმისა არ იყოს, ალბათ შეუძლებელია იმის დადგენა, როდის დაუწყეს ქალებმა და კაცებმა ერთმანეთს თვალების ჟუჟუნი. თუმცა, ღრმად მოაზროვნე და მოფილოსოფოსო მამაკაცების აზრით, ადამი და ევა აკრძალული ხილის მირთმევის შემდეგ გაეკეკლუცდნენ პირველად ერთმანეთს და იმის მერე დაიწყო, რაც დაიწყო...**

**რა დაიწყო? ადამისა და ევას თანამედროვე შთამომავლები გვიპასუხებენ ამაზე და გაიგებთ, როგორ აწონებენ თავს ქალები და მამაკაცები ერთმანეთს და რა მოსდევს ზოგჯერ მათ პრანჭვა-გრეხას.**

**კაკი (22 წლის):** — უფროსებს რომ ვუსმენ, ვასკვნი, რომ წინათ კაცებს სხვა რამ ხიბლავდათ ქალებისა და ქალებიც სხვაგვარად ირჯებოდნენ კაცების გულის მოსაგებად. დღეს მთავარია, გოგომ ბიჭს თვალი თვალში გაუყაროს და ჩათვალეთ, რომ გოგომ მიზანში მოახვედრა და ბიჭი მძიმედ არის დაჭრილი. ხოლო თუ ბიჭი ოსტატურად მოსწევს სიგარეტს და ორიგინალურად გამოუშვებს ბოლს, გოგოც „დაეცემა". მოწონების „ტრიუკებში" დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაცმა-დახურვას, ავტომანქანის მარკებს, ვინ რომელ რესტორანში ან ბარში „სასტავობს" და ა.შ. მე პირადად ეს ყველაფერი არ მომწონს და სულ სხვა პრინციპით ვაფასებ ქალებს. როგორ? მაგას ვერ გეტყვით, თავს ხომ არ გავშიფრავ. „კვირის პალიტრას" ყველა კითხულობს და გოგოებმა რომ ჩემზე ყველაფერი „გააიასნონ", არ მინდა.

**ლილი (60 წლის):** — ჩვენს დროს გოგონა კდემამოსილი იყო და მამაკაცსაც თავს სწორედ ამით აწონებდა. უფრო კაცი ცდილობდა ქალის გულის მოგებას და თანაც ძალიან ორიგინალურად, თავისებურად. მახსოვს, შეყვარებულობისას ჩემი მომავალი ქმრის ნათქვამი — „შენს ფანჯრებთან ვათენებ და ვაღამებ, რომელ ხეზე რამდენი ფოთოლია და როდის რომელი მოსწყდა ტოტს, სულ ზეპირად ვიციო..." ამის გამგონეს მკერდში ქვა უნდა გდებოდა, იმ კაცის სული რომ არ მოგწონებოდა...

**თაკო (27 წლის):** — ახლობელი მყავს. ერთი კაი ტიპი ამოიჩემა და გააგიჟა — ასეთი ვარ, ისეთიო... იმანაც ცოლად შეირთო ის გადარეული. თაფლობის თვე სანამ ჰქონდათ, ამ გოგომ ბუტერბროდებით და ამნაირი სულელური საჭმელებით კინაღამ ამოხადა სული. ბიჭიც ითმენდა. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, უთხრა, — დიდად მასიამოვნებ, თუ ამ საღამოს მრგვლად მოხარშულ დედალსა და ტოლმას თუ დამახვედრებო. ამ სულელმა ქალმაც, არც არაფერი რომ არ იცოდა და სხვასაც არაფერს რომ არ ეკითხებოდა, ქათამი გაპუტა, გატრუსა, გარეცხა და შედგა. ტოლმაც გაამზადა და... შინ დაბრუნებულ ქმარს კინაღამ გული წაუვიდა, სახლში საშინელი სუნი იდგა. მის პრანჭია და ყოვლისმცოდნე ცოლს გამოუშიგნავი ქათამი შეუდგამს ცეცხლზე — მრგვალად მოხარშვის ასეთი წესის „დამუღამება" უნდოდა ალბათ. ქმარს ხელი ჩაუქნევია, იქნებ ტოლმამ მაინც ივარგოსო და სულ შემოჰყრია გულს... ქალს კომბოსტოს ფოთოლი რომ უნდა მოეწალა მდუღარე წყლით, არ ცოდნია. ურჩი ფოთოლი ასე „დაუმორჩილებია", — ხორცი კარგად გამოუკრავს შიგ და გარედან შავი ძაფი მოუჭერია. აი, ასე თხრიან პრანჭია ქალები თვალებს ქმრებს.

**ლევანი (34 წლის):** — მახსენდება საბავშვო ბაღი, აი, მაშინ იყო პრანჭვა და თავის მოწონება სანახავი. ერთი გოგო მომწონდა ძალიან და სულ მაინტერესებდა, რით შეიძლებოდა მისთვის თავბრუ დამეხვია. ვერც კანფეტებით, ვერც ნამცხვრებით და ვერც ბუშტებით ვერ მოვხიბლე.

ერთხელ გავიგე, რომ თურმე იმ გოგოს წითელი ფერის რეიტუზები მოსწონდა. შინ მივედი თუ არა, გადავფიჩინე: გინდა თუ არა წითელი რეიტუზები მიყიდეთ-მეთქი. დედამ მითხრა, — ლევან, შენ ბიჭი ხარ, წითელი რეიტუზი გოგომ უნდა ჩაიცვასო. ვერაფერმა გაჭრა, სანამ იმ გოგოს თავს ვაწონებდი, წითელი რეიტუზებით სავსე იყო ჩემი გარდერობი.

**ეკა (25 წლის):** — რამდენიც გინდა, იპრანჭე და იგრიხე, თუ კაცს ქალი საერთოდ არ აინტერესებს და ყოველ დღეცისმარე სარკეში



საკუთარ აჩრდილს ეკეკლუცება, არაფერი გამოგივა.

ჩემს მეგობარს ერთი ბიჭი მოსწონდა. დიდი წვა-დაგვის შემდეგ ძლივს გავიცანით. მერე იმაზე დავიწყეთ ფიქრი, გაგვეგო, რა მოსწონდა იმ ყმაწვილს, როგორ ქალებზე „ეცემოდა".

ის, როგორც მერე გავიგეთ, თურმე, კარგი ტონისთვის — ხან ჯულია რობერტსზე გიჟდებოდა, ხან კამერონ დიასზე ბოდავდა, ხან ნაომი კემპბელი ესიზმრებოდა, ხანაც მეგ რაიანი...

ჩემი დაქალიც, სტილისტების დახმარებით, ხან ჯულიას ჰგავდა და ხან ნაომივით შოკოლადისფერი იყო...

ბოლოს, იმ ბიჭის სექსუალურმა ორენტაციამ დაგვაეჭვა... აღმოჩნდა, რომ თავში ვერ ჰქონდა რაღაც რიგზე.

ამ ამბის გაგების მერე ჩემს მეგობარს ალბათ საშინელი დეპრესია დარევდა ხელს, ერთ მართლაც ნაღდ კარგ ბიჭს რომ არ შეჰყვარებოდა და მალე კიდეც გახდა მისი ცოლი.

***ეკა ლომიძე***

# ბიჭვინთა რუსეთს მიემგზავრება



აფხაზეთის მოსახლეობა რესპუბლიკის ახალ ამბებს ხშირად რუსეთის მედიის საშუალებით იგებს. ცნობა ბიჭვინთის გაყიდვის შესახებაც მოსკოვიდან მოვიდა. აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტში ამას წყნარად შეხვდნენ — ეს რუსეთ-საქართველოს საინფორმაციო ომის ახალი შეტევააო. თუ მართლა ასეა, მიზანი მიღწეულია: თბილისში სწრაფი რეაგირება მოახდინეს. ინტერვიუში პრეზიდენტმა შევარდნაძემ თქვა: „ადრე თუ გვიან, ჩვენ ვთხოვთ რუსებს, დატოვონ იქაურობაო“. სასაცილო ის არის, რომ აფხაზეთის მთავრობას ჯერ არ შეუმუშავებია კანონი პრივატიზაციის შესახებ, მაგრამ აქ რამე გაუკვირდება ვინმეს? ყველამ იცის, რომ ტურისტული ინდუსტრიის გასახელმწიფოებრიობა კარგა ხანია მთელი ძალით მიდის აფხაზეთში. კურორტი ბიჭვინთა არის ამ ინდუსტრიის ბოლო ლუკმა, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია.

არადა ეს ლუკმა ძალიან გემრიელია — რვა რვასართულიანი კორპუსი, უზარმაზარი პლაჟი, ზღაპრული ბუნება. მაგრამ ამჟამად ყველაფერი სავალალო მდგომარეობაშია. რამდენი თანხა დასჭირდება კურორტის აღდგენას, დაახლოებითაც არავინ იცის. აფხაზეთის სახელმწიფო მოხელეები ამტკიცებენ, ბიჭვინთის კერძო პირისთვის გადაცემა წარმოუდგენელიაო. ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზება არც „ზედა“ ეშელონებშია დაგეგმილი. მაგრამ, როგორც ამბობენ, მათი დარწმუნება ადვილია: შეიძლება გაირკვეს, რომ ობიექტი არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ადრე ეგონათ. ადგილობრივ პარლამენტს კი არ გაუჭირდება სახელდახელო განკარგულების გაცემა უკვე მომხდარ ფაქტზე, როგორც ეს რუსეთის მოქალაქეობის მიღების დროს მოხდა — აფხაზეთის თითქმის მთელი მოსახლეობა რამდენიმე თვე არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან რესპუბლიკას ორმაგი მოქალაქეობის კანონი არ ჰქონდა. პარლამენტმა სასწრაფოდ გამოასწორა სიტუაცია და ერთი თვის შემდეგ ორმაგი მოქალაქეობის ბრძანება მიიღო.

აფხაზეთის მოქმედი სანატორიუმების, სასტუმროების და ა.შ. უმრავლესობა იჯარით არის გაცემული დაახლოებით 15-20 წლით. ერთ-ერთი ობიექტი 49 წლითაა გაქირავებული. გამოდის, რომ აფხაზეთის სახელმწიფო მფლობელობაში მხოლოდ სამი მოქმედი ობიექტია, რომლებიც რუსეთის კაპიტალის გარეშე მუშაობენ. ომს გადარჩენილი ყველა მომგებიანი შენობა რუსეთის კომპანიამ აიღო იჯარით. მათი კაპიტალდაბანდება უკვე მილიონობით დოლარს ითვლის, რაც აფხაზეთისთვის უზარმაზარი თანხაა. ოპოზიციური პრესა რეგულარულად აქვეყნებს გაიჯარებული ობიექტების ფინანსურ ანგარიშებს და წერს, სახელმწიფო ბიუჯეტში ძალზე მცირე თანხა შედისო. ხშირად საყვედურიც ისმის — ამ ობიექტების რეალური მფლობელები ან თანამფლობელები აფხაზეთის პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას და სხვა მაღალჩინოსანთა ნათესავები არიანო, სახელმწიფო ქონება იფლანგებაო და ღია კონკურსს ითხოვენ. მაგრამ მთავრობას მტკიცედ სჯერა, რომ რესპუბლიკა სწორ გზას ადგას და მხოლოდ უცხოელი (ანუ რუსი) ინვესტორები ააღორძინებენ კურორტებს.

არის კიდევ ერთი ფორმა გასხვისებისა — ერთობლივი საწარმოების შექმნა. სხვათა შორის, რუსეთის კომპანია „ინტურისტი“ სთავაზობდა აფხაზეთს ბიჭვინთის იჯარით აღებას, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ და ახლა ახალი გარიგებებია მოსალოდნელი.

თითქმის ყველა სასტუმრო კერძო პირზეა გადაცემული, მაგრამ ახლა ქალაქის ხელისუფლება ხელშეკრულებების უმეტესობის დარღვევას ითხოვს, რადგან აღდგენითი სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა.

აფხაზეთის ტურიზმის სამინისტრო ირწმუნება, ინვესტორებისთვის კარი ღიააო. თან ციფრებს იშველიებს — 1998 წელთან შედარებით ტურისტული შემოსავლები 40%-ით გაიზარდაო, მაგრამ როცა ხედავ დახავსებულ, ოდესღაც ხალხით სავსე სასტუმროებს, რწმუნდები, რომ საკურორტო საქმის აღორძინებამდე ჯერ კიდევ შორია...

***მოსკოვსკიე ნოვოსტი 46***

# სამი სამყარო — სამი „დინამო“

**რუსეთი ნელ-ნელა კარგავს პოზიციებს, მაგრამ უკრაინაზე, საქართველოსა და ბელორუსიაზე გავლენისთვის ის ბოლომდე იბრძოლებს. ეს ბრძოლა მისთვის ისევე პრინციპულია, როგორიც ოდესღაც მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვება კიევის, თბილისისა და მინსკის თანაკლუბელებთან.**

## „დინამო“ (მოსკოვი) – „დინამო“ (თბილისი)

მოსკოვს ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანი აქვს — შეინარჩუნოს გავლენა თბილისზე. საქართველოს დაკარგვის შემთხვევაში რუსეთი კარგავს თავის მთავარ მოკავშირეს — სომხეთს. სომხეთთან მისასვლელი სახმელეთო გზა ხომ საქართველოზე გადის!

მოსკოვს, ეტყობა, დიდი ხანია აღარ აქვს საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერის იმედი — ის აშკარად ამერიკისკენ იყურება. ვერც არასასურველი პრეზიდენტის რეჟიმის დამხობა გამოვა — ამერიკა ამას არ დაუშვებს, ამიტომაც რუსეთს ისღა დარჩენია, ისეთი პირობები შეუქმნას შევარდნაძეს, რომ ის როგორმე მოსკოვისკენ შეტრიალდეს, თან ყველა ღონეს ხმარობს, სუსტი წერტილი მოუძებნოს საქართველოს. ეს წერტილი — პანკისია. უკანასკნელ წლებში მოსკოვი ჯიუტად უჩიჩინებდა საქართველოს — სამხედრო დახმარებას გაგიწევო. სამხედროთა აქ ყოფნა კი, სწორედ ის ფაქტორია, რომელიც შევარდნაძეს მოსკოვისკენ შემოაბრუნებს. პანკისის ახლანდელი მდგომარეობა იდეალურია ამ ფაქტორის გასააქტიურებლად. ამიტომაც ეს ხეობა მოსკოვის მთავარი კოზირია ამიერკავკასიაში სათამაშოდ. ახლა მთავარია, ვისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდება თბილისი.

პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების ყოფნის შესახებ რუსეთში 2000 წლის ზაფხულში ალაპარაკდნენ, მაშინ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ორი სამხედრო ბაზის გაყვანის დრო იყო (გუდაუთისა და ვაზიანის), დანარჩენი ორი ბაზის ბედიც (ახალქალაქისა და ბათუმის) გაურკვეველი რჩებოდა. სწორედ მაშინ რუსეთმა საქართველოს ჩაუარაკა — პანკისის ხეობაში ბოევიკებს ერთად ვებრძოლოთო. თბილისის დადებითი პასუხი რუსეთს საშუალებას მისცემდა არა მარტო დაეტოვებინა თავისი სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ გაეფართოებინა კიდეც.

საქართველო მიუხვდა რუსეთს ეშმაკობას, მაგრამ ეს სულ არ ემთხვეოდა მის გეგმებს — როგორმე სწრაფად მოეშორებინა თავისი ტერიტორიიდან სამხედრო ბაზები და რუსის ჯარი — აფხაზეთიდან. თბილისმა თავიდან კატეგორიულად უარყო ჩეჩენი „ბოევიკების“ ყოფნა პანკისში. მხოლოდ ორი წლის შემდეგ, მინისტრმა ხაბურძანიამ განაცხადა — „ბოევიკები“ პანკისის ხეობაში საწვრთნელი ბაზების მოწყობას აპირებენო. მოსკოვმა გაიხარა.



ის იყო, გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ მეტისმეტი მოუვიდა — იმდენი იძახა, პანკისში ბინ ლადენიაო, ვიდრე ამერიკამ საქართველოში თავისი სამხედროები არ გაგზავნა ტერორისტებთან საბრძოლველად.

ისე რომ, რუსეთის პოლიტიკოსებმა არათუ თავისი სამხედრო ბაზები დაამაგრეს საქართველოში, არამედ იდეალური ნიადაგი შეუქმნეს ნატოს ჯარებს საქართველოს მიწაზე განსალაგებლად. სწორედ ეს უნდოდა საქართველოსაც — აშშ-ის მხარდაჭერა. აი, ერთადერთი რეალური კოზირი შევარდნაძის ხელში, რისი საშუალებითაც იგი იგერიებს მოსკოვის შეტევებს. ასე რომ, თუ მოსკოვი-კიევის პოლიტიკურ თამაშში მოსკოვი ჯერჯერობით იგებს, ხოლო მინსკთან არა მარტო იგებს, არამედ თამაშის წესებს კარნახობს, თბილისთან თამაშში მოსკოვი იძულებულია, ყაიმით დაკმაყოფილდეს.

***ვლასტი №46***

# საქართველო ნატოს რიგში ჩადგა

საქართველოს და ნატოს ურთიერთობა 1992 წლიდან დაიწყო, როცა დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა. ის ნატოს შტაბბინას, ბრიუსელში, 1993 წელს, აფხაზეთის გამალებული ომის დროს ეწვია. აშკარად დაადანაშაულა რუსეთი აფხაზების მხარდაჭერაში და ნატოს მოუწოდა, დახმარებოდა საქართველოს...

აფხაზეთში დამარცხებული თბილისი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას შეუდგა, მაგრამ ეტყობა, შევარდნაძეს მოსკოვისა მაინცდამაინც არ სჯეროდა და ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავებას განაგრძობდა, 1996 წლიდან უკვე პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ჩარჩოებში. სწორედ ამ ფორმატით ტარდება საქართველოში ნატოს სწავლებები. ჩატარდა რამდენიმე ე.წ. კომპიუტერული სწავლება სხვადასხვა სიტუაციის გათვალისწინებით, მათ შორისაა ნავთობსადენის დაცვა.

1999 წლიდან საქართველომ დაიწყო თავისი არმიის გარდაქმნა ნატოს სტანდარტების მიხედვით. ეს ბრიუსელმა უმალ შენიშნა და დასტურად იმისა, რომ ნატო ამ ქვეყანას სამხრეთ კავკასიაში მომავალ პლაცდარმად მიიჩნევს, ეხმარება კიდეც. სწორედ ამიტომ ეწვია თბილისს გენერალი მაიერსი. მის ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს მოხდა ნატოს პრაღის სამიტის შემდეგ. პრაღაში შევარდნაძემ საჯაროდ პირველად განაცხადა თავისი ქვეყნის ნატოში გაწევრების სურვილი. რიჩარდ მაიერსმა შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ თქვა, — არ ვიცი, რამდენი ხანი დასჭირდება საქართველოს ალიანსში შესასვლელად, მაგრამ გპირდებით, რომ ყოველმხრივ შევუწყობ ხელს საქართველოს არმიის ნატოს სტანდარტებამდე დახვეწასო. ამერიკის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი საქართველოს დარგში, ქართული წარმოშობის ოთარ შალიკაშვილია. მას და მის ძმას, გენერალ ჯონმალხაზ შალიკაშვილს, დიდი წვლილი მიუძღვით ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის განვითარებაში. ეტყობა, ამ ტრადიციას აგრძელებს რიჩარდ მაიერსი, რომელმაც 2001 წელს პოსტზე შეცვალა მალხაზ შალიკაშვილი. მაიერსის ვიზიტის დროს ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დღეში ქართველი სამხედროების გასაწვრთნელად აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარის წარმომადგენლები ჩამოვლენ. ინსტრუქტორთა ახალი ჯგუფი საჩხერის სამთო-მსროლელთა ბატალიონს მოამზადებს. თბილისის სტრატეგიული არჩევანი ნატოს სასარგებლოდ, ნიშნავს, რომ რუსეთმა ვერა და ვერ მოახერხა თავისი გრძელვადიანი ამოცანის შესრულება, საქართველოში სამხედრო გავლენის გაფართოება თუ არა, შენარჩუნება მაინც.

***კომერსანტი №215***

# ქართული „რულეტკა“

**საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში სიარული პანკისის ხეობაზე უფრო სახიფათოა: ხალხი აქ ქუჩას, სადაც უნდა, როდესაც უნდა და როგორც უნდა, ისე გადაკვეთს, ასევე იქცევიან მძღოლებიც. გაშტერებული უცხოელი დაბნეულია, მაგრამ ხვდება, რომ: საქართველო თავისუფალია, თავისუფალია, როგორც არასდროს...**

თუ ქართველის ჭეშმარიტი აზრის გაგება გინდათ, თბილისის ტაქსიში ჩაჯექით. რას არ გაიგონებთ მძღოლისგან. რასაკვირველია, ყველაფერი პოლიტიზებულია: — არა, ბატონო, სანამ სათავეში შევარდნაძეა, ჩვენი საშველი არ იქნება! — გამოაქვთ ვერდიქტი... და განა მარტო მათ. დღევანდელ საქართველოში ამ აზრს ბევრი იზიარებს, ყოველ შემთხვევაში, ივნისში ჩატარებულ დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებში გაიმარჯვა პარტიამ, რომლის ლოზუნგი იყო „თბილისი შევარდნაძის გარეშე“.

ბოლო წლებში საქართველომ დასავლეთის ქვეყნებისგან კრედიტების და გრანტების სახით 2,5 მლრდ დოლარამდე მიიღო. მარშალის გეგმით, გერმანიას ომის შემდეგ მხოლოდ 1,3 მლრდ მისცეს. მართალია, დოლარი მაშინ მეტს „იწონიდა“, მაგრამ საქართველოც ხომ გერმანიაზე მცირე მოცულობისაა! ამბობენ, ყოველ ახალშობილ ქართველს დასავლეთისა უკვე 600 დოლარი მართებსო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკის კრახი სახეზეა; ქვეყანა პრაქტიკულად აღარაფერს აწარმოებს, პენსია 14 ლარია, პედაგოგები და ექიმები 30 ლარს იღებენ. ეტყობა, შევარდნაძის ეპოქა მართლაც სრულდება. რუსეთის სამხედრო ოპერაციების საშიშროებამაც ვერ გააერთიანა ქვეყანა 74 წლის პრეზიდენტის გარშემო. ოპტიმისტები ამბობენ, მისმა რეიტინგმა ნულიდან 8-9%-მდე აიწიაო, პესიმისტები კი ამტკიცებენ, — მხოლოდ 2-3%-მდეო.

შევარდნაძე მიდის, ვინ შეცვლის მას?

## კოზირის „სამეული“

სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველო რუსეთისა და დასავლეთის მეტოქეობის სარბიელი გახდა. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ბრძოლა ალბათ გაჩაღდება ჩრდილოეთისკენ (ანუ რუსეთზე), დასავლეთისკენ ორიენტირებულ და პრეზიდენტის კლანის წარმომადგენელ კანდიდატებს შორის. ასეთად ამ ბოლო დროს ახლანდელი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე იგულისხმება. ალბათ პრეზიდენტის ამ მემკვიდრის წარმოჩენაში ძებნილი ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილიც ჩაერთვება.

დასავლელები არიან პარლამენტის ყოფილი სპიკერი ზურაბ ჟვანია და ყოფილი იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ახლა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. ჩრდილოელების რიცხვს შეიძლება მიეკუთვნონ პარტია „ერთობის“ ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი და ასლან აბაშიძე. ამ უკანასკნელის ოპოზიციურმა ბლოკმა „აღორძინებამ“ წინა არჩევნებზე ოფიციალურად მეორე ადგილი დაიკავა, არაოფიციალურად — პირველი. მაგრამ აბაშიძეს ხელს უშლის ის გარემოება, რომ 10 წელია არ ყოფილა თბილისში და ისიც, რომ ის მუსლიმანურ რეგიონს წარმოადგენს (თუმცა, თვითონ ქრისტიანია). ასე რომ, ჯერჯერობით გაურკვეველია, ექნება თუ არა პრეტენზია საერთო ეროვნული ლიდერის როლზე. არის კიდევ ლეიბორისტული პარტია. მისი ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამბობს, რომ ის პრორუსული პოლიტიკოსია, მაგრამ რეალურად, ყველა პარამეტრით ევროპულია. ის არ ეკუთვნის არც ერთ ბანაკს, ან თუ ეკუთვნის, ორივეს ერთდროულად. საქართველოში ხელისუფლებისთვის ბრძოლა რუსულ „რულეტკას“ ჰგავს. წაგება ხშირად არა მარტო თამაშიდან გასვლას, არამედ ცხოვრებიდან წასვლასაც ნიშნავს. თუმცა ეს ხომ ნამდვილი მამაკაცების თამაშია. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი წელია დარჩენილი. ბნელ კუთხეში გადამალული კანდიდატის „შექმნა“ ვერ მოესწრება.

პანკისის ხეობის სოფელ მატნის გამგებელმა თქვა, — ზოგს უნდა რომ ამერიკელებივით ვიცხოვროთ, ზოგს — რუსებივით. მე კი მგონია, რომ უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ქართველებმა. ეს კიდევ ერთი ხალასი აზრია, რომელიც საქართველოში სულ უფრო მეტ ადამიანს მოსდის თავში.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №266***

# პიტერ შოუ ისევ თავისი ტყვეობის შესახებ:

— კოლეგებმა მთხოვეს საქართველოდან გამგზავრება ორიოდე დღით გადამედო, გამოსამშვიდობებელი საღამოს მოწყობა უნდოდათ. რასაკვირველია, გამეხარდა... როგორც კი ბანკს გავცილდი, საგზაო პოლიციელმა გამაჩერა და მაშინვე თავში რაღაც ჩამცხო. სანამ გონს მოვიდოდი, რომელიღაც მანქანა გაჩერდა, იქიდან ნიღბოსნები გადმოხტნენ და სროლა ატეხეს. რადგან უსაფრთხოების ქამრით ვიყავი დამაგრებული, ეს კი საქართველოში მიღებული არ არის, ძალიან გაუძნელდათ მანქანიდან ჩემი გამოყვანა. გავბრაზდი. 6 წელი ვიმუშავე საქართველოში და არც პოლიციასთან და არც ბანდიტებთან პრობლემები არ მქონოდა. გაითვალისწინეთ, რომ საქართველო ძალიან სახიფათო ქვეყანაა.

...ორმოში ჩამსვეს... დღეში ერთ სანთელს მაძლევდნენ — ზუსტად 45 წუთი ენთო. მეზობელი ოთახიდან რადიოს ხმა ისმოდა — აღმოსავლურ მუსიკას გადმოსცემდნენ, ისეთი როგორიც მეჩეთებში ისმის. ხანდახან ცნობებს გადმოსცემდნენ, ოღონდ არც ვიცი, რა ენაზე. მოკლედ, შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას, ეტყობა, ამან გადამარჩინა. მე პიანინოზე დაკვრა მიყვარს და ვერთობოდი იმით, რომ გულში ამერიკულ სიმღერებს და კლასიკურ მელოდიებს ვმღეროდი, გუნებაში ჩემს ახლობლებს ველაპარაკებოდი — ცოლს, ქალიშვილს, ვაჟებს, ვალიელთა ჰიმნს ვმღეროდი. შემოდგომისთვის, ეტყობა, ორმოს ჭერი დაულპა და წყალი ჩამოდიოდა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ დეკემბერს ვერ გავატანდი...

მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემს განთავისუფლებაზე ზრუნავდა, მადლობელი ვარ ევროკომისიის, რამანო პროდის და სხვა დიპლომატებისა...

***ბი-ბი-სი***


**თუ უკანონო მშენებლობით**
**ირღვევა თქვენი უფლებები**
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,
საღაც **უფასოდ** მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას.
აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში.
ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.
მის: რუსთაველის გამზ. № 23, ტელ: 92-05-94

**გსურთ ზიანის ფულადი ანაზღაურება?**
**კავშირი „თქვენი ადვოკატი“ გთავაზობთ**
**უფასო იურიდიულ მომსახურებას თუ:**
- თქვენ მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე;
- გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;
- გამომძიებელი და პროკურორი არღვევენ თქვენს უფლებებს.

თქვენ გაქვთ უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რეაბილიტაცია (უფლებების აღდგენა).
მის: თაბუკაშვილის ქ. №37 ☎ 92-21-57


CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიხიობენ

ამ ცოტა ხნის წინ გადაცემაში „ვის უნდა ოცი ათასი“, დუტამ თმა უჩვეულოდ აიჩეჩა. **4 წლის ცოტნე შენგელიამ** შეხედა ტელევიზორს თუ არა, თქვა:

— ეს რა გიჟი ოცი ათასია.

***

**3 წლის გიორგი ჯოხაძეს** ბაღში ნიშნებს უწერენ. ერთხელ, როცა მამამ ბაღიდან გამოიყვანა, გიორგიმ მიახარა:

— მამიკო, მამიკო, იცი, დღეს ბაღში ხუთიანი „მოვიგე“.

***

**3 წლის გიორგი მოლაშვილი** წიხლებს ურტყამს სკამს. ბებომ შენიშვნა მისცა:

— შე ეშმაკო, ვერ მოგისვენია, დააყენე ფეხები!

— სად დავაყენო, მამიკოს გარაჟში? — გაიკვირვა ბიჭმა.

***

**3 წლის ნიტას** ძალიან უყვარს ბოტები. ერთხელაც ჩაიცვა და ოთახებში სიარულს მოჰყვა. ამის გამო უფროსებმა უსაყვედურეს, ნიტა არ დაიბნა:

— ეს ისეთი ცელქი ბოტებია, რომ თვითონ მეცმევა.

***

**3 წლის ნინი** ბაბუს ტირილით ეხვეწება, — დიროლი მომეციო. ბაბუ პასუხობს, არა მაქვს, ხვალ გიყიდიო. ნინი ტირილს განაგრძობს. მეც მინდა კლაუდია შიფერი, მაგრამ რა ვქნაო — პასუხობს ბაბუ.

— იტირე და კლაუდიაც აქ გაჩნდება, — უპასუხა ცრემლმორეულმა ბავშვმა.

## I



მარჯვნივ მოცემული ლურჯი დეტალები ლოგიკური თანამიმდევრობით განალაგე ოთხ სვეტზე



მიიყვანე განძის მაძიებელი განძთან

## II ანა, გამოიცანი

**1. რა ერქვა კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავს?**
ა) დუნკანი; ბ) ტიტანიკი; გ) ნაუტილუსი; დ) ავრორა.

**2. ვინ ადნობს ფოლადს?**
ა) მეტალურგი; ბ) მაღაროელი; გ) ზეინკალი; დ) ხაბაზი.

**3. ქართული მითოლოგიის მიხედვით, ვისი მფარველია ოჩოპინტრე?**
ა) მოსავლის; ბ) ნადირთა; გ) ოჯახის; დ) ჯანმრთელობის.

**4. რა ჰქვია კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარულ ადამიანს?**
ა) მურმანი; ბ) შტურმანი; გ) ბოცმანი; დ) გურმანი.

**5. ამათგან, რომელია ცხვრის ფარის წინამძღოლი?**
ა) ზაქი; ბ) ჭედილა; გ) თოხლი; დ) ბოტი.

**6. რა ჰქვია ზრდადაუსრულებელ მამალს?**
ა) ყვინჩილა; ბ) ყვანჩალა; გ) ვარია; დ) ბახალა.

## III რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ ჯუნგლებში გაზრდილი ბიჭუნას სახელს.

## IV



## იპოვე 10 განსხვავება




## ბავშვებო და მშობლებო!

### უკვე გამოვიდა!

„მელია და მწყერჩიტა“, „ქალთევზა“, „ნაცარქექია“, „მძინარე მზეთუნახავი“, „კომბლე“, „ირმისა“



ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში

### მალე გამოვა:

„ჩი პოლინო“, „წითელქუდა“, „ხუთკუნჭულა“




## ქიავოხლი

| საქართველოს ინგლისური სახელწოდება | გველის სახეობა | ქალი, დედაკაცი | რძის ნაწარმი | „შაქრიანი“ დაბა ქართლში |
|---|---|---|---|---|

| ... ბუში | ... ცურტაველი | მავნე გამოსხივება | ყაჩაღ სარჩიმელიას სახელი | ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერი მსოფლიოში |
|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა





- „პარმის სავანის“ ავტორი
- ნოტი
- იტალიური ხალხური ცეკვა
- მთვრალი კი არა, – ...
- ძეხვი საქონლის შიგნეულისგან
- რობინზონის მეგობარი
- ნათურის ძაფის დიდი სიმხურვალე
- 20 კაპიკი
- მალვინას ძაღლი
- სკარლეტ ...
- დიდი მუცელი
- თაფლოვანი მცენარე
- ქეთრი
- ქალაქი საფრანგეთში
- ნათელმხილველის მდგომარეობა
- დაბადების დღე
- მიწისძვრის ერთეული
- დისნეის მულტფილმი
- სოფელი დუშეთის რ-ში
- უსიტყვო თეატრი
- „ღმერთებს სწყურიათ“ (მწერალი)
- წყალი ბუნებრივ კალაპოტში
- ცეკვის ილეთი
- ჩუქურთმიანი ქვა ბროში
- მსახიობის ნათამაშები სახე
- „იაფეტური თეორიის“ შემქმნელი ენათმეცნ.
- ცხენის კუდი
- საკვების გარკვეული ნაწილი
- საიდუმლო სიტყვა გუშაგისათვის



- დამწერლობათმცოდნე
- შეგრძნება ენით
- ვარდის „წინაპარი“
- მსახიობი ფილმში „ქალი და მამაკაცი“
- თბილისის ძველი უბანი
- დანის არამჭრელი მხარე
- რაიმეს დამსწრე
- მონარქისტ. სახელმწიფ. დროებითი მმართველი
- გერმანელი ფილოსოფოსი
- 100X100 ფართობი
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- შუქმნათი ხელსაწყო
- 28.35 გრამი
- საგანი, ანუ ...
- ნოტი
- სამონადირეო ძაღლი
- იაპონური ხალიჩა
- ომისდროინდელი საბჭოთა მზვერავი
- ნახატი პიქტოგრაფიაში
- ქიმიური ელემენტი
- ალკოჰოლური სასმელი
- ვაშლის საზამთრო ჯიში
- ხილი
- თურქული ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე
- ძველბერძენი მეიგავარაკე
- მედეას მამა
- დროის სახელური
- საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი
- სპარტაკის სოციალური სტატუსი
- მდინარე დასავლეთ საქართველოში
- 1000 კგ
- ტერნერი
- საგანგებო დავალება
- სპარსეთი
- ასურელი ნათელმხილველი
- ანდრომედას მხსნელი





შეადგინა რამაზ ალანიამ



# „გემუდარებით, ნუ გამოცდით მთებს, რადგან ისინი წყვეტენ, ვინ დააბრუნონ და ვინ არა...“

ორი ყუმბარა ერთსა და იმავე ადგილას არასოდეს ვარდება, რაღა მამაჩემივით მეც მთაში დავიღუპებიო, — ამ სიტყვებით დაემშვიდობა ცნობილი ქართველი მთამსვლელის ჯუმბერ მეძმარიაშვილის ვაჟი დედას, ფეხმძიმე ცოლს და პამირის მთებში წავიდა...

ბავშვობაში დათო დიდად არ ყოფილა მთით დაინტერესებული. როგორც ჯუმბერ მეძმარიაშვილის შვილს, პატივს სცემდნენ, აფასებდნენ, ალპინიადებზე დაჰყავდათ. ერთხელაც თქვა: სადაც წავედი, ყველგან მამაჩემის სახელი მხვდება წინ და მოდი, მეც რაღაცას გავაკეთებ, მთაში მინდა წავიდეო...



დათო მეძმარიაშვილი

**დოდო სეხნიაშვილი**, დათოს დედა იხსენებს: „რომც დამეშალა, აზრი არ ჰქონდა, მაინც არ გამიგონებდა. 21 წლის არის ჩემი შვილიშვილი, დათოს სიკვდილის შემდეგ დაიბადა, ამასაც ვერაფერს ვუშლით. თუმცა ეს სულ სხვა თაობაა, ალპინიადებს და ლაშქრობებს არ ეკარება. იმ წელს ჯუმბერის მეგობართან მუშაობდა დათო. პირდაპირ უთხრა, მთაში მივდივარ და შვებულება მომეციო. რას ამბობ, ახალი მოყვანილი გყავს ცოლი, სად მიდიხარო, მაგრამ ვის დაუჯერებდა?! ჯუმბერზეც ამბობდნენ მისი ახლობლები, ვურჩევდით, ტიან-შანზე არ წასულიყოო, მაგრამ მასთან ასეთი ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ვერ ვეტყოდი, მთაში ნუ წახვალმეთქი, ვიცოდი, ეს მისი ცხოვრება იყო.

ხუთი წლის იყო დათო, ჯუმბერი ტრაგიკულად რომ დაიღუპა ტიან-შანის მთებში. ცოტა ხანს ახსოვდა მამა, მერე თანდათან წაეშალა მეხსიერებიდან. დათოს ბიჭი კი, როგორც გითხარით, მისი სიკვდილის შემდეგ გაჩნდა. ფეხმძიმედ ჰყავდა ცოლი და მაინც წავიდა...“

**ნანა ვაშალომიძე**, დათო მეძმარიაშვილის მეუღლე: „ყველა ეუბნებოდა, ნუ წახვალ, მეუღლე ფეხმძიმედ გყავს, სად მიდიხარ, ამათ ვის უტოვებო. გადაჭრით არ მომითხოვია, მაგრამ მაინც ვცდილობდი, როგორმე გადამეფიქრებინებინა. სხვათა შორის, თავდაპირველად თქვა, არ წავალო, ზოგიერთი მისი ახლობელიც უარზე იყო და იმიტომ. მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, წავალ და მალე ჩამოვალო. დაქორწინების შემდეგ პირველად დავშორდით ერთმანეთს. ძალიან მიმძიმდა, თუმცა არც მე, არც დედამისს ცუდი წინათგრძნობა არ გვქონია. ერთი ის იყო, დედამისს დათოს წასვლის შემდეგ ესიზმრა, თითქოს მე და ბავშვი გისოსებიანი ფანჯრიდან შემოვედით... ფიქრობდა, ნეტავ რას უნდა ნიშნავდესო?“.

## იმ დღეების ქრონიკა

პამირის სასიმაღლო ექსპედიციის მთელი შემადგენლობა გულმოდგინედ ემზადებოდა 1980 წლის ალპინისტური სეზონისათვის. ბაკურიანის საწვრთნელი შეკრების შემდეგ ექსპედიციის მონაწილენი ცენტრალურ კავკასიონზე გაემგზავრნენ სააკლიმატიზაციო ასვლების ჩასატარებლად. შემდეგ სპორტული ასვლები გააკეთეს ჭაუხის მასივის მწვერვალებზე, აგრეთვე მყინვარწვერზე. ივნისის ბოლოს კი მონაწილენი: ა. რატიანი, რ. ჩეჩელაშვილი, ვ. ფირცხალავა, ვ. ქურასბედიანი, დ. მეძმარიაშვილი, ზ. ათანაზევიჩი, გ. ნაიდენი აწყობენ ასვლებს სვანეთში, დალაყორაზე — 4ბ და 5ა სირთულის მარშრუტებით.

14 ივლისს პამირის სასიმაღლო ექსპედიციამ საბაზო ბანაკი მოაწყო მყინვარების — ბივაჩნისა და სტალინის შეყრის ადგილზე (3900 მ). გადაწყვეტილი ჰქონდათ „იზვესტიის“ პიკზე ასვლა სამხრეთის კედლით, რომელიც ერთ-ერთი ურთულესი სიმაღლოვანი მარშრუტია და მის დალაშქვრას სერიოზული მომზადება სჭირდებოდა. ექსპედიციის მთელი სპორტული შემადგენლობა 18 ივლისს გავიდა ბანაკიდან. საღამო ხანს მიაღწიეს სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მყინვარების შეყრის ადგილს, სადაც საიერიშო ბანაკის მოწყობა ჰქონდათ დაგეგმილი (4.600 მ). მყინვარ „ორჯონიკიძის“ გადაკვეთის შემდეგ, დაახლოებით 35-40 წუთის სავალზე, უშუალოდ იწყება „კომუნიზმისა“ და „როსიას“ პიკების უზარმაზარი მასივი. 19 ივლისს „კომუნიზმის“ პიკის აბალაკოვისეულ მარშრუტზე გავიდა ერთი ჯგუფი, იმავე დღეს მიაღწია 5.950-6.000 მეტრის სიმაღლეს, ტვირთი დატოვა და ასვლა გააგრძელა. საღამოს 6 საათზე ჯგუფმა 6.200 მ სიმაღლეს მიაღწია. ამასობაში, მეორე ჯგუფი უშუალოდ მიადგა „ორჯონიკიძის“ მყინვარის ზედა ფირნის ველს და „იზვესტიის“ პიკის სამხრეთ შვეულ კედელს. 20 ივლისს ორივე ჯგუფი ქვედა ბანაკში დაბრუნდა, მოეწყო ლაშქრობის შედეგების განხილვა და დამტკიცდა საიერიშო ჯგუფების შემადგენლობა.

I ჯგუფი (ხელმძ. შ. მირიანაშვილი) — გაბისიანი, ბარლიანი, ხერგიანი, ჯოხაძე, გაზდელიანი, ჩეჩელაშვილი, ბალიაური, ფირცხალავა, ქურასბედიანი, რატიანი — „კომუნიზმის“ პიკზე აბალაკოვის მარშრუტით უნდა ასულიყო.

II ჯგუფი (ხელმძ. ვ. რიბინსკი) — ათანაზევიჩი, ნაიდენი, მეძმარიაშვილი — „სტალინის“ მყინვარიდან „კომუნიზმის“ პლატოზე ავიდოდა და მწვერვალ „როსიას“ ($5^{ა}$ სირთულის) დალაშქრავდა.

ორივე ჯგუფი პლატოზე უნდა შეხვედროდა ერთმანეთს.

ექსპედიციას კავშირი ჰქონდა ტაჯიკეთის რადიოცენტრ შახრენაუსა და მყინვარ „ფორტამბეკთან“, სადაც გივი ქართველიშვილის ექსპედიცია იმყოფებოდა. 25 ივლისს პირველი ჯგუფი გავიდა მარშრუტზე და იმავე დღეს მიაღწია 6.200 მეტრს. 26 ივლისს მარშრუტის კლდოვანი ნაწილი გაიარეს და საღამოს მიაღწიეს 6.900 მეტრს. თითქოს ყველა კარგად გრძნობდა თავს. 27 ივლისს დილიდან დაიწყეს ასვლა. ამინდი თანდათან გაუარესდა. 16.30 წუთზე დაბანაკდნენ 7200 მ სიმაღლეზე. მონაწილენი ფიზიკურად თავს ნორმალურად გრძნობდნენ, მაგრამ 28 ივლისს, ცუდი ამინდის გამო, მარშრუტის გაგრძელება ვეღარ შეძლეს. რადიოკავშირით შეიტყვეს, რომ რიბინსკის ჯგუფთან კავშირი გაწყდა, მაგრამ ისინი თვალთახედვის არეში იმყოფებოდნენ და საგანგაშოც არაფერი იყო. 29 ივლისს, დილას, ჯგუფი მზად იყო იერიშზე გასასვლელად, მაგრამ გაირკვა, რომ ფირცხალავას დამოუკიდებლად მოძრაობა უჭირდა.

**შოთა მირიანაშვილი:** „მაშინვე გადავწყვიტე ასვლის გზით დაშვება. ფირცხალავას ჯგუფის წევრები ეხმარებოდნენ გადაადგილებაში, მაგრამ რელიეფი თანდათან გართულდა და საჭიროდ ჩავთვალე მისი ტრანსპორტირება. კონსულტაციებს ექიმ ზურა ასტახიშვილისგან ვიღებდით და შესაბამისი მედიკამენტებით ვმკურნალობდით. მთელი დღის მანძილზე მისი ჯანმრთელობა აღარ გაუარესებულა. საღამოს საჭმელიც კი ჭამა. მე, ბაიდაური და ჩეჩელაშვილი ღამეს ვუთევდით. ღამით მდგომარეობა გართულდა. რამდენჯერმე აზროვნებაც დაერღვა. 30 ივლისს განვაგრძეთ მისი ტრანსპორტირება. დავეშვით 6200 მეტრამდე, მაგრამ ფირცხალავას მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ბიჭები ქვემოთ გავაგზავნე, რათა ექიმის ამოსვლა დაეჩქარებინათ. ჯერ კიდევ 29 ივლისს შევიტყვე, რომ ბოლო ბანაკიდან რიბინსკი და მეძმარიაშვილი 8.35 წთ-ზე გასულან იერიშზე, შემდეგ მეძმარიაშვილი დაბრუნებულა კარავთან. ნისლის გამო მეთვალყურეებს უჭირდათ დაკვირვება. დაახლოებით 12 საათზე რიბინსკი მარტო მიმავალი დაინახეს მწვერვალის რაიონში. ამის შემდეგ ნისლმა დაფარა ყველაფერი. იმავე საღამოს მეთვალყურეებმა შემატყობინეს, რომ რიბინსკის ჯგუფის კარავი დაახლოებით 6100 მეტრზე შენიშნეს. დავასკვენი, რომ ყველანი მშვიდობიანად ეშვებიან ქვემოთ, მაგრამ იმავე დღეს გაირკვა, რომ უკან მხოლოდ სამი კაცი — მეძმარიაშვილი, ათანაზევიჩი და ნაიდენი ბრუნდებოდნენ. რიბინსკი მათთან არ იყო. შევიტყვე, აგრეთვე, რომ ეს სამეული 5.100 მეტრის სიმაღლეზე დაბანაკდა, კლდეების თავზე. რიბინსკის გაუჩინარებამ ძალზე შემაშფოთა, მაგრამ სამეულს მცირე მანძილიღა ჰქონდა გასავლელი, თანაც საავარიო სიგნალს არ იძლეოდნენ, ამიტომაც სამაშველო ჯგუფი არ გავუგზავნე. ამასობაში ფირცხალავას მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა“.

ღამით, 30-31 ივლისს, ავადმყოფმა გონება დაკარგა, 31-ში, დილით, დაშვება დაიწყეს. რადიოკავშირით შეიტყვეს, რომ სამეულიც ნორმალურად ეშვებოდა ქვემოთ. შუადღისას კი, როცა პირველი ჯგუფი მარტივ სავალზე გადავიდა, ავადმყოფი გარდაიცვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, სიკვდილის მიზეზი ტვინის შეშუპება იყო, რომელიც მწვავე ჰიპოქსიამ გამოიწვია. ნეშტი დროებით სამარხს მიაბარეს. უკვე შუაღამე იყო, როცა ბანაკს (4.600 მ) მიაღწიეს. იქ შეიტყვეს, რომ სამეული, რომელიც მეთვალყურემ უკანასკნელად 3-4 თოკის დაშორებით დაინახა მყინვარიდან, არსად ჩანდა. არადა, უკვე კარგა ხნის მისული უნდა ყოფილიყო ბანაკში.

**შოთა მირიანაშვილი:** „ეს ამბავი რომ გავიგე, ცოტა შევისვენეთ და ღამის 2 საათზე მყინვარის მეორე მხარეს გავაგზავნე (ხელმძღვ. შ. გაბისიანი) ჯგუფი რიბინსკის ჯგუფის საძებნელად. გამთენიისას, როცა იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც მთამსვლელები უნდა დაშვებულიყვნენ, ჯერ ათანაზევიჩის ზურგჩანთას წააწყდნენ, შემდეგ კი დაღუპულთა გვამებს. ექიმმა ასტახიშვილმა მეძმარიაშვილის, ათანაზევიჩის და ნაიდენის სიკვდილის მიზეზად ტრავმული შოკი მიიჩნია. გარდაცვლილები ერთ თოკში იყვნენ ჩაბმულნი. ეჭვს არ იწვევს, რომ მათი დაღუპვის მიზეზი ერთდროული მოძრაობისას ერთ-ერთი მათგანის მოწყვეტა გახდა“.

**დიმიტრი დანგაძის** განმარტებითი ბარათიდან: „29 ივლისს მეთვალყურეობას დილის 7 საათზე შევუდექით. 8. 35 საათზე კარვიდან გამოვიდა ორი მთამსვლელი (ჩაცმულობის მიხედვით მეძმარიაშვილი და რიბინსკი) და დაიწყო მწვერვალზე ასვლა. 100-150 მეტრის გავლის შემდეგ მეძმარიაშვილი უკან გამობრუნდა, რიბინსკიმ კი გზა განაგრძო. 9 საათზე გამოვიდნენ დანარჩენებიც. მწვერვალი „როსია“ და მწვერვალისკენ მიმავალი თოვლიანი ქედი თანდათან ნისლში ეხვეოდა. 12 საათისთვის რიბინსკი მწვერვალის რაიონში შევნიშნეთ. შემდეგ ის ადგილები საბოლოოდ დაფარა ნისლმა და მეთვალყურეობა შეუძლებელი გახდა. საღამოს, როცა ნისლი გაიფანტა, დავინახეთ კარავი. ამ პერიოდში ჯგუფისგან საავარიო შუქნიშანი არ მიგვიღია. ინფორმაციას რეგულარულად ვაწვდიდით შოთა მირიანაშვილს. 30 ივლისს მან მაცნობა, რომ ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და სასწრაფოდ დახმარება ითხოვა. მეთვალყურეობის გაგრძელება ხუციშვილსა და ბარკალაიას დაევალათ, ჩვენ კი მირიანაშვილის ჯგუფს შევეგებეთ, მაგრამ ფირცხალავა უკვე გარდაცვლილიყო. აქვე გავიგეთ,



დგანან — მარჯვნიდან ვიქტორი და დათო

რომ „როსიის“ ჯგუფიდან მხოლოდ სამი კაცი ეშვებოდა ქვემოთ და რომ 31 ივლისს, 14. 45 საათზე ისინი თითქმის ჩამოსულნი იყვნენ „სტალინის“ მყინვარზე... მერე, როცა დაღუპულთა ზურგჩანთები დაათვალიერეს, ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ: კარავი, პრიმუსი, ბენზინის მარაგი, ქვაბი, პროდუქტი, აღჭურვილობა, სიგარეტი, ასანთი. ბარგი თანაბრად იყო განაწილებული. არსად ჩანდა მხოლოდ მეორე, 45-მეტრიანი თოკი, ყინულის ხრახნიანი პალოები, კარაბინები და რაცია. მათ ზურგჩანთებში რიბინსკის ნივთები არ იყო. ეს ფაქტი და ის გარემოება, რომ სამეული მარშრუტზე დაშვების დროს ავარიის სიგნალს არ იძლეოდა, გვაფიქრებინებს, რომ რიბინსკი, შესაძლებელია, პლატოზე მირიანაშვილის ჯგუფთან შესახვედრად დარჩა, ხოლო სამეული ქვემოთ გამოუშვა“.

**შაქრო გაბისიანი:** „ამ ავარიის შემდეგ დაგვევალა მწვერვალ „როსიაზე“ ასვლისას უკვალოდ დაკარგული რიბინსკის ძიება. შვეულმფრენით შეგვიყვანეს მყინვარ „ბივაჩნიზე“, საიდანაც 6 აგვისტოს, უთენია გავედით მარშრუტზე რიბინსკის ჯგუფის გზით. 16 საათზე მივადექით ნიშს, რომელშიც აღმოჩნდა კონსერვის ცარიელი ქილა ბარათის გარეშე. ეს ნიში მასივის უმაღლესი წერტილიდან 50-70 მეტრში მდებარეობს. სავარაუდო იყო მეორე ნიშის არსებობაც, რომლის მონახვაც მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ახალი თოვლის გამო ვერ შევძელით. კვალის მოძებნას განსაკუთრებით აძნელებდა ამინდის გაუარესება. მოვიდა ახალი, დაახლოებით 80 სმ სიმაღლის თოვლი. წინა ამომსვლელთა კვალი მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებშიღა ჩანდა, მაგალითად, საკარვე ადგილზე, სადაც მათ უკანასკნელი ღამე გაათენეს მწვერვალზე გასვლის წინ. ვიპოვეთ კონსერვის რამდენიმე ქილა, ქვაბში ჩაყინული ხუფი, ჩაის პაკეტები, შაქრის კოლოფი, მაგრამ ეს არაფერს გვეუბნებოდა.

როცა ვიზუალურ დაკვირვებას ვაწარმოებდით, ბევრად საყურადღებო იყო მეორე კვალი, რომელმაც ჯგუფის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საქმე ეხებოდა არამკვეთრად გამოხატულ ნაფეხურებს, რომელიც შეიძლება ქვემოთ მიმავალიც ყოფილიყო და რელიეფზე თოვლისა და ქარის ზემოქმედების შედეგიც. ერთი სიტყვით, დაბეჯითებითი დასკვნის გაკეთება რიბინსკის ბედის შესახებ შეუძლებელი შეიქნა“...

**დოდო სეხნიაშვილი:** „როცა დათოს დაღუპვის ცნობა მოვიდა, ჩემი რძალი ოზურგეთში იყო, მშობლებთან. წამოიყვანეს, დოდო ავად არისო. მე როგორ შევუთვლიდი ფეხმძიმე ქალს, ჩემთან ჩამოსულიყო... ჩამოვიდა და შეიტყო ეს უბედურება. რომ მკითხოთ, ჩემი შვილი სად დაიღუპა, როგორ დაიღუპა ან გაზეთებში რა ეწერა, არ ვიცი, არც მომისმენია და არც წამიკითხავს...

როცა ჯუმბერი გარდაიცვალა, პრჟევალსკიდან გამომიგზავნეს მოწვევა, იქ ორი კვირა ველოდეთ, სანამ ჩამოასვენებდნენ. საავადმყოფოს მორგში დატოვეს. ღამე ვერ მოვითმინე, სამი მანეთი მივეცი პროზექტურის დარაჯს და შემიშვა. ასე ვნახე ჯუმბერი. დათო კი არ მინახავს და ასე მგონია, არ წევს იმ საფლავში.

შარშან ძლივს გაკეთდა მემორიალური დაფა. ორმოცი წლის წინ კი არა, გუშინ დაღუპულები აღარავის ახსოვს, მაგრამ ჩვენი მოგვარე, გერმანე მეძმარიაშვილი დაგვეხმარა. სოლიკო ხაბეიშვილი ბინას გვპირდებოდა, მაგრამ არ დასცალდა, თუმცა დიდად თანაგვიგრძნობდა. ჯუმბერ პატიაშვილთან ერთად აქ იყო დღედაღამ, როცა ჩემი შვილი ჩამოასვენეს. სხვათა შორის, შევარდნაძეს უკითხავს სოლიკოსთვის, რამე ხომ არ სჭირდებათო. შევუთვალე, ერთადერთი სათხოვარი მაქვს, ჩემი შვილი ჯუმბერის გვერდით დაასაფლავონ-მეთქი. ჩემი ქმრისა და კუხიანიძის საფლავებთან ხომ იმთავითვე ილიკო გაბლიანის ადგილიც გაითვალისწინეს, რომელიც დღემდე ტიან-შანის მთებში მარხია. რა თქმა უნდა, ჩემი თხოვნა შეასრულეს. ჰოდა, დავრჩით მე და ჩემი რძალი, ვზრდით ჩემს შვილიშვილს. პენსია 14 ლარი მაქვს, რძლის მშობლები ოზურგეთიდან გვეხმარებიან, ჯუმბერის ძმა, მეგობრები, ჩემი ნათესავები ყოველ დღესასწაულზე ხან ფულს, ხან ტანსაცმელს ჩუქნიან დათუნას.

ამ ექვსი წლის წინ დიდი უბედურება შეგვემთხვა. გახსოვთ ალბათ, გაზეთებიც წერდნენ, ჩემი შვილიშვილი ვაჟა ადამიას ბიჭთან ერთად რომ აფეთქდა... სამზარეულოში საუზმეს ვამზადებდი, დათომ მითხრა, ცოტა ხნით ეზოში გავალო. ის პერიოდი იყო, როცა სულ აფეთქებები ისმოდა გარშემო და ამ ხმისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ეზოდანვე გააქანეს რესპუბლიკურში და იქიდან მირეკავენ, თქვენი შვილიშვილი შემოიყვანეს ამ მდგომარეობაშიო. ძლივს დავიჯერე. ბევრი ორგანო დაუზიანდა, მაგრამ გული გადაურჩა. სხეულში 250-მდე ნამსხვრევი აქვს. სისხლი რეზუს-უარყოფითი ჰქონდა. მახსოვს, დილის 7 საათიდან ტელეფონის ზარი არ წყდებოდა, ყველა რეკავდა, ვისაც ამ ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდა. ერთი სიტყვით, უბედურებას გადავრჩით...“

ქართულ ალპინიზმს დანაკარგი შემდგომშიც ბევრი ჰქონდა. 1984 წელს უშბის ტრაგედია დატრიალდა, რომელმაც საუკეთესო ქართველი ალპინისტების ჯგუფი შეიწირა. სწორედ მაშინ მოსწერა უკვალოდ დაკარგული რიბინსკის მეუღლემ, მაშამ (ის თავის ქალიშვილთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს) გივი ქართველიშვილს თანაგრძნობის წერილი, რომლის ნაწყვეტსაც ქვემოთ გთავაზობთ და რომელიც მთელი ალპინისტური სამყაროს მიმართ გამოჩენილი ტკივილი და სიყვარულია:

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვაგრძელებთ ცხოვრებას, ვეგუებით ტკივილს, სანამ ცოცხლები ვართ, ყოველთვის დავღლევთ მათ შესანდობარს... მაგრამ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო მეგობრებო, გემუდარებით, ნუ გამოსცდით ღმერთებს. ჩვენი ულამაზესი, საოცარი მთები ხომ ღმერთებია?! ისინი წყვეტენ, ვინ დააბრუნონ და ვინ დაიტოვონ... ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი კვლავაც გააგრძელებს ამ საშედისწერო და უმშვენიერეს საქმიანობას, ალპინიზმი რომ ჰქვია, მაგრამ რომ იცოდეთ, რა ძნელია თქვენი დაკარგვა, დაკარგვა იმ ხალხისა, რომელიც მთელ ჩვენს ცხოვრებას შეადგენს, რა ძნელია ამ ტკივილთან ერთად ცხოვრება.

ყველას, ყველას თაყვანს გცემთ და ძალიან, ძალიან მიყვარხართ...“

**ლელა კოდალაშვილი**

CMYK

# ახალი სახელები



## გიორგი გამსახურდია, 25 წლის

### გამთენიამდე

გეძახით, ძახილს ვერ გავუძელი,
ვერ მივხვდი, ღიმით თუ დამყურებდით...
ღამევ, ღელავდი, როგორც თვითმკვლელი,
უჯრაში ხელებს აფათურებდი.
გუგა გულგრილი, გათვლილი თვალი,
აღიარება ერთი შეგრძნების –
ვარ გამარჯვების ჭირისუფალი,
გამთენიამდე გადავშენდები.
დონ, ცოტა დრო და „დონ“ – ნოტა კოდა,
ო, კუტურიე, ლაწვი აგეწვათ...
მიარხეინობს პოდიუმზე მოდა,
რომ გაიღვიძო და აღარ გეცვას.
ძმაო, ა-ხალხი და ყურზე ხახვი,
შენი ძახილი – ხევში მარხილი,
მარხია ჩვენი გენიის არხი
და თავმომწონე ხალიბით მახვილი.
თქვენ უპასუხო ღიმით მაწამეთ,
თუმცა ისეთი რა უნდა გეთქვათ?
გამთენიამდე თბილისის ღამე
წერილს დაწერს და წავიღებთ ერთად.

### რაღა მე...

რა, ღამეს ვუყვარვარ?!
რაღა მე ვუყვარვარ?
მოვა და ბნელ ფიქრებს მახვევს,
წუთით არ მეშვება
სარკმელთან ეშვება,
საფეთქელს ფანჯარას ადებს.
და როგორც წესია,
მიდის პროცესია
და კრძალვით სიყვარულს კრძალავს,
ერთ სახეს ლერწავენ,
ბანენ და რეცხავენ,
ის კი, ათას სახეს მალავს.
და მისი ობლობა,
ჩემი უნდობლობა,
პოეტის ძაფია ძველი.
რა, ღამეს ვუყვარვარ?!
რაღა მე ვუყვარვარ?
ლანდი იბლანდება სველი.

• • •

ზედმეტი ვარ-თქო, ვიძახე,
წავიდა ის საუკუნე
და ისე გადავიკარგე,
ჩემს თავს გვერდიდან ვუყურებ.
პატარა ცა მაქვს, მიხარის,
ღელე მაჩუქა გამჩენმა...
ერთი საბაბი მითხარით,
თქვენთან რომ ღირდეს დარჩენა.



## სალომე ჯანელიძე, 12 წლის

### არ გაიწვრთნების...

სიყვარულს დაეძებს
თეთრი მგელი, ამაყოვანი...
და ამ გრძნობისკენ მიისწრაფვის
თეთრივე მგელი, ამაყი ბანოვანი...
დაწყვილდებიან თეთრი მგლები
სიცოცხლის გზნებით
და – გაგრძელდება შთამომავლობა
ამაყი მგლების!
ისევ აამღვრევს სისხლს გაზაფხული –
ღვთიური ნებით,
აყმუვლდებიან თეთრი მგლები –
აღვსილნი ვნებით.
სულში შემოვა გახაფხული –
სიცოცხლის გზებით...
. . . . . . . . . .
არ გაიწვრთნების შთამომავლობა –
ამაყი მგლების!

### იავნანა

ნუკრსა სძინავს,
ბელიც ხვრინავს.
იავნანინაო,
შენც იძინე,
წყნარად, მშვიდად,
ვარდოვნანინაო,
ჩიტი გალობს
ტიავ-ტიავს,
იავნანინაო.
ნიავქარსა უფხიზლია,
ტყეს კი ნუკრი უხიზნია,
ბოკვერს პირი დაუღია.
იავნანიაო.
მაუგლს გოგო გაუცნია,
სიზმრად კოშკი აუგია,
ვარდოვნანიაო.
შენც იხარე,
მეც მახარე.
დედის გულის დარდო,
დაეფინეთ ჩემს შვილს გზაზე
იებო და ვარდო!
იავნანინაო.

### მარტოობა

რკინის საწოლი
ჭრიალა, ძველი, დაჟანგებული,
ჯანსაღ თაობის მრავალ წელს მზრდელი,
ახლა, ეზოში გადაგდებული,
პატრონზე ჩივის საწოლი ძველი.

## მარი ხაჩიშვილი, 13 წლის



### ჭიამაია

ცივი და მკაცრი ზამთარი იდგა. ერთი დიდი ქვის ქვეშ ჭიამაიებს ეძინათ. ქვა კიდევ ოდნავ შეფერდებულ ადგილას იდო, თორემ თოვლის ფანტელები ყველას გაყინავდა.

მოვიდა გაზაფხული, მზემაც გამოანათა და ნელ-ნელა თოვლი დაადნო. ჭიამაიებს აპრილის ბოლოს გამოეღვიძათ. თუმცა, ყველას არ გაუღვიძია, მხოლოდ რამდენიმემ წამოჰყო თავი და მერე ისევ მიიძინეს. ერთი, ყველაზე პატარა, გამოცოცდა თუ არა, გაოცებით მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, ყველაფერს ინტერესით დაუწყო თვალიერება, რადგან პირველად ნახა ბუნება. იფრინა, იფრინა, მიმოათვალიერა ახალგაღვიძებული კვირტები და ერთ მათგანზე ჩამოსკუპდა.

ამ დროს რაღაც ხმაური მოესმა და ვიწრო ბილიკისკენ გაიხედა.

– ვაი! ვაი! გოლიათი მოდის, გოლიათი მოდის!.. – წამოიყვირა ნამცეცა ჭიამაიამ.

– ნუ გეშინია! – დაამშვიდეს სხვა ჭიამაიებმა, რომელთაც მის ხმაზე გაღვიძებოდათ და ქვიდან გამოფენილიყვნენ, – ეს ადამიანია, იგი არაფერს დაგიშავებს. პირიქით, მოგეფერება. მიდი მასთან, აუცოცდი და ნახავ...

ჭიამაიამ დაიჯერა, ააცოცდა ადამიანს და ხელისგულზე დააჯდა.

ეს ადამიანი მშვიდი და კეთილი გოგონა აღმოჩნდა, თანაც ძალიან, ძალიან ლამაზი. გოგონამ ჭიამაია რომ დაინახა, სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა და მოფერება დაუწყო.

– რა კარგია, – თქვა ჭიამაიამ, – მეფერება. მართლაც კარგი ყოფილა ადამიანი!..

სხვა ჭიამაიებს შეეშინდათ, ვაითუ, პატარა ჭიამაია ყველას ასე მიენდოსო და გოგონას ხელისგულზე მოკალათებულს ასძახეს:

– ეს კარგი გოგონაა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ცუდია და ყველას არ უნდა ენდო!.. ამიტომ, როცა ადამიანებთან მოისურვებ მიფრენას, ჩვენ გვკითხე-ხოლმე!.. – ურჩიეს და დაელოდნენ, როდის ჩამოფრინდებოდა იგი გოგონას ხელისგულიდან.

პატარა ჭიამაია რომ ჩამოფრინდა, აღტაცებით წამოიძახა:

– რა კარგია, რომ ასე მშვენიერია ქვეყნიერება. ეს გოგონაც რა მშვენიერია, როგორ შემიყვარა ასე უცბად...

მერე კი დაღონებით დაუმატა:

– მაგრამ რატომ არის, რომ ზოგი ადამიანი ცუდი და ბოროტია?!

– წამოდი ახლა, ჩემო პატარავ, კვირტები გავაღვიძოთ, ყვავილებს მოვეფეროთ... – უთხრეს ნაბოლარა ჭიამაიას და ისიც სულ სკუპსკუპით გაჰყვა უფროს მეგობრებს...

## ვახტანგ სალაძე, 17 წლის

**„ვახტანგ სალაძე შეიძლება დიდი ფეხბურთელი დადგეს, შეიძლება დიდი მუსიკოსი, შეიძლება სულაც პოლიგლოტი გახდეს (რადგან სულ მალე იტალიაში მიემგზავრება რამდენიმე უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდების სიმპოზიუმზე), მაგრამ კარგი ფერმწერი ის უკვე არის“ — ასე დაახასიათა ცნობილმა მხატვარმა თამაზ ხუციშვილმა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში მოწყობილი მხატვართა გამოფენის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე. ამ ფოტოზე სწორედ ვახტანგ სალაძეა თავის ნახატებთან ერთად.**



## ზურაბ მელიქიძე, 18 წლის

• • •

ვცხოვრობ ერთ ყუთში,
ვსუნთქავ მტკვრის გორას,
ვუყურებ მზეს და
ვუყურებ მთვარეს,
ვთამაშობ თამაშს,
არა მაქვს ფორა,
ვალებ და ვკეტავ
მე სახლის კარებს.
ვწერ ამ ხმელ ლექსებს,
გამკივან ლექსებს,
ვაწვალებ კალამს,
გავცქერი არეს,
მომავლის მჯერა,
ავდივარ კოშკზე,
ჩემს სამრეკლოზე
ვაყვირებ ზარებს...

• • •

იყუჩე, გულო,
ერთწამს იყუჩე,
იქნება მერე რამეს ეშველოს,
ნუღარ ღვრი ცრემლებს,
ეგრე ნუ კვნესი,
რადა გსურს, მიწა რომ დაასველო?
დამძიმებულხარ ეგრე სასტიკად,
ვიაროთ,
ბოლოც ექნება მდელოს.

• • •

და როგორც ელვა,
ელვა, ვით ხერხი...
და როგორც მეხი,
ციდან ნატეხი,
ეს შემოდგომაც
მოასკდა ხეხილს...
შემოდგა ფეხი.

• • •

მხატვარმა თავის დახატულ მოლბერტზე,
თავისი დახატული ნაჭერი გაჭიმა,
მერე მივიდა იმ რაღაც დონეზეც,
რომ წარბი აჭიმა.
მხატვარმა თავის დახატულ მოლბერტზე,
თავისი დახატული ნაჭერი გაჭიმა.
მერე გადაევლო ოცნების ლობეზე,
ქმნილება თავის ნახატ ზღვაში შავი ქვით
ჩაძირა.
მერე შეეცადა სული შთაებერა
და კედლის საათი აატიკტიკა.
მოხდა სასწაული, რასაც არ ელოდა,
თავისმა დახატულმა პერსონაჟმა
გააკრიტიკა...

## თორნიკე უსტარაშვილი, 11 წლის



### ნაწვიმარზე ამოსული სოკოს ოცნება...

ნაწვიმარზე ამოსულა და უნდა, დღეგრძელი იყოს. ნამიან ბალახს ამოხეთქავს, ცაში აიხედავს და ფიქრების ტბაში ჩაიძირება, როგორც მე. მეც ხომ ცაში ვიყურები და მამაზე ფიქრებში ვიძირები ხოლმე. სოკოც ასეა, ალბათ.

ახედავს დიდრონ, დედაბოძივით აშოლტილ ხეებს და ფიქრობს... მაგრამ შიშის ბურუსიდან ვერ აღწევს თავს. როცა სხივებს ეთამაშება, მაშინაც ვერ სძლევს შიშს. შიში ხომ ადამიანისათვის და სოკოსთვისაც ერთადერთი, ერთადერთი დაბრკოლებაა.

ბინდდება. მზე კვერცხიდან გადმოვარდნილი გულივით ეპარება მთებს და ზღვაში ირეკლება. სოკოს ის ერთადერთი დაბრკოლება ახვევია გარს, ეძინება, მაგრამ არ უნდა რომ დაიძინოს, ის ხომ ფიქრობს.

თენდება მეორე დილა. სოკოც იღვიძებს და ისევ ფიქრობს, ასე გაივლის მეორე დღე – ისიც შთაინთქმება დროის უფსკრულში და მითავდება.

ასე გაჰყავს სოკოს თავისი წამიერი, მაგრამ მაინც საამური სიცოცხლე...

### ჯადოსნურ ფერთა დოღი...

ჯადოსნური ფერები გამეფდნენ დედამიწაზე... ოქროსფერი შემოდგომის ფერები სპარსული ნოხივით მოეფინა საქართველოს. ქარი ქრის, მარნიდან მაჭრის ბუტბუტი მესმის. მზის ელვარება ჩემი ფიქრების ჩუქურთმას ავსებს. წვიმს... უცებ შემოდგომის ფერთა ჯადოსნურ დოღში აღმოვჩნდი... აქეთ-იქით ვიყურები... ფერები ერთმანეთს ეჯახებიან, საოცარია, არა?! მწიფე მტევნებმა ჩემი ყურადღება მიიქციეს... სქელტუჩა დოქიდან ჩამოსხმული მაჭარი მიზიდავს, მეპატიჟება...

ცა ქარვისა და გიშრის ელვარებას დაუფარავს... ფერთა დოღში გამარჯვებული ყვითელი ფერი აღმოჩნდა, რადგან იგი შემოდგომისაა, მხოლოდ და მხოლოდ შემოდგომის.

## გიორგი რამაზაშცილი, 11 წლის



# ბობის თავგადასავალი

### თოვლია და ცხვირზე დასკუპებული სანთლები

ეს ამბავი ამ ცოტა ხნის წინ მოხდა. უფრო სწორად, სექტემბერში. იმ დღეს ძალიან ცხელოდა. ბობი და მისი მეგობრები გაკვეთილზე ისხდნენ და ერთი სული ჰქონდათ, ზარი როდის დაირეკებოდა, რადგანაც ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ, მეზობელი სკოლის ბიჭებს უნდა შეჯიბრებოდნენ.

... ბობი დარდიანი დაბრუნდა შინ – ფეხბურთის თამაში არ გამოუვიდათ (1:3 წააგეს), მაგრამ უცებ სახლის კართან შეჩერდა და თვალები მოიფშვნიტა. ეზოში პატარა, ფუმფულა, თეთრბეწვიანი ლეკვი თამაშობდა. ბიჭმა გაიფიქრა: „ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ასეთი ლეკვი მეც რომ მყავდეს“... თან გაუკვირდა, ჩვენს ეზოში სხვის ლეკვს რა უნდაო.

ბობი ამ კითხვით მივიდა დედასთან, რომელიც... სადღესასწაულო სუფრას აწყობდა.

– შენი ლეკვია, ბობი! დღეს ხომ შენი დაბადების დღეა!.. ხომ ნატრობდი, ძაღლი მინდაო...

ბობი სიხარულით ცას ეწია. ჯერ ლეკვთან თამაშით იჯერა გული. სახელიც თვითონ შეურჩია – თოვლივით თეთრ ლეკვს თოვლია დაარქვა.

... სუფრასთან ბობის მთელი ოჯახი და რამდენიმე მეგობარი შეიკრიბა. დაბადების დღის ტორტიც შემოიტანეს, რომელზეც თერთმეტი ფერადი სანთელი ციმციმებდა... შუქი ჩააქრეს თუ არა, გახარებულმა ბობიმ ახალი სურვილი ჩაიფიქრა და ისეთი ძალით შეუბერა, რომ... სანთლები ხომ ჩაქრა და ჩაქრა, სუფრასთან მსხდომთაც სათითაო სანთელი ცხვირზე კოხტად დაასკუპდა – ზოგს წითელი, ზოგს ყვითელი, ზოგსაც კიდევ ლურჯი. ერთი სიტყვით, ნამდვილი ფეიერვერკი იყო!

### ბობი ტყეში ხაფანგს აგებს

ბობიმ მეორე დღეს სიხარულით გაიღვიძა, თანაც შაბათი იყო, დასვენების დღე. ჯერ თავის თოვლიას აჭამა, მერე თვითონაც ისაუზმა. დასტაცა ხელი ლეკვს და ძმაკაცებთან ერთად კუს ტბაზე წავიდა.

– ბიჭებო, მოდით, ხაფანგი დავაგოთ! – წამოიძახა ბობიმ.

სასწრაფოდ შეუდგნენ საქმეს: ორი ხის შუა თოკი გააბეს, ზედ გამხმარი ფოთლები დაყარეს (კინაღამ დამავიწყდა, ხეებს შორის უზარმაზარი გუბე იდგა) და ხაფანგიც მზად იყო.

სულ მალე პირველი „მსხვერპლიც“ გამოჩნდა. თანაც ერთი კი არა, სამი! ზუსტად ის ბიჭები იყვნენ, გუშინ რომ ბობის და მის კლასელებს გოლები გაუტანეს (დამთხვევაც ამას ჰქვია!). მათ ჩოგბურთის კორტიკენ მიმავალი გზა იკითხეს და ბობიმაც „დაუზარელად“ მიუთითა იქითკენ, სადაც ხაფანგი ჰქონდათ დაგებული. „გოლკიპერები“ გაიქცნენ და... რამდენიმე წამში პირდაპირ ბაყაყების გუბეში ამოჰყვეს თავი. ღია ფერის შარვლები თვალისდახამხამებაში მწვანედ „შეეღებათ“...

ასეთი ცელქი და ონავარია ჩვენი ბობი...

CMYK

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გაუგებრობის მსხვერპლი



ეს ამბავი ერთ ჩემს ნაცნობს გადახდა და რადგან ისტორია მეტად პიკანტურია, მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ და პირობითად გოგის ვუწოდებ.

მოკლედ, გოგი რამდენიმე წლის წინ მოსკოვს ეწვია რაღაც საქმეზე და იქაურ რუს ნაცნობთან დაიდო ბინა. სტუმარმა აქედან ბარაქიანად გააყოლა ხელს სასმელ-საჭმელი, არც მასპინძელი აკლებდა პატივისცემას, მაგრამ ხომ იცით ქართველი კაცის ხასიათი, უნდოდა მოსკოველისთვის განსაკუთრებით ესიამოვნებინა. არჩევანი ღორის სუკებზე შეაჩერა, იფიქრა, ზამთარია, ჭაჭის არაყი კიდევ მაქვს დარჩენილი და მწვადები მისწრება იქნებაო.

გოგიმ მახლობელ გასტრონომს მიაშურა და გამყიდველი, ახალგაზრდა, გრძელფეხება რუსი გოგონა ჯერ ქათინაურებით შეამკო (ეს ხომ ქართველი მამაკაცების უპირველესი „მოვალეობაა“ რუსეთში), მერე კი ერთიანად გაბრწყინებულ ქერათმიან ანგელოზს (ასე „მონათლა“) მგრძნობიარე ხმით მიმართა:

— კრასავიცა, უ ვას სუკი ნაიდიოტსია?

მოგეხსენებათ, „სუკა“ რუსულად რასაც ნიშნავს და ამის გაგონებაზე გამყიდველი გოგონა ერთიანად აილეწა...

გასტრონომის გამგესაც (რომელიც დაბნეულმა გამყიდველმა გოგონამ იხმო) რომ იგივე გაუმეორა, სასწრაფოდ უხმეს პოლიციას თუ ადგილობრივ დაცვას...

პოლიციის განყოფილებაში ჩვენმა გურმანმა რის ვაი-ვაგლახით გააგებინა წესრიგის დამცველებს, რომ გასტრონომში ღორის სუკს ეძებდა და არა „იმნაირ“ ქალებს.

ასე გადარჩა ჩემი კეთილი ნაცნობი მოსკოვში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ათდღიან პატიმრობას.

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## ჯაჭია ადამიანი?!



შალიკო კოვზირიძემ, როგორც იქნა, ერთთვიანი რემონტის შემდეგ თავისი 19 წლის მწვანე „ზაპოროჟეცი“ ქუთაისის ქუჩებში გამოაგოგმანა.

ნინოშვილის ქუჩაზე, წინ მიმავალ ლურჯ მერსედესს, რომელიც ფრთხილად მოძრაობდა, უმწვავესი „აბგონი“ გაუკეთა და „ასე ვიცით ჩვენო!“ სიამაყით ჩაიბუტბუტა.

სიხარული ნაადრევი გამოდგა. იქვე ჩასაფრებულმა ინსპექტორმა, ვანიჩკა სეფერთელაძემ ჩაუსტვინა.

გადმოვიდა მანქანიდან შალიკო და რადგან ვანიჩკას შორიახლოდან იცნობდა, „მოესიყვარულა“.

— რა ხდება, ბატონო ივანე? რამდენის დავაშავე?

— ასე, 10 ლარის! — თავაზიანად უპასუხა ინსპექტორმა.

— ახალი ანეკდოტი იცი? — ჰკითხა „მიმინოს“ ვალიკოსავით.

ვანიჩკა ინსპექტორი კი იყო, მაგრამ ანეკდოტები მაინც უყვარდა.

— თქვი! — გამოსცრა მკაცრად.

— ადამიანი და ინსპექტორი დაძმობილდნენ, — დაიწყო შალიკომ.

— მეიცა, მეიცა... კი მარა, მე რო ინსპექტორი ვარ, ადამიანი არ ვარ?

— შე კაი კაცო, ადამიანი რო იყო, „ზაპოროჟეციან“ კაცს 10 ლარით დამაჯარიმებ?!

— ოხ, რა ხარ, შენ, შალიკია!.. წადი ახლა და ამ ქუჩაზე აღარ განახო! — დანებდა ინსპექტორი.

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## მამა ვარ



თბილისი-ბორჯომის მატარებელზე მოლარე-კონტროლიორად მუშაობდნენ ძმაკაცები — ლალო რიკაძე და ტარიელ სულუაშვილი.

— ერთხელ, — მიყვება ტარიელი, — ბორჯომიდან მოვდივართ. მე პირველ ვაგონში ვსინჯავ ბილეთებს, ლალო — მეორეში.

გომში ამოვიდნენ მგზავრები. დაიკავეს ადგილები და ბილეთები მოვითხოვე. მგზავრებს შორის იყო ასე 40-45 წლის კაცი, რომელმაც მიპასუხა.

— ბილეთი არ მაქვს. მოლარე ლალო რიკაძე რომ არის, მისი მამა ვარ.

ლალოს მამა ცნობილი მემანქანეა და ჩემი ძმაკაცი. გამეცინა. გავაგრძელე ჩემი საქმიანობა და გავედი მეორე ვაგონში. ლალოსაც დაემთავრებინა ბილეთების შემოწმება. სიცილით მივუახლოვდი.

— რა გაცინებს? — მეკითხება ლალო.

— როგორ არ გავიცინო, პირველ ვაგონში უბილეთო მამაშენია.

— რას ამბობ, კაცო, ანზორა ქარელში დავტოვე, ახლა შუა ქეიფში იქნება, აქ როგორ აღმოჩნდებოდა!?

— წამოდი, თვითონ ნახე!..

გავედით პირველ ვაგონში და ვანიშნე უბილეთო მგზავრზე.

ლალო მივიდა მგზავრთან და ბილეთი მოსთხოვა.

— რას შემიჩნდით ხალხო, ხომ გითხარით, ლალო რიკაძის მამა ვარ.

— მაშ შენ მამაჩემი ხარ?! — დაიქუხა ლალომ, რომელსაც მგზავრებმა ძლივს გამოსტაცეს ხელიდან „მამა“.

## „მნაცელა“



სომხეთის სადგურ სანაინიდან სამგზავრო მატარებელი ერევანი-თბილისი უნდა წამომეყვანა. თანაშემწედ მყავდა მემანქანე ფირუზ ისაევი. მატარებელმა დაიგვიანა. ვსეირნობთ ბაქანზე. მოგვიახლოვდა ერთი ხნიერი კაცი და შეგვეკითხა:

— ერევან გნაცელა?

ფირუზამ უთხრა: — ნეტ, პადაჟდი, სიჩას ბუდეტ ერევან მნაცელა, სადის და ტბილისი გნაცელა.

მგზავრმა ვერაფერი გაიგო. ხელების ქნევით გვანიშნა, რა ენაზე მელაპარაკებით, ვერაფერი გავიგეო და გაგვშორდა.

— ფირუზ, რა უთხარი იმ კაცს?

— ვუთხარი, რომ ერევნის მატარებელი ახლა შემოვა, დაჯექი და თბილისში წადი-მეთქი.

— ყოჩაღ, სომხური კარგად „გცოდნია“.

— სომხური არ ვიცი, მაგრამ გნაცელა რომ წასვლას ნიშნავს, ეს ვიცი. ჰოდა, თუ გნაცელა წასვლას ნიშნავს, მაშინ მოსვლა მნაცელა იქნება! — დაარტყა ბეჭედი ფირუზამ.

***ალექსი ჯამატაშვილი, თბილისი***

## „გულთმისანი“ ტელევიზორი



დალაქებს სულ ცოტა ხნის წინათ პარიკმახერებად მოიხსენიებდნენ... ახლა სტილისტებს უწოდებენ. გურამს კი, ჩემს მეგობარს, არც ერთს ეძახიან და არც მეორეს, იგი უბრალოდ „თავლიაა“, მისი „რეზიდენცია“ ზესტაფონის ღვინის სამმართველოს კიბის ქვეშ იყო და ანდამატივით იზიდავდა ოხუნჯობის მოყვარულთ.

ერთი ხელის აქნევა და გამოკეტავდა სადალაქოს, კარზე წინასწარ მომზადებულ წარწერას გამოაკრავდა: „გასული ვარ ოპერაციაზე, ვინც რიგში არაა ჩაწერილი, ნუ დამელოდება“ და რომელიმე რესტორანში ამოჰყოფდა თავს. ეტყობა, ამ ერთობ დამყოლი ხასიათის გამო შეარქვეს თავლია.

ერთხელაც, წამოსცდა, ფერდის არეში ჭვალი მაწუხებსო. მეღვინეებმა თავიანთ თავზე აიღეს დალაქის „მკურნალობის“ ხარჯები და ლიკანში უკრეს თავი. უთხრეს, „ტელევიზორში“ გაგაშუქებენ, ოღონდ თავი ღვინის ქარხნის დირექტორად უნდა გაასაღოო.

წევს თავლია და ექიმი ტელევიზორით (ანუ ექოსკოპით) ათვალიერებს. ბოლოს ეკითხება, თქვენი კაბინეტის ახლოს სადალაქო ხომ არ არისო.

გაშრა კაცი, არ იცის რა თქვას... ბოლოს გაახსენდა, „დირექტორი“ რომ იყო და შვებით ამოისუნთქა, — კი, ბატონო, ჩემი კაბინეტის ქვემოთ არის სადალაქოო, უპასუხა.

— ჰოდა, ცუდადაა საქმე, ან კაბინეტი გამოიცვალეთ, ან სადალაქო გადაატანინეთ სხვაგან, ფილტვები თმით გაქვთ სავსე!

თავლია ისე შეშინდა, დანა კბილს არ უხსნიდა, მაგრამ მეღვინეებისთვის არაფერი უთქვამს. საქეიფოდ რომ დასხდნენ, მხოლოდ მაშინ გაიგო, თუ რა ოინი მოუწყვეს ზესტაფონელმა მეღვინეებმა.

## გასეირნება



ნოდარი ნიჭიერი ბიჭია, განათლებულიც, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: არ აინტერესებს თუ არ გამოსდის, — ვერანაირად მანქანის ტარება ვერ ისწავლა. არც უცდია მძღოლის კურსებზე ეცადა ბედი.

60-იან წლებში ნოდარის სიმამრმა, როგორც ომის ინვალიდმა, „ზაპოროჟეცი“ მიიღო უფასოდ. ნოდარმაც ახალთახალი მანქანით გასეირნება მოინდომა. ჩაჯდა „ზაპოროჟეცში“ მეგობართან ერთად და ქალაქში გასეირნება გადაწყვიტა. რკინიგზის სადგურთან მუხრუჭი ვეღარ დაიმორჩილა და „მოსკვიჩს“ უკნიდან მიეჯახა. საბედნიეროდ, დაზიანება არ აღმოჩნდა სერიოზული და ნოდარმა, როგორც „გამოცდილმა“ მძღოლმა, „მოსკვიჩის“ პატრონთან მოლაპარაკება განიზრახა:

— რად გინდა ახლა, ინსპექცია და ოქმები... გადავაყენოთ მანქანები აგერ, თეატრის წინ და დავილაპარაკოთ, შენი მანქანის შეკეთებას მე ვიკისრებო.

„მოსკვიჩის“ პატრონი დაყაბულდა ნოდარის წინადადებას და მანქანა თეატრის მხარეს გადააყენა. ნოდარმაც აამუშავა თავის „ზაპო“ და მიუახლოვდა თუ არა „მოსკვიჩს“, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ხელახლა შეეჯახა ისევ იმ მანქანას.

ახლა კი გადაირია „მოსკვიჩის“ პატრონი.

— დაგექცა ოჯახი!.. ვინ დაგარიგა, ამ კაცს სდიე უკან და საშველი არ მისცეო?!

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## მკითხველის — — სტუმარი ანეკდოტი



ჭიჭიკია ხვდება ბიჭიკიას. ბიჭიკია საშინლად არის ნაცემი.

— რა მოგივიდა, ბიჯო! — ეკითხება ჭიჭიკია.

— შვილმა მცემა!

— რატომ, რა დოუშავე?!

— დედა შევაგინე!

***მკითხველი ხონიდან***

## ჩვენი სტუმარია
### სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფიდობაქვა



ცოლი აცილებს ქმარს კურორტზე:

— მომისმინე, ძვირფასო! ძალიან გთხოვ, ფულს ნუ დახარჯავ ისეთ რამეში, რაც სახლში უფასოდ გაქვს.

---



— ერთი ოცნება მაქვს, — ეუბნება ჭიჭიკია ბიჭიკიას, — მინდა, ბანკი გავძარცვო და თან ჩემი სიდედრის თითების ანაბეჭდები დავტოვო.

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K


თქვით უფრო მეტი
ჯეოსელთან ერთად!
www.fun.geocell.ge


http://www.geocell.ge

# „ნაყიდ სკამებში ნაყიდი „პაგონებით“...

გამკითხავი არავინ ჩანს — შარშანწინ გიორგი სანაია მოკლეს, შარშან — დუდუ დადიანი; ახლახან — კახი ასათიანი. შუალედებში კი ათობით ნაკლებად ცნობილი ადამიანი. სად გაქრა ის ყბადაღებული სტაბილიზაცია, როდემდე გაგრძელდება ასე?.. — ეს კითხვები მაწუხებდა, როცა კახის კუბოსთან მდგარი ჩვენს სახელოვანი სპორტსმენების გაყინულ სახეებს შევცქეროდი. მაშინ როგორ შევბედავდი და მოგვიანებით შინ ვეწვიე ერთ-ერთ მათგანს. ჩვენს სახელოვან სპორტსმენს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბატონ **მიხეილ ქორქიას:**



— **ბატონო მიხეილ, როგორ გგონიათ, ვინ მოკლეს — სპორტსმენი თუ ბიზნესმენი?**

— რა თქმა უნდა, სპორტსმენი და მხოლოდ და მხოლოდ სპორტსმენი. სულ სხვაა საბაბი. აშკარაა, მომხდარი მის ახლანდელ სამსახურთან, ანუ როგორც ახლა ამბობენ — ბიზნესთანაა დაკავშირებული. თუმცა საქართველომ ბიზნესმენი კი არა (ამ რანგის ბიზნესმენები დღეს არ აკლია საქართველოს), დიდი სპორტსმენი დაკარგა.

— **გამოჟონა ინფორმაციამ, რომ გამოძიება განიხილავს ამ ფაქტის დუდუ დადიანის მკვლელობასთან კავშირს. როგორ შეფასებას მისცემდით ამ ვერსიას?**

— გამორიცხულია, კახი არ იყო ის პიროვნება, რომ ამაზე წასულიყო. იმდენად თავმოყვარე, ამასთან, დიდბუნებოვანი ადამიანი გახლდათ, რომ ამას არ იკადრებდა.

— **იქნებ სწორედ თავმოყვარეობის გამო?..**

— კიდევ ვიმეორებ: გამორიცხულია. ბოლოს და ბოლოს, დუდუ დადიანი მისი მიყვანილი იყო კალათბურთის ფედერაციაში. კახი არ იყო ამის გამკეთებელი კაცი. ამაზე ლაპარაკიც კი მკრეხელობად მიმაჩნია.

— **მაშ, სად ვეძიოთ მიზეზი?**

— კარგი კითხვაა. მე ბრალს ჩვენს პოლიციას — უფრო სწორად, იმ მონსტრს ვდებ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰქვია. ესაა უსაქმურების, მუქთახორების, მუქთამჭამელების ის საბუდარი, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხს. სხედან ეს ადამიანები ნაყიდ სკამებში ნაყიდი „პაგონებით“ და რაკი ხელფასებს არ აძლევენ, ხალხს ყვლეფენ. თუ არ მეშლება, ყოველდღიურად 75 ათასი კაცი გამოდის საშოვარზე. ხალხს მათ მიმართ უნდობლობის კომპლექსი გაუჩნდა. პოლიციაში მოწმედ აღარავინ მიდის და იცით, რატომ? იმიტომ, რომ გალახავენ, აიძულებენ დაწეროს ის, რაც არ მომხდარა და ამიტომ ყველა გაურბის მათთან ურთიერთობას. ამის შედეგი კი გახლავთ ის, რომ არაფერი კეთდება დიდჩინოსანი პოლიციელების გამდიდრების გარდა. აბა, მითხარით, ბოლო დროს რომელი დიდი საქმე გახსნეს? დარწმუნებული ვარ, არც კახის მკვლელობის საქმე გაიხსნება.

მე ბრალს ჩვენს პოლიციას — უფრო სწორად, იმ მონსტრს ვდებ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰქვია. ესაა უსაქმურების, მუქთახორების, მუქთამჭამელების ის საბუდარი, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხს. სხედან ეს ადამიანები ნაყიდ სკამებში ნაყიდი „პაგონებით“ და რაკი ხელფასებს არ აძლევენ, ხალხს ყვლეფენ.

— **გამოსავალი?**

— გამოსავალი ის არის, რომ უნდა შეიცვალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ნაწილობრივ სხვა სამართალდამცავი სტრუქტურაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ერთიანი, ცენტრალური საგამოძიებო სამსახური. სხვა დანარჩენს გამოძიების უფლება უნდა ჩამოერთვას, რათა გამოირიცხოს გადაბრალებები და ერთმანეთზე ხელის შეხოცვა. მაგრამ ეს ხელს არ აძლევთ — ბრჭყალებით არიან ჩაფრენილი მსუყე ლუკმას.

— **ვთქვათ და შეიქმნა ასეთი სამსახური, მერე?**

— უნდა შეიქმნას კერძო დეტექტივის სამსახური. რომლის წარმომადგენლები იმუშავებენ გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, უშუალოდ დამკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე. არც ეს უნდათ. ეს რომ დაუშვან, მათთან ვინღა მივა, ლუკმას ხომ დაკარგავენ?! კერძო დეტექტივი ფულს მაშინ იღებს, როცა საქმეს გააკეთებს. ესენი კი, სულერთია, გინდ გააკეთონ საქმე, გინდ არა — ფულს მაინც იღებენ. თანაც გაუხსნელ საქმეში უფრო მეტს... დამნაშავის დაფარვისთვის.

თუმცა ჩვენი პარლამენტის შემხედვარე ალბათ ამგვარ კანონს ვერ ვეღირსებით. დამისახელეთ ერთი კანონი, ხალხის საკეთილდღეოდ რომ მოქმედებდეს.

— **ასათიანის პანაშვიდის დღეებში ბატონმა რომან რურუამ განაცხადა: თუ ასე გაგრძელდა, თუ მკვლელი ვერ დაიჭირეს, გადავვჯეგავთ ყველაფერსო. ბუნებრივია, ბატონი რომანი ამ შემთხვევაში სპორტსმენებს გულისხმობდა. როგორ უნდა გავიგოთ ეს განცხადება?**

— ეს მხოლოდ ემოციის გამოხატვა იყო, — სპორტსმენები მაგის გამკეთებლები არ ვართ. თუმცა ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, ამის გარეშეც ვიმოქმედოთ დღევანდელ ხელისუფლებაზე.

ტრაგედიაა ის, რაც ირგვლივ ხდება და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ სპორტსმენებიც ვიტყვით ჩვენს სათქმელს. ქვეყანა, სადაც ბიზნესმენს ბიზნესს ართმევენ, სადაც ბიზნესმენის სიცოცხლე არაფრად ფასობს, როგორ უნდა დადგეს ფეხზე?! ბიზნესი ხომ ის არტერიაა, რომელიც ქვეყანას კვებავს? როგორ უნდა იცხოვროს სახელმწიფომ, რომელიც ბიზნესმენს ქველმოქმედებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადს აკისრებს? გაგიგიათ სიკეთის ქმნისთვის ვინმეს აჯარიმებდნენ? მთელ მსოფლიოში ბიზნესმენები აფინანსებენ სპორტს. ჩვენთან კი გამათხოვრებულია სპორტული საზოგადოება. ბელორუსია წლიური 50 მილიონი დოლარით აფინანსებს სპორტს, აზერბაიჯანი — 15-ით, სომხეთი — 13 მილიონით, ჩვენში კი ერთ მილიონ დოლარს ძლივს იმეტებენ ამ საქმისთვის. არადა ამ ქვეყანას 32 ოლიმპიური და 400 მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს. ნებისმიერი დიდი სახელმწიფო იამაყებდა ამ ხალხით. ჩვენთან კი... ჩვენ სპორტმა და ხელოვნებამ უნდა წარმოგვაჩინოს, თორემ სხვაგვარად დაღუპულია ერის თვითმყოფადობა.

***მოამზადა ვაჟა გავაშელმა***

## სიკვდილი ქალის სანაცვლოდ

მხოლოდ იმას ნაღვლობდა, ამხელა სიმდიდრის პატრონი ჯიბეში კაპიკებს ვითვლიო. ასე იყო თუ ისე, ის და ელა მართალია უფულოდ, მაგრამ სხვამხრივ მშვიდობიანად გასცდნენ საქართველოს საზღვარს და კრასნოდარში გაჩერდნენ. რაკი გასაყიდი აღარაფერი ჰქონდათ, ქალაქის მიყრუებულ უბანში ჩასაფრდნენ და შემთხვევით გამვლელის გაძარცვას შეეცადნენ, მაგრამ გამვლელი, არც მეტი, არც ნაკლები, ჭიდაობა სამბოში ოლქის ჩემპიონი აღმოჩნდა და მხარზე აკიდებული ახმახი თავის ლამაზმანთან ერთად, ადგილობრივ მილიციას ჩააბარა. იქაურმა გამომძიებელმა კი, რომელსაც წესით ამ ხალხის წარსული უნდა შეემოწმებინა, რამდენიმე დღეში შეკერა საქმე და სასამართლოს გადასცა. გასტროლიორებს სასჯელის სხვადასხვა ზომა შეუფარდეს და პერმის კოლონიაში გააგზავნეს. ნიკოლაი ფიქრობდა, ზღვას გადავრჩი და წვეთმა დამახრჩოო, მაგრამ ზესტაფონის მილიციაში გულხელდაკრეფილები არ ისხდნენ და რაკი დამნაშავეთა ვინაობა და სადაურობა დააზუსტეს, დონეცკელ კოლეგებს მიმართეს თხოვნით, ეცნობებინათ ნიკოლაი ლაპიკუსის შესახებ. პასუხი კი, რომელზეც დონეცკის მილიციის სამმართველოს უფროსი აწერდა ხელს, ასე ჟღერდა:

— სხვადასხვა დანაშაულისთვის ჩვენ მიერ იძებნება ნიკოლაი ნიკოლაის ძე ლაპიკუსი, დაბადებული 1953 წლის 5 მარტს, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში(!)...

კუკური ძაბირაძეს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა. ნიკოლაი ლაპიკუსი მართალია ამ სოფელში მოევლინა ქვეყანას, მაგრამ ბოშათა ის ბანაკი, სადაც ის გაჩნდა, ორი კვირის შემდეგ იქიდან აიყარა და ლიტვას შეაფარა თავი. დაბადების დრო და ადგილი კი სამუდამოდ დარჩა ბოშების ნაშიერს. ზესტაფონელებმა მოსკოვის საინფორმაციო ცენტრს მიმართეს იმავე თხოვნით და საბოლოოდ დაადგინეს ორივე დამნაშავის ადგილსამყოფელი — ქალაქი პერმი, სასჯელაღსრულების კოლონია, საიდანაც იმ მოტივით, რომ მათ საქართველოში ბევრად უფრო მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, ვიდრე რუსეთის ტერიტორიაზე, თბილისის ციხეში გადმოიყვანეს და აქვე, საქართველოშივე დაასრულა სიცოცხლე საქართველოში დაბადებულმა მოხეტიალე ბოშამ. ის ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არ ეღირსა დაფლული განძის ამოღება და მოხმარება. ქალი კი ისევ პერმის კოლონიაში დააბრუნეს, სადაც ჭლექით გარდაიცვალა რამდენიმე წლის შემდეგ.

P.S. მოგვიანებით აბაშაში ხმა გავარდა, ერთმა ტრაქტორისტმა ცხენისწყალსა და რიონის შესართავთან განძი იპოვაო. არავინ იცის ეს ამბავი მართალი იყო თუ არა, მაგრამ განძი რომ იმ ადგილიდან გაქრა, ავტორს აღარ ეეჭვება, რადგან, როგორც სამართალდამცველს თვითონ მოუწია ამ ისტორიაში ხელის ფათური, ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

## „არ აკოცოთ კუჭის წყლულით დაავადებულს“
## „დე-ნოლი“ — პრობლემის გადაწყვეტა

თანამედროვე მედიცინა თვლის, რომ პილორული ჰელიკობაქტერიით (Helicobacter Pylori) დაინფიცირება არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისეთი დაავადებების განვითარებისა, როგორიცაა გასტრიტი, გასტროდუოდენიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პეპტიური წყლული. ეს აღმოჩენა ეკუთვნის ავსტრალიელ ექიმებს — უორენს და მარშალს (1983-1984წ.). მარშალმა გაიმეორა ლუი პასტერის გმირობა და ექსპერიმენტი ჩაიტარა თავის თავზე. წინასწარი გამოკვლევის შემდეგ (გასტროსკოპია, ბიოფსია), გამორიცხა რა კუჭში რაიმე პათოლოგიური პროცესის არსებობა, გაზარდა ამ მიკრობის კულტურა და დალია ის. ორი კვირის შემდეგ მას განუვითარდა გასტრიტის უმწვავესი ფორმა.

მარშალის ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ პილორული ჰელიკობაქტერია არ იღუპება კუჭში მარილმჟავას ზემოქმედებით, რადგან თვითონ გამოყოფს ფერმენტს, რომელიც ანეიტრალებს მარილმჟავას და მოქმედებს საკმაოდ აგრესიულად. ამდენად, ცნობილი გამოთქმა: არ არის მჟავა — არ არის წყლული, საფუძვლიანად შეიცვალა: არ არის პილორული ჰელიკობაქტერია — არ არის წყლული. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში პილორული ჰელიკობაქტერია აღმოჩენილია პაციენტების 95%-ში, ხოლო კუჭის წყლულისა და გასტრიტის დროს — 60-70%-ში. ზოგიერთმა მკლევარმა პილორულ ჰელიკობაქტერიოზს რომანტიული სახელიც მოუგონა — „დაავადება კოცნით“. დასნებოვნება უმეტესად ხდება ბავშვობის ასაკში, დაავადებული ადამიანის ნერწყვიდან ან შინაური ცხოველებიდან.

მოხვდება რა მიკროორგანიზმი კუჭში, აზიანებს მის ლორწოვანს, რაც ხელს უწყობს დაზიანებულ ზედაპირზე აგრესიული ფაქტორების ზემოქმედებას.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში კუჭ-ნაწლავის დაავადებების და ინფექციების სამკურნალოდ, იყენებდნენ ბისმუტის მარილებს, თანამედროვე ბისმუტის პრეპარატს წარმოადგენს „დე-ნოლი“ — ბისტუმის კოლოიდური სუბციტრატი. „დე-ნოლი“ ჯერ კიდევ 70-იან წლებში აქტიურად გამოიყენებოდა წყლულის სამკურნალოდ. მაშინ, მართალია მედიცინამ არ იცოდა H.Pylori-ის არსებობის შესახებ, მაგრამ მკვლევარებისათვის იმ დროსაც ცხადი იყო, რომ „დე-ნოლით“ მკურნალობის შემდეგ დაავადების რეციდივის (განმეორების) შემთხვევები მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

დღეისათვის სპეციალისტთა დიდი ნაწილი ზემოაღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ სწორედ „დე-ნოლს“ იყენებს. აღნიშნულ პრეპარატს აქვს უნარი წარმოქმნას დამცავი აპკი წყლულის ზედაპირზე. დამცავი აპკის ქვეშ წყლული დაცულია მარილმჟავას მავნე ზემოქმედებისაგან და სწრაფად განიცდის შეხორცებას. ჰელიკობაქტერიის აღმოჩენის შემდეგ გაირკვა, რომ პრეპარატს აქვს უნარი არა მარტო დაიცვას წყლული აპკის წარმოქმნით, არამედ გაანადგუროს თვით ჰელიკობაქტერიაც. ამჟამად წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ მოწოდებულ სამ და ოთხკომპონენტიან თერაპიაში „დე-ნოლს“ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. „დე-ნოლით“ მკურნალობა აქტიურად გამოიყენება პედიატრიაშიც. მისი უსაფრთხო გამოყენება ბავშვთა ასაკში განპირობებულია იმით, რომ პრეპარატი არ შეიწოვება სისხლში და მოქმედებს მხოლოდ ადგილობრივად. მისი გამოყენება შესაძლებელია კუჭის ნებისმიერი მჟავიანობის შემთხვევაში (მაღალი, ნორმალური, დაბალი), მაგრამ ოპტიმალურ მოქმედებას ავლენს, როდესაც PH მერყეობს 2.5-3.5-მდე.

პრეპარატს პრაქტიკულად არ გააჩნია უკუჩვენება თირკმლების ქრონიკული უკმარისობის და ორსულობის გარდა. გვერდითი მოვლენებიდან აღსანიშნავია მხოლოდ ფეკალური მასის ფერის ცვლილება (შავ ფერს განაპირობებს ბისმუტის მარილის არსებობა).

„დე-ნოლი“ შექმნილია იაპონური ფარმაცევტული კომპანია Yamanouchi-ის (იამანუჩი) მიერ. მისი წარმოება ხდება ჰოლანდიაში.

პრეპარატი „დე-ნოლი“, ბისმუტის კოლოიდური სუბციტრატი გამოდის 120მგ №112 ტაბლეტის სახით.

„დე-ნოლის“ მაღალმა ხარისხმა, ეფექტურობამ და უსაფრთხოებამ განაპირობა მისი ფართოდ დანერგვა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის და ეროზიების სამკურნალოდ. მას ფართოდ გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში და დადებით შეფასებას აძლევენ საქართველოს წამყვანი გასტროენტეროლოგები: პროფ. ბ. რაჭველიშვილი (თ.ს.ს.უ შინაგან სნეულებათა და დიაგნოსტიკის კათედრა. ქ. მე-4 საავადმყოფო; თევდორე მღდვლის ქუჩა №13, სართული), ა. მაჭავარიანი, ხ. პაჭკორია (სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკა), რესპუბლიკის მთავარი ენდოსკოპისტი ვ. შენგელიძე (ენდოსკოპიის სასწავლო-კვლევითი ცენტრი. ჭავჭავაძის გამზირი №5) და სხვა სპეციალისტები.

პრეპარატის შეძენა ხელსაყრელ ფასში შესაძლებელია სამედიცინო ფირმა „ავერსი“-ს საცალო აფთიაქების ქსელში რესპუბლიკის მასშტაბით.

დამატებითი ინფორმაციისა და კვალიფიციური კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ხსენებულ სპეციალისტებს. R


## დისბაქტერიოზი?
### რა ხდება? ვინ არის დამნაშავე? რა მივიღოთ?

Aventis

# ბაქტისუბტილი

**დისბაქტერიოზის გამოვლინებებია:** როგორც წესი, ხშირი და თხევადი კუჭის მოქმედება, რომელსაც თან სდევს საერთო სისუსტე, ტკივილი მუცლის არეში და გაძლიერებული გაზების წარმოქმნა. ნაწლავში მიკროორგანიზმთა თანაფარდობის ხანგრძლივმა დარღვევამ შეიძლება პროვოცირება გაუწიოს ისეთი ალერგიული დაავადებების განვითარებას, როგორიცაა ბრონქული ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი, რევმატოიდული ართრიტი და სხვ.

**ვინ არის დამნაშავე?** დისბაქტერიოზის ყველაზე ხშირი მიზეზია ანტიბიოტიკების, სულფანილამიდებისა და სხვა სამკურნალო საშუალებათა გამოყენება; შემდეგი ძირითადი მიზეზია - სტრესი. რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში არიან: მფრინავები, მეზღვაურები, ბიზნესმენები, სპორტსმენები, ექიმები, ჟურნალისტები, ასევე ეკოლოგიურად არასასურველ გარემოში მცხოვრებნი და ხანში შესული პირები. დისბაქტერიოზს ასევე იწვევს სხივური და ქიმიოთერაპია, ჰორმონების გამოყენება, იმუნოდეფიციტური მდგომარეობანი, ალერგია, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი დაავადებები (ენტერიტი, კოლიტი, გასტრიტი, სანაღვლე გზების დისკინეზია და სხვ.).

**რა მივიღოთ?** ოპტიმალურად ითვლება ის პრეპარატი, რომელიც:
- ეფექტურია ერთდროულად დიარეისა და დისბაქტერიოზის სამკურნალოდ;
- თვითონ არ იწვევს დისბაქტერიოზს, მოქმედებს სწრაფად და რბილად;
- შეთავსებადია მედიკამენტთან მათ შორის ანტიბიოტიკებთან და ნებისმიერ საკვებთან;
- არ საჭიროებს სპეციალურ წინასწარი მკურნალობის კურსს;
- მოსახერხებელია გამოსაყენებლად, როგორც მოზრდილებისათვის, ასევე ჩვილი ბავშვებისათვის, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობის, თანმხლები დაავადებებისა და ორსულობის.

## ასეთი პრეპარატია – ბაქტისუბტილი

**ბაქტისუბტილი** - არაპათოგენურ მიკროორგანიზმთა ხელოვნურად გამოყვანილი სახეობაა. ბაქტისუბტილის ერთი კაფსულა შეიცავს ერთ მილიარდ ბაქტერიას, რომლებიც ხვდებიან რა ადამიანის ნაწლავში, აძევებენ იქ მყოფ ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე ბაქტერიებს.

**ბაქტისუბტილი** - მოქმედებას იწყებს მიღებიდან უკვე 90 წუთში, აწესრიგებს კუჭის მოქმედებას, ამცირებს მუცლის შებერილობას და მთლიანად გამოიყოფა ორგანიზმიდან ბოლო მიღებიდან 48 საათში. ანტიბიოტიკებთან ბაქტისუბტილის ერთდროული მიღება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ დისბაქტერიოზი.

**ბაქტისუბტილი** - ასრულებს დამცველობით ფუნქციას, ნაწლავში აღადგენს ნორმულ მიკრობულ თანაფარდობას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და ვიტამინების სინთეზს, აძლიერებს იმუნიტეტს, განაპირობებს ნაწლავის ლორწოვანი გარსის შეხორცებას და აღდგენას, არ აქვს შეუთავსებლობები და გვერდითი ეფექტები.

**უნდა მიიღოთ:** ასაკისა და წონისაგან დამოუკიდებლად, დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით: მწვავე დაავადებების დროს - 1 კაფსულა 3-6-ჯერ დღეში; ქრონიკული დაავადების დროს - 1 კაფსულა 2-3-ჯერ დღეში; მძიმე შემთხვევებში დოზა შესაძლებელია გაიზარდოს 10 კაფსულამდე დღეში. ახალშობილებისა და გაძნელებული ყლაპვის მქონე პაციენტებისათვის კაფსულა შესაძლებელია გაიხსნას და შიგთავსი შეერიოს ცივ ან ოდნავ თბილ სითხეს.

**ბაქტისუბტილი უნდა მიიღოთ ჭამამდე 1 საათით ადრე.**
**იკითხეთ აფთიაქებში!**
**რეგისტრირებულია საქართველოში R №0002185**

## რატომ არ თხოვდება ხათუნა გოგორიშვილი?

**— ხათუნა გოგორიშვილი ყველა თავის ინტერვიუში აცხადებს, რომ მას სიმართლე უყვარს. იქნებ ამ კითხვასაც უპასუხოს. რაშია საქმე, რატომ არ თხოვდება ქალბატონი ხათუნა, აქვს თუ არა მას განსაკუთრებული პრეტენზიები თანამედროვე მამაკაცის მიმართ და რა გარემოებები უშლის ხელს ოჯახის შექმნაში?**

***თამილა ნიკოლეიშვილი***



კითხვაზე უპასუხებს **ხათუნა გოგორიშვილი**

— მამაკაცს რაიმე განსაკუთრებული თვისების მიხედვით არ ვაფასებ და არც რაიმე განსაკუთრებული პრეტენზიები მაქვს მათ მიმართ. თუკი განსაკუთრებულ თვისებებში გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობები ითვლება, მაშინ გიპასუხებთ, რომ მხოლოდ ამას ვაქცევ ყურადღებას. საერთოდ ცხოვრებაში პირველ ადგილს სიყვარულს ვუთმობ და გული მწყდება ამ ბოლო დროს მომრავლებული ანგარებიანი ქორწინების შემხედვარეს. რა მიშლის ხელს გათხოვებაში?! ალბათ ასაკი და ასაკთან ერთად ის მოთხოვნები, რომელიც ნებისმიერ ქალს უჩნდება ხოლმე. თუმცა არაფერს ვნანობ და არც იმ მამაკაცებზე მწყდება გული, რომლებიც უარით გავისტუმრე. პერსპექტივა იმისა, რომ მზარეული ან დიასახლისი ვყოფილიყავი, დიდად არ მხიბლავს.

## ქართული სახელმწიფო სიმბოლიკა

**— გთხოვთ მოგვითხროთ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ: დროშის (იდეის ავტორი, შინაარსი, ფერების ზუსტი პროპორციები), გერბის და ჰიმნის (ავტორი) შესახებ.**

***პატივისცემით, ჯონი მიქავა***

კითხვაზე უპასუხებს **ჯაბა სამუშია**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

— სიმბოლიკა სახელმწიფოთა ოფიციალური განმასხვავებელი ნიშანია. დღეისთვის საქართველოში მოქმედებს 1918 წელს მიღებული სახელმწიფო სიმბოლიკა. 1918წ. 10 სექტემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ დროშად გამოცხადდა სამფერიანი ალამი. საქართველოს ეროვნული საბჭოს კანონში აღნიშნული იყო: „დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (ბვინდის ელფერისა), შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალმის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს“. დროშის პროექტი ივ. ჯავახიშვილთან კონსულტაციის შედეგად შეადგინა იაკობ ნიკოლაძემ. დროშის შედგენისას გათვალისწინებული იყო ისტორიული ტრადიციაც და ძველად საქართველოში არსებული დროშის ფერები. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ იაკობ ნიკოლაძეს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამრჯელოდ 3000 მანეთი გადასცა.

1918წ. 20 სექტემბრის კანონით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბად დაკანონდა თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. პროექტი შეადგინა იოსებ შარლემანმა. 1918 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა სახელმწიფო გერბის სრული აღწერილობა.

ამავე პერიოდში ძალაში შევიდა სახელმწიფო სიმბოლიკის კიდევ ერთი სიმბოლო-ჰიმნი. კოტე ფოცხვერაშვილის „დიდებამ“ ჰიმნის სტატუსი მიიღო.

ამ სახელმწიფო სიმბოლიკის გარდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობდა სამხედრო დროშა. ამჟამად საქართველოს პარლამენტში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს დროშის, გერბისა და ჰიმნის ახალი სიმბოლოებით შეცვლას.

## მობრძანდით და თავად იხილეთ...

**— ვცხოვრობ სოფელ ნატანებში. მყავს 5 წლის ბიჭი. მსურს ბავშვის ქალაქში ჩამოყვანა. ოცნებად აქვს ქცეული ზოოპარკის დათვალიერება. ღირს თუ არა ამისთვის ამხელა გზის გამოვლა. ასევე მსურს გავიგო, გვყავს თუ არა ზოოპარკში ქვეწარმავლები და შესაძლებელია თუ არა მათი ნახვა.**

***ნათია დგებუაძე***



კითხვაზე უპასებს **გია ზარქუა**, ზოოპარკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

— მობრძანდით ზოოპარკში და თავად იხილეთ. გვყავს ქვეწარმავლები, ამფიბიები, ეგზოტიკური ცხოველები და ფრინველები — სულ 270-მდე სახეობის დაახლოებით 4 ათასი ეგზემპლარი. მოკლე ხანში ვაპირებთ თეთრი დათვის, შიმპანზეს და სხვა ცხოველების შეძენას, თუმცა ამ თემაზე წინასწარ ვერიდები საუბარს. გვყავს ადამიანის მსგავსი მაიმუნები, ორი სპილო, ბეჰემოთი, მგლები, ვეფხვი, ლომი, მელა და სხვა ცხოველები. სჯობს, თავად იხილოთ ზოოპარკის ბინადარნი. სამწუხაროდ, წელს ცხოველთა შეძენა ვერ შევძელით. მიწისძვრამ საგრძნობლად დაგვაზარალა. მთელი წლის განმავლობაში მოვუნდით მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციას. არადა, გვსურდა სხვადასხვა სახეობის ცხოველების შემოყვანა, ახალი ვოლიერების აშენება... მოგეხსენებათ, ზოოპარკი 1927 წელს აშენდა. შენობა-ნაგებობებმა ვერ გაუძლეს და ზოგიერთი მათგანი დაინგრა კიდეც.

ტერარიუმს (ქვეწარმავალთა „გალიას“) კი რაც შეეხება, იგი გაიხსნა შარშან, სექტემბერში. შენობა ევროპული სტანდარტების მიხედვითაა აშენებული. ასე რომ, თქვენს ნატანებელ მკითხველს თამამად შეუძლია ჩამოიყვანოს თბილისში თავისი შვილი და მოვიდეს ჩვენთან, ზოოპარკში. აქვე იმასაც გაგიმხელთ, რომ ზოოპარკი საახალწლოდ სიურპრიზს უმზადებს დამთვალიერებელს.

## რა ყოფილა «შანტრაპა»...

**— ჩემი ბებია ძველი დროის, გიმნაზიადამთავრებული ქალბატონი გახლდათ. ხშირად მსმენია მისგან ქედმაღლურად ნათქვამი — შანტრაპა, ისეთი ადამიანების მიმართ, ვინც უსარგებლო, არაფრისმაქნისი იყო. გთხოვთ, განმარტოთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა და საიდან დამკვიდრდა იგი მეტყველებაში?**

***ც. ახობაძე***

— სიტყვა შანტრაპა ზეპირ მეტყველებაში გამოიყენებოდა რევოლუციამდელ რუსეთში. იგი მართლაც უსარგებლოსა და არაფრისმაქნისს ნიშნავს. მისი დამკვიდრების ამბავი კი ასეთი გახლავთ: რევოლუციამდელ რუსეთში საეკლესიო გუნდების კაპელმეისტერად ფრანგებს იწვევდნენ ხოლმე. როცა ბავშვს სმენა ან ხმა არ ჰქონდა შესაბამისი, კაპელმეისტერს მისთვის განაჩენი გამოჰქონდა — შანტრე პას! რაც ნიშნავდა — არ იმღერებს (გუნდში). ამ გამოთქმის უჩვეულო ჟღერადობა რუსული ენისთვის ადვილი აღსაქმელი არ იყო და მას დამახინჯებულად იმეორებდნენ — შანტრაპა. შემდეგ და შემდეგ ამ სიტყვამ შინაარსი შეიცვალა და უვარგისი, უზრდელი, უხამსი ადამიანის სინონიმად იქცა.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## მსოფლიოს განაღმვას 110 წელი დასჭირდება

**— ჩემი მეზობელი რამდენიმე წლის წინ რუსების მიერ დატოვებულ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც დაინვალიდდა. საინტერესოა, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშია კიდევ ასეთი განუკითხაობა?**

***ხვიჩა ღლონტი***



კითხვაზე უპასუხებს „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი **ირაკლი ალადაშვილი**:

— თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მხრივ საქართველო არ გახლავთ გამონაკლისი სახელმწიფო. გაეროს მონაცემებით, დღეისთვის მსოფლიოს 64 ქვეყანაში დაახლოებით 110 მილიონი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმია დაფლული. სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წელიწადში დაახლოებით 25 000 ადამიანი ხდება მათი მსხვერპლი. აქედან, რა სამწუხაროც უნდა იყოს ეს ფაქტი, 90 პროცენტი მშვიდობიანი მოსახლეობაა, უმეტესად, ბავშვები და მოზარდები. გამნაღმველის „პროფესია“ არანაკლებ სახიფათოა. იმავე სტატისტიკით, ათასი განაღმული ნაღმი, როგორც წესი, ერთი გამნაღმველის სიცოცხლეს იწირავს.

პარადოქსია, მაგრამ თუ წელიწადში საშუალოდ 100 ათასი ნაღმის გაუვნებელყოფა ხერხდება, დროის იმავე მონაკვეთში მონტაჟდება 2 მილიონამდე ახალი ნაღმი.

ამჟამად გამნაღმველები ნაღმის ძიებისას იყენებენ მეტალოდეტექტორს. ეს მეთოდი საკმაოდ შრომატევადი და მოძველებულია. ამ საძიებელი ხელსაწყოს გამოყენებით მსოფლიოში უკვე დამონტაჟებული ნაღმების გაუვნებელსაყოფად დაახლოებით 110 წელია საჭირო. ამ პრობლემის გადაჭრისთვის ევროკავშირმა გადაწყვიტა გამოეყო 14 მილიონი ევრო, ახალი და ეფექტური გამნამღველი ტექნოლოგიის გამოგონებისთვის.

## ვისია, ვისია... ფოლკლენდები?

**— „კვირის პალიტრას“ ვთხოვთ გვიპასუხოს: შოუში „ხალხის პირისპირ“ იყო შემდეგი შინაარსის კითხვა — ვის ეკუთვნის ფოლკლენდის კუნძულები: პასუხი გახლდათ დიდი ბრიტანეთი. თუ შეგიძლიათ მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდიდან გახდა ეს კუნძულები ინგლისის საკუთრება, როდესაც ვიცით, რომ ეს ტერიტორია სადავოა ბრიტანეთსა და არგენტინას შორის.**

***გრიგოლ თაბაგარი***

— ფოლკლენდის ანუ მალვინის კუნძულები მდებარეობს ატლანტის ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით. ამჟამად კუნძულები ეკუთვნის დიდ ბრიტანეთს. კუნძულები აღმოაჩინეს ევროპელებმა მე-16 საუკუნეში. 1764 წლიდან დაიწყო ტერიტორიის კოლონიზაცია.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებიდან კუნძულები გადავიდა არგენტინის კონტროლის ქვეშ, ხოლო მოგვიანებით, 1833 წელს იგი დაიპყრეს ბრიტანელებმა. რა თქმა უნდა, არგენტინა ვერ შეეგუა ამ ფაქტს. არ ცნობდა ბრიტანულ კონტროლსა და სუვერენულ უფლებას კუნძულების მფლობელობაზე და მიიჩნევდა მათ არგენტინის საკუთრებად. 1982 წელს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად (არგენტინასა და ინგლისს შორის) ინგლისმა აღადგინა სამართლებრივი სტატუსი კუნძულებზე. ერთადერთი ქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრი კუნძულებისა არის ქალაქი პორტ-სტენლი (ყოფილი პუერტო-არგენტინო). შესაძლოა, არგენტინას კვლავაც პრეტენზია ჰქონდეს კუნძულების მფლობელობაზე, მაგრამ ამჟამად ტერიტორია ოფიციალურად ეკუთვნის ინგლისის სახელმწიფოს.

## კურიოზები ჰოლივუდში

**— მეგობრები დამცინიან, მაგრამ მე მაინც დაჟინებით ვაცხადებ, რომ ფილმ „გლადიატორის“ ერთ-ერთ ეპიზოდში შევნიშნე, რომ მაქსიმუსის მკერდზე კინოკამერა აირეკლა(!). სურათი რამდენჯერმე მაქვს ნანახი ამ ეპიზოდის გამო. გთხოვთ ამიხსნათ, ეს ასეა თუ მოჩვენებები დამეწყო?**

***ზაზა გიორგაძე***



— დამშვიდდით, თქვენ სრულიად ჯანმრთელი, თანაც ყურადღებიანი და დაკვირვებული მაყურებელი ბრძანდებით. ფილმი „გლადიატორი“ კურიოზების რეკორდული რაოდენობით გამოირჩევა. უბრალოდ, თქვენი მეგობრები ნაკლები ყურადღებით უცქერდნენ ფილმს. მართლაც გლადიატორთა ერთ-ერთი ორთაბრძოლის ეპიზოდში მაქსიმუსის მკერდზე კინოკამერა აირეკლება, გარდა ამისა, ეპიზოდში, როდესაც მაქსიმუსი შინ ბრუნდება, მარცვლეულის ყანასთან, გზაზე ჩანს ტრაქტორის ნაკვალევი. ასევე კურიოზულია სცენა, როცა მაქსიმუსი თავის ცხენს ვაშლით ანაყრებს — ეკრანის მარცხენა მხარეს შეიმჩნევა გადამღები ჯგუფის წევრი, რომელსაც ლურჯი ჯინსი აცვია. ჩანს, რომ ის კადრიდან გასვლას ცდილობს, მაგრამ ეს საქმე არც ისე კარგად გამოსდის. თუ ფილმს ყურადღებით ნახავთ, შეამჩნევთ, რომ ეპიზოდში, რომელშიც ორი არმიის ორთაბრძოლა იწყება, პირდაპირ ეკრანის ცენტრში ორი „რომაელი ლეგიონერი“ გულიანად იცინის, თანაც არანაირ მონაწილეობას არ იღებენ სცენაში. აქედან დასკვნა, რომ მასობრივი სცენები ჰოლივუდშიც უმართავია და ამერიკული კინოფილმები არც ისეთი უნაკლოა, რომ არაფერი ვთქვათ ჰოლივუდისთვის ჩვეულ ისტორიულ შეუსაბამობებზე.

## სიურპრიზი «კვირის პალიტრის» პატარა მკითხველებს

**— ჩემი მშობლები ყოველთვის კითხულობენ თქვენს გაზეთს. მე 8 წლის ვარ და მეც ვკითხულობ საბავშვო გვერდს. მინდა შევიძინო ზღაპრის სახლის ყველა წიგნი, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ჩემი მშობლები ვერ ასწრებენ მათ ყიდვას. როგორ უნდა მოვახერხო სრული კომპლექტის შეძენა?**

***ნინო ჯაბუა***

კითხვაზე უპასუხებს **ალეკო ჯაფარიძე,** „კვირის პალიტრის“ პრესის გავრცელების განყოფილების თანამშრომელი:



— ახალ გამოსული ზღაპრების შეძენა შესაძლებელია პრესის გავრცელების ადგილებში, მათ შორის „კვირის პალიტრის“ ჯიხურებში. თუ თქვენ გსურთ უკვე გამოსული საბავშვო წიგნების შეძენა, მიმართეთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ ჯიხურს, რომელსაც სახურავზე „კვირის პალიტრის“ რეკლამა აქვს. შეუკვეთეთ ზღაპრის სახლის კომპლექტი და დათქმულ დროს მიაკითხეთ მას. ამის გარდა, ძალიან მალე, პატარა მკითხველს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდება — ყოველ ზღაპარში პატარა საჩუქარი იქნება.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

CMYK

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**— ვარ 69 წლის კაცი. დიდი ხანია მაწუხებს ყრუ ტკივილები ზურგსა (ბეჭებთან) და წელის არეში, ზოგჯერ — ნეკნებისა და გულმკერდის არეშიც. სიცხე არ მაქვს. არ მახველებს, სისხლის და შარდის ანალიზიც კარგია. ბევრჯერ გავეშუქე რენტგენზე და მითხრეს — ფილტვებში არაფერიაო. გთხოვთ მიპასუხოთ, რა ჰქვია ამ დაავადებას, რა იწვევს და როგორ ვუმკურნალო?**

*გივი კლდიაშვილი, თერჯოლის რ-ნ, ქვ. სიმონეთი*

— თქვენი ნაამბობი ხერხემლის გულმკერდის მალების ოსტეოქონდროზის ტიპურ სურათს მოგვაგონებს. ნერვული ბოჭკოები, რომლებიც გულმკერდის მალებს შორის გამოდის, აინერვირებს ზურგისა და გულმკერდის კუნთებს. ოსტეოქონდროზის დროს კი, ადგილი აქვს მათ მიჭყლეტას და შედეგად, შესაბამისი კუნთების ტკივილი ვითარდება.

სამკურნალოდ უნდა მიმართოთ არა პულმონოლოგს (ფილტვების სპეციალისტს), არამედ ნევროპათოლოგს, რომელიც საჭირო მედიკამენტებს და პროცედურებს დაგინიშნავთ.

**— ვეწეოდი სიგარეტს დაახლოებით 15 წლის მანძილზე. ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, ერთ დღეში დავანებე თავი. მაინტერესებს, ჩემი ფილტვები და ორგანიზმი საბოლოოდ როდის გაიწმინდება ნიკოტინისგან. უკვე 7 თვეა, აღარ ვეწევი.**

*პატივისცემით, გ.ლ.*

ნიკოტინი რომ შხამია, ეს უკვე ბავშვმაც იცის. მაგრამ, რატომღაც არ გვსურს ამის გახსენება, ვიდრე ჩვენი ჯანმრთელობა საფუძვლიანად არ შეირყევა. ნიკოტინის ზემოქმედებით მარტო სასუნთქი ორგანოები როდი ბინძურდება: მწეველი ადამიანის ორგანიზმში ყველა ორგანოთა სისტემის, თითოეული ნერვული სინაპსის გადაწყობა ხდება ამ შხამის შესაბამის რეჟიმზე. ასე რომ, როდესაც ადამიანი გონს მოეგება და უარს იტყვის სიგარეტზე, მის ორგანიზმს საკმაო ხანი სჭირდება ისევ ჩვეულ რიტმზე „გადმოსაწყობად“. თუმცა, ორგანიზმის სწრაფ განწმენდას უთუოდ შეუწყობს ხელს სპეციალური ვარჯიშები: გამწმენდი სუნთქვა, იოგას ვარჯიშები, ჯანსაღი ცხოვრების წესის რეგულარული დაცვა.

რაც შეეხება მის ზუსტ განსაზღვრას, თუ რამდენ ხანში გაიწმინდება ორგანიზმი, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენს ეწეოდით, როგორი ხარისხის სიგარეტს აძლევდით უპირატესობას, რამდენად დააზიანა მან თქვენი ორგანიზმი და ა.შ. ასე რომ, მოიკრიბეთ ნებისყოფა და ნუღარ მიუბრუნდებით მავნე ჩვევას. დადებით შედეგს კი უსათუოდ იგრძნობთ.

**— ჩემი მეგობრის შვილი, რომელიც ახლა 20 წლისაა, დიდი რაოდენობით იღებს ვიტამინებს. ამჟამად სვამს C ვიტამინს, A ვიტამინს, რაღაც ამერიკულ ნაერთებს. როგორც კი გაიგებს, რომ ამა და ამ საკვებ პროდუქტში ან კვებით დანამატში არის რომელიმე ვიტამინის დიდი რაოდენობა, იწყებს მათ მიღებას. ვეცადე ამეხსნა, რომ ვიტამინების უკონტროლო მიღება მავნებელია ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით ამიხსნათ, საფუძვლიანია თუ არა ჩემი შეშფოთება?**

*პატივისცემით, ვალერი ტაკმადაშვილი*

ვიტამინების ნაკლებობაც ვნებს ორგანიზმს და სიჭარბეც. ამა თუ იმ ვიტამინის სიჭარბე შეიძლება სხვადასხვა პათოლოგიის მიზეზი გახდეს. ამიტომ, ვიტამინური პრეპარატების მიღებისას აუცილებელია დოზების და წამლის მიღების შესაბამისი მითითებების დაცვა.

საგულისხმოა ისიც, რომ ქიმიური გზით მიღებული პრეპარატების მიმართ უნდა გამოიჩინოთ მეტი სიფრთხილე, ხოლო ბუნებრივ (ხილსა და ბოსტნეულში შემავალი) ვიტამინს ასეთი მკაცრი კონტროლი არ სჭირდება, რადგან მისი მოქმედება შედარებით ნაზია.

ასე რომ, თუ გსურთ ორგანიზმს არ მოაკლდეს ვიტამინები, მიირთვით ბევრი ხილი და ბოსტნეული, ხოლო ვიტამინური პრეპარატები მხოლოდ პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში მიიღეთ.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

## მუმიო ბრუნდება...

ყველასათვის ცნობილია, რომ მუმიო შეიცავს ბევრ ორგანულ ნაერთს და სხვადასხვა ელემენტს: კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, რკინას, კალიუმს და სხვა. ეს საუკეთესო ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებაა, რომელსაც არავითარი უკუჩვენება არ აქვს (გარდა ონკოლოგიური დაავადებებისა), კეთილსასურველად მოქმედებს ორგანიზმის ყველა ფუნქციაზე. წყალში, წვენში ან რძეში გახსნილი 1,5 გ მუმიოს რეგულარულად, დღეში 1-2-ჯერ მიღება აჩქარებს ქსოვილების აღდგენას, ასტიმულირებს ნერვულ და სისხლძარღვთა სისტემას, აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ნივთიერებათა ცვლას, ძილს და ხსნის დაღლილობას. მუმიო ძალიან ეფექტური საშუალებაა ბევრი დაავადების მკურნალობისას:

**შუა ყურის ანთების, ჩირქოვანი ოტიტის დროს:** შეურიეთ მუმიო ქაფურის ზეთს (ბორის სპირტს ან ფურაცილინს) შემდეგი პროპორციით: 1:19 და ჩაიწვეთეთ 2-3 წვეთი 2-ჯერ დღეში დილას და საღამოს. ამავე დროს დილაობით სვით თაფლდამატებულ რძეში გახსნილი (0,2 გ : 1/2 ჩ/ჭ რძეში) მუმიო.

**კუჭის წყლულის, საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და საშარდე ბუშტის დაავადებისას** სასურველია 25-28 დღის განმავლობაში დღეში 2-ჯერ, დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ მიიღოთ მუმიო. შემდეგ შეისვენეთ 10 დღე და გაიმეორეთ კურსი. ერთ მიღებაზე მუმიოს წონა დამოკიდებულია სხეულის წონაზე. თუ თქვენ იწონით 70 კგ-ს, უნდა მიიღოთ 0,2 მუმიო, 80 კგ-მდე — 0,3გ, 90კგ-მდე — 0,4გ, 90კგ-ზე ზევით — 0,5გ. უმჯობესია მუმიო გახსნათ 1,4 ჩ/ჭ რძეში. თაფლი დაამატეთ გემოვნებით.

**დაჭიმულობის, დაჟეჟილობის (ნატკენზე), ართრიტის, ჩირქოვანი ჭრილობების, დამწვრობის დროს:** 20 დღის განმავლობაში დაიზილეთ (ან წაისვით) მტკივნეული ადგილები სპირტში გახსნილი მუმიოთი (1გ:100გ არაყი). კურსი გაიმეორეთ 10 დღის შესვენების შემდეგ.

**თირკმლებში ქვებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებისას:** 0,2 გ მუმიო გახსენით 1 ჩ/ჭ წყალში (ერთ მიღებაზე) და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. სასურველია ხსნარს დაამატოთ 50-100გ ახალი ჭარხლის წვენი ან დააყოლოთ.

მკურნალობის კურსია 10 დღე. 5 დღის შესვენების შემდეგ შეგიძლიათ გაიმეოროთ. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა ჩაიტაროთ 4 კურსი.

**შაკიკისა და თავის ტკივილის დროს:** 25 დღის განმავლობაში, დილას და საღამოს მიიღეთ რძეში ან ფორთოხლის წვენში გახსნილი მუმიო (0,2-0,3გ : 1/2 ჩ/ჭ). 10 დღის შესვენების შემდეგ მკურნალობის კურსი გაიმეორეთ.

**კლიმაქტერიულ პერიოდში ცუდი გუნება-განწყობილების დროს:** 10 დღის განმავლობაში მიიღეთ რძეში გახსნილი 0,2 გ მუმიო, ყოველდღე, ჭამამდე 30 წუთით ადრე. ჩაიტარეთ 3-4 კურსი 10-დღიანი შესვენებებით. 3 თვის შემდეგ გაიმეორეთ მკურნალობის კურსი.

**არ დაგავიწყდეთ!** მუმიოთი მკურნალობის დროს აკრძალულია სხვა სამკურნალო პრეპარატებისა და ალკოჰოლის მიღება, ლუდიც კი. მუმიო შეინახეთ პოლიეთილენის პარკში ან კარადაში. ხსნარი მოამზადეთ აუცილებლად ყოველი მიღების წინ.

## როგორ მოვიშოროთ კოჟრები



**მჭიდრო, მოუხერხებელი ფეხსაცმელი ხშირად ხდება ფეხებზე კოჟრების მიზეზი.**

**ა, რამდენიმე რჩევა, თუ როგორ მოვიშოროთ ისინი.**

— დანაყეთ კალენდულას (გულყვითელას) ყვავილი, დაასხით ცოტა ცხელი წყალი. გათქვიფეთ. ფაფა წაუსვით ბამბის პატარა ქსოვილზე და დაიდეთ კოჟრზე. შეიხვიეთ ფეხი შალის ქსოვილით და გაიჩერეთ რამდენიმე საათი.

ეს პროცედურაც სჯობს ღამით ჩაიტაროთ.

— პურის გული დასრისეთ და დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ძმრის ესენცია, დაიდეთ კოჟრზე და შეიხვიეთ. უმჯობესია ეს პროცედურა, ჩაიტაროთ ღამით.

*ეხო პლანეტი №41*

## უამინდობის უსიამოვნებანი...



ამინდის ცვლილებას თან სდევს გაცივება, გრიპი, სურდო, ხველება, ცემინება და ა.შ. ეს რომ არ დაგვემართოს, ექიმები გვირჩევენ: პირველ რიგში გავიკაჟოთ ორგანიზმი და C ვიტამინის გაზრდილი დოზის მიღებით გავიძლიეროთ იმუნიტეტი. სასურველია, ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი მივიღოთ ნატურალური ვიტამინებით მდიდარი ლიმონი, გრეიპფრუტი, მოცვი, ასკილი, მოცხარი (შეიძლება ახალიც და გამხმარიც).

— რაც შეიძლება მეტი სინათლე შემოუშვით ოთახში, 60 ვტ-იანი ნათურაც კი შეცვალეთ 100-იანით. სინათლე, თუნდაც ელექტრონული, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს და აძლიერებს მის დამცველ ფუნქციებს.

— გაიკეთეთ სოჭის ან ჩაის ხის ზეთის აბაზანა (5 წვეთი აბაზანაზე) და დღეში 1-2-საათიანი არომათერაპია და თუ სამსახურში ან ოჯახში უკვე აცემინებენ, წაიცხეთ იგივე ზეთი ცხვირის ნესტოებზე.

— შეეცადეთ ჩაიცვათ სეზონის მიხედვით, ზაფხული ხომ დიდი ხანია დაგვემშვიდობა, დროა ჩაიცვათ უფრო თბილად (სხვათა შორის, არც თავი და ხელები დაგავიწყდეთ).

— ყელი ხშირად რომ არ აგტკივდეთ:

დილით დადექით ოთხზე, მაღლა ასწიეთ თავი, გამოყავით ენა, გაყუჩდით 5 წამით, შემდეგ დამალეთ ენა, თავი დაღუნეთ, ჩაისუნთქეთ ღრმად და ამოისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 5-ჯერ.

— ხშირად დაიბანეთ ხელები, ვირუსი გადადის არა მარტო ჰაერით, არამედ კარის სახელურითაც...

— ჩაწექით გვირილის სამკურნალო აბაზანაში. მასში შემავალი ეთეროვანი ზეთები და ფიტონციდები სწრაფად მოგიხსნით ზედა სასუნთქი გზების ანთებას.

— გააცხელეთ ტაფაზე მარილი, ჩაყარეთ ტილოს პარკში და დაიდეთ ტერფებზე და გაიჩერეთ მანამდე, სანამ მთელ სხეულში სითბოს არ იგრძნობთ;

— შალის წინდებში კარგად ასრისეთ მარილი და ჩაიცვით;

— შეურიეთ ცხელი მარილი მდოგვს (1კგ მარილი და 3-4 ს/კ მდოგვი), ჩაყარეთ ცხელ წყალში, ჩაიცვით თხელი წინდები და ჩააწყვეთ ფეხები.

გარდა ამისა, გთავაზობთ ხალხურ საშუალებებსაც:

— თუ სიცხე გაქვთ, დაიზილეთ მკერდი კარაქში ან ღორის ქონში გალესილი ნივრით.

— მაღალი სიცხის დროს დაიდეთ მჟავე კიტრი შუბლზე, კეფასა და ფეხისგულებზე.

— მიიღეთ განუსაზღვრელი რაოდენობით ცაცხვის ყვავილის ჩაი.

— სვით ჩვეულებრივი ჩაი, რომელსაც უნდა დაამატოთ არაყი (1-2 ჩ/კ:1ჩ/ჭ).

— ტანზე წაისვით თაფლისა და მარილის (1:1) ნარევი და ჩაწექით ცხელ წყალში;

— ყოველდღე დალიეთ 2 ჩ/ჭ ახალგამოწურული თაფლგარეული სტაფილოს წვენი.

*ლიზა-ჰოროსკოპი №12*


**მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 899-26-51-08



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ელექტრობიტის“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიიღება 10-19 სთ-მდე


## ნუ შეიმჩნევთ დაჭიმულობას ფეხის კუნთებში (სათაური: „ნუნთეჭვი დაჭიმულობაში შველით“)

თუ ფეხის კუნთები დაგეჭიმათ, სწრაფად რომ გაიაროთ, გაათბეთ ერთი ბოთლი ვაშლის ძმარი ემალის ქვაბში, თბილშივე გახსენით 2 ჩ/კ მარილი და დაამატეთ 4 წვეთი იოდი. ნარევი გააცივეთ და ჩაასხით მინის ქილაში. დაასველეთ ბამბის ქსოვილი და დაიფინეთ ნატკენ ადგილზე. შემოიხვიეთ ჯერ პოლიეთილენი, შემდეგ პირსახოცი.

*ოტდოხნი! №47*

## ლინზები კარგია, მაგრამ მაინც სიფრთხილეა საჭირო



დღეს — ცისფერი, ხვალ კი — მწვანე: თვალების „გადაღებვა“ ახლა თმის შეღებვაზე იოლი გახდა. ამერიკაში მოდად შემოსული კონტაქტური ლინზები ევროპაშიც პოპულარული გახდა. იერის შეცვლა, განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდებს შორის და სულ 15-20 ევრო ჯდება. როგორი აზრი აქვთ ამაზე ექიმებს? არსებითად ამ სიახლეში ცუდს ვერაფერს ხედავენ, მაგრამ გვაფრთხილებენ, რომ დიდია თვალის ინფექციების (განსაკუთრებით მაშინ, როცა მეგობრები ლინზებს ერთმანეთს უცვლიან), გაღიზიანებისა და დაზიანების ალბათობა. ყოველივე ამისგან თავი რომ დავიზღვიოთ, არ უნდა ვიხმაროთ ნაკლებად ცნობილი მწარმოებლების ლინზები, დავიცვათ ინსტრუქცია და, რა თქმა უნდა, არ დავივიწყოთ ჰიგიენა. მერე კი, თუნდაც გაწითლებული თვალებით (დაავადებული კი არა, ლინზებით „შეფერადებული“) სტუმრად წაბრძანდით, ყველაფერი კარგად იქნება.

*ეხო პლანეტი №44*


**დნმ დიაგნოსტიკის ლაბორატორია გთავაზობთ:**

სადავო მამობის დადგენას, მემკვიდრული დაავადებების, ფილტვების დაავადებების, ჰეპატიტების B და C, ინფექციური მონონუკლეოზის, პაპილომა ვირუსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (ქლამიდია, ჰერპესი, ციტომეგალოვირუსი, ტოქსოპლაზმა, გონორეა და ა.შ.) დიაგნოსტიკას გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი დნმ (ДНК) დიაგნოსტიკის ულტრათანამედროვე – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით.

**ზუსტი დიაგნოზის 100%-იანი გარანტია**

მის: ჩიქოვანის ქ. 14 (ყოფ. ხილიანის) ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტ: 36-37-95; 899-55-61-97



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

ერაყი

## საშობაო საჩუქარი

### ბუში ამ ზამთარს უპირებს სადამს დამხობას

ბრიტანული ყოველკვირეული News of the Worlds-ის ცნობით, ერაყმა 8 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში მასობრივი განადგურების იარაღის თაობაზე. ამერიკა მეორე დღესვე დაადანაშაულებს სადამ ჰუსეინს სიცრუეში და ერთი კვირის თავზე ერაყს შეუტევს.

გაზეთის ცნობით, ანტიერაყული ოპერაცია თებერვალში უნდა დამთავრდეს. დეკემბერ-იანვარი საუკეთესო დროა ახლო აღმოსავლეთში საომრად. ამერიკელებს დასავლელი მოკავშირეების გარდა, ერაყის „ამბოხებული ჯარიც“ დაუჭერს მხარს. 5 ათასზე მეტ ქურთს და არაბ-ოპოზიციონერს რამდენიმე თვეა წვრთნიან მეზობელი ქუვეითის სამხედრო ბანაკებში.

ომზე ლაპარაკი შესაძლოა ნაადრევიც იყოს, ეგებ სადამ ჰუსეინი დათანხმდეს კიდეც მასობრივი განადგურების იარაღის თავიდან მოშორებაზე. ამჟამად ერაყში 300 დამკვირვებელი მუშაობს, მათ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული 700 ობიექტი უნდა შეამოწმონ. თავად ერაყელებს არც კი დაუშვებენ შესამოწმებელ ობიექტებზე.

ლიბანი

## არის კი ლიბანი დამოუკიდებელი?

გასულ კვირას ლიბანმა დამოუკიდებლობის დღე იზეიმა, თუმცა ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახლანდელი ლიბანის ტერიტორია, რომელიც მანამდე ოსმანთა იმპერიის ნაწილი იყო, საფრანგეთის გამგებლობაში გადავიდა. 1926 წელს საფრანგეთმა ლიბანს კონსტიტუცია უბოძა, რომლის თანახმად, ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებს ისევ საფრანგეთი წყვეტდა. 1943 წლიდან ლიბანი თითქოს დამოუკიდებელი გახდა, თუმცა 1946 წლამდე ისევ საფრანგეთს უხდებოდა ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. როცა ფრანგებმა დატოვეს ქვეყანა, მათი ადგილი მყისვე სირიელებმა დაიჭირეს. თუმცა ლიბანის კონსტიტუციაში არანაირი ცვლილება არ შეუტანიათ. ლიბანელებს ძალიან სწყინთ, როცა უცხოელებისგან ისმენენ, რომ მათი ქვეყანა დიდი ხანია სირიის კოლონიად იქცა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. სირიის ჯარი აგრძელებს ლიბანის ნაწილის ოკუპაციას, თუმცა თავად ლიბანელებს, რომლებიც აღშფოთებულნი არიან ისრაელელთა ოკუპაციით, სირიელთა მიმართ არანაირი პრეტენზია არა აქვთ. ითვლება, რომ მოძმე სირიელი ხალხი ლიბანელებს ისრაელელებისგან იცავს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რაკი საკუთარი ინიციატივა არ გააჩნია, ლიბანი სიამოვნებით ემორჩილება სირიას.

*ვლასტი №46*

## მოკლედ

**ეკვადორის** ახალი პრეზიდენტი გახდა გადამდგარი პოლკოვნიკი ლუსიო გუტიერესი. შარშან მისი მეთაურობით სამხედროებმა და ინდიელებმა დაამხეს ქვეყნის პრეზიდენტი ჯამილ მაუადა. ამბოხის ჩახშობის შემდეგ ქვეყანას ვიცე-პრეზიდენტი ედგა სათავეში.

**დიდი ბრიტანეთის** მცხოვრებლებმა თავიანთ ყველაზე ღირსეულ თანამემამულედ დაასახელეს უინსტონ ჩერჩილი.

**პალესტინის** ავტონომიის თავკაცმა იასირ არაფატმა ბეთლემში შობის დღესასწაულის აკრძალვის ბრძანება გასცა: მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ქალაქში ისრაელის ჯარის შეყვანის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მიიღო.

**აშშ**-ის პრეზიდენტმა ეროვნული დღესასწაული — მადლიერების დღე თავის რანჩოზე, ოჯახურ წრეში აღნიშნა.

**ევროკომისიის** თავმჯდომარემ ლი დე პალასიომ განაცხადა, რომ ევროკავშირის ქვეყნების გზებზე ყოველწლიურად ავარიის შედეგად 40 ათასამდე ადამიანი იღუპება. ავარიების უმეტესობა მთვრალი მძღოლების მიზეზით ხდება.

**ევროსასამართლოს** დადგენილებით, საბერძნეთმა ექსმონარქს, კონსტანტინესა და მის ნათესავებს 12 მლნ ევრო უნდა გადაუხადოს ქონების კონფისკაციის სანაცვლოდ. მეფე კონსტანტინე 1967 წელს „შავი პოლკოვნიკების“ ამბოხის დროს გააძევეს ქვეყნიდან.

**მავრიტანიის** პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანაში აღმოაჩინეს ნავთობისა და გაზის დიდი საბადოები.

**პარიზის** სიმბოლომ — ეიფელის კოშკმა თავისი ორასმემილიონე მნახველი მიიღო. კოშკი 1889 წელს ააგეს.

**ჩრდილო იტალიაში** ასობით ადამიანი ევაკუირებული იქნა კოკისპირული წვიმების გამო. ვენეციაში წყალმა ზღვის დონიდან 85 სანტიმეტრზე აიწია, რაც ქალაქს დიდი წყალდიდობით ემუქრება.

საკურორტო ქალაქ **მაიამიში** დადგეს ყველაზე მაღალი საშობაო ნაძვის ხე, მისი სიმაღლე 33,5 მეტრია.

# კომუნისტური კაპიტალიზმი

*ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის მამამ — განსვენებულმა დენ სიაოპინმა ერთხელ ღიმილით თქვა: „ყველა ქვეყანა უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ ჩინეთში კომუნისტები დარჩნენ ხელისუფლების სათავეში სულ ცოტა ათასი წელი მაინც. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირივით დაიშლება. დაიწყება ომები, ქაოსი, შიმშილი, ლტოლვილები მსოფლიოს მოედებიან. მონღოლეთში 5 მლნ ჩინელი მაინც წავა, იაპონიაში — 10, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 150 მლნ ადამიანი და ა.შ. ამის მერე კიდევ გინდათ, რომ ჩინეთის კომპარტიამ ძალაუფლება დაკარგოს?..“*




1917 წელს რუსეთის მრეწველთა და ვაჭართა კავშირის თავმჯდომარემ რიაბუშინსკიმ დუმაში მემარცხენე დეპუტატებს მიმართა, — ბატონო სოციალისტებო, ნუ დაანგრევთ სახლს, რომელშიც ვცხოვრობთ, გვერდით ახალი შენობა ააგეთ, ძველს კი უამინდობის ჟამს თავს შევაფარებთ ხოლმეო.

ჩინეთში სწორედ ასე მოიქცნენ, ძველი სახლი არ დაუნგრევიათ, ახალი ეკონომიკური ზონები მიუშენეს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ჩინეთი, უცხოური ინვესტიციების მიზიდვის თვალსაზრისით, პირველ ადგილზეა — 1,5 მლრდ მცხოვრებიდან თითოეულ ჩინელზე 135 დოლარი მოდის.

ევროპაში ვერ ნახავთ ფართო მოხმარების ჩინურ ცუდ საქონელს. ჩინური საქონლით ვაჭრობენ პარიზის, ლონდონის, ნიუ-იორკის საუკეთესო მაღაზიები. ყოველ ჩინურ ფირმას, რომელიც დასავლეთის ბაზრისთვის მუშაობს, უცხოელი ხელმძღვანელობს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ხდება, სადაც განსაკუთრებული კანონმდებლობა მოქმედებს და ყოველ ზონას შეუძლია საკუთარი კანონები მიიღოს. ჩინეთში 20 ასეთი ზონაა. ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ამჟამად მსოფლიოში არსებობს — ელექტრონიკა, მაღალი ტექნოლოგიები, კოსმოსური მრეწველობა — ჩინურია და ამ ზონებშია დამზადებული. ჩინეთი საზღვარგარეთ ყოველწლიურად 46 მლრდ დოლარის მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას ყიდის.

მთავრობამ მიწა ხალხს მისცა, ასე რომ, შრომისმოყვარე ჩინელ გლეხს საჭმელ-სასმელი არ აკლია. დღეს ჩინეთის წინაშე დგას არა მოსახლეობის დაპურებისა და ჩაცმა-დახურვის საკითხი, არამედ რეგიონთა განვითარებაში დისპროპორციის აღმოფხვრა.

*არგუმენტი ი ფაქტი №48*

## კვირის ფრაზა

„საწყალი ლუდმილა პუტინა! თუ მისი ქმარი საქვეყნოდ ილანძღება, იოლი წარმოსადგენია, შინ როგორ იქცევა. მტრისას, ცოლს სამზარეულოში ბლინები თუ დაეწვა — ალბათ მამაპაპურად შეუკურთხებს — შე ბოზანდარა, ეს რა ჰქენიო“...

*გლობ ენდ მეილი, კანადა*

*(როგორც ჩანს, კანადის გაზეთს რუსეთის პირველი ქალბატონი მას შემდეგ შეებრალა, რაც რუსეთის მეთაურმა ჩეჩნეთის პრობლემით დაინტერესებულ უცხოელ ჟურნალისტს წინადაცვეთა შესთავაზა ხალხმრავალ შეკრებაზე. — რედ.)*

# „ალ-ქაიდა“ ცოცხალია და სიკვდილი მოაქვს

ჯორჯ ბუში დილის 8 საათზე აბაზანას იღებდა, როდესაც ეროვნული უშიშროების დარგის მრჩეველმა კონდოლიზა რაისმა დაურეკა. ბუში მოუთმენლად ელოდა ამ ზარს. საქმე არაბული ტელევიზიის „ალ-ჯაზირას“ იმ ჩანაწერის გაშიფვრას ეხებოდა, რომელიც თითქოსდა ბინ ლადენს ეკუთვნოდა. №1 ტერორისტი ამ აუდიოჩანაწერით ამერიკას აფრთხილებდა — „სისხლი სისხლისა წილ — დაგვბომბავთ — დაგბომბავთ!“. რაისმა ბუშს უთხრა, — სპეცსამსახურებმა 80%-ის სიზუსტით დაადგინეს, რომ ხმა სწორედ ბინ ლადენს ეკუთვნისო. მცირე პაუზის შემდეგ პრეზიდენტმა ერთადერთი სიტყვა თქვა — „კარგი“ და ყურმილი დაკიდა. როგორც ჩანს, ლადენი და მისი „ალ-ქაიდა“ იატაკქვეშეთში გადავიდა, ტაქტიკა შეიცვალა და ახალი ბრძოლისთვის ემზადება. თუმცა თავისი „მთავარი საქმიანობა“ — ტერაქტები — არ შეუწყვეტია. საინტერესოა, რომ ამერიკელთა მიერ შეპყრობილი „ალ-ქაიდას“ წევრებისგან დღემდე ხელმოსაკიდი ინფორმაციის მიღება ვერ ხერხდება. ირკვევა, რომ საწვრთნელ ბანაკებში მათ სპეციალური გაკვეთილები უტარდებათ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ დაკითხვებზე. მართლაც, ტერორისტები დაკითხვებზე ღირებულ ინფორმაციას არ იძლევიან და მათი მონაყოლის ყველა კვალი დაღუპულებთან მიდის. სასურველი შედეგი ვერც ბინ ლადენის განადგურების მცდელობას მოჰყვა. ამერიკელები მას ავღანეთსა თუ პაკისტანში, ტუნისსა თუ საუდის არაბეთში ამაოდ ეძებენ. შეერთებულნი შტატების სპეცსამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ ბინ ლადენი პაკისტან-ავღანეთის საზღვრის ახლომახლო უნდა იყოს. ამერიკელების ვარაუდით, ლადენი ავად არის და მის ძველ ვიდეოჩანაწერებს იმიტომ გადასცემს არაბეთის ტელევიზია „ალ-ჯაზირა“, რომ მსოფლიოში გაბნეულ „ალ-ქაიდას“ წევრები დაარწმუნოს — ის საღ-სალამათია.

ამერიკელები მის ძებნას განაგრძობენ — თეთრ სახლში ხომ მშვიდად ვერ იქნებიან, ვიდრე №1 ტერორისტს არ გაანადგურებენ.

*ნიუზუიქი*

# ნიგერიელები სილამაზის კონკურსის წინააღმდეგნი არიან



7 დეკემბერს ნიგერიის დედაქალაქ აბუჯაში უნდა გამართულიყო სილამაზის კონკურსი „მის მსოფლიო 2002“. შეიძლება ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულიყო, ადგილობრივ გაზეთში ჟურნალისტს უკბილოდ რომ არ ეხუმრა — კონკურსზე იმდენი ლამაზმანი ჩამოვა, რომ მოციქული მუჰამედი ცოლს შეარჩევდაო. ამ უხამსობამ მუსლიმანთა რისხვა გამოიწვია. ისინი მანამდეც ეწინააღმდეგებოდნენ ნახევრად შიშველი ქალების კონკურსს და საგაზეთო პუბლიკაციამ კიდევ მეტი ცეცხლი შეუნთო. მუსლიმანთა წარმომადგენლები (ისინი ნიგერიის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენენ) შელახული ღირსების დასაცავად ქუჩებს მოედვნენ.

პირველ რიგში გაზეთის რედაქცია დაარბიეს, თუმცა წინა დღის ნომერში ჟურნალისტმა ბოდიში მოიხადა უხეირო ხუმრობისათვის. ნიგერიის პრეზიდენტმა ოლესეგუნ ობასანჯომ გარკვეულწილად მხარი დაუჭირა აღშფოთებულებს და რედაქციას სასამართლოთი დაემუქრა. ამას მთავარი რედაქტორისა და სტატიის ავტორის დაპატიმრება მოჰყვა, მაგრამ ისლამისტები მაინც ვერ დაწყნარდნენ. დემონსტრანტები არბევდნენ სახლებს, ავტომანქანებს, მაღაზიების ვიტრინებს, ანგრევდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს. 200-ზე მეტი ქრისტიანი დაიღუპა, ათასზე მეტი დაიჭრა, 5 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა.

წესრიგის დასამყარებლად ხელისუფლებამ ჯარი გამოიყვანა. თითქოს გამოსვლები მიწყნარდა, მაგრამ მთავარ ქალაქებში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმია შენარჩუნებული.

სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებმა დასკვნითი საღამო ლონდონში გადაიტანეს და იგი ისევ დათქმულ დროს — 7 დეკემბერს გაიმართება. რაც შეეხება თავად ლამაზმანებს, მათ ნიგერიაში მხოლოდ 2 კვირა დაჰყვეს, ისინი სხვადასხვა შოუსა და საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობდნენ, რომლებიც ქვეყნის ქრისტიანულ სამხრეთში იმართებოდა.

*იზვესტია №203*

აშშ

## ნიუ-იორკის ხაზინას გადასახადი აღარიბებს

ნიუ-იორკში კონტრაბანდული სიგარეტის გაყიდვამ არნახული მასშტაბი მიიღო. თამბაქოს ნაწარმი სხვა ქვეყნებიდან კი არ შემოაქვთ, არამედ მეზობელი შტატებიდან. იქ გაცილებით იაფია, ამერიკული კანონებით კი ესეც კონტრაბანდად ითვლება. რეალიზება პირდაპირ ქუჩებში, ხელიდან ხელში ან იმ პატარ-პატარა დახლებზე ხდება, რომელთაც სიგარეტის გაყიდვის ლიცენზია აქვთ.

ზოგიერთ პარტიაზე ყალბი სააქციზო მარკებია დაკრული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები აკონტროლებენ. კონტრაბანდისტების ახალ ხელობას ბიძგი ა.წ. ივლისში დაწესებულმა გადასახადმა მისცა — დოლარ-ნახევარი თითოეულ კოლოფ სიგარეტზე. შედეგად — მხოლოდ ივლისსა და აგვისტოში ქალაქის სავაჭრო ქსელში კანონიერად გაიყიდა 24,5 მლნ კოლოფი სიგარეტი, უფრო ნაკლები, ვიდრე შარშან. ასე რომ, ფულმა ხაზინას გვერდი აუარა.

კანონმორჩილი მწეველები, რომლებიც ცდილობენ კონტრაბანდისტებთან საქმე არ დაიჭირონ, უქმე დღეებში მეზობელ შტატებში მიემგზავრებიან ან სიგარეტს ინტერნეტით იწერენ. მაგ. ინტერნეტით ერთი ბლოკი „მალბორო“ 28-30 დოლარი ღირს. საიტების უმრავლესობა ინდიელთა რეზერვაციების გახსნილია. მათ ხომ თავის დროზე მიაღწიეს იმ კანონის მიღებას, რომლითაც ინდიელები გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ.

სამართალდამცავები უძლურნი არიან ინტერნეტით ვაჭრობის წინააღმდეგ. არც მასობრივ კონტრაბანდასთან საბრძოლველად არიან მზად. ყალბაქციზიანი სიგარეტის აღმოჩენა მაღაზიის მეპატრონეს სასამართლოთი ემუქრება, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ 300 ბლოკზე მეტს აღმოუჩენენ. რა თქმა უნდა, გასაგები მიზეზების გამო, რაოდენობა 300-ს არასოდეს აღწევს.

*ეხო პლანეტი №41*

ჰონკონგი

## მილიარდერი ქალბატონი სიძუნწემ დაღუპა

აზიის უმდიდრესი ქალბატონი, უნიჭიერესი მეწარმე, შეიძლება ითქვას, ჰონკონგის ეროვნული გმირი ნინა ვონგი ჩვეულებრივი თაღლითი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, სასამართლომ ასე გადაწყვიტა. 171 დღე გრძელდებოდა ვონგის საქმის გარჩევა, საბოლოოდ კი, უმაღლესი სასამართლო იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ ნინა ვონგმა მართლაც გააყალბა თავისი მეუღლის, თედი ვონგის ანდერძი.



ეს უკანასკნელი უცნობმა პირებმა 1990 წელს მოიტაცეს და მის კვალს ველარ მიაგნეს. ანდერძში ნათქვამი იყო, რომ მისი მრავალმილიონიანი ქონება ცოლს უნდა დარჩენოდა. სამართალდამცავები დააეჭვა იმან, რომ თედი ვონგი, რომელმაც ცხადია, მშვენივრად იცოდა ანდერძის შედგენა, არაფრით შეიტანდა საქმიან ქაღალდში ისეთ პოეტურ ფრაზებს, როგორიცაა: „ადამიანს ერთი სიცოცხლე და ერთი სიყვარული ეძლევა“. მით უფრო გაუგებარია, რატომ ჩაწერდა ამ ფრაზებს ინგლისურად. თუმცა არც ისაა გარკვეული, პატივცემულ და უმდიდრეს ქალბატონს რაში დასჭირდა ანდერძის გაყალბება მაშინ, როცა მისი პირადი ქონება 2 მლრდ დოლარზე მეტია.

*ნოვიე იზვესტია №209*

ირანი

## გამოკითხვა ირანულად

ირანში, ისლამის კვლევის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა მოლები საგონებელში ჩააგდო — მოსახლეობის 74% მხარს უჭერს ქვეყნის №1 მტერთან — შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის აღდგენას. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ხალხის ხმისათვის ყური დაეგდოთ, სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც შარიათის მკაცრ ხაზს ატარებენ, ინსტიტუტის მენეჯერი ბეჰროუზ გერანპაუეჰი შპიონაჟის შეთითხნილი ბრალდებით ციხეში ჩასვეს, ინსტიტუტი დახურეს და თანამშრომელთა უმეტესობა დააპატიმრეს. როგორც ჩანს, მოლები სოციალურ გამოკითხვებში უდიდეს საფრთხეს ხედავენ. ალბათ ამით აიხსნება ისიც, რომ დააპატიმრეს ირანში ძალზე პოპულარული რეფორმისტი აბას აბდი. ირანელებისათვის სოციალურ გამოკითხვაში მონაწილეობა სახიფათოდ იქცა — შესაძლოა, ამას დაპატიმრებები მოჰყვეს. ქვეყნის სულიერი ლიდერები აცხადებენ, — არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო გამოკითხვებისა. ჩვენ უამრავი პრობლემა გვაწუხებს — ნარკოტიკები, პროსტიტუცია, შიდსი — სწორედ ამის შესახებ უნდა ტარდებოდეს გამოკითხვები და არა ამერიკელებისათვის საინტერესო საკითხებზეო.

*დი ველტი*

# თითო პურზე 25 თეთრი მოგება!

## ინტერესი, რომელიც დღეს თბილისში კონტრაბანდულ პურს ყიდის

თბილისში კონტრაბანდული პური იყიდება. გორიდან, ხაშურიდან და კასპიდან შემოტანილმა პურმა უკვე აითვისა დიდი დიღმის, გლდანისა და დიღმის მასივის პურის ბაზრები. სპეციალიზებული პურის მაღაზიები ამ ფაქტს დღემდე საგულდაგულოდ მალავენ. ამის საშუალებას თავად პურიც იძლევა. მისი გარჩევა ჩვეულებრივი „ქარხნის პურისგან“, ფაქტობრივად, შეუძლებელია და მომხმარებელიც მას როგორც ქარხნის პურს, 50 თეთრად ყიდულობს. სიმართლის გარკვევას პურის წვრილ-წვრილი მოვაჭრეებისგან შევეცადეთ. მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე პურით მოვაჭრეების პოვნა დიდ სიძნელეს ნამდვილად არ წარმოადგენს. ერთმა ხანში შესულმა ქალბატონმა მითხრა, რომ იგი პურის ყიდვა-გაყიდვით უკვე ოთხი წელია ოჯახს არჩენს: — ადრე ქარხნებში თავად მივდიოდით, პურის მოსატანად რიგში ვდგებოდით. ახლა კი ამუშავდა პატარ-პატარა საცხობები, რომელთა წარმომადგენლებსაც პირდაპირ ჩვენთან მოაქვთ პური. სარგებელიც მეტი გვაქვს.

**— ამბობენ, ახლა პური გორიდან და კასპიდან შემოაქვთო, მართალია?**

— ის 20-თეთრიანი პური? საგადასახადოდან ხომ არ ხართ, ისეთ შეკითხვებს მისვამთ, რაიმე შარში არ გამხვიოთ...

სხვათა შორის, თითქმის ყველა პურის გამყიდველი, რომელსაც შევხვდი, თავგამოდებით მიმტკიცებდა, რომ ისინი, არც მეტი, არც ნაკლები, IV პურის ქარხნის პურს ყიდდნენ. სწორედ ამიტომ დავუკავშირდით თბილისში ერთ-ერთი უმსხვილესი — IV პურის ქარხნის დირექტორს **მალხაზ დოლიძეს**. ამ ბოლო დროს პურის ბაზარზე შექმნილ სიტუაციას ბატონი მალხაზი იმდენად შეუწუხებია, რომ იგი პირდაპირ „კვირის პალიტრის“ რედაქციაში გვესტუმრა.

— გორიდან, კასპიდან და ხაშურიდან შემოტანილი პური თბილისში ზუსტად ორი თვის წინ გამოჩნდა. ბოლო ორი კვირის მანძილზე კი პურის კონტრაბანდამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. რაიონიდან შემოტანილმა პურმა ჯერ გლდანი აითვისა, მერე დიღმის მასივი და პროცესი, როგორც ჩანს, ნელ-ნელა სულ უფრო მასშტაბური ხდება. ისეთი ქაოსი, როგორიც დღესაა თბილისის პურის ბაზარზე, ანუ როცა თბილისში პური სხვადასხვა ქალაქიდან შემოდის, ჩვენთან არასოდეს ყოფილა. სხვათა შორის, გასულ წელს სცადეს თბილისში პურის შემოტანა ბათუმიდან, მაგრამ მათ ბაზარი სწორად გათვალეს. აქცენტი გააკეთეს პურის არა იმ ასორტიმენტზე, რომელიც თბილისში ისედაც საკმარისზე მეტია, არამედ განსხვავებული, ნამდვილი შავი პურის გაყიდვა დაიწყეს. მინდა აღვნიშნო, რომ დღეს მთელ თბილისში სანთლით რომ ეძებოთ, შავ და დაცეხვილ ფქვილს ვერსად იპოვით. არ იფიქროთ, რომ თუკი შავ პურს მიირთმევთ, ის ნამდვილად შავი ფქვილისგან არის დამზადებული. ახლა ისეთი ინგრედიენტებია შემოსული, პურს რა ფერსაც გინდა, იმ ფერს მისცემ. სხვათა შორის, მაშინ თბილისმა ბათუმიდან შემოტანილი შავი პური „აითვისა“. ბაზარზე მას ფაქტობრივად ვერ ნახავდით. ახლა იცით რა ხდება? მოგეხსენებათ, გორი, კასპი და ხაშური საზღვრისპირა ანუ საყოველთაოდ ცნობილ ერგნეთის ბაზართან ყველაზე ახლოს მდებარე ქალაქებია. აქ კონტრაბანდული ხორბალი თუ ფქვილი ყველაზე მეტადაა ხელმისაწვდომი. ჰოდა, იფიქრეს, ხორბლის თუ ფქვილის თბილისში წაღებას და მებაჟისათვის ან ლეგიონერისათვის ათასების გადახდას ხომ აჯობებს, პური ადგილზევე გამოვაცხოთო. იცით, გზებზე ასეთი ტვირთის გადატანა გაცილებით იოლია — მეწარმე ვარ, ჩემო ბატონო, და ჩემს პროდუქციას, სადაც მინდა, იქ წავიღებ — ასეთ დროს შემომდავებელი ნაკლები გყავს. ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი კონტრაბანდული ხორბლისგან გამომცხვარი კონტრაბანდული პური რაც ეღირება. როგორც გავარკვიე, პურს ისინი მაღაზიებს თუ კერძო პირებს 20-25 თეთრად აძლევენ. გაყიდვით კი ასეთი პური ისევ 50 თეთრად იყიდება.



**— თავად პურის ქარხნები ასეთივე პურს რა ფასად აბარებთ?**

— მე ერთი მრგვალი ე.წ. ქარხნული პურის გამოცხობა 39 თეთრი მიჯდება. იმ 25-თეთრიანი პურის გვერდით ჩემი წარმოება, წესით, უნდა გაჩერდეს.

კაცი შეშაზე პურს რომ გამოაცხობს, იმას ენაცვალოს ჩემი თავი. ეს არის პურის ცხობის კლასიკა. მაგრამ კუსტარულ ღუმელში, მოპარული ფქვილით, მოპარული გაზითა თუ ელექტროენერგიით და რაც მთავარია, ათასი ქიმიური ემულგატორით პურს რომ გამოაცხობს კაცი, იმას აბა, რა უნდა უთხრა? ეს არის მცირე ბიზნესი? ეს არის კარგა მსხვილი მაიმუნობა. დილაუთენია მოზელენ ცომს, ჩაყრიან იმ ემულგატორებს და რამდენიმე საათში ცომი „გიჟდება“. გამოაცხობენ, გაყიდიან და ასე, დღეში რამდენჯერმე. მე მაქვს რვასაათიანი ტექნოლოგიური ციკლი. ცხობის მექანიზმი ისეა მოწყობილი, ქარხანას არავითარი დამატებითი საშუალებები არ სჭირდება იმისთვის, რომ პური ფუმფულა და გემრიელი იყოს. ეს ხალხმაც მშვენივრად იცის. სწორედ ამიტომ გაჰკივიან მაღაზიებში, ქარხნის პურს ვყიდითო. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ პურის მაღაზიაში, სადაც, წესით, მხოლოდ ჩემი ქარხნის პური უნდა იყიდებოდეს, სრულიად შემთხვევით შევესწარი, მომხმარებელი ჩაცომებული პურის გამო როგორ ჩხუბობდა. პური რომ ვნახე, აღმოჩნდა, რომ იგი ჩემი ქარხნისა არ იყო. აბა, რა უნდა მეთქვა მყიდველისთვის. მაღაზიის გამგეს მივუბრუნდი და ვუთხარი, — არა გრცხვენია, ხალხს რომ ატყუებ და ამ უვარგის პურს „ქარხნის პურად“ ასაღებ-მეთქი? ხმა ვერ ამოიღო.

**— ბატონო მალხაზ, ჩვენი საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ თბილისის პურის ბაზარზე კონტრაბანდული პური ორი თვის წინ გამოჩნდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება პურის დაბეგვრის ახალ რეჟიმზე გადასვლა. როგორ ფიქრობთ, საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლამ ხომ არ განაპირობა ის, რაც დღეს პურის ბაზარზე ხდება?**

— დღეს რომ პურის ბიზნესში ქაოსი და განუკითხაობაა, ამაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ ახალ საგადასახადო რეჟიმს. ახალმა სისტემამ ვერ იმუშავა...

P.S. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისის არაერთი მძლავრი პურის საცხობი ახლა სწორედ გორსა თუ ხაშურში გადააქვთ. იმასაც ამბობენ, რომ გორში, სადაც 50-მდე წისქვილკომბინატია, ბევრი მათგანი უკვე მწყობრში ჩადგა და ხორბლის გადამუშავებაც უკვე დაიწყეს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, დღეს თუ ხვალ პრობლემები ახლა თბილისის წისქვილკომბინატებსაც შეექმნას.

***ლელა წითლანაძე***

## „იტერა“ — „უძღები შვილი“ — „მშობლის“ წინააღმდეგ კომპრომატებს აგროვებს

„გაზპრომმა“ „იტერაზე“ იერიში მიიტანა. შეგახსენებთ, რომ „იტერა“ გაზის მონოპოლისტის ხელმძღვანელობასთან ყველაზე დაახლოებული კომპანია გახლავთ. გაზის ბაზრიდან „იტერას“ გაძევება ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ლიტვასა და ლატვიაში ერთდროულად დაიწყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ „იტერას“ მეთაურს მაკაროვს „გაზპრომში“ შესასვლელი საშვიც კი ჩამოართვეს. არავინ იცის, სადამდე მივა ეს დაპირისპირება, რადგან „იტერა“ თავის განშტოებული სისტემებით ოფშორულ ზონებში იყო და არის „გაზპრომის“ ზოგიერთი როგორც ყოფილი, ასევე ახლანდელი მაღალჩინოსნის კეთილდღეობის წყარო.

ამბობენ, რომ თუკი „გაზპრომი“ გააგრძელებს შეტევას „იტერაზე“, მაშინ „იტერა“ იძულებული გახდება გამოაქვეყნოს ისეთი მაკომპრომეტირებელი მასალები, რომლებიც ნიღაბს ჩამოხსნის ბევრ ცნობილ პიროვნებას. გაცხადდება, თუ „გაზპრომის“ რომელი მაღალჩინოსანი იღებდა უზარმაზარ ქრთამს იმაში, რომ „იტერას“ გაზის იაფად შეძენის უფლება მოეპოვებინა, აგრეთვე „კაპიკებად“ გაეყიდა „გაზპრომის“ კუთვნილი ქონება, ფირმები და ტექნიკა. სხვათა შორის, „იტერას“ არაერთი სტრუქტურა სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ „გაზპრომის“ ხელმძღვანელობას და მასთან დაახლოებულ პირებს სანდო და ღრმა ჯიბე ჰქონოდათ.

ამბობენ, რომ თუკი „გაზპრომი“ არ მოაგვარებს ურთიერთობას „იტერასთან“, „იტერა“ მასმედიაში „კომპრომატების“ პაკეტს გამოაქვეყნებს.

***ვერსია №46***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 30 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 2,1650 |
| **ევრო** | 2,1509 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 3,3523 |
| **რუსული რუბლი** | 0,0680 |
| **თურქული ლირა** (1.000.000) | 1,3968 |

STREAMLINE ENGLISH
პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტთან არსებული **ინგლისური ენის შემსწავლელი აუდიო-ვიდეო კურსი** გიწვევთ სასწავლებლად ოქსფორდის უნივერსიტეტის პროგრამით. მეცადინეობა ყოველდღე.
მის: ცეკავშირის შენობა, V სართ, ოთ. 530
☎ 75-60-73 (6 სთ-დან)

# სიახლეები საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში

სასტუმრო „მარიოტში“ საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკ MBG-ის (ემ-ბი-ჯი) დირექტორატთა საბჭომ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციის ძირითად თემას MBG-ის (ემ-ბი-ჯი) კაპიტალის ზრდა წარმოადგენდა. MBG-ის (ემ-ბი-ჯი) გაფართოების მიზნით აქციონერთა ანსამბლეამ გადაწყვეტილება მიიღო საწესდებო კაპიტალი 10000000 ლარიდან 20000000 ლარამდე გაზარდოს, რაც ბანკს საშუალებას მისცემს თავისი საკრედიტო პორტფელი მომდევნო წელს კიდევ უფრო გააფართოოს და საქართველოს მოსახლეობისგან დამატებითი ანაბრები მოიზიდოს.

საქართველოში მიკროსაფინანსო ბანკი MBG (ემ-ბი-ჯი) 1999 წელს დაარსდა მიკრო და მცირე საწარმოებისთვის ფინანსური მომსახურების გაწევის მიზნით. მისი მენეჯმენტი უმეტესწილად დაკომპლექტებულია გერმანელი ექსპერტებისგან, რამაც განაპირობა MBG-ის (ემ-ბი-ჯი) მეტსახელი „გერმანული ბანკი“.

საქართველოს მოსახლეობას MBG-ში (ემ-ბი-ჯი) განთავსებული აქვს დაახლოებით 9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სახსრები. რაც შეეხება MBG-ის (ემ-ბი-ჯი) საკრედიტო პორტფელს, 2002 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ის შეადგენს 33 მილიონ აშშ დოლარს. ამჟამად საქართველოს საწარმოებზე ბანკს გაცემული აქვს 8000-ზე მეტი სესხი.

ნოემბრის თვის დასაწყისში საქართველოდან გაემგზავრა MBG-ის (ემ-ბი-ჯი) გენერალური დირექტორი ბატონი ალექსანდრე ფონ გლაიჰი თავის ოჯახთან ერთად, 2003 წლისათვის მისი სხვა ქვეყანაში გადაყვანა ისედაც დაგეგმილი იყო, მაგრამ წასვლა დაჩქარდა გახშირებული ანონიმური სატელეფონო მუქარების გამო. ბატონმა ფონ გლაიჰმა რჩევისთვის საელჩოს მიმართა, გერმანიის საელჩოს პასუხად კი გამუდმებული სატელეფონო მუქარის პირობებში მის პიროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის აღება საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა.

პრესკონფერენციაზე MBG-ის (ემ-ბი-ჯი) დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებს ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდათ. კითხვათა უმეტესობა სწორედ ბატ. ფონ გლაიჰის გამგზავრებას შეეხო.

დირკ ჰაბოექი — MBG-ის (ემ-ბი-ჯი) უმსხვილესი აქციონერი კომპანიის წარმომადგენელი:

— ბატონი ფონ გლაიჰის დანიშვნა ახალ თანამდებობაზე IMI-ს ბანკების ქსელის ფარგლებში 2003 წლისთვის იყო დაგეგმილი, აქედან გამომდინარე, მისი უცაბედი გამგზავრება MBG-ისათვის (ემ-ბი-ჯი) პრობლემას არ წარმოადგენს. ბანკს ამჟამად განკარგავს ოთხი დირეტორისგან შემდგარი დირექტორთა საბჭო. გარდა ამისა, საზღვარგარეთიდან ბატონი ფონ გლაიჰი კვლავაც უწევს კონსულტაციებს მის კოლეგებს საქართველოში.

ახალი გენერალური დირექტორის დანიშვნამდე, ბ-ნი ფილიპ ზიგვარტი, შვეიცარიის მოქალაქე, ასრულებს MBG-ის (ემ-ბი-ჯი) გენერალური დირექტორის მოვალეობას. ბ-ნი ზიგვარტი ამ თანამდებობაზე ოფიციალურად იქნა დანიშნული MBG-ის (ემ-ბი-ჯი) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ 27 ნოემბერს.

საქართველოში MBG-ის (ემ-ბი-ჯი) საქმიანობა დაიწყო ერთი ფილიალით თბილისში. დღეისათვის კი მისი ქსელი 16 ფილიალისა და განყოფილებისაგან შედგება. გასული სამი წლის განმავლობაში ბანკმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და იგი დღეს საქართველოს 6 უმსხვილეს ბანკთაა შორისა. 2004 წლისათვის MBG (ემ-ბი-ჯი) გეგმავს საქართველოს საუკეთესო ბანკთა სამეულში შესვლას. ამ მიზნით ბანკი განაგრძობს რეგიონალურ გაფართოებას. 2003 წლის პირველი ნახევრისთვის დაგეგმილია ფილიალების გახსნა ზუგდიდში, რუსთავსა და თბილისში.

პრესკონფერენციაზე ბატონმა დირკ ჰაბოექმა კომენტარი გააკეთა შემდეგ საკითხზე:

1. „2002 წლის ივნისში, საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანიამ წინადადებით მიმართა „თი-ბი-სი“ და „ინტელექტბანკს“, შეისყიდონ აქციები MBG (ემ-ბი-ჯი) ბანკში 17 პროცენტის ოდენობით. „თი-ბი-სი“ და „ინტელექტბანკმა“ მიიღეს ეს წინადადება. გარიგება 2002 წლის სექტემბერში შედგა, რის შედეგადაც საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია გახდა MBG-ის (ემ-ბი-ჯი) აქციების 29 პროცენტის მფლობელი და ბანკის უმსხვილესი აქციონერი“.

2. „თი-ბი-სი“ და MBG (ემ-ბი-ჯი) ბანკების აქციონერთა სტრუქტურების მკაფიო გამიჯვნა უნდა განხილულ იქნეს, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში კონკურენტუნარიანი ფინანსური სექტორის განვითარების თვალსაზრისით“.

3. „კომპანია დარწმუნებულია, რომ უმსხვილესი აქციონერის სტატუსით ის მრავალ სასიკეთო ცვლილებას მოუტანს ბანკს, რამეთუ ის წარმოადგენს ევროპის საბანკო ქსელის შემადგენელ ნაწილს, რომლის მთლიანი ჯგუფის საერთო აქტივები 500 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს და მასში 2000 თანამშრომელია დასაქმებული“.

როგორც ბატონმა ფილიპ ზიგვარტმა აღნიშნა, ის აკვირდება საქართველოში საბანკო სისტემის განვითარებას. თვლის, რომ MBG-ის (ემ-ბი-ჯი) კარგი ურთიერთობები აქვს კონკურენტ ბანკებთან. ჯანსაღი ურთიერთობის გარეშე საბანკო სისტემა ვერც განვითარდება. მან ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს საბანკო სისტემას აქვს ერთი ნაკლი და სერიოზული პრობლემა, კერძოდ ის, რომ მისი მოსახლეობა ფულს არ ინახავს ბანკებში, არადა MBG (ემ-ბი-ჯი) ბანკში სიახლეა, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სრულიად უფასოდ თავისი ანგარიში გახსნას ბანკში.

MBG (ემ-ბი-ჯი) ბანკი მუშაობს წარმატებულად, თანაც მისი პოლიტიკა არის მაქსიმალურად გამჭვირვალე. ამას ისიც მოწმობს, რომ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა იმ თაღლითობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2002 წლის თებერვალში და რომელმაც ბანკს 700000 ათასი დოლარის ზარალი მოუტანა. თაღლითობის ფაქტის ფინანსური შედეგები შემოიფარგლა წლის წმინდა მოგების შემცირებით, რომელმაც აღნიშნული ზარალის შედეგად მაინც 200000 აშშ დოლარი შეადგინა. სამწუხაროდ, გამოძიებამ, რომელსაც შესაბამისი ორგანოები აწარმოებდნენ, ჯერჯერობით, დამნაშავე ვერ გამოავლინა, თუმცა აქციონერთა სურვილია, რომ გამოძიება იყოს წარმატებული.

დაბოლოს, MBG-ის (ემ-ბი-ჯი) ამჟამინდელი აქციონერები არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საფინანსო ბანკი, კომერცბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, გერმანიის განვითარების სახელმწიფო კომპანია და საერთაშორისო მიკროინვესტიციების კომპანია. ბოლო პერიოდში ბანკმა გამოუშვა ახალი აქციები, მაგრამ აქციონერთა შემადგენლობა არ შეცვლილა, რადგან თითოეულმა აქციონერმა გამოიყენა თავისი უპირატესი უფლება — შეისყიდოს აქციები.

ასე რომ, აქციონერთა რიგებში რაიმე ცვლილება ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის.

R

„პლასტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპული მ/მ
ტანსაცმლის
ფართო არჩევანი
საბითუმო ფასები
ფუთები სხვადასხვა წონით
☎ 38-84-24
899-10-02-81
899-97-08-81

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
900 GEL-დან
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46 თბილისი, ... ქ. 2

სათამაშოების მაღაზია
ათონელის ქ. 18
☎ 899-97-08-81
რატომ იყო ჰევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი?
იმიტომ, ჰომ მას აჰ ჰქონდა...
შეიძინეთ ბავშვებს სათამაშო!

## მილოცვა

რუსთავში ქეთინო მამალაძეს, საყვარელით ვულოცავთ დაბადების დღეს; მამიდაშვილებს: ნინოს, დიანა ჩიტორელიძეებს – სტუდენტობას. ლაგოდეხში – ყარსუბანში, მამიდაშვილს, თეა ნიქარიშვილს ვულოცავთ სტუდენტობას. გილოცავთ ყველას.

*გიორგი, ანა ხარაიშვილები. თბილისი*

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას, ოფისში ესაჭიროება მენეჯერები. მიმდინარეობს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება-დასაქმება. შემოსავლები – მაღალი! ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

ოფისში, მენეჯერის თანამდებობაზე გეპირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, ანაზღაურება გამომუშავებით – 300-600 ლარი, ასაკი – 18 წლის ზემოთ. საცდელი თანამშრომლობა, 6 თვეში ერთხელ, სტაჟირებაზე იგზავნებიან საზღვარგარეთ, კომპანიის ხარჯებით. მენეჯერი ბონ მაზოლი. მის: მ. „დიღუბე", „სამხრე ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

## მომსახურება

„ფუსკები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მოარჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53. I სად. I სართ. ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ელექტრონის ნემსით და ანესთეზიით, მოარჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად. III სართ. ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

იმისათვის, რომ გამოიყურებოდეთ ლამაზად, თავს გრძნობდეთ მხნედ და მსუბუქად, იყოთ ჯანმრთელი, გთავაზობთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მასაჟს ბინაზე მისვლით. ტელ. 38-18-69. ნინო

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი"! ეპილაცია ინდივიდუალური ელექტრონის ნემსით; სახის გაწმენდა; დეპილაცია მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე; თმის შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5 ლარი; შეღებვა – 15 ლარი. კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი – ირინა ჯანაშია, მთოდისტ-სტილისტი – ზინა. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ეპილაცია ელექტრონის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ელექტრონის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამზარეულოზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას; სკამების ზამშარებიანი მატრასების აღდგენა-განახლებას. ვლებავ გერმანულ ტყავის სამუშაოებს. ტელ: 95-98-72. ვალერი

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას. სამზარეულოზე და სკამებზე ვცვლით შალითებს. აგრეთვე ლამინირებული დეტალებისგან ვამზადებთ ნებისმიერ სამზარეულოს და საოფისე ავეჯს. ტ: 69-45-18. გიორგი

რბილი ან მყარი ავეჯის რესტავრაცია; ახლის შეკვეთით დამზადება. 76-01-33. გია

წინასარემონტო და სარემონტო სამუშაოები დიზაინერთან ერთად! აშკარად მოიგებთ დროს, დაზოგავთ ფულს და ნერვებს. მიიღებთ თქვენი იდეის შესატყვის შედეგს. ტელ: 22-06-22

გთავაზობთ დასვენებას ბაკურიანის და გუდაურის სასტუმროებში და კერძო სექტორებში. ინფორმაციისთვის: http://dilaplus.gol.ge; დასვენებას თურქეთის ზამთრის კურორტებზე; მოგზაურობას ეგვიპტეში; ვიზებს ევროპის ქვეყნებში; სწავლას გერმანიის და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში. დაგეხმარებით ყველა საბუთის მომზადებაშიც. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტ: 98-69-51; 899 54-00-79

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური მეთოდით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი – მიიღებთ ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, ალიშვილი აპარატებით და სხვა აღმავალი მეთოდებით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ნევროზს, ლოგონევროზს, ენაჩლუნგობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), წნევის, (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ. (შრომის სამინისტროს შენობა). რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-59-77 (ბინა)

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სიგრძეების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის, მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 38-27-52

ლომთათიძე მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, წითელ ქარს, თმის ცვენას, სებორეას, ბუასილს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, თირკმლებს, პროსტატიტს, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტს, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, მეჭეჭების, პაპილომების მოშორებას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტ: 95-74-29

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება – სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რიკოთზის საავადმყოფო (ვაგზალთან). V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, კიფოზი, მიოზიტი, თავბრუსხვევა, ქრონიკული და მწვავე გულმკერდი, სიმსუქნეში ზრდა, მკურნალობის უახლესი, კომბინირებული მეთოდებით. ამ დაავადებებს მაღალი შედეგებით მკურნალობს მაღალკვალიფიციური ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფარცხალაიშვილი. მის: აღმაშენებლის №60. მიხაილის საავადმყოფო. ტელ: 899 26-51-08; 75-06-14

## მასწავლი

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს. ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08. ლიკა

მიღება კურსზე: 1. კოსმეტიკა. შესწავლა კანის დეფექტები, კანის გაწმენდა, მასაჟები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ეპილაცია, მასაჟი, ლოსიონები, ნიღბები და სხვა. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66. 2. მასაჟი (პროფილაქტიკური და სამედიცინო). გაიცემა სერტიფიკატი. მის: დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 62-25-25; 897 57-41-03

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მაღამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

გთავაზობთ: მეტყველებისა და ორატორული ხელოვნების შესწავლას ტექნიკური საშუალებების დახმარებით. სასწავლო პროცესს წარმართავენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი – მარლენ ეგუტია და რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პრემიის ლაურეატი – რეზო თავართქილაძე. მის: დადიანის ქ. №26 (კულტურის სასახლე, მ. „ვაგზლის მოედანი"). ტელ: 66-09-19; 99-49-59

თამარ კომაიძის სახელობის კომპიუტერული ცენტრის – Day and Night – მაღალკვალიფიციური პედაგოგები პროფესიულ დონეზე შეგასწავლიან კომპიუტერზე მუშაობას. გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი. პროგრამები: Windows, Word, Excel; Inemet, E-mail, Page Maker, Photoshop, Adobe Table, Corel draw, Access, Outlook-x-press, Quark; სწრაფი ბეჭდვა. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან"), „ქოლგის" უკან. ტელ: 98-80-23

Впервые в Грузии COMPUTER COMPANY „PULSAR" предлогает: курсы обучения ремонту и модернизации компьютерной техники и сетей. После сдачи экзамена выдается сертификат. Программа курсов утверждена Министерством образования Грузии. Адресс: Важа-Пшавела 16. Тел: 33-08-71

## იყიდება

სარეალიზაციოდ გვაქვს: 1. საფეხავი ჯიშის ვაზის ნამყენი; 2. ვენახის Φ2,5 მმ-იანი მოთუთიებული მავთული; 3. შემოსაღობი მავთულბადე; 4. ვენახის ლითონის და აკაციის ხის საყრდენი; 5. სხვადასხვა ზომის წიფლის პარკეტი; 6. Φ1,2 – Φ1,5 მმ-იანი „ვაზის" მავთული. ტელ: 899 14-28-16; 8 250 3-21-76

სუფთა სისხლის კავკასიური ნაგაზის ელიტარული ლეკვები, გენეტიკური გარანტიით. ტელ: 899 50-48-61

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

შევისყიდი ძველ ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს, მატყლატურის სახით, ნაღდი ანგარიშსწორებით. 30 კგ-ზე მეტი წონის შემთხვევაში, მოგემსახურებით ჩვენი ტრანსპორტით. მის: წერეთლის გამზ. №118. ტელ: 33-40-48. 34-66-64

## სხვადასხვა

სახლი საქართველოში! გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი და გაზეთი „სიყვარულის სამყარო" ელოდება დაგეხმარებათ დაოჯახებაში, როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე რუსეთშიც. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

## ხსოვნა

### მერაბ, მენატრები, მონატრებად ვილევნთები, შვილო!



ორი წელი გავიდა ერთმანეთის, როცა უშენოდ ორი დღეც ვერ ვძლებდი! 2000 წლის 1 დეკემბრის ავტოავარიამ უკლის დაკარგა ჩვენი ბედის ბორბალი. მიკვირს – შენნაირი ახალგაზრდების სიცოცხლე, ზენიტში რატომ უნდა წყდებოდეს, რატომ?

ჩემო სიკეთის განსახიერებავ, სხვისი სიხარულით რომ ხარობდი, ერთი თხილის გულს კი არ გაყოფდი. მთლიანად სხვას უბოძებდი და ამით უდიდეს კმაყოფილებას განიცდიდი!

არაფერში არ გაგვიმართლა, დაწყევლილები ვართ მე და შენ და ამიტომ, უბედურ დედაშენს მხოლოდ ღამის სიზმარი ჰყოფნის „ბედნიერებისათვის" და დღის ტანჯვა, ცრემლიანი გულის გამშმარავი ტკივილით.

ძმაკაცების სიყვარულში გაგიმართლა მხოლოდ – ერთგულება დაგიმტკიცეს, „მერაბის წყარო" მუდმივად იდინებსო, რომელშიც კოლოსალური შრომა ჩადეს შენს მშობლებთან და ბიძებთან ერთად და ამით დაბადების დღეც მოგილოცეს! – ეს შენი უკვდავებაა.

უბედური დედაშენი ამ წყაროს ყოველდღე ელერსება, მაგრამ დამიღალა, შვილო, შენ მაგივრად ცივი ქვებისა და შავი მიწის მოფერებამ... მენატრები, ვილევნთები უშენოდ, წამიყვანე!

*მერაბის უბედური მშობლები*

### ქეთევან ცერცვაძის ხსოვნას!



...მოვიხედეთ და აღარ იყავ. უხმოდ მიიცვალე, არ შეგვაწუხე.

გვახსოვხარ, გვაკლიხარ, გვენატრები, გვი-ყვა-რხარ!

შორიდან გილოცავთ დაბადების დღეს – 5 დეკემბერს.

სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა. ამინ!

*ნინო, გულიკო, მალხაზი*

### ელდარ მენაბდის ხსოვნას!



ჩვენო ღიმილიანო ბიჭო! მეორე წელია, რაც უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. მხოლოდ შენს საფლავზე მისვლაა ჩვენი ნუგეში. შენს საფლავთან მოვლენ შენი ახლობლები, დაგორქვეენ მწუხარე ცრემლებს. მთელი სიცოცხლე ხომ სიკეთისა და სიყვარულის თესლი. 11 იანვარს შეწყდა შენი სიცოცხლე. მას შემდეგ შენს ახლობლებს თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ. არ შეიძლება განიკურნოს ის ტკივილი, რომელიც შენ დაუტოვე შენს მშობლებს. შენ მიერ დატოვებული სიყვარული არასოდეს განელდება, შენი დის, სიძის და დისშვილების გულებში.

იძინე მშვიდად, ნატანების მიწაზე. ჩვენ კი მშვიდად მოგეფერებით სიცოცხლის ბოლომდე.

*მშობლები, და, სიძე, დისშვილები*

### ოლეგ ქორაიას მონატრება



40 უმძიმესი დღე გავიდა შენი ოჯახიდან გასვლის მერე ჩვენო ელდავ და ტკივილო. რა ზღვა ცრემლი და სიყვარული გაიყოლე თან; როგორ არ დაგინანე სიკვდილს ასეთი კეთილი, თბილი ადამიანი?! შენ ხომ კაცურკაცობის ეტალონი იყავი რამდენი სიკეთე გვითესია, ბიჭო, ერთად! ჩვენ ხომ ბავშვები მოვედით ამაში, ინსტიტუტიდან განწილებით. აქ გავიზარდეთ, აქ გავზარდეთ ჩვენი შვილებიც და აქ უნდა მოვხუცებულიყავით კიდეც. მაგრამ რატომღაც უფალმა 46-ე წელს დაუსვა წერტილი ჩვენს ბედნიერებას. მაგრამ ცხოვრება ვერ გაჩერებს, რადგან ჩვენს ფესვებზე ორი ძლიერი ყლორტი იზრდება – ჩვენი შვილების სახით. როგორ გიხაროდა და გეამაყებოდა – ორივენი უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტები არიან. ჩვენ კი, შენით ვამაყობთ, რომ ოლეგ ქორაიას ოჯახი გვქვია, ოჯახი, რომელიც შენი გაკვალული გზით ივლის და არასოდეს შეარცხვენს შენს სახელს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სუფთა სული.

*მეუღლე ცირო, შვილები ოთარ და დათო ქორაიები*

### ნინო ხიზანიშვილის ხსოვნას!



გვინდოდა, კიდევ უამრავჯერ მოგველოცა შენთვის დაბადების დღე, მაგრამ ისევ შენმა კეთილმა გულმა დაგვაშორა საყვარელ ადამიანებს და სიცოცხლეს ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. უსაზღვროდ მწუხარებით

*შენი და მანანა და ოჯახის წევრები*

**ნინო,** ოთხი თვე გავიდა, რაც ჩვენგან წასვედი და სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრე ბინა. რომ იცოდე, როგორი მწარე ტკივილი დაგვიტოვე ყველას. 2 დეკემბერს 34 წელი უნდა შეგსრულებოდა.

მაგრამ სიკვდილი დაუნდობელია. ვინ იცის, ვის როდის უმეხთლებს

ბედი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ჩვენს გულებს დრო ვერ განკურნავს. ამ იუბილეს ალბათ ზეციურ საქართველოში აღნიშნავენ, ჩვენ მაგივრად ანგელოზები მოგილოცავენ... ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ნინო.

*შენი დამწუხრებული მეზობლები*

### ზურიკო ნემსაძის გახსენება



გასული წლის სამ დეკემბერს შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა მარტოობის საშინელ გზაზე გადამისროლა. ჩვენი ბედნიერება გვიანი შემოდგომის ამ ერთმა დღემ მოიტაცა და შენთან ერთად მეც დამმარხა, თან იმ ქალად მაქცია, რომელიც 3 დეკემბრიდან მხოლოდ წარსულით ცოცხლობს. ჩემო ზურა, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. სასწაულს ვნატრობ: მინდა, ერთ დღეს ბედნიერმა გავიღვიძო, აღარ ვიგრძნო ის მძიმე ტვირთი, გულზე რომ მაწევს.

წესად მექცა ყოველდღიურად შენს საფლავთან საათობით ყოფნა და უპასუხო მონოლოგები. მიჭირს უშენოდ ცხოვრება, შენი ლამაზი ღიმილისა და იუმორის გარეშე.

ვშიშობ, დარდმა არ წამლეკოს, არ დამამარცხოს, ამიტომ გამუდმებით ვუძალიანდები საკუთარ თავს. არ მინდა, კობა და კახა შენსავით შუა გზაზე მივატოვო. მე მათ დარდით სავსე, ნაღვლიან თვალებში ბედნიერ მომავალს ვხედავ... იქნებ, თავს ვიტყუებ, მაგრამ მაინც ამაშია ჩემი შვება და სიცოცხლის გამართლება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

### აბესალომ (ბესო) გაბედავას!



*...ტანჯვა-წამებით ვათენებთ ღამეებს,*
*ცოცხლები რომ ვართ, ძალიან გვიკვირს...*

8 დეკემბერი მოვიდა, ბესო, შენი დაბადების დღე. მაგრამ ვაი, რომ უშენოდ უნდა შევხვდეთ ამ ლამაზ და ძალიან მწარე დღეს.

ბესო, რომ იცოდე, როგორ ძალიან გვენატრები, ჩვენო საამაყო, ერთადერთო იმედო. რა გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ჩვენო სულით სპეტაკო, გულით თბილო და სიცოცხლით სავსევ...

ბესო, მოგვენატრა შენი გულითადი შეხვედრები, უწყინარი, იუმორნარევი, ღიმილით სავსე, მიმზიდველი საუბრები. რამხელა იმედი იყავი, რამხელა ტკივილი ხარ ახლა! ძნელია ამხელა ტკივილით ცხოვრება...

უშენობას ვერშეგუებული, შენზე მლოცველი

*შენი ოჯახი*

### ბადრი კურდღელიას!



ჩვენო ტკივილო და სევდავ, ერთი წელი სრულდება, რაც უკანასკნელად წახვედი ოჯახიდან. რა შემზარავია! სინამდვილე მკაცრია და დაუნდობელი. გულიდან ვერ ამოშლი მოგონებებს, აუტანელი ხდება მონატრება. იმ დიდ ტკივილს, რომელიც გულში დაუტოვე ყველას, ვერავინ და ვერაფერი მოარჩენს.

გვჯერა, შენი თეკლა ღირსეულ ადამიანად გაიზრდება. მაგრამ ვაი, რომ მისი ძვირფასი მამიკო ველარ გაიხარებს იმ დიდი სიხარულით.

გვაკლიხარ და გვენატრები.

ღმერთს ვთხოვთ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*მამიდაშვილები, ბიძაშვილები*

### იღუმენი ელისეს — ზურაბ ბელქანიას ხსოვნას!



ერთი წელი მთავრდება, რაც ჩვენგან წახვედი. წახვედი უდროოდ, ტრაგიკულად და დაგვიტოვე მოუშუშებელი მწუხარება. უფალი ჰფარავდეს შენს ნათელ სულს, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

*სალამო ჟამი, უეცარი ზარის წკრიალი*
*და მწუხარება! მწუხარება გამოუთქმელი,*
*მამა ელისე – ჩემთვის ზური, შემდგომ ზურაბი*
*არა გვყავს, ჩაქრა შუქი მისი. მშვენიერ მარწყინავი.*
*გზა დაკლაკნილი, ეკლიანი, ძნელად სავალი*
*შენ წილად გერგო, გამოვლილო მძიმე ჭაპანით.*
*ღვთისმსახურებით განიწმინდე და გასხივოსნდი*
*და დაასრულე აქ ცხოვრება ნუგეშისცემით.*
*ნათელში იყოს შენი სული, ზეცად მავალი,*
*მარად ხსოვნა, არდავიწყება, ბედისვარსკვლავი.*

*გოგი, ნინო, თამარ ნაჭყებიები*

### მურად (იურა) თუთაშვილის მონატრება



ორი წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ჩვენო მონატრებულო და საამაყო ვაჟკაცო. 2000 წლის 5 დეკემბრის უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა. შენ ხომ სულიერად და ფიზიკურად, სიცოცხლის მშვენება იყავი. მარადიულია შენი მონატრება სვეგამწარებული დედ-მამისთვის, რომელსაც ტკბილ სიბერეს ჰპირდებოდი; შენი დებისთვის, სიძისთვის, დისშვილებისთვის. ენატრები მეუღლეს, შვილებს, რომლებიც ჩვენგან შორს არიან, რაც კიდევ უფრო უმწარებს სიცოცხლეს შენს უბედურ მშობლებს, ისინი ხომ შენს შვილებში შენს ორეულს, სულსა და გულს ხედავენ.

ჩვენო მურად! რაც დრო გადის, შენი არყოფნით გამოწვეული უფრო დიდი ტკივილი გვემატება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნაადრევად წასული სული იმ ქვეყნად. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური ბზვანის მიწა. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*ოჯახი*

### სოფიკო გოგავას მონატრება



სოფო, ჩემო საფიცარო, ჩემო იმედო და ოცნებავ, დაუამებელო ტკივილო, უშენოდ მეორედ მოდის შენი საყვარელი დღე – 1 დეკემბერი, 19 წლის გახდი, მამი. გილოცავ, ჩემო სიამაყევ!

ვაი, რომ ვერაფერს გისურვებ, ვაი, რომ სანთლების, ყვავილების და ამ ცრემლიანი სტრიქონების მეტს ვერაფერს გიძღვნი, ჩემო თვალებზეატულავ. უსაზღვროდ მიყვარხარ და მენატრები, თვალისჩინო. ჩემი სიცოცხლის საზრდო ხომ შენი სუნთქვა და ღიმილი იყო, სოფი. გრძნობისგან დაცლილს, ერთი შიში დამყვება მხოლოდ, დიდხანს არ შემორჩე უშენოდ წუთისოფელს.

*შენი მამიდა ნაირა*

### კოტე მჭედლიძის ხსოვნას



რაოდენ გაუსაძლისია უშენობა, კოტე. 5 დეკემბერს 19 წელი შეგისრულდებოდა. პირველად ვხვდები ამ დღეს, შენი ღიმილის გარეშე. მტკივა უშენობა და ძნელია, რომ სევდიანი თვალებით მხოლოდ სურათებიდან შემომცქერი. შენ მუდამ ჩემი ცხოვრების ტკივილად დარჩები.

*ირმა ჩიტაშვილი*

### რობერტ ოთარის ძე ჯალაღანიას მონატრება



10 დეკემბერს, 40 წელი შეგისრულდებოდა.

ჩვენო რობო, ძალიან გვეცოდები და გვენატრები. უკვე უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. უიმედოდ მომლოდინე

*შენი ოჯახი, გამწარებული დედა, შენი მაია, ოთო, იკუნა.*

უკეთილშობილესო ძმაო, გილოცავთ დაბადების დღეს. შენი მონატრებით ვცხოვრობთ, შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებთ და ღმერთს ვთხოვთ, მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი ლამაზი სული...

*შენზე გულდაწყვეტილი შენი და ია, ძმა გია*

### ალეკო ბერიძეს!



*ისე წავედი წუთისოფლიდან,*
*მე ვერ დავტოვე პატარა შვილი.*
*ზეცად ასული სიკვდილის მერეც –*
*ვერ შეველევით და სიზმრად ვილი...*
*თქვენგან წავედი, გული დაგწყვიტეთ*
*ეს ყველაფერი ღვთისაა ნება,*
*ვთხოვ, მომიტევო და მაპატიო*
*ჩემო ლამაზო, ძვირფასო დედავ!..*

ჩემო ალეკო, ცრემლიანი თვალებით გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული.

*ნინი და ქეთი*

ტკივილით მთავრდება ჩვენთვის წლევანდელი წელი, რომელმაც შენი ტრაგიკულად დაღუპვით ყველას თავზარი დაგვცა.

10 დეკემბერს 23 წლის გახდებოდი. დაბადების დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ. სულ ოთხიოდე თვეა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ ყველას. ძნელია შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ ასე ინება განგებამ. არადა, როგორ გიყვარდა სიცოცხლე. მუდამ მოღიმარს, ხალისიანს, სადღაც მიგეჩქაროდა. ვაი, რომ ჩვენგან მიდიოდი და ყოველი დღე უფრო და უფრო გვაშორებდა ერთმანეთს. ალბათ რაიმეს გრძნობდი, რადგან ყველას სითბოს, სიყვარულს და სიკეთეს გვინაწილებდი, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

გაივლის წლები, შენ კი მუდამ ახალგაზრდა, მხიარული, სიცოცხლით სავსე დარჩები ჩვენს გულებში. უამრავ სანთელს დავანთებთ შენს საფლავზე და ღმერთს შევავედრებთ შენს ლამაზ სულს. ჩვენი სანთლები, ჩვენი ლოცვები გაგინათებს სულეთის გზას.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო ალიკა.

*„მე არ დამინდო ბედმა, იღბალმა, არც ულმობელმა ბედისწერამ,*
*22 წლის კოხტა ვაჟკაცი, ცივ სამარეს ამომაფარა".*

*შენი დეიდაშვილები ელზა და ეკა ლომიძეები*

### მარიამ ლონდაძე-ხარაიშვილის გახსენება



12 წლის წინ დაბადების 60 წელი გაზეთით მოგილოცეთ, მაშინ ბედნიერი რძალ-დედამთილი ვიყავით.

ახლა გარდაცვალებიდან 10 წლის მერე გიხსენებ. ძალიან მატკინეთ გული, მაკლიხართ ძალიან.

*რძალი*

### ვახტანგ ტალახაძის მონატრება



ჩვენო საყვარელო და სათაყვანებელო შვილო ვახტანგ! მოდის, შვილო, შენი დაბადების დღე, მაგრამ საუბედუროდ მოდის გარდაცვალების დღეც. ეს რა ღვთის რისხვა იყოს ჩვენს თავს, რატომ არ დაგიფარა ღმერთმა, შენ ხომ ღმერთს ღვთისას აძლევდი და კეისარს – კეისრისას. გარდაბნის ღვთისმშობლის ტაძრის აშენებაში ხომ შენი წვლილიც ურევია, ხოლო თბილსრესის ბლოკების მუშაობა შენი დამსახურება იყო. შენი გარდაცვალების შემდეგ, სულ ეს კითხვა გვაწუხებს რატომ? რისთვის?... მაგრამ შენმა სიკეთით სავსე გულმა ველარ გაუძლო პირად უბედურებას და სხვების უმადურობას. ძალიან ბევრი, თბილსრესში მოდიოდა გენერალურ დირექტორად. შენი წყალობით ყველა კარგი დირექტორი იყო. შემდეგ გადაბარგდებოდნენ თბილისში, მყუდრო კაბინეტებში. შენ რჩებოდი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, მორიგი კანდიდატურის გამოჩენამდე, ამიტომ შენს თავს სინუსოიდას ქმაზდი და შენმა გულმაც ველარ გაუძლო ასეთ სინუსოიდურ რხევას.

იძინე მშვიდად, ჩვენო შრომით დაღლილო ვაჟკაცო.

*მოხუცი მშობლები*

ჩვენო საყვარელო და საამაყო **ვახტანგ!** გადის წელიწადი შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ ეს წელიწადი კი არა, საუკუნეა ჩვენთვის. ყოველი დღე უშენოდ ძალიან მძიმეა. დღემდე კარისკენ გვაქვს თვალები. გვგონია ჩვეული ღიმილით შემოაღებ კარს, გვიან ღამით, როგორც იცოდი. რა ძალიან ძნელია იმედგაცრუება.

მიუხედავად იმისა, რომ შენი სიკეთე და კეთილკაცობა ყოველდღიურად წინ გვხვდება, ეს მაინც ვერ გვანუგეშებს, ტკივილს უფრო ამძაფრებს. შენ ხომ თავდადებული იყავი შენი საქმისა. მრავალი მიზანი გქონდა ამისთვის, ნიჭი და გამოცდილება არ გაკლდა. არასდროს გიზრუნია პირად კეთილდღეობაზე. შენდა მოულოდნელად ტელევიზიიდან გაიგე, რომ კორუმპირებული „ენერგომამების" სიაში აღმოჩნდი. ამ სიის შემდგენი ვერც კი წარმოიდგენს, რომ მაშინ უიარაღოდ მოგკლეს. ამას დაემატა ჩვენი ოჯახის საშინელი ტრაგედია, ჩვენი გოგონას, ნატოს ტრაგიკული გარდაცვალება. ველარ გაუძლო ამდენ უსამართლობას და ტრაგედიას შენმა სიკეთით სავსე გულმა. ბოლო წუთამდე შენი საქმის ერთგული დარჩი და შენს კაბინეტში დალიე სული.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

გვაკლიხარ და მუდამ გვეყვარები.

*ოჯახი*

### კონსტანტინე (კოტე) ტოტოჩავას მონატრება



მომაკვდინებლად ხანგრძლივი აღმოჩნდა ეს ორმოცი დღე უშენოდ! დარჩა ცრემლი, სულის შემძვრელი და უპასუხოდ დარჩენილი მონატრება, თეთრად გატეხილი გრძელი ღამეები, გამთბარი მზერა ფოტოებიდან. გვენატრები...

სიყვარული ცოდვაზე გაცილებით მძიმე სატარებელი ყოფილა; ტვირთი, რომელსაც სულივით გაუფრთხილდება შენი ნაგრამი, შეგრძნება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება შენი შვილების მეხსიერებას; მძაფრი ტკივილი, რომელიც შეხვედრის უკანასკნელ დღესავით დარჩება შენი მეუღლისა და დების ცნობიერებაში, საშუდამოდ შეუშრალ ცრემლად. შენთან განშორების შავი თარიღი და უმწეობის საოცარი შეგრძნება... თურმე როგორი უსუსურები ვყოფილვართ უშენოდ. ისევ აღვიძებს მოგონებებს მეხსიერებაში ჩარჩენილი ფრაზა და თითქოს ყველა სიტყვა – შენთვის სათქმელი, ცრემლად იღვრება. სამარადისო სამყოფელში ჩვენი სულები ოდესმე მაინც შეხვდებიან ერთმანეთს, მანამდე კი ფიქრებით ვეფერებით ცნობიერებაში აღბეჭდილი შენი სახის თითოეულ ნაკვთს, თბილ ხელებს, რომელთა ანაბეჭდებიც ჯერ კიდევ დარჩა გულის სისხლით გადამელნებულ თითქოსდა ფარატინა ფურცელზე. არადა, ჯერ კიდევ რამდენი რამ დაგრჩა უთქმელი?!

თითქოს მთელ სამყაროს ვებრალებით – უშენოდ დარჩენილები. ყოველდღე ძველებურად გელით და ტკივილამდე გვენატრები. ხანდახან გვეჩვენება, რომ ყველა სიტყვამ ერთბაშად დაკარგა მნიშვნელობა, გახუნდა, გაფერმკრთალდა და ერთადერთი ფრაზაღა დარჩა – შვილიშვილებისთვის ნაჩუქარ საკუთარი წიგნის ყდაზე შემორჩენილი წარწერა: „შენზე მლოცველი ბაბუა კოტე". შენსავით კეთილია ეს დანაპირები, შენსავით მადლიანი და უანგარო. დღეს კი, სწორედ შვილიშვილების ლოცვა გაგინათებს მარადიულ გზას სასუფევლისაკენ.

*ოჯახი*

ბენდელიანების ოჯახი თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს **ლიანას, კობა და ეკა გოგოხიებს** მეუღლის და მამის

**ნუგზარ ხარიტონის ძე გოგოხიას**

გარდაცვალების გამო.



# სულის შურისძიება

დილის თერთმეტ საათზე ნეაპოლის გარეუბნის საპყრობილის ერთადგილიან საკანში მოულოდნელად გარდაიცვალა მკვლელობისთვის მსჯავრდადებული კარლო დოლცეტი.

დოლცეტი ფსიქიკურად და ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელი იყო, მაგრამ სიკვდილის დღეს, დილიდანვე საშინლად აფორიაქებული და შეშინებული ჩანდა, საკანში ბორგავდა, ყვიროდა და საწოლის ქვეშ იმალებოდა.



ექიმმა მას დამამშვიდებელი ნემსი გაუკეთა. ღამით მორიგე ზედამხედველს მოესმა დოლცეტის განწირული ყვირილი და როცა საკნის კარი გააღო, დაინახა, კარლო იატაკზე პირაღმა მკვდარი ეგდო, ფართოდ გახელილ თვალებში აუწერელი შიში ჩაბუდებოდა, სახე დამანჭოდა. საკნის კედელზე სისხლით ეწერა: „შენ საკადრისად მოგეზღო!“ მოგვიანებით გაირკვა, რომ წარწერა კარლოს სისხლით არ იყო დაწერილი. გვამის გაკვეთის შედეგად აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მიზეზი უძლიერესი სტრესი იყო — რას უნდა შეეშინებინა მარტომყოფი პატიმარი?

გამომძიებელმა ანტონიო პეტროსინომ დაიწყო დოლცეტის დოსიეს შესწავლა. მისი ისტორია სიკვდილზე არანაკლებ უცნაური აღმოჩნდა...

ორი წლის წინ ქ. კალვის გარეუბანში იპოვეს ახალგაზრდა ქალის შიშველი გვამი, რომელსაც გული რაღაც წვრილი, ბასრი საგნის დარტყმით ჰქონდა განგმირული. მოკლული აღმოჩნდა კარლო დოლცეტის ცოლი, მარია.

კარლოს წყალგაუვალი ალიბი ჰქონდა — ის მთელი კვირა ანგინით იყო ავად და ლოგინში იწვა. თანაც ყველა ერთხმად აღიარებდა, მარიას და კარლოს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და არასოდეს ჩხუბობდნენო.

დაკრძალვის დღეს კარლო ცხარე ცრემლით ტიროდა და ცოლს ლამის საფლავში ჩაჰყვა. გამოძიებამ მკვლელი ვერ აღმოაჩინა და საქმე დახურა.

წლისთავზე მარიას დედამ, ანა კალდომ ღამით მოულოდნელად გაიღვიძა. დაინახა მისკენ დახრილი ქალის გამჭვირვალე ფიგურა და მოესმა თავისი ქალიშვილის ხმა: „მთელი წელი სამართლიანობას ველოდი. იცოდე, მე ჩემმა ქმარმა მომკლა. ის ავად იყო. შინ მოულოდნელად დავბრუნდი და კარლოს ჩემს მეგობართან, ბლანკა ამაცოსთან ლოგინში შევესწარი. კარლო კისერში მწვდა და სადგისი გულში გამიყარა. შემდეგ ტომარაში ჩამდო, შიგვე ჩააგდო ჩემი გასისხლიანებული კაბა, ქალაქგარეთ გამიტანა, სადაც მეორე დღეს მიპოვეს, ხოლო სადგისი, ტომარა და კაბა სასაფლაოს მახლობლად ჭაში ჩაყარა. ბლანკა დააშინა, შენც მის გზას გაგიყენებ, თუკი ხმას ამოიღებო“.

გაოგნებული ანა გათენებისთანავე პოლიციაში გაიქცა. ინსპექტორმა პაოლო ვერონიმ თავდაპირველად არ დაუჯერა, მაგრამ ქალი ისე იხვეწებოდა, სასაფლაოზე წამყევითო, რომ ხათრი ვერ გაუტეხეს. ჭაში მართლაც აღმოაჩინეს ის საგნები, რაც მარიას სულმა დედას ღამით უთხრა. კარლო დოლცეტი და ბლანკა ღამით დააკავეს, ჩაატარეს საგამოძიებო ექსპერიმენტი ძველ ჭასთან. როცა კარლომ დაინახა, რომ ჭიდან მისი ცოლის კაბა, სადგისი და ტომარა ამოჰქონდათ, მაშინვე ყველაფერი აღიარა.

სასამართლომ კარლო დოლცეტის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. იგი მარიას სიკვდილის ზუსტად წლისთავზე გარდაიცვალა.

ყველა დარწმუნებულია, რომ კარლოს მარიას სული გამოეცხადა და იგი შიშით გარდაიცვალა. ლაბორატორიულად დადგინდა, რომ კედლის წარწერიდან აღებული სისხლისა და მარიას კაბაზე დარჩენილი სისხლის ნიმუშები ერთნაირი შემადგენლობისაა.

***ინტერპოლ-ექსპრესი №34***

# საბედისწერო ალმასი



პარიზის თეატრის სცენაზე ცეკვავდა ცნობილი ბალერინა ლადე. იგი თავად ივან კანიტოვსკის საყვარელი იყო. მოცეკვავის მკერდზე ბრწყინავდა უძვირფასესი გულქანდა ცისფერი ალმასის თვლით. უეცრად ლოჟიდან, სადაც თავადი იჯდა, გაისმა სროლის ხმა და ცნობილი მოცეკვავე უსულოდ დაეცა სცენაზე. მკვლელი მიიმალა.

ორი წლის შემდეგ თავადი კანიტოვსკი ღამით მოკლეს მძარცველებმა.

ევროპაში ეს მუქი ცისფერი ალმასი XVI საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა. იგი 112 კარატს იწონიდა და გოლფის სათამაშო ბურთის ოდენა იყო (ახლანდელზე 3-ჯერ მეტი). ფრანგმა მოგზაურმა ვაჭარმა ჩუმად ამოიღო იგი ინდუსთა ერთ-ერთი ღვთაების შუბლიდან და 1669 წელს ჩამოიტანა პარიზში. ალმასი ისე მოეწონა ლუდოვიკო XIV-ს, რომ იყიდა (დღევანდელი ფასებით — 100 მლნ დოლარად), დაამუშავებინა და გულის ფორმა მიაცემინა. იგი ჯერ თავის ერთ საყვარელს აჩუქა, შემდეგ მეორეს. მალე დაიღუპნენ ლუდოვიკოს შვილი, ძმა, შვილიშვილი და რძალი.

1774 წელს ტახტზე ავიდა ლუდოვიკო XVI. მან ალმასი მეუღლეს, დედოფალ მარია-ანტუანეტას აჩუქა. 1791 წელს, 20 ივნისის ღამეს მეფის ოჯახი შეიპყრეს და ყველას თავები დააყრევინეს.

1812 წელს ცისფერი ალმასი ლონდონში გამოჩნდა. რომ არ ეცნოთ, ქურდმა იგი ხელახლა დაამუშავებინა. უკვე 2,5 სმ-იან ალმასს „ჰოუპი“ უწოდეს.

მისი მომდევნო მფლობელი, ვინმე კოლოტი გაგიჟდა და თავი მოიკლა, თუმც მოასწრო ალმასის გაყიდვა, რომელიც შეიძინა თავადმა კანიტოვსკიმ. მისი სიკვდილის შემდეგ ალმასი იყიდა თურქეთის სულთანმა აბდულ ჰამიდ II-მ. 1909 წელს იგი ჩამოაგდეს და ალმასი იყიდა იუველირმა ჰაბიბმა. რამდენიმე კვირის შემდეგ გემი, რომლითაც იგი ბრუნდებოდა, სინგაპურთან ჩაიძირა.

შემდეგ ალმასი ხელთ ჩაუვარდა ევალინ უოლში მაკლინს, რის შემდეგაც მისი ცხოვრება უარესობისაკენ შეიცვალა: მოუკვდა ძმა, 9 წლის ვაჟი ავტოავარიაში მოყვა, ქმარი გაულოთდა, ერთადერთი ქალიშვილი 1946 წელს ნარკოტიკებს გადაყვა, თავად პნევმონიით გარდაიცვალა. საბედისწერო ალმასი შეინახეს ბანკის სეიფში. 1949 წელს მაკლინის მთელი ძვირფასეულობა შეიძინა ნიუ-იორკელმა იუველირმა ჰარი უინსტონმა და „ჰოუპი“ ვაშინგტონის მუზეუმს აჩუქა. ალმასის გადამტანი ავარიაში მოყვა, გაექცა ცოლი, მალე თვითონაც ავტოავარიაში მოხვდა და დაიმტვრა.

1965 წელს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ულტრაიისფერი სხივების გამოცემის დროს იგი რამდენიმე წუთი წითლად ვარვარებს. მსგავსი რამ სხვა ალმასებს არ მოსდით.

***მირ ნოვოსტეი №45***

# ხატმა ცრემლით მაცნო საფრთხე...

**ქალბატონი მზია შვილმკვდარი დედაა და მისთვის არ იყო ადვილი ჩვენთან საუბარი, მაგრამ მაინც არ გვითხრა უარი:**



— ხატი ცოცხალია, სულიერი და მინდა ამაზე დაფიქრდეს ყველა. როცა ამას ვამბობ ხოლმე, მისმენენ, მაგრამ ბევრს არ სჯერა, მათ თვალებში ვგრძნობ და ვკითხულობ ურწმუნოებას. მიდიან ხატებთან, სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ, სთხოვენ და ალბათ იმედიც აქვთ, მაგრამ... სამწუხაროდ, ეჭვიც. ხატებს კი ესმით ჩვენი, ფიქრებსაც კითხულობენ, ჩვენს განწყობაზე ცდილობენ გავლენის მოხდენას. როცა ავი ფიქრი გვიმღვრევს სულს, ცდილობენ ეშმაკისგან გვიხსნან, შურისძიება გადაგვაფიქრებინონ, მტერიც შეგვაცოდონ. ხატს მორიდება სჭირდება, მის წინ ხმამაღალი ლაპარაკიც დაუშვებელია, თორემ ბილწსიტყვაობა და ჯიბრიანი კამათი ხომ უფლის შეურაცხყოფაა, რაც არ ეკადრება ადამიანს, მართლმადიდებელს...

მე ყოველთვის მქონდა უფლის რიდი და შიში, მაგრამ ეკლესიაშიც შემთხვევიდან შემთხვევამდე დავდიოდი, არც ლოცვები ვიცოდი. როცა ბევრმა ჩემმა ახლობელმა ხატები შეიძინა და შინ მოიწყო სამლოცველო კუთხეები, მე არც მათი მიბაძვა მიფიქრია.

საკუთარი ხელით ნაქარგი წმინდა გიორგის ხატი ჩემს ვაჟს აჩუქა დაბადების დღეზე შეყვარებულმა. რატომ მაინცდამაინც ეს ხატი აირჩია, არ გაგვკვირვებია, რადგან 23 ნოემბერს, გიორგობას იყო დაბადებული ჩემი შვილი და სახელადაც გიორგი ერქვა წმინდანის პატივსაცემად.

1997 წლის გიორგობა დღეს 23 წელი შეუსრულდა გიორგის და თავისი რჩეულიც მაშინ მოიყვანა პირველად, გაგვაცნო. კარგი გოგონა იყო თამუნა. დავლოცეთ ახალგაზრდები. შეუღლება ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტეს, რადგან თამუნა სხვა ქალაქში სწავლობდა და ცხოვრობდა. გიორგი მეგობრებთან ერთად ბიზნესს ეწეოდა. 23 ნოემბერს გიორგობა და მისი დაბადების დღე აღვნიშნეთ. 30-ში გიორგიმ თამუნა გააცილა, შინ მოწყენილი დაბრუნდა — არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო მის გარეშე თუ ყოველდღე არ ვნახეო! თავის საძინებელში შევიდა და უცებ შეშფოთებული ხმით დამიძახა: „დედა მოდიო!..“

შევედი და ჩარჩოში ჩასმულ ხატზე მიმითითა — ეს რა არისო. შევხედე — წმინდა გიორგის თვალთაგან თითქოს ცრემლი გადმოსვლოდა, მინას სამი სველი ზოლი მიჰყვებოდა ...

მაშინ არ გამეგონა, თუ ხატს „ტირილი“ შეეძლო. შვილს ვერაფერი ვუთხარი. ავიღეთ ხატი და წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში წავაბრძანეთ, მოძღვარს ვაჩვენეთ. პირჯვარი გადაიწერა: ხატი ატირებულა, ღმერთმა ქმნას, კარგი ამბავი გამცნოთო!.. ამიხსნა, რასაც მოასწავებდა ხოლმე ხატის ატირება საუკუნეების განმავლობაში. ხატი ეკლესიაში დააბრძანა და მხოლოდ ორი თვის შემდეგღა წამოვაბრძანეთ შინ...

ხატის აცრემლება მართლაც არ ყოფილა შემთხვევითი: საღამოს შეგვატყობინეს, რომ სამარშრუტო ტაქსი, რომლითაც თამუნა გაემგზავრა, კლდეს შეეჯახა და ორი მგზავრი, მათ შორის ჩემი შვილის საყვარელი გოგონა, იქვე დაიღუპნენ!..

ჩემი საბრალო შვილი ყოველდღე დადიოდა თამუნას საფლავზე, ყველაფრის ინტერესი დაკარგა.

გავიდა ერთი წელი. როგორღაც აიძულა თავი და მუშაობაც დაიწყო, მეგობრებშიც გაერია, მაგრამ ოჯახის შექმნას ვერ უხსენებდი. თამუნას ნაჩუქარი წმინდა გიორგის ხატი თავის ოთახში ედო და ყოველ საღამოს სანთელს ანთებდა მის წინ, ლოცულობდა.

...ხატს კი თამუნას დასაფლავებიდან მეორმოცე დღეს შეაშრა „ცრემლი“ და აღარ გადმოსდენია 2001 წლის 30 ნოემბრამდე — თამუნას გარდაცვალების მე-4 წლისთავამდე.

ამ დღეს ჩემი გიორგი დაიღუპა...

საზღვარგარეთ იყო წასული სამუშაო მასალის ჩამოსატანად. ორი დიდი „კამაზი“ ჰყავდა წაყვანილი, თავად საკუთარი „ჯიპით“ იყო მეგობართან ერთად. დაფიცებული ჰქონდა, სანამ ვიცოცხლებ, ყოველ 30 ნოემბერს თამუნას საფლავზე უნდა ვიყოო. თურმე ვერ ასწრებდა საქმის გაკეთებას, ამიტომ იმ „კამაზებთან“ მეგობარი დაუტოვებია და თავად ღამით წამოსულა მარტო, საკმაოდ სახიფათო გზით!

...30 ნოემბრის დილით რომ დამირეკეს, მზია დეიდა, გიორგის ავარია მოუვიდა, გამოგივლით და საავადმყოფოში წაგიყვანთო. პირველი, რაც მოვიფიქრე, შევვარდი მის საძინებელში, მუხლებზე დავვარდი ხატის წინ და ის იყო, ლოცვა დავაპირე, რომ სიტყვები პირზე შემაცვიდა: ხატი ისე იცრემლებოდა, როგორც ოთხი წლის წინ.

ვიკივლე და გული წამივიდა, მივხვდი, რომ შვილს ცოცხალს ვერ ვნახავდი...

ჩემს გიორგის გულის ჯიბეში თამუნას სურათი ედო. უკანა მხარეს ეწერა: „მიყვარხარ და კვლავ შენთან შეხვედრის მოლოდინით ვცოცხლობ“...

გიორგი თამუნას გვერდით დავასაფლავეთ...

მისი გარდაცვალების მეორმოცე დღეს ისევ შეაშრა ხატს „ცრემლი“...

ეჭვიც არ მეპარება, თუ როდისმე ისევ აცრემლდა, ტკივილი და თანაგრძნობა ააცრემლებს და კარგს არაფერს უნდა ველოდეთ!..“

**...სულგანაბული ვუსმენდი ქალბატონ მზიას და თავში ბიბლიური სიბრძნე მიტრიალებდა: ვისაც ყურნი გესხნეს, ისმინეთ...**

***ინგა ჯაყელი***

## „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. 1) — ბ); 2) — ა);
3) — დ); 4) — გ).

II. აბა გამოიცანი
1) — გ); 2) — ა); 3) — ბ);
4) — დ); 5) — დ); 6) — ა).

III. რებუსი
გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია.

IV. მაუგლი.

# საფრთხე, რომლის აცილებაც შესაძლებელია

გინეკოლოგიური პათოლოგიებიდან, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მცირე მენჯის ორგანოების ანთებით დაავადებებს უკავია, ვინაიდან ხშირად დაავადება ფარული ფორმით მიმდინარეობს. უმნიშვნელო ტკივილები საკვერცხეებისა და წელის არეში, მცირე გამონადენი არ იწვევს შეშფოთებას, თუმცა მათგან გამოწვეული ზიანი მეტად საშიშია ქალის ორგანიზმისათვის.

ანთებითი დაავადების წინაპირობა ინფექციაა: ბანალური (სოკო, ჩხირი) ან სპეციფიკური (ვენერიული), მაგრამ საღდეისოდ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქლამიდიოზი, დაავადება, რომელიც 1997 წ-დან დღემდე, ინფექციების საერთო რიცხვის 68%-ს შეადგენს. ასეთი დიდი პროცენტულობის მიზეზი დაავადების არასწორი ან დაგვიანებული გამოვლენა და დიაგნოსტიკაა. ქლამიდიები ორგანიზმში მძიმე პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევენ, რის შედეგადაც ხშირია უნაყოფობა, თვითნებური აბორტი ფეხმძიმობის ადრეულ ეტაპზე, ნაყოფის თანდაყოლილი სიმახინჯეები, ნაადრევი მშობიარობა და სხვა.

ამგვარი უმძიმესი შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელია დაავადების დროული გამოვლენის გზით. ამიტომ, ყოველი ქალისათვის მიზანშეწონილია, წელიწადში თუნდაც ერთხელ, გამოკვლევის ჩატარება პათოლოგიის გამოვლენის მიზნით. ეს თავიდან აგაცილებთ ისეთ გართულებებს, როგორიცაა ენდომეტრია, ადნექსიტი, პარამეტრია და სხვა.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი" შემუშავებულია მცირე მენჯის ანთებითი დაავადებების მკურნალობის კომპლექსური მეთოდი. აქ გამოიყენება უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიები, მათ შორის ლაზერომაგნიტური, კვანტური, ულტრაბგერითი. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველი პაციენტისთვის ქმნიან მედიკამენტოზური თერაპიისა და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის ინდივიდუალურ სქემას.

ქალი, რომელიც არ ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე, საფრთხეს უქმნის არა მარტო თავის უპირველეს დანიშნულებას – დედობას, არამედ საკუთარ გარეგნობასა და სილამაზეს, ვინაიდან ხშირად ისეთი პრობლემების მიზეზად, როგორიცაა ჭარბთმიანობა, ხმის ტემბრის შეცვლა, სიმსუქნე, ნაადრევი დაბერება, სწორედ გინეკოლოგიური დაავადებები გვევლინება.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი" გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური პრეპარატები ისრაელიდან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მკურნალობის დადებით შედეგებს.

ამგვარი კომპლექსური თერაპია პირველ რიგში მიმართულია დასუსტებული იმუნური სისტემის გაძლიერებისაკენ. ორგანიზმისათვის შესაძლებელი ხდება საკუთარი რესურსების მობილიზაცია და ინფექციასთან ბრძოლა მაქსიმალურად ეფექტურია.

ადამიანის ორგანიზმი სათუთი და ურთულესი მექანიზმია. ხშირად, თითქოსდა სულ უმნიშვნელო ნაწილის წყობიდან გამოსვლა შეუქცევადი პროცესის დასაწყისად იქცევა. პრაქტიკულად, ჯანმრთელობა ჩვენი უძვირფასესი მონაპოვარი და უდიდესი სიმდიდრეა, რომელსაც მუდმივად სჭირდება მოვლა და გაფრთხილება.

სამედიცინო ცენტრი
**„ექიმი გილი"**
ტ: 29-05-25 25-27-09
ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

# გაქურდეს პრინცესა დაიანას დედა



პრინცესა დაიანას დედა, ფრენსის შენდ კიდლი, მეუღლესთან გაყრის შემდეგ, თითქმის 30 წელია, დასავლეთ შოტლანდიაში, არგაიდის საგრაფოში ცხოვრობს. მისი ოთხოთახიანი სახლი სოფლის განაპირას, პატარა ბორცვზე დგას. იგი იშვიათად ტოვებდა სახლს. უკანასკნელად შინიდან გავიდა ლონდონში, დაიანას ყოფილი მსახურთუხუცესის პოლ ბარელის სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად. ცნობილია, რომ ბარელს ჰბრალდებოდა პრინცესას ძვირფასეულობის მოპარვა.

ბოროტმოქმედებმა უთუოდ იცოდნენ, რომ სახლის პატრონი წასული იყო. იოლად გაალეს შესასვლელი კარი, გათიშეს სიგნალიზაცია და ტელეფონები, გულდაგულ გაჩხრიკეს ყველა ოთახი და მთელი ძვირფასეულობა წაიღეს. სამწუხაროდ, ნივთები დაზღვეული არ იყო. მისის კიდლმა თხოვნით მიმართა ქურდებს, დაებრუნებინათ მისთვის ერთი ყელსაბამი და ორი გულის ქინძისთავი, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია მისთვის. პასუხი, რა თქმა უნდა, არ არის. პრინცესას დედას კი ლონდონში ჩასვლა მოუხდა პოლ ბარელის გახმაურებულ სასამართლოზე, რომელიც სენსაციური შედეგით დამთავრდა — ბარელი უდანაშაულოდ ცნეს დედოფალ ელისაბედის დახმარებით, რომელმაც დაადასტურა, რომ დაიანამ თავისი ძვირფასეულობა შესანახად ჩააბარა პოლ ბარელს. დედოფალმა აშკარა ციხისგან იხსნა ბარელი.

*მირ ნოვოსტეი №46*

# ხორცშესხმული ოცნება



ახლახან პლასტიკურმა ქირურგმა როჯერ ჰოურიმ ქალის მკერდის გასადიდებელი ვაკუუმური მოწყობილობა შექმნა. საქმე ის გახლავთ, რომ როჯერ ჰოური თურმე ბავშვობიდანვე ოცნებობდა ფუმფულამკერდიან ქალზე. მისდა საუბედუროდ კი მთელი სიცოცხლე სულ გალეული ქალები ხვდებოდა — დიდმკერდიანი ქალბატონები რატომღაც სულ გვერდს უვლიდნენ ხოლმე. ამიტომ სასოწარკვეთილმა ექიმმა გადაწყვიტა ბუნების წყალობისთვის აღარ დაეცადა და თვითონ შეექმნა აფროდიტე.

მისი ვაკუუმური მოწყობილობა ქმნის წნევას, რომელიც უჯრედების ზრდას უწყობს ხელს. მკერდი იწყებს ზრდას, იზრდება, იზრდება... ერთი სიტყვით, აღარ ჩერდება. ამ სიკეთისთვის კი ქალებმა მოწყობილობა დღეღამეში 10 სთ-ის მანძილზე მაინც უნდა ატარონ. იმავდროულად, ექიმი გვაფრთხილებს, რომ თუკი ვინმე ერთხელ ამ გზით გაიდიდებს მკერდს, მისი დაპატარავების იმედი ნუღარ ექნება.

*ვოტ ტაკ! №47*

# კოვბოი, მუსტანგი და... სკიპიდარი



ტეხასელი ცნობილი კოვბოი კლარკ რაინსი ამას წინათ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა — ნაცვლად იმისა, ცხენზე ყოფილიყო ამხედრებული, მის ქვეშ აღმოჩნდა. ყოველივე კი ერთ-ერთ, მორიგ როდეოზე მოხდა. კლარკმა საგანგებოდ ამოარჩია ყველაზე ჭირვეული მუსტანგი და გადაწყვიტა მაყურებლისთვის, რომ იტყვიან, კლასი ეჩვენებინა. უნაგირზე მოკალათდა და არენაზე გასასვლელად მოემზადა. სწორედ ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ცხენი ყალყზე შედგა, მაღლა შეხტა, ჰაერში დატრიალდა და... ზურგზე დაეცა. მაყურებელმა ამოიგმინა — მხედრის ბედი აწუხებდათ, რომელიც ცხენმა ქვემოთ მოიქცია. საბედნიეროდ, კოვბოი მსუბუქად გაიჭყლიტა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოჩაღად და ცქაფად გამოძვრა ცხენის ქვემოდან. ვეტერინარებმა მაშინვე გასინჯეს ცხენი და რა აღმოაჩინეს? — კუდის ქვემოთ სკიპიდარი ამოუსვია ვიღაც ოხუნჯს მისთვის — ჩანს, მას მხედრის სასტიკად დაცინვა და გატრიზავება სურდა. თუმცა კოვბოიმ სხვა ცხენით მაინც დაუმტკიცა მას და მაყურებელსაც, რომ როდეოს ნამდვილი ოსტატია. პუბლიკამ დიდი ტრიუმფით გააცილა იგი. დაზარალებული მუსტანგი კი შემდეგ როდეომდე თავის რემაში გააგზავნეს მწვანე ბალახის საწიწკნად და სულის მოსათქმელად.

*პრიროდა №10*

# არქიტექტურული ჰიმნი — პროგრესს



ავსტრალიის შტატის, ახალი სამხრეთ უელსის მთავრობა განიხილავს უნიკალურ პროექტს — დაგეგმილია კილომეტრიანი საცხოვრებელი კოშკის აშენება. ამ უნიკალური პროექტების შემქმნელები მას ამაყად უწოდებენ „თანამედროვე ტექნოლოგიისა და დიზაინის ჰიმნს“ და ირწმუნებიან, რომ იგი კომფორტულობისა და ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებლის ნიმუში იქნება.

შენობას მთელ პერიმეტრზე გაჰყვება მზის ბატარეები. მათგან გამთბარი ჰაერი ტურბინებს დაატრიალებს და 200.000 ბინას ელექტროენერგიით უზრუნველყოფს. მშენებლობას 450 მლნ ამერიკული დოლარი მოხმარდება. მომავლის კოშკისთვის უკვე შერჩეულია ადგილი და განსაზღვრულია ვადაც — 34 თვე. „პროგრესის არქიტექტურული ჰიმნი“ მსოფლიოში ყველაზე მაღალი იქნება. მანამდე კი რეკორდსმენად 452-მეტრიან კოშკს, „პეტრინას ტაუერს“ მიიჩნევენ.

*ეხო პლანეტი №46*

# თანამედროვე მშობლებს — ორიანი

ამერიკული ოჯახების უმეტესობას მიაჩნია, რომ მათ თაობას ყოფაქცევაში სამიანი ან სულაც ორიანი ეკუთვნის. ამას ცხადყოფს საერთო-ეროვნული გამოკითხვის შედეგებიც.

თითქმის ყველა მშობელმა იცის, როგორ უნდა გაზარდოს შვილი და სხაპასხუპით ჩამოგითვლიან იმ ძირითად ღირებულებებსა და თვისებებს, რომლებიც შვილებს უნდა ჩაუნერგონ და შეაყვარონ. ყოველივე ამის პრაქტიკულად გამოყენება კი უმრავლესობას ავიწყდება. მაგ. რესპონდენტთა 83% დარწმუნებულია, რომ შვილს თვითკონტროლისა და თვითდისციპლინის ჩვევა უნდა განუვითაროს. ამ საქმეში სულ 34%-ს მიუღწევია წარმატებისთვის. მშობლების 91% უპირველეს ამოცანად წესიერი ბავშვის გაზრდას ისახავს. მხოლოდ 55%-მა შეძლო ამის რეალურად განხორციელება.

თვითკრიტიკის აპოთეოზი გახლდათ საყოველთაო აღიარება — თანამედროვე მშობლები ბავშვის აღზრდას გაცილებით ცუდად ართმევენ თავს, ვიდრე მათივე მშობლები.

*ნიუ ზუიქი*

# ხულიგნებს — ყვითელი ბარათი!

„ბრიტიშ ეირუეზმა“ მსოფლიოში პირველმა ავიაკომპანიამ ფეხბურთისგან საჯარიმო ბარათები ისესხა ხულიგან-მგზავრებთან საბრძოლველად. ახლა ყვითელ ბარათებს უჩვენებენ იმ მგზავრებს, რომლებიც ფრენისას ცუდად მოიქცევიან — ვთქვათ, აგრესიულად მოეპყრობიან კომპანიის თანამშრომლებს. გაფრთხილება ნიშნავს, რომ ხულიგნის შემდგომ გამოხდომებს ბილეთის ანულირება ან პოლიციაში საქმის განხილვა მოჰყვება.

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, აეროპორტებსა და თვითმფრინავების ბორტებზე შემაშფოთებლად მატულობს არაორდინარული შემთხვევები. თანამშრომლებს თითქმის ყოველდღე უხდებათ უხეში კლიენტების მოგერიება. განსაკუთრებით ამ მხრივ სტიუარდესები არიან დაჩაგრულები — თვეში ერთხელ მაინც ინციდენტები ხელჩართულ მუშტი-კრივში გადაიზრდება ხოლმე.

*სტარი*

# გინესს ახალი რეკორდსმენი ჰყავს



გინესის რეკორდების წიგნს კიდევ ერთი მიღწევა შეემატა — ავსტრალიელმა ჯო დოდმა 1001 ცხვარი, რომ იტყვიან, ნულზე გადაპარსა.

რეკორდის მოსაპოვებელი ბრძოლა 37,5 სთ-ის მანძილზე მიმდინარეობდა. მას ადგილობრივი გულშემატკივრები ამხნევებდნენ — ლუდის ზღვა შეისვა. 24 საათის მანძილზე 659 ცხვარი გაკრიჭა, ნაციონალური მიღწევაც მოხსნა და საგინესო რეკორდისთვის ბრძოლას შეუდგა. ვირტუოზულად „ხდიდა“ საპარსით ძვირფასმატყლიან მერინოსებს და არენიდან მატყლის მთების გატანას ვეღარ აუდიოდნენ არბიტრები.

ბოლოს და ბოლოს, 1001 ცხვარი რომ გააშიშვლა, ქანცგაწყვეტილი და წარმატებისგან გულშეღონებული გულშემატკივრების მკლავებში მიესვენა.

*გარდიანი*

# გვირგვინი ვეღარ დაიდგა...



მაროკოელმა ანას ჟაზულიმ, რომელსაც ნაციონალური სილამაზის კონკურსში, სახელწოდებით „ატლასის მთების ქურციკი“, გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა, „მის მაროკო — 2002“-ის გვირგვინი ვეღარ დაიდგა. ფინალის წინ საბრალო გატეხილი ყბით საავადმყოფოში მოხვდა. „ანტირელიგიურ გამოფენაში“ დის მონაწილეობაზე პროტესტი მუშტებით გამოხატა ძმამ. თუმცა კონკურსს ხმაურიანი რეკლამა არ ჰქონია, რათა თანამემამულეთა რელიგიური გრძნობები არ შეურაცხეყოთ, საკონკურსო განაცხადი მაინც შეიტანა 14.000-მა ქალიშვილმა. ფინალამდე 22-მა მიაღწია. გამარჯვება ერგო ქალაქ ფესის, ქვეყნის სასულიერო დედაქალაქის მკვიდრს 18 წლის დოჟა ლაჰლუს, მაგრამ რად გინდათ — მანაც ვერ გამოამზეურა თავისი სილამაზე სრულყოფილად. შოუს ორგანიზატორებმა, ისლამისტების პატივისცემის გამო, უარი თქვეს დეფილეზე და ლამაზმანები საცურაო კოსტიუმების ნაცვლად, ტრადიციული კოსტიუმებით დასეირნობდნენ პოდიუმზე.

*ვოკრუგ სვეტა №46*

# საჭურისები გაითიცნენ

ინდოელი საჭურისები — ხიჯრები, ისტორიულად ცალკე კასტად ჩამოყალიბდნენ და საზოგადოებაშიც განსაზღვრული როლი ეკისრებათ. ინდოეთში არც ერთი ტრადიციული ქორწილი მათ გარეშე არ ტარდება. მიიჩნევა, რომ ხიჯრა მათ ბოროტი სულებისგან დაიცავს. ახალშობილიც ხიჯრამ უნდა განბანოს, თუკი უნდათ, რომ ბავშვი ბედნიერი და იღბლიანი გაიზარდოს.

ვინაიდან ხიჯრები არც ქალები არიან და არც კაცები, მათ სამოქალაქო უფლებებიც არ გააჩნიათ.

ხიჯრებს ცოტა ხნის წინ კი აუკრძალეს ქალებისთვის განკუთვნილი მატარებლის ვაგონით მგზავრობა. ამის გამო მათ მიტინგი მოაწყვეს კალკუტა-დელის სარკინიგზო ხაზზე და მოითხოვდნენ, რომ მათთვის ქალებთან ერთად მგზავრობის ნება დაერთოთ.

*ინტერპოლ-ექსპრესი №43*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფრანგი პოეტის ალფონს ლამარტინის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

დ ა ი ს ვ ე ნ ე თ ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ

უ ა ა ი ა ე ო ნ ე თ ი ს ი რ რ გ ტ ი ე ო

**დ.** საჯარო კამათი; **ა.** რა ერქვა ბადრისა და უსუპის უმცროს ძმას; **ი.** უმცროსი მატროსი; **ს.** ნაცარქექიას „ცივი“ იარაღი; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1933 წლებში; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **ე.** სექტემბრის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ჩ.** კომპასის სამშობლო; **ვ.** რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა შერლოკ ჰოლმსი; **ე.** რა ერქვა ჰემინგუეის; **ნ.** ფრენსის ფორდ კოპოლას ცნობილი ფილმი მარლონ ბრანდოსა და ალ პაჩინოს მონაწილეობით; **თ.** დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სპექტაკლის დადგმას; **ა.** თურქეთის დედაქალაქი; **ნ.** ქართული იუმორისტული ჟურნალი; **ე.** რა ერქვა მწერალ ნინოშვილს (ინგოროყვას); **რ.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **თ.** მიწაში ჩადგმული, გამომწვარი თიხის უძირო ღუმელი, რომელშიც პურს აცხობენ; **ა.** შუააზიელი ფილოსოფოსის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; **დ.** საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

ჩ. ჩაუჩაუ; **ვ.** ვიკონტი; **ე.** ეტაპი; **ნ.** ნინუა; **თ.** თიანეთი; **ა.** არსენა; **ნ.** ნეკნი; **ე.** ერნესტი; **რ.** რეესტრი; **თ.** თილისმა; **ა.** ალიონი; **დ.** დათვი; **ა.** ანანასი; **რ.** რევანში; **მ.** მუშტარი; **ო.** ოფელია; **ი.** იოსები; **წ.** წყალობა; **ყ.** ყიფშიძე; **ე.** ელარჯი; **ნ.** ნირვანა; **თ.** თხილი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება:: უკანასკნელი თავშესაფარი.**

CMYK

# ავტოსალონი

## Renault Megane II წლის ავტომობილად დასახელდა



ახლახან წლის ავტომობილის გამოსავლენად გამართული ტრადიციული კონკურს-გამოკითხვის შედეგები გამოცხადდა. წელს, უკვე მეორმოცედ, ევროპის 22 ქვეყნის 58-მა ჟურნალისტმა 30 ახალგამოსული ავტომობილიდან საუკეთესო დაასახელა. შესარჩევ კრიტერიუმებში, პირველ რიგში უსაფრთხოების ზომები, შემდეგ კი კომფორტი, ეკონომიურობა და მანევრირება იყო ჩამოთვლილი. ყველაზე მეტი, 322 ქულა წელს მეორე თაობის „რენო მეგანმა“ მოაგროვა, მეორე ადგილზე Mazda 6 გავიდა (302 ქულა), მესამე ადგილი კი Citroen C3-ს ხვდა წილად (214 ქულა). აღსანიშნავია, რომ ფრანგულმა კორპორაცია „რენომ“ წლის ავტომობილის გამოსავლენ კონკურსში უკვე მეხუთედ მოიპოვა გამარჯვება. პირველად, ჯერ კიდევ 1966 წელს, საუკეთესოდ მისი მოდელი Renault 16 დასახელდა, რასაც 1985 წელს „რენო 9“-ის გამარჯვება მოჰყვა. 90-იან წლებში წარმატება „რენოს“ ორმა მოდელმა მოიპოვა — 1991 წელს პოპულარულმა ჰეტჩბეკმა Clio-მ და 1997 წელს — კომპაქტვენმა Megane Scenic-მა.

## BMW-ს მართვის ახალი სისტემა



მსოფლიოს ავტომშენებლობის გიგანტებს კონკურენცია აიძულებთ, არნახული ტემპებით განავითარონ ტექნოლოგიები და მომხმარებლებს კონკურენტის საპასუხოდ, ალტერნატიული ნოვაცია შესთავაზონ. ამჯერად მომხმარებლის გაოცებას ბავარიელი ავტომშენებლები შეეცადნენ და არცთუ წარუმატებლად. მათ მიერ შექმნილი ორივე კომპიუტერული სისტემა მანქანის მართვას ერთიათად აიოლებს და, რაც მთავარია, მას ბევრად უფრო კომფორტულსაც ხდის. საქმე ის არის, რომ საავტომობილო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იზრდება მათი მართვის მექანიზმებიც. თუ პირველ ავტომობილებს მხოლოდ საჭე და სიჩქარეების ბერკეტი ჰქონდათ, თანამედროვე ავტომობილს კომფორტის, უსაფრთხოების, კომუნიკაციებისა და მანევრირების სამართავად ასამდე ღილაკი, ბერკეტი, სენსორი და მონიტორული ხელსაწყო სჭირდება. კორპორაცია BMW-ს საკონსტრუქტორო ბიურომ საკმაოდ მარტივი გამოსავალი გამონახა. მან მართვის სისტემები სამ ნაწილად დაყო და მძღოლთან შესაბამისობაში განალაგა. პირველ დონეზე, ანუ ყველაზე ახლოს ის ხელსაწყოები განლაგდა, რომლებიც ასე თუ ისე, აქტიურ გავლენას ახდენენ მანქანის მართვაზე, მეორე დონეზე ხშირად გამოყენებადი საბაზო ფუნქციები განაწილდა (მაშუქები, სარკეები, მინების ელექტროამწევი და ა.შ.), მესამე დონეზე კი — კომფორტისა და კომუნიკაციის საშუალებები. აღსანიშნავია, რომ სამივე დონე სამართავად თავის მხრივ, რამდენიმე ნაწილად იყოფა. არის ხელსაწყოები, რომელთა სამართავად მექანიკური კონტაქტი, ხელის შეხებაა საჭირო და ხელსაწყოები, რომლებიც ხმით იმართება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კომფორტისა და კომუნიკაციების განყოფილებებიც. მომავალი წლიდან გამოსულ მე-5 და მე-7 სერიის BMW-ებს სერვისული სისტემა BMW Assist -ი მოემსახურება. იგი გულისხმობს ინტერნეტს, მიკროკლიმატს, სატელიტურ კავშირს, აუდიო და ვიდეოსისტემებს. სურვილის შემთხვევაში, მძღოლს თავისი ავტომობილი ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით 200-300 მეტრის სიმაღლიდანაც კი შეუძლია დაინახოს.

## კონკურენტების რისხვა — Audi TT



მომავალი წლიდან გაყიდვაში AUDI TT-ის ორი განახლებული ვარიანტი გამოვა. როდესაც აღნიშნული მოდელი პირველად გამოვიდა ავტობაზარზე, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან უცხო და დახვეწილი დიზაინის ავტომობილმა თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. სპორტული და იმავე დროს ექსტრავაგანტური კუპე მდიდარ და პრესტიჟულ ავტომოყვარულებსა და სტუდენტებს ერთნაირად მოსწონდათ. სამწუხაროდ, TT-ის მაგალითზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს“. როგორც აღმოჩნდა, დიზაინმა ავტომობილის აეროდინამიკა იმსხვერპლა და ავტომობილის ექსპლუატაციაში შესვლიდან უმოკლეს ხანში გახშირდა კატასტროფები. „აუდი TT“-ის სუსტი წერტილი მოსახვევში მაღალი სიჩქარით შესვლა და ასევე დაღმართზე მანევრირება იყო. თუმცა, კორპორაცია „აუდიმ“ იმდენი მოახერხა, რომ მოდელის დახვეწაზე ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, მისი აეროდინამიკური მაჩვენებლებიც გამოსწორდა და პრესტიჟიც. მომავალი წლიდან კი „აუდი TT“ სილამაზის და სისწრაფის მოყვარულთა წინაშე მორიგი სიახლეებით წარდგება. კომპანიის მენეჯერებმა ამ შემთხვევაში საზოგადოების ორივე ნაწილზე იზრუნეს — მათ, ვისაც უბრალოდ, დახვეწილი დიზაინის TT მოსწონთ და ეკონომიური მანქანაც სურთ ჰყავდეთ, 150 ცხ. სიმძლავრის, 1,8 ლ მოცულობისძრავიანი მოდელი შეუძლიათ შეიძინონ. რაც შეეხება სისწრაფის მოყვარულთ, აქ საქმე ბევრად უფრო სერიოზულად არის: გარდა იმისა, რომ ჩქაროსნულ მოდელს 250ცხ.ძ სიმძლავრის, 3,2 ლ მოცულობის ძრავა ექნება, „კვატრო“ სისტემით იმუშავებს (გაწევა ოთხივე თვალზე). ავტომობილი სპეციალური, სპორტულ გადაცემათა კოლოფითაც აღიჭურვება. დღემდე ეს საკმაოდ რთული აგრეგატი მხოლოდ სარბოლო ავტომობილებზე გამოიყენებოდა. საუბარია სინქრონიზებულ, ორმაგ გადაცემათა კოლოფზე, რომელშიც გადაცემათა საფეხურები ლუწებად და კენტებად იყოფა. როდესაც ავტომობილი პირველი სიჩქარით მოძრაობს, ძრავის ბრუნვათა რიცხვი მეორე საფეხურსაც გადაეცემა, ოღონდ მისი „კუთვნილი“ დოლის ნახევარი ბორბალს მოშორებულია. მეორე სიჩქარეში გადართვისთანავე ბორბალს „კენტი“ საფეხურის დოლი ეთიშება და ლუწი ენაცვლება. შესაბამისად, მოძრაობაში მოდის მესამე სიჩქარე და თავის რიგს ელის, რათა ესტაფეტა მეოთხეს გადასცეს. ამგვარად, ავტომობილის სისწრაფე კოლოსალურად ვითარდება, რადგან სიჩქარეებს შორის გადაცემაზე პრაქტიკულად, დრო არც იხარჯება.

## დიდი ბრიტანეთის შუქნიშნები სიჩქარესაც დააფიქსირებენ

დღესდღეობით დიდი ბრიტანეთის გზაჯვარედინებზე განთავსებული შუქნიშნების უმრავლესობა სპეციალური სენსორით არის აღჭურვილი, რომელიც წითელ შუქზე გასული მანქანის ნომრებს აფიქსირებს და ცენტრალურ საბაზო კომპიუტერს გადასცემს. კომპიუტერი, თავის მხრივ, ავტომატურად „წერს“ ჯარიმის ქვითარს დამრღვევი მძღოლის მისამართზე და ერთ ასლს ქალაქის ფოსტამტში გზავნის, მეორეს — ქალაქის პოლიციაში, რათა ჯარიმის გადახდა გადამოწმდეს. ძალიან მალე ბრიტანულ შუქნიშნებს კიდევ ერთი „დავალება“ მიეცემათ — დამატებითი სენსორი გზაზე გავლილი ავტომობილის სიჩქარესაც დააფიქსირებს. თუ იგი დასაშვებ ზღვარს მხოლოდ რამდენიმე პუნქტით სცდება, სიგნალს ჯარიმის ქვითარზე გზავნის. სახიფათოდ მაღალი სისწრაფის დაფიქსირებაზე კი პოლიციას განგაშის ნიშანს აძლევს.

## სიახლე „ტოიოტასგან“



კომპანია „ტოიოტამ“ საზოგადოებას საშუალო კლასის ახალი თაობის მოდელი Avensis-ი წარუდგინა. გარეგნულად იგი წლის დასაწყისში გამოსულ და საკმაოდ პოპულარულ „კოროლას“ წააგავს. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ორივე მოდელი ერთი და იმავე ევროპული დიზაინ-სტუდიის შექმნილია. „წინაპართან“ შედარებით, Avensis-ი უფრო დიდი გაბარიტების იქნება. რაც შეეხება ძრავას, კომპანია მყიდველებს სამი ბენზინის (1,6ლ; 1,8ლ; 2,0ლ) და ერთი დიზელის საწვავის აგრეგატს სთავაზობს.

## Toyota-Peugeot-ი ჩეხეთში ავტოქარხანასააშენებს

„ტოიოტას“ და „პეჟოს“ საავტომობილო გაერთიანება ჩეხეთში მცირე მოცულობის ეკონომიური ავტომობილის წარმოებას გეგმავს. კორპორაციული გაერთიანების განცხადებით, ავტოქარხნის ასაშენებლად 1,3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. ახალი ავტომობილი, სავარაუდოდ, „სმარტს“, „ფორტდ კას“ და „ფოლკსვაგენ ოლოს“ გაუწევს კონკურენციას. ქარხნის ასაშენებლად გერმანიის საზღვართან ასიოდე კილომეტრით დაშორებული პატარა ქალაქი კოლინი შეირჩა. მომავალი ავტოწარმოების მენეჯერები აცხადებენ, კოლინის ქარხანა ყოველწლიურად 320 ათას ავტომობილს გამოუშვებს, რომლის ფასიც 8 ათას დოლარზე ნაკლები იქნებაო.

## «ოპელი» საბაზრო სეგმენტისთვის იბრძვის

როგორც ჩანს, მსოფლიო ავტომშენებლობაში უკვე პრესტიჟის საქმედ ანუ მოდად დამკვიდრდა, რომ ავტოფირმა მაინცდამაინც ყველა კატეგორიისა და კლასის მოდელებს უნდა უშვებდეს. ასე იქცევა გერმანული „ოპელიც“ — 2004 წელს საზოგადოების წინაშე მისი წარმოების კუპე-როდსტერი წარდგება. ახალი ავტომობილი იმავდროულად კაბრიოლეტიც იქნება — მას ლითონის ასაკეცი სახურავი აქვს. „ოპელის“ მენეჯერები ჯერჯერობით მოდელის ტექნიკურ მონაცემებს არ ახმაურებენ.



## მონბლანის გვირაბი კვლავ დაიხურება

საფრანგეთისა და იტალიის დამაკავშირებელი მონბლანის გვირაბი, შესაძლოა, კვლავ, უკვე მეშვიდედ დაიხუროს. ამის მიზეზად სპეციალისტები საფრანგეთისა და იტალიის მხარეს სხვადასხვა ატმოსფერული წნევის არსებობას ასახელებენ. ამის შედეგად გვირაბში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი ხდება, რადგან იგი ორივე მხრიდან ჟანგბადით მარაგდება. გვირაბი 2002 წელს, სამწლიანი შესვენების შემდეგ გაიხსნა. მანამდე კი, 1999 წელს გაჩენილი ხანძრის გამო იქ 39 მძღოლი დაიღუპა.

*გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა*



CMYK

# იაშვილი საფრანგეთის ნაკრებში მიიწვიეს



ჯერ კიდევ შარშან ქართული სპორტული სამყარო მორაგბეთა მსოფლიო თასზე გასვლის იმედად ცხოვრობდა, მაგრამ ვერავინ იტყოდა დანამდვილებით, ოცნება რეალობად იქცეოდა თუ არა. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას კი მიზნის მიღწევაში ეჭვიც არ ეპარებოდა და ნაკრების გაძლიერებაზე დაიწყეს ფიქრი. სრულიად მოულოდნელად ფრანგული რაგბის ქართველმა ექსვარსკვლავმა მიშელ იაშვილმა ჩვენი რაგბის მამებს საკუთარი უმცროსი ვაჟის, დიმიტრის შესახებ აუწყა: უფროსმა, გრეგუარმა, ბორჯღალოსანთა ფორმა უკვე მოირგო, 21 წლის დიმიტრი კი უდიდეს იმედებს იძლეოდა, მაგრამ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში მაინც არ იწვევდნენ. ამით უკმაყოფილო დიმიტრი იაშვილი თავდაპირველად თანახმაც ყოფილა უფროსი ძმისთვის მიებაძა.

მას შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, კლოდ სორელი ამაოდ ელოდა დიმიტრის საბოლოო თანხმობას. არადა, შემტევია, თანაც უნიჭიერესი, საქართველოს ნაკრები მის პოზიციაზე საკმაოდ დიდ პრობლემას განიცდის.

სამწუხაროდ, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაკომბმა მაინცდამაინც მსოფლიო თასის მოსამზადებელ პერიოდში გადაწყვიტა დიმიტრის გამოძახება, მაგრამ ახალი ზელანდიის ნაკრებთან იგი განაცხადში არ შეუყვანია. ამან ჩვენს სარაგბო თემს მცირედი იმედი მაინც დაუბრუნა, — ეგებ ლაკომბს აზრი ჩვენთვის სასარგებლოდ შეეცვალა. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ ზუსტად იგივე პერიოდში გამოაქვეყნა წლის ხუთი საუკეთესო მორაგბის ვინაობა, რომელთაგანაც ერთი სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზს მიიღებს. ხუთეულში დასახელდა ფრანგი ფაბიენ გალტიეც, რომელიც საფრანგეთის ნაკრებში სწორედ იმ პოზიციაზე თამაშობს, რომელზეც ქართველი.

ჩვენი იმედები ფუჭი აღმოჩნდა: ფრანგებმა კანადასთან მორიგი ტესტმატჩი ჩაატარეს, 35:3 გაიმარჯვეს და რაც ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა, შეხვედრის 73-ე წუთზე მოედანზე სამფეროვანთა ფორმით დიმიტრი იაშვილი გამოჩნდა და სწორედ ფაბიენ გალტიე შეცვალა. რა თქმა უნდა, ლაკომბი და ფრანგები მშვენივრად იყვნენ ინფორმირებულები ქართველთა სურვილის თაობაზე და ქვეყნის ერთ-ერთ უნიჭიერეს მოთამაშეს ჩვენ არ დაგვითმობდნენ. ფრანგების მწვრთნელმა, ბერნარ ლაკომბმა კითხვაზე — ნაადრევად ხომ არ ანდო ახალგაზრდა იაშვილს ქვეყნის უპირველესი გუნდის ფორმა — უპასუხა: „იაშვილმა იმდენად შთამბეჭდავად ჩაატარა სეზონი, რომ მასზე უარის თქმა გაუმართლებელი იქნებოდა. მიუხედავად მცირე ასაკისა, დიმიტრი თავისი გუნდის ლიდერია, ჩვენ კი მსოფლიო თასზე მისნაირი ენერგიული მოთამაშეები, თუნდაც სათადარიგოთა შორის, აუცილებლად გვჭირდება. იაშვილს სავსებით თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს გალტიე, მსოფლიო თასზე კი ასეთ მნიშვნელოვან პოზიციაზე მაქსიმალურად საიმედო რეზერვითა და დაზღვევით უნდა გავემგზავროთ. ასე რომ, იაშვილის მოწვევა და თამაში აბსოლუტურად გამართლებული და კანონზომიერია“.

თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია და ვინ იცის, ჩვენს ფრანგ მამლუქს მომავალში რა პერსპექტივა და წარმატება ელის. ასეთ შემთხვევაშიც სასიხარულო იქნება მისი წინსვლა. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც საფრანგეთის ნაკრებში ქართველი, ან საქართველოსთან დაკავშირებული სპორტსმენი ირიცხება. პიონერი იყო დიმიტრის მამა, ფრანგული რაგბის ვარსკვლავი მიშელ იაშვილი. მეორე — თბილისში გაზრდილი ფრენბურთელი ვიქტორია რავა გახლავთ, ჩემპიონთა თასის გამარჯვებული კანის „რასინგის“ ლიდერი, რომელმაც ფრანგების წინადადება იმ კურიოზული მოტივით მიიღო, რომ ელემენტარულად საქართველოს ფრენბურთელ ქალთა (არც ვაჟთა) ეროვნული გუნდი არ ჰყავს.

ერთი სიტყვით, სხვა გზა არ არის და მსოფლიო თასის ფინალს იაშვილის გარეშე ვესტუმრებით. თუმცა არის დამაიმედებელი ინფორმაციაც: პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი თანახმაა დაამტკიცოს ბიუჯეტისთვის სპორტის დეპარტამენტის წაყენებული მოთხოვნა 5,5 მილიონლარიანი დოტაციის შესახებ. თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი კი რაგბის ნაკრების მოსამზადებლად დაიხარჯება. იმედია, პარლამენტარები ფრანგებივით არ გაგვაწბილებენ.

***ზვიად კალანდაძე***

# ძოძუაშვილი „ურალანის“ დატოვებას აპირებს

სულ რაღაც ოთხი თვე გავიდა, რაც რევაზ ძოძუაშვილმა ელისტის „ურალანი“ ჩაიბარა. ყალმუხეთის პრეზიდენტთან ქუთაისის „ტორპედოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს რეკომენდაცია მეტად გავლენიანმა ადამიანებმა გაუწიეს: პირველი მათგანი რუსული ფეხბურთის ბოსი, ვიაჩესლავ კოლოსკოვი გახლავთ. კოლოსკოვმა ჯერ კიდევ შარშან მოინდომა ძოძუაშვილის რუსეთში გადაბირება და ცსკა-ს ხელმძღვანელობისთვის მისი კანდიდატურის შეთავაზება. ეს ინფორმაცია ჩვენთვის დაუჯერებელი იქნებოდა, რომ არა რუსულ ვებ-საიტებზე ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციები, რომლებიც ასეთი ფაქტის სინამდვილეს ადასტურებს.

ანზორ კიკალიშვილი კი რუსეთში ქართველთა ქომაგობითაა ცნობილი. იგი ახლაც ქართველი სპეციალისტის „ლობისტი“ გახდა. ძოძუაშვილი ამბობს — რომ არა კოლოსკოვისა და კიკალიშვილის თანადგომა, „ურალანში“ არ ვიმუშავებდიო. თუმცა დასრულდა რუსეთის პრემიერ-ლიგის გათამაშება და შესაძლოა, „მიხიჩამ“ ელისტა დატოვოს. მიზეზი თავად ძოძუაშვილის სურვილია, მას გაცილებით ამბიციურ გუნდთან მუშაობა სურს, ვიდრე „ურალანია“. ფაქტია, რომ პოლიტიკასა და ჭადრაკზე გადამკვდარ ილუმჟინოვს ფეხბურთი ძალიან უყვარს, მაგრამ ელემენტალურად საამისო დრო არ რჩება, მისი ხელქვეითებიც გუნდს ქართველისთვის სასურველ ყურადღებას ვერ აქცევენ, ძოძუაშვილს კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლ გუნდში მუშაობა არ სურს. მართალია, ბატონმა



რეზომ თქვა, თითქოს „ურალანს“ ძლიერი სპონსორები გამოუჩნდნენ, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, შეძლებენ თუ არა ელისტელები უმდიდრესი მოსკოვური გუნდების წინააღმდეგობას. ჩვენი ინფორმაციით, ძოძუაშვილის საბოლოო გადაწყვეტილება ისევ ანზორ კიკალიშვილზეა დამოკიდებული. თუკი იგი „ურალანის“ გენერალური სპონსორი გახდება, მაშინ რეზოც დარჩება. თუ არადა, ლატვიის ნაკრებში ისევ იწვევენ და ძველ ნაცნობებს ჩააკითხავს.

***ზვიად კალანდაძე***

# მკითხველის „ყველაზე საყვარელი გიორგი“ ხასიათზე მრგვალად მოხარშულ დედალს მოჰყავს...



„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში მკითხველმა ყველაზე პოპულარული და საყვარელი „გიორგის ტიტული“ მსოფლიოში ცნობილ მოკრივე **გიორგი კანდელაკს** მიანიჭა. 28 წლის ჩემპიონი, რომელსაც უამრავი მეტოქე ჰყავს რინგზე დამარცხებული, 21 დეკემბრისთვის მნიშვნელოვანი ბრძოლის ჩასატარებლად ემზადება — პროფესიულ რინგზე 23-ე კაცი უნდა დაამარცხოს და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც უნდა მოიპოვოს. გიორგი პირველ დეკემბერს გაემგზავრა მინსკში ბრძოლისათვის მოსამზადებლად. წასვლამდე მის მეგობრებთან ერთად მოვინახულე და ვისაუბრეთ მსოფლიოში ერთადერთი თუ არა, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უშუალო და თავმდაბალი ჩემპიონის შესახებ. ახლა კი შევეცდები, უბრალოდ, ავხსნა, ვის გამოუტყდა ჩვენი მკითხველი სიყვარულში. ისე, ჩემი აზრით, გიორგი კანდელაკის მიმართ ქართველებისაგან ასეთი თაყვანისცემა იმით აიხსნება, რომ საზოგადოებისთვის ამ კაცში განსხეულდა დაუმარცხებელი ქართული სული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. გარდა ამისა, გიორგი კანდელაკი განასახიერებს სინდისს, შეუბღალავ სინდისს, ურომლისოდაც ქართველობა წარმოუდგენელია. მოკლედ, ეს წერილი მათთვისაა, ვისაც გიორგის პიროვნული პორტრეტი აინტერესებს.

დაიჯერებთ? პატარა გიორგის სულაც არ აინტერესებდა არც კრივი, არც ჭიდაობა და საერთოდ, სპორტის არც ერთი სახეობა. არც საღამოობით, სოფელ ვარიანის „ბირჟაზე“ გამართული ბიჭების ძიძგილაობისკენ მიუწევდა გული. მომავალ მოკრივეს ნადირობაზე და თევზაობაზე ელეოდა თურმე სული, მაგრამ მამას ყმაწვილი სპორტში ჩაუბია, რინგზე შეუგდია და უთქვამს: „კარგად გაირჯები? დაგაჯილდოებ, დასვენების დღეებში საჩუქრად სანადიროდ ან სათევზაოდ წასვლა ჩემზე იყოს“.

გიორგიმ მამის სიტყვის ფასი კარგად იცოდა და მთელი კვირის მანძილზე თვალცრემლიანი თავგამეტებით ჩხუბობდა ხან რინგზე, ხანაც — დარბაზში. გაგიკვირდათ არა, რატომ თვალცრემლიანიო? არა, ახლა აღარ ტირის, ბავშვობაში კი... აი, რას იხსენებს გიორგი: „პირველი წარმატება საჩხერეში მხვდა წილად. 34 კგ წონის კატეგორიაში გავიმარჯვე. ამ რამდენიმე დღის წინ ვნახე სიგელი და გამეცინა. გამახსენდა, როგორ ვაღვარღვარებდი ცრემლებს ჩხუბის წინ. არ ვიცი, ეს რატომ მემართებოდა. ალბათ იმიტომ, რომ მეტოქე ყოველთვის მეცოდებოდა.

გიორგის გულჩვილობა დღემდე გამოჰყვა, თურმე ხშირად ამბობს — რინგზე თუ არ გავმწარდი, არ დავარტყამ კაცსო. ცხოვრებაში წყნარი და უდრტვინველი მხოლოდ ერთადერთ რამეს — შიმშილს გამოჰყავს მდგომარეობიდან. „თუ მოშივდა, ხასიათი უფუჭდება, თითქმის მუნჯდება და ირგვლივაც სამარისებურ სიჩუმეს ითხოვს. მისი გულის მოგება იმ წუთში მხოლოდ მოხარშული დედლითა და ოხშივარადენილი მწვადებით შეგიძლიათ. არ გაბედოთ და ბუტერბროდები არ შესთავაზოთ, თორემ... რა თორემ? ისეთი სახით და თვალებით შემოგხედავთ, რომ ამქვეყნად თავს ყველაზე დიდ დამნაშავედ იგრძნობთ. მანქანაში თუ ხართ მასთან ერთად და ამ დროს მოშივდა, იცოდეთ, რომ აუცილებლად გამორთავს მაგნიტოფონს, არ გაბედოთ და ჩართვა არ ცადოთ. უახლოეს საზკვების პუნქტამდე მოთმინებით დაელოდეთ.“

„ერთხელ პატარა ბაშვივით ვატყუებდით მანქანაში — აი, ახლა იქნება რესტორანი, აი, ახლაო, როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა. გიორგი მანქანიდან გადახტა. ვიღაც ქალი გამოეგება. მუშაობთ? — ჰკითხა გიორგიმ. კი, მაგრამ არაფერი გვაქვსო — იყო პასუხი და ჩვენც კინაღამ დავმუნჯდით“ — ღიმილით იხსენებენ მეგობრები. კეთილ დევს — გიორგი კანდელაკს ბავშვივით სცოდნია სიხარულის გამოხატვა. ისედაც კეთილი თვალები თურმე საოცრად აუციმციმდება, კინგ-კონგივით გულზე ხელებს იბაგუნებს და „რბილად“ რომ ვთქვათ, სიამისგან ღრიალებს. ასე იქცეოდა, თურმე ბავშვობაშიც, როცა მდინარეს დააგუბებდნენ და უზარმაზარი ქვების ქვეშ ხელაობდნენ, პატარა ჭიჭყინის დაჭერაც კი თურმე სიხარულით ავსებდა. ჰო, მეგობრებმა თქვეს — მაგის ნახვას არაფერი სჯობს, როცა ჩვენთან ერთად ქეიფობსო, თბილი და ენაწყლიანია, ზოგჯერ გიორგი განსხვავებულ სასმისს მოითხოვს (სიურპრიზისთვის მოემზადეთ), მას შეუძლია უზარმაზარი ყანწით ან სხვა ჭურჭლით შთანთქას ღვინო და მერე იმღეროს. დიახ, იმღეროს. გიორგი საოცრად რომანტიკულია.

ახლა ისევ რინგს დავუბრუნდეთ. ბრძოლის წინ თურმე ლოცულობს და ღმერთს ევედრება: „რაც შენ გინდა უფალო და რასაც ვიმსახურებ, იმაზეც მადლობელი ვიქნები...“ და ღმერთიც როგორ წყალობს, კი ხედავთ. მისთვის რინგზე იწყება და მთავრდება მეტოქეობა, მერე ყველას ძმურად და მეგობრულად ექცევა. იქნებ სწორედ მისი რაინდული კეთილშობილება იგრძნეს ინგლისელებმა, როცა ერთ-ერთ შეხვედრაზე თანადგომა სწორედ გიორგის გამოუცხადეს. კრივს გიორგის გულშემატკივარი მხოლოდ 40 ქართველი ესწრებოდა და მათ შეძახილებს თურმე მრავალრიცხოვან ინგლისელთა ყიჟინა ფარავდა. პირველივე რაუნდის შემდეგ ქართველი მოკრივის მეტოქე თითქმის გულშემატკივართა გარეშე დარჩენილა — მთელი დარბაზი, თურმე, კანდელაკს ამხნევებდა.

— უცხოელები გიჟდებიან ჩვენს თვისებაზე, — თავი გაწირო სხვისთვის, საკუთარი კეთილდღეობა ანაცვალო მეგობარს. ამდენ დროს საკუთარ თავს და საქმეს რომ უთმობდეთ, ქართველებზე ძლიერი და მდიდარი ხალხი დედამიწის ზურგზე არ იქნებიანო. მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ მაინც მდიდრები ვართ, ეს სიმდიდრე კი ჩვენს გრძნობებშია, ამ ქვეყნის ღვთაებრივად მიმზიდველ ძალაში, რის გამოც არსად არ შემიძლია წასვლა. ერთი კვირა რომ გადის უცხოეთში, ყველაფრის ხალისი მეკარგება და აქ, ჩემს მიწაზე დაბრუნება მინდა, — ამბობს გიორგი. უძლიერესი კრივის კლუბებმა, რომლებმაც იციან, გიორგის სამშობლოს გარეშე დიდი ხნით რომ არ შეუძლია ყოფნა, ნება მისცეს მეტწილად აქ ევარჯიშა და უცხოეთში მხოლოდ მცირე ხნით ჩასულიყო. გიორგიმ ვარიანში კრივის სავარჯიშო საწვრთნელი კომპლექსი რომ მოაწყო, ამის შესახებ უკვე საქართველოში კი არა, ამერიკაშიც იციან. უკვე 500 ბავშვი ვარჯიშობს ჩვენთან ბაზაზე, ვფიქრობ, საქმეს კარგი პირი უჩანს, ძველი დიდება სპორტის ამ სახეობაში აღდგება. ქართული კრივის უძველესი სახეობები შეიძლება დაინერგოს ჩვენს ჯარში — ამბობს დიდებული მოკრივე და მისი სურვილი ვარიანელი ბიჭები კუბელ ბიჭებთან აჩხუბოს, კვლავაც ძალაში რჩება. ასე რომ, არ არის გამორიცხული, უახლეს მომავალში თუ არა, წლების შემდეგ ქართულ-კუბური შერკინებაც ვიხილოთ.

გიორგიზე საუბარს ამჯერად მისივე ერთი კურიოზით დავასრულებთ: „პირველად კანადაში მოხდა, რომ ქართველი მოკრივე დამოუკიდებელი ქვეყნის — საქართველოს მოქალაქის სტატუსით წარდგა. ეს მე ვიყავი და საბედნიეროდ, ეგრევე ჩემპიონი გავხდი. მაშინ კანადაში ვინ იფიქრებდა, რომ ვიღაც უცნობი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. დაჯილდოების ცერემონიისთვის საჭირო გახდა დროშა და ჰიმნიც. მოკლედ, დაჯილდოების წინა დღეს დროშა დავხატეთ და შეკერეს, ჰიმნის პრობლემა კი გადაუწყვეტელი რჩებოდა. საღამოს კანადაში მცხოვრებ ქართველ მოჭიდავე სისაურთან ვიყავით სტუმრად. მასაც გავუმხილეთ ჩვენი საფიქრალი. რა ვქნა, ბიჭო „შალახოს“ გარდა ქართული არაფერი მაქვს, ჩვენც არიქა, გვეშველაო — შემოვძახეთ და... მეორე დღეს ქართული დროშა შალახოს ჰანგებზე ფრიალებდა დარბაზში, მე კი ჩემპიონის ტიტულით ვიწონებდი თავს“.

...რაღა ვთქვათ, კარგი დასაწყისია, ჩემპიონობა შალახოს თანხლებით, მაგრამ იმედია, ახალ ჩემპიონობას მთელი ატრიბუტიკით მიეგებება ფალავანი.

***ეკა ლომიძე***

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. I ტური

**A ჯგუფი**

ლევერკუზენი 1:2 ბარსელონა
ნიუკასლი 1:4 ინტერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

**B ჯგუფი**

რომა 1:3 არსენალი
ვალენსია 1:1 აიაქსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| აიაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვალენსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რომა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

**C ჯგუფი**

ლოკომოტივი 1:2 დორტმუნდი
მილანი 1:0 რეალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**D ჯგუფი**

ბაზელი 1:3 მანჩესტერი
დეპორტივო 2:2 იუვენტუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| იუვენტუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## უეფას თასი. III წრე. პირველი მატჩები

ვისლა (პოლონეთი) 1:1 შალკე (გერმანია)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:2 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
დენიზლი (თურქეთი) 0:0 ლიონი (საფრანგეთი)
ბორდო (საფრანგეთი) 0:2 ანდერლეხტი (ბელგია)
ბეტისი (ესპანეთი) 1:0 ოსერი (საფრანგეთი)
პორტო (პორტუგალია) 3:0 ლანსი (საფრანგეთი)
სელტიკი (შოტლანდია) 1:0 სელტა (ესპანეთი)
შტურმი (ავსტრია) 1:3 ლაციო (იტალია)
ვიტესი (ჰოლანდია) 0:1 ლივერპული (ინგლისი)
ბრიუგე (ბელგია) 1:2 შტუტგარტი (გერმანია)
ბეშიქთაში (თურქეთი) 3:1 დინამო (კ) (უკრაინა)
პაოკი (საბერძნეთი) 1:0 სლავია (ჩეხეთი)
აეკი (საბერძნეთი) 4:0 მაკაბი (ისრაელი)
მალაგა (ესპანეთი) 0:0 ლიდსი (ინგლისი)

# მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №47 (321) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

47-ე რეიტინგს 497 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 192-მა ქალმა და 303-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქვეყნის ღირსშესანიშნაობას მოინახულებდით პირველ რიგში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 36-ს, შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, პირველ რიგში ეგვიპტეს მიაშურებდა ხეოფსის პირამიდისა და სფინქსის ქანდაკების სანახავად. მხოლოდ შვიდმა მკითხველმა (1,4) შეაფასა ეს ღირსშესანიშნაობები მინიმალური — 1 ქულით. **7,08** საშუალო ქულით ხეოფსის პირამიდა და სფინქსის ქანდაკება პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ვენეციაა, საშუალო ქულაა 6,79. როგორც ჩანს, მკითხველთა 21-ისათვის ვენეცია სანუკვარი სანახავია. რესპონდენტები ასევე სიამოვნებით ეწვეოდნენ საფრანგეთს ლუვრის მოსანახულებლად. მკითხველთა 19-მა შეაფასა ლუვრის სასახლე მაქსიმალური — 9 ქულით, 6,46 საშუალო ქულით იგი მესამე ადგილზეა.

კარნავალი რიოში, ჩანჩქერი ნიაგარა და ჩინეთის დიდი კედელიც არანაკლებ ინტერესს აღძრავს მკითხველებში.

ყველაზე ნაკლებად საინტერესოდ კი მათთვის თაჯ-მაჰალი, კორიდა და კენიის ნაკრძალი გამოიყურება. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (32) კენიის გარეულ ცხოველთა ნაკრძალმა დაიმსახურა, მაქსიმალური ქულების სიმცირით (1,4) კი მასთან ერთად „კორიდა“ გამოირჩევა.

### ღირსშესანიშნაობები




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტი დაფიქსირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი **200** ლარს შეადგენს.

წარმატებებს გისურვებთ!

## №48 (322) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**~~100~~ 200 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№48 (322) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 4 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 5 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №48 (322) — **აქტუალური პრობლემა**

**თქვენი აზრით, რომელია დღეს ყველაზე აქტუალური პრობლემა** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№48(322) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პრობლემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ენერგოკრიზისი | |
| 2 | კრიმინოგენული სიტუაცია | |
| 3 | უმუშევრობა | |
| 4 | ადამიანთა უფლებების დარღვევა | |
| 5 | შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები | |
| 6 | დაკარგული ტერიტორიები | |
| 7 | კორუფცია | |
| 8 | რუსეთთან ურთიერთობა | |

**დამატებითი კითხვა**

ხართ თუ არა ოპტიმისტურად განწყობილი მომავლისადმი?

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**ნოემბრის თვის ადამიანები საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| 1-2. | კახი ასათიანი | 23 % |
| 1-2. | მიხეილ სააკაშვილი | 23 % |
| 3. | პეტრე ცისკარიშვილი | 16 % |
| 4. | პიტერ შოუ | 9 % |
| 5. | ედუარდ შევარდნაძე | 8 % |
| 6. | ვანო ზოდელავა | 4 % |
| 7. | კობა ნარჩემაშვილი | 3 % |
| 8-10. | შალვა ნათელაშვილი | 2 % |
| 8-10. | გიორგი ასანიძე | 2 % |
| 8-10. | გია შერაძე | 2 % |

ნოემბრის თვის ადამიანის დასახელება რესპონდენტთა 1-ს გაუჭირდა. ასევე, 1 აცხადებს, რომ ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.

***მკითხველის რეიტინგში 346 მკითხველი მონაწილეობდა.***

### მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ვაჟა გავაშელი — „სიკვდილი ქალის სანაცვლოდ“ — 63 ხმა
2. მარინა მამისაშვილი — „ვინ მოერევა მაფიას“ — 50
3. ზვიად ჩაკვეტაძე — „დამიბრუნეთ დაკარგული შვილი“ — 49
4. ეთერ თარიმანი — „არ მინდა ასი ათასი“ — 45
5. დაჩი გრძელიშვილი — „უმჯობესია, პარლამენტის სპიკერად კანონიერი ქურდი დავაყენოთ...“ — 44



თქვენი პრემია და კისრის არეში ჭრილობა ამ სტატიისთვის ერთად მიიღო რუბრიკა ვერსიის ავტორმა **ვაჟა გავაშელმა.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 351-მა მკითხველმა გამოავლინა.***

# ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

— ცოტა ასაკოვანი, მაგრამ მაინც თქვენი თვალცქრიალა ... ვარ...

# ფოტოპალიტრა

**ე.შ.** — რა ვქნა, არ ვიცი, ბადრის თავს პუტინი მთხოვს, ვანოსას — სააკაშვილი.
**ვ.ზ.** — „ამბროსიჩ“, თქვენს თავს 5 მილიონი ქართველი და 200 მილიონი რუსი ითხოვს და გამოსდით რამე?!

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — ჩემო ვანო, ძალიან მაწუხებს შენი ბედი.
**ვ.ზ.** — მე კი თქვენი, ბატონო ედუარდ!
**ბ.პ.** — ფუი ეშმაკს, ბატონებო, თქვენი წასვლა და ჩემი დეპორტაცია ერთი იქნება.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

იყურებიან ტელესკოპში:
**ე.შ.** — ვანო, პლანეტა მარსი რა ეღირება?
**ვ.ზ.** — მე მგონი, ძალიან ძვირი.
**ბ.პ.** — ტყუილა კამათობთ, არ ვყიდი.

***დ. ნადირაშვილი, თბილისი***

ვანო ზოდელავა თავის სეკუნდანტებთან ერთად ნათელაშვილთან ფინალური ორთაბრძოლის წინ. ტარდება ბრძოლა წესების გარეშე.

***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

**ე.შ.** — ვანიკო, რა ხმაურია, რა ხდება?
**ვ.ზ.** — სააკაშვილი ბობოქრობს, გაუგია, მერიის შენობა ბადრის რომ მივყიდე და საკრებულოს დარბაზში სახინკლის გახსნას რომ აპირებს.
**ე.შ.** — ჰკითხე ბადრის, პარლამენტის შენობას ხომ არ შეიძენს?

***ზურა ქართველიშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — ბატონო ბადრი, ქორწინების სასახლე შეისყიდეთ, „დინამო“ შეისყიდეთ, მერიასაც ხომ არ შეისყიდდით?
**ვ.ზ.** — მე რა მეშველება, ბატონო ედუარდ?
**ე.შ.** — შენიანად შეისყიდის, კაცო.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ვ.ზ.** — ბატონო ედუარდ, მე ბადრის ვთხოვე ეყიდა მამათი, რათა თქვენი მუზეუმი გააკეთოს, ისიც თანახმაა, რა ვქნათ?
**ე.შ.** — უკვე გადაგიწყვეტიათ და?!!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე, ვანო ზოდელავა, ბადრი პატარკაციშვილი

შეხვედრა მოსახლეობასთან:
**უცნობი:** — ბ-ნო ედუარდ, მიცანით? მე გამოგიყვანეთ ალმოდებული სოხუმიდან თვითმფრინავით.
**ე.შ.** — გიცანი, ყოჩაღ! რა გინდა, სამსახური?
**ვ.ზ.** — ბინა ვაკეში?
**ბ.პ.** — ფული?
**უცნობი:** — მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს. არსად გაამხილოთ, მე რომ გადაგარჩინეთ!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

C

## ფოტო განწყობისთვის



ბებერი მეზღურნეები

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



4/XII სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია:
2/XII — 14-დან 16 სთ-მდე
4/XII — 23-დან 5/XII 01 სთ-მდე



ერთი თვის წინ ესპანეთის ულამაზეს ქალაქ ალმერიაში ფილმი „კოშკის“ გადაღება დაიწყო ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა ვან დამმა, რომელიც ფილმის რეჟისორიც, სცენარისტიც და მთავარი როლის შემსრულებელიც გახლავთ. გადაღებები საახალწლოდ მადრიდში გადაინაცვლებს, ხოლო გაზაფხულზე ეგზოტიკურ ტაილანდში. ფილმის ბიუჯეტი არ არის დიდი (ჰოლივუდის საზომებით თუ ვიმსჯელებთ), ვან დამი გეგმავს, რომ დახარჯავს მხოლოდ და მხოლოდ რაღაც 16 მილიონ დოლარს.



თარაზულად: 1. მაოვლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ჩეხური ბროლი; 4. ცალ ფეხზე სრული შემობრუნება; 6. წყალბადის შემცველი ქიმიური ნაერთი; 7. სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი ფილმში „ვერის უბნის მელოდიები“. 8. ვაშლის ღვინო; 9. დიუმას რომანი XVIს. იტალიელი მოქანდაკის, იუველირის და მწერლის ბენვენუტო ჩელინის შესახებ; 12. ხალხური ეპოსის გმირი, ქართველი პრომეთე; 15. რუსი ილუზიონისტი, ბრიუნეის სულ 3 დღის განმავლობაში; 17. მუნჯი კინოს ამერიკული ლეგენდა; 18. ქალაქის მცხოვრები, მოქალაქე, გერმანიასა და ცერიის ზოგ ქვეყანაში. 19. გერმანელი მწერალი, ავტორი ინდიელებზე სათავგადასავლო რომანებისა; 21. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ბიოლოგიურ სისტემებსა და პროცესებს საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად; 23. უსიამოვნო შეგრძნება; 25. დოლარის მეტსახელი; 26. თაყვანისცემა; 27. კურაგლიოვის პერსონაჟის სახელი კომედიაში „ივანე ვასილის ძე იცვლის პროფესიას“; 28. განსაკუთრებით გემრიელია ამ ფრინველის საცივი; 29. წყალხმელეთა ცხოველი.

შვეულად: 1. მეცნიერება ქარების მოძრაობის შესახებ; 2. ძვირფასი ქვა; 3. პერსონაჟი პუჩინის ოპერიდან „ტოსკა“; 4. ულამაზესი სპექტაკლი; 5. ფარული საძრახისი ქმედების, ხრიკების მოწყობა; 10. შოკოლადის ხე; 11. მეცნიერ-ანტროპოლოგი; 13. სამი ფუტი; 14. სასტუმროს დიასახლისი; 15. ამერიკელი მსახიობი – ბესინჯერი; 16. სოკოს ქსელი პროდუქტზე; 20. დიდი მხედართმთავარი, ძველი სამყაროს უდიდესი სახელმწიფოს შემქმნელის სახელი; 21. სტალინის პარტფსევდონიმი; 22. სამედიატორო სასამართლო; 23. კუნძულ სიცილიის ანტიკური სახელწოდება; 24. იავა, სუმატრა, ბორნეო, ცელებესი და მისთ. (სახელწოდება).

შეადგინა რამაზ ალანიამ

Voice of America
მოისმინეთ
VOA ამერიკის ხმის
გადაცემები ქართულ ენაზე
ყოველდღიურად 19:30-დან 20:00 საათამდე „მთავარი რადიოს“ და „რადიო 2-ის“ ტალღებზე
www.voanews.com

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(48) უფასო განცხადების კვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

ჩაწერეთ ტექსტი გარკვევით დაწერით: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№48 თბილისში კვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 5 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



* * *

ორი სვანი საუბრობს:

— ბიჭო, გუშინ გუჯუ შემხვდა, კინოში მიდიოდა.

— მერე რა?!

— როგორ მერე რა! ახლახან ცოლი დაკრძალა!...

— იქნებ შავ-თეთრი ფილმის სანახავად მიდიოდა?!

ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი #518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.